ყოველკვირეული




„რადგან მოძალადე ტაქსის მძღოლი დაუსჯელად გაუშვეს სახლში, მე გავავრცელებ მის მონაცემებს და ყველას გავაფრთხილებ, მოერიდონ!“ 10

N19 /747/ 9-15 მაისი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან

# — ამბობენ, ივანიშვილი ქვეყნის დატოვებას აპირებს, თითქოს ხელი ჩაიქნია საკუთარ პარტიასა და პოლიტიკურ პროცესებზე, ასეა? 14

## გია ხუხაშვილი: ივანიშვილი ძალიან გაბრაზებულია...



## რა გეგმა აქვს გიგა ბოკერიას?! სააკაშვილი თანახმაა!!! დავით ბაქრაძე არა!!!



„ივანიშვილსაც და ამ ხელისუფლებასაც შიგნითვე ჰყავს ხალხი, რომელიც აფეთქებას უპირებს“ 17

თინა ხიდაშელი: „ამ ბატონისგან კატეგორიულად მოვითხოვ პასუხს, სად და როდის გავხიზნე ჩემი შვილები, ან როცა მათ საფრთხე ემუქრებოდათ, ის თავად სად იყო, რომელი ჩირგვის ძირში?“

თამაზ მეჭიაური: „ქალბატონია და არ მინდოდა, მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მაგრამ რადგან ეს ქალბატონი ყველაზე მამაკაცურ პოსტს იკავებს, თავს ვალდებულად ვთვლი, ვუპასუხო — „ქალი უნდა იყოს „კუხნაში“, თუ იქ მაინც გამოდგება“ 6

მიხეილ მაჭავარიანი: „რეები მოიგონა, რეები მოჩმახა?! წარსულია უკვე ჩემთვის ვაშაძე და ეგ კაცი არის ჩემთვის ცრუპენტელა, მატყუარა ადამიანი!“



„სიის ათეულში არ იქნება არც ერთი მოქმედი პარლამენტის წევრი, ბაქრაძის გარდა“ 12

„ივანიშვილმა მხოლოდ საკუთარი ფულისა და ნერვების დასაზოგად მოიშორა სააკაშვილი“ 8

„ერთხელ გადაიხადა და მას შემდეგ აღარ იხდის... ბიზნესმენის თვალით შეხედე ამას და მიხვდები, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა სათავისოდ, მომგებიანი! ქვეყანა ფული დაზოგა“

ქალის მკვლელობაზე იქნება მაქსიმუმი 14 წელი, ხოლო კაცის მკვლელობაზე — 12 წელი, ანუ ქალის სიცოცხლე უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე კაცის!



13



20

## რატომ დაუპირისპირდა 79 წლის ივანე კილურაძე 70 წელს გადაცილებულ მეცნიერებს?

## რას უყვება „ალიას“ „ქმრისგან მოკლული“ 17 წლის გოგო?

„მეზობლები ჩემს დანახვაზე პირჯვარს იწერდნენ!“




3

# „ბიძინა ივანიშვილს ხელშეუხებელს არავინ დატოვებს სოლოლაკის სასახლეში! დამიჯერეთ, ის სამიზნე გახდება“ 18

„სცენარი ასეთია — პარლამენტი გამოაცხადებს დროებით მმართველობას და მთავრობა გადადგება... შეიძლება ამ პროცესს მოჰყვეს „ოცნების“ დევნა, ასევე ივანიშვილის წინააღმდეგ აგორდეს დიდი კამპანია და დაიწყოს მისი დევნაც, ამას მოჰყვება სამოქალაქო წინააღმდეგობა“

## სააკაშვილი: ,,არ მჯეროდა“



,,ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი ვაშაძის წასვლას კიდევ ერთხელ ეხმაურება საქართველოს მესამე პრეზიდენტი, ,პოსტსკრიპტუმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მიხეილ სააკაშვილის გიორგი ვაშაძის ნაბიჯს არასწორს და კონტრპროდუქტიულს უწოდებს და ამბობს, რომ მსგავსი ტიპის ახალი მოძრაობების შექმნით, არის მცდელობა მთავარი პრობლემიდან ყურადღების გადატანის.

„რამდენიმე თვეა მეუბნებოდნენ ვაშაძეზე, რომ ცალკე გასვლას აპირებდა და ცალკე ორგანიზაციის გაკეთებას. მაინცდამაინც არ მჯეროდა იმიტომ, რომ ნიჭიერ ადამიანად მიმაჩნია. მიმაჩნია, რომ ეს არის სრულიად არასწორი და კონტრპროდუქტიული ქმედება, მათ შორის მისთვის. ახლა როგორ სიტუაციაშია საქართველო, დაახლოებით მტრის თვითმფრინავი მოფრინავს ჩვენს დასაბომბად და უნდა როგორმე გავაჩეროთ და ამ დროს ის ისვრის აქეთ-იქით რაკეტებს. აი ასეთი რაკეტები, ასეთი მაშხალებია ყურადღების გადასატანი. აი ეს გირჩი, ახალი მოძრაობები რაც შეიძლება ვაშაძემ ან სხვებმა გააკეთონ, რომ ყურადღება გადავიტანოთ და ვერ შევაჩეროთ მთავარი საფრთხე, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ იმან თუ მოაღწია ჩვენამდე დააქცევს მთელს ქვეყანას. თუ ამ არჩევნებშიც ამ გათიშულობით მიაღწია მან ამ წარმატებას. არსებობს ორი პოლუსი და ყველა ჯანსაღი ძალა უნდა კონცენტრირდეს, განახლებული ჩვენი პოლიტიკური ძალის გარშემო. აქ საუბარია იმაზე, რომ კარგია რომ რამდენიმე ვეტერანმა თავად გამოთქვა სურვილი აღარ იყოს სიაში ან ჩაიწიოს უკან რათა წინ გამოვიდეს ახალი ხალხი, თაობათა ცვლილების პროცესი, განახლების პროცესი ეს არის ყველა ჯანსაღი პროცესის შემადგენელი ნაწილი,“-განაცხადა მიხეილ საკაშვილმა.

სააკაშვილმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გეგმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის აქტიურად არის ჩართული სიის ფორმირების საკითხებში, რათა მოხდეს ახალი თაობის პოლიტიკოსების ჩართვან ქვეყნის გადარჩენის საკითხში. სააკაშვილის თქმით, 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს „ჩვენი საჰაერო სივრცის დატოვება მოუხდება.“

*rustavi2.com*

## ,,ზეწოლას ახორციელებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უნდა მომეშარდა და არ მინდოდა“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სიმართლისათვის“ წევრი კოტე კირვალიძე, სამართალდამცველებს ზეწოლასა და ცემაში ადანაშაულებს. ტელეკომპანია „რუსთავი2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ის აცხადებს, რომ გარდაბნის პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცყოფა მას შემდეგ მიაყენეს, რაც ნარკო-ტესტირებაზე უარი განაცხადა. კირვალიძის ინფორმაციით, ის მეუღლესთან ერთად რამდენიმე დღის წინ დააკავეს და ბიოლოგიური მასალის ჩაბარება ცემითა და გაუპატიურების მუქარით აიძულეს.

„ზეწოლას ახორციელებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უნდა მომეშარდა რაც არ მინდოდა, ფიზიკურად ვერ ვახერხებდი ამას. ამის შემდეგ დაიწყეს ცემა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელა ორმა. ერთი იყო სურმავა და მეორე აზერბაიჯანელის ვინაობა არ ვიცი მაგრამ აუცილებლად გავარკვევ იმიტომ, რომ იმ აზერბაიჯანელმა მცემა უფრო სასტიკად. გაუპატიურებაზე მუქარა იყო მაგრამ ამაზე გამეცინა, ისე აღარ არის“ - განაცხადა კირვალიძემ.



კირვალიძის ცემის ფაქტს არ ადასტურებს საგამოძიებო უწყება. შსს-ს ინფორმაციით, კირვალიძე სამართალდამცავებმა მეუღლესთან და კიდევ 3 პირთან ერთად დააკავეს და ყველა მათგანს მარიხუანას მოხმარება დაუდგინდა. უწყებაში განმარტავენ რომ, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისთვის კირვალიძე რამდენჯერმე დაჯარიმებულია და ამის გამო გამოძიება მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარებას გულისხმობს.

*rustavi2.com*

## ,,სპლიყვი“ გირაოს სანაცვლოდ, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს



სულხან წულაძის ძმა, გიორგი წულაძემ განაცხადა, რომ დაცვის მხარემ, მისი ძმის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შუადგომლობა, მას შემდეგ დააყენა, რაც საქმეში ახალი გარემოება გამოიკვეთა. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რა დროსაც სულხან წულაძის სატელეფონო და კომპიუტერული საუბრები შემოწმდა, დადგინდა, რომ ის არ შეიცავდა მუქარის შემცველ ტექსტებს და არ წარმოადგენდა საფრთხეს.

სწორედ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, დაცვის მხარემ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, რომ სულხან წულაძისთვის, აღმკვეთი ღონისძიების სახით 10 000 ლარის ოდენობის გირაო შეეფარდებინა. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ბრალდების მხარეც.

გიორგი წულაძე იმედოვნებს, რომ საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივა და უახლოეს მომავალში შეწყდება.

შეგახსენებთ, რომ „თბილისის ფორუმის“ ერთ-ერთი მომხმარებელი სულხან წულაძე ამერიკის ელჩის მისამართით „ფორუმზე“ გაკეთებული განცხადების გამო დააკავეს.

*pia.ge*

## Facebook ამბები



**ნანუკა ჟორჟოლიანი** - როსტოს ნარკოტიკებზე დაკავებას ასე ეხმაურება:

მოკლედ,

-დააკავეს თუ არა როსტო და კურტანა?

- კი. ( სამწუხაროდ)

- ჰქონდათ თუ არა ის და იმდენი ნარკოტიკული საშუალებები რასაც მედია წერს?

- არა!!!! ჰეროინი არა, მეტადონი არა, სუბოტექსი არა. ქონდათ ე.წ. კლუბური ნარკოტიკები, MDM, ექტაზი. რაც რაღაცეებს შეიცავს კიდევ.... რაც შეეხება რაოდენობას. ბევრია, ვიღაცისთვის ძალიან და ვინც იცის, რომ ფესტივალების დრო დგება არაა ბევრი. ( გამგები გაიგებს) თორემ ვიღაცისთვის სუბოტექსი და ექსტაზია იგივე. კარგი ლაინაფები გგონიათ არყის "მადლით" უხარია ქალაქს?.

- არანაირ რეალიზაციაზე საუბარი არ არის. ბრალშიც კი, მაგრამ მედია რისი მედიაა არ გააბუქოს:) განსკუთრებით მედიის ის ნაწილი, რომელიც ტყუილის გასავრცელებლად შეიქმნა მხოლოდ.

- მათ ბრალად ედებათ, ნარკოტიკების შეძენა-შენახვა.თავისი ეყოფათ ბიჭებს. ნუღარ უმატებთ. !!!

- არის თუ არა ეს ცუდი?

- ძალიან ცუდია. კანონის წინაშე, რომ ყველა ერთია მე ყველაზე კარგად მესმის. ეს ასე იყო მაშინაც, როცა ვიღაცეებისთვის "მაღალჩინოსნის" მეუღლე ვიყავი და ოჯახის წევრი მარიხუანის მოწევისთვისაც კი დამისაჯეს. ძალიან ცუდია ხელშეუხებელი ადამიანი და კარგ ტიპს ყოველთვის ურჩევნია ასეთი არ იყოს. მათ იკითხონ ვისაც ხელს ვერ ან არ კიდებენ. ჩვენთვის კანონი ყოველთვის კანონი იყო.

- წინა ცხოვრება რომ იყოს ანუ, დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციაში და ჩემს ადგილას იყვნენ დაიწყებდნენ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, დაკავშირებას, ზღაპრების მოგონებას. იქ სადაც წულუკიანი ოქრიკას ამართლებდა პოლიტიკისთვის ყველაფერი მოსულა, მაგრამ მე სპექტაკლებს ვერ დავდგამ და ტყუილს არ ვიტყვი. რაც იყო გითხარით. ვერაფერს ამის უკან ვერ ვხედავ.

- აბა, როგორ მიყვარს ორივე ეს რაში გადარდებთ. სენტიმენტებიც და სიბრაზეც ჩემია და მე მოვუვლი. ჩემი ორი საუკეთესო მეგობარი, რომლებიც პირველად დააკავეს ცხოვრებაში, ციხისთვის რომ არ მემეტება ესეც არ უნდა გაგიკვირდეთ.

- უბრალოდ, ქვეყანაში სადაც რეალიზატორები და მკვლელები შეიწყალეს იმედს ვიტოვებ, რომ ორი "ქლაბერი" ბიჭი ციხეში დიდხანს არავის უნდა.

**ზალიკო ბერგერი:** - ძალიან სამწუხაროა, იმედია არ გახდება ეს ამბავი პრობლემა...

**ნანუკა ჟორჟოლიანი:** ექსპერტიზის დასკვნით , 42 გრ. MDM + ექსტაზი. (ანუ ერთად)

კი არაფერი. უბრალოდ, ჭორიკნებისთვის ვწერ. მორჩით ბოდვების გავრცელებას:)

კანონი სხვა თემაა. ეს პოსტი მხოლოდ ჭორიკნებს ეხება:)

## ლევან როსტოშვილის მეგობარი დაკავების დეტალებს ჰყვება



რამდენიმე დღის წინ, სამართალდამცავებმა ლევან როსტოშვილი და ლაშა კურტანიძე დააკავეს. სამართალდამცველებმა ისინი ნარკოდანაშაულისთვის თბილისში აიყვანეს. დაკავებულებს 8-20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრებათ. „როსტოს“ მეგობარი, პროდუსერი მაია სტეფნაძე ამბობს.

- მე და როსტო 5 წელი ერთად ვმუშაობდით. ძალიან მიყვარს და ვმეგობრობთ. „კურტანასთანაც“ რამდენჯერმე მქონდა გადაკვეთა, ვიცნობ ძალიან კარგად. მათი ამბავი ძალიან მეწყინა. „როსტოს“ და კურტანას ბრალი ედებათ 42 გრამი ემდიემაის შეძენა-შენახვაში და არა იმაში, რა ხმებიც იყო გავრცელებული ქალაქში. თითქოს მათ ჰეროინი ჰქონდათ. როსტოს წლებია ვიცნობ და ისედაც არ დავიჯერებდი, რომ მძიმე ნარკოტიკს მოკიდა ხელი და ეს სასამართლო პროცესზეც დადასტურდა. თვითონ პროკურორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ ბრალი ედებათ მსუბუქი ნარკოტიკის შეძენა-შენახვაში.

- რა იცით დაკავების დეტალების შესახებ?

- ლაშა კურტანიძე დაკავების მომენტში შემთხვევით აღმოჩნდა „როსტოს“ მანქანაში. „როსტოს“ ის სამსახურში მიჰყავდა. კურტანას ადგილზე შესაძლოა ნებისმიერი სხვა ადამიანი ყოფილიყო. ამიტომ როსტომ მოითხოვა ლაშასთვის ბრალი მოეხსნათ, მაგრამ სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა. დაკავება ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოხდა. სამართალდამცავებს მანქანაში ჩხრეკა არ ჩაუტარებიათ, „როსტომ“ თავად აჩვენა ნარკოტიკული საშუალება პოლიციელებს. ლაშა კურტანიძეს კი არანაირი ნარკოტიკი არ აღმოაჩნდა.

*Ambebi.ge*

## ნათია ფანჯიკიძე კულტურის სამინისტროს აკრიტიკებს



ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე კულტურის სამინისტროს აკრიტიკებს და ამბობს, რომ მსოფლიო დონის მომღერლების ჩამოსაყვანად გამოყოფილი 29 მილიონი ლარი უმჯობესია სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარებოდა: „არ ვაპირისპირებ ორ სრულიად სხვადასხვა სფეროს და არაფერს ვამბობ იმაზე, რომ 29 მილიონი, უცხოელი მუსიკოსების დასაპატიჟებლად რაც გახარჯეს ჩვენი ჯიბეებიდან, მთლიანად ეყოფოდა სათბურების მშენებლობას სოფლებში, თუნდაც საჩუქრად გადაეცათ ეს ხალხისთვის, ესწავლებინათ მოხმარება და ელემენტარული და პირველადი — კვების პრობლემა გადაიჭრებოდა, იმპორტის საჭიროება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მაქსიმალურად შემცირდებოდა და ფული „ოჯახში“ დატრიალდებოდა. თუმცა, ადამიანებს კონცერტიც სჭირდებათ, კარგი მუსიკაც და სიხარულიც, თანაც ძალიან. მაგრამ საყდრისის ამფეთქებელ კულტურის „მცველებს“ სხვანაირად რომ დაეგეგმათ, ოპტიმალურად ბიუჯეტიც და კულტურის სტრატეგიაც, იქნებ ქვეყანაშივე გამოეცოცხლებინათ საკუთარი მუსიკოსების შემოქმედებითი ცხოვრება. ამ თანხით, სწორად დაგეგმილი სტრატეგიით უამრავი რამის გაკეთება შეიძლებოდა. ჩიტოსანთა კაფეში კონსერვატორიის სტუდენტები უკრავენ და მღერიან ხოლმე, უდიდესი პოტენციალი აქვს ყოველ მათგანს, ამ ბავშვებს მოვლა სჭირდებათ, ასპარეზის მიცემა და მთელ ქვეყანას გახვევენ ჰანგებში. წამოვა ორიგინალური შემოქმედებაც.

უცხოელი სტუმრები კი ჯერჯერობით კერძო კომპანიებმა უნდა მოიწვიონ. მითუმეტეს, ბილეთს ისეთი ფასი ადევს, ეს ჩვეულებრივი ბიზნესია“. *kvira.ge*

## დავით ნარმანია საკრებულოში საჭირო ხელმოწერების შეგროვების, ან უმრავლესობის მოთხოვნის შემთხვევაში მივა...

დავით ნარმანია საკრებულოში საჭირო ხელმოწერების შეგროვების, ან უმრავლესობის მოთხოვნის შემთხვევაში მივა

– როდესაც საუბარი არის პოლიტიკურ შოუზე და იმ პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან მოწვევაზე, რომლებიც ურცხვად ატყუებენ ამომრჩევლებს, მე არ ვფიქრობ, რომ ეს ის ფორმატია, სადაც უნდა მივიდე. ამიტომაც, თუ კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნება საჭირო ხელმოწერები მოგროვებული, ან უმრავლესობის მხრიდან იქნება მოთხოვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ მივიდე საკრებულოში, რასაკვირველია, მივალ, - განაცხადა ნარმანიამ. (რეპორტიორი)



**ნიკოლოზ მჭავანაძე** ელისაშვილის დაკავების ფაქტზე

რაც არ უნდა შეუვარდეთ პოლიციის მანქანებს, ცეცხლი წაიკიდოთ კამერების წინ, რევოლუციას ვერ მოაწყობთ.

დღეს, 2003 წელი არაა. სად იყო „თბილისის ჰამქარი", „პარტიზანი მებაღეები" და ალეკო ელისაშვილი როცა სააკაშვილმა პარკი, სკვერი და სარეკრეაციო ზონა არ დატოვა. გეძინათ მეგობრებო?



**ცოტნე გამსახურდია :**

ძალიან მიყვარს ეზოში ფუსფუსი და მუშაობა, ხეებთან და მცენარეებთან ურთიერთობა და მოვლა. პროფესიონალ აგრონომობამდე ბევრი მაკლია, მაგრამ თითქმის ყოველდღე რაღაცას ვაკეთებ, სანამ დაცხება. არადა, ამოდენა ეზოს მოვლა და შენარჩუნება ძნელია ერთი კაცისთვის...

ვითომ ვბერდები? მაგრამ ჯერ კიდევ 2002 წლის ბოლოს, როცა თბილისში და "კოლხურ კოშკში" დავბრუნდი საცხოვრებლად დიდი ხნის არყოფნის შემდეგ, დამეხმარენ ხეები და მიწა... საშინელი დრო იყო... პრაქტიკულად მარტო დარჩენილი, მძიმე პერიპეტიების შემდეგ, დაავადმყოფებული ვიყავი. დავიწყე დამწვარ სახლში ცხოვრება ყოველგვარი პირობების გარეშე. ამას სულასაძაღლებელი ედიკას საფირმო უშუქობაც ემატებოდა, თუ გადავრჩებოდი იმ ზამთარს, არ მეგონა... სწორედ მიწაზე მუშაობამ დამიბრუნა სიცოცხლის ძალა 2003 წლის გაზაფხულის მოსვლისას...

ჯერ კიდევ მაშინ დავფიქრდი, რატომ დაიბადა ქრისტე მაინცდამაინც დურგლის ოჯახში და არა - მჭედლის, მაგალითად... დღესაც, ვინც რა უნდა იფიქროს, მაგრამ ჩემთვის საუკეთესო დასავენებელი ადგილი ბუნების წიაღია, და არა რესტორანი, კაფე, კლუბი და ა.შ. ალბათ მაინც ძველმოდური ვარ ...



**დავით კოვზირიძე**

რითი ვერ გამოხვედით ამ ნაცქოცური, მაგარი ბნელი გამოქვაბულიდან? ხალხი საჭმელს ვერ ყიდულობს და ვინც ყიდულობს, იმათ მაგრა უხარიათ, რომ ეკონომიკის მინისტრმა ვიღაც ძალიან სუსტ ჟურნალისტს ლაპარაკში აჯობა.

ნანა სულავა
599 07-01-89



„მკვლელითით ჯოშლჯვრი!"

„ალიაში" რამდენიმე კვირის წინ, სტატიაში — „რა მოხდა აწყურის ქუჩაზე?!" ვწერდი, რომ რუსთავი 2"-ისა და შსს-ს გავრცელებული ინფორმაციით, ქმარმა ცოლი — მარიამ ჯავაშვილი მოკლა, თუმცა, როგორც ადგილზე გავარკვიე, მარიამი ცოცხალი აღმოჩნდა და მკითხველს დავპირდი კიდეც, ამ გოგონასთან ინტერვიუს

# რას უყვება „ალიას" „ქმრისგან მოკლული" 17 წლის გოგო?

## „მეზობლები ჩემს დანახვაზე პირჯვარს იწერდნენ!"



**ჩავწერდი და გავარკვევდი, ვინ და რატომ „მოკლა" 17 წლის მარიან ჯავაშვილი?**

აგერ მარი ჯავაშვილი ჩემს წინ დგას, ახლა 17 წლის გოგონას იმის ეშინია, შსს-მ პასუხი იმაზე არ მოსთხოვოს, რატომ ხარ ცოცხალიო.

ერთი სიტყვით, „რუსთავი 2"-ისა და შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მოკლული მარი ჯავაშვილი ცოცხალია და ის „ალიას" უყვება, რა მოხდა სინამდვილეში 21 აპრილს აწყურის ქუჩაზე. მარი ჯავაშვილი შეშინებული მეკითხება: ხომ მართლა „ალიადან" ხარ? „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი ხომ არ ხართ?

**— არა, ნადვილად „ალიაში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი ვარ, სურათიც შეგიძლიათ შეადაროთ. იქნებ მითხრათ, რა მოხდა აწყურის ქუჩაზე?**

– აწყურის ქ. №31-ში მე და ჩემი მეუღლე სერგო შამიანი ქირით ვცხოვრობდით. საღამოს, ამხანაგმა მოაკითხა მეუღლეს, ნაცნობ გოგონასთან ერთად, ნასვამები იყვნენ და მალევე წავიდნენ. შემდეგ გზაზე რა მოხდა, არ ვიცი. მეორე დილით პოლიცია და „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტები ერთად მოვიდნენ ჩვენთან, ყველაფერი გადაიღეს, მე და ჩემი ქმარი კი ისანი-სამგორის განყოფილებაში წაგვიყვანეს. მე გამომიშვეს, ქმარი კი პოლიციაში დატოვეს. გვითხრეს, ძარცვის ფაქტიაო. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. ჩემი მოკვლის ინფორმაცია საიდან გავრცელდა, არ ვიცი. სამგორის პოლიციაში ყური მოვკარი, თითქოს ვარკეთილში მოხდა მკვლელობა, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვიყავით?!. ერთი რამ მაოცებს, ჩვენს სახლთან აწყურის ქუჩაზე დიდხანს იდგა ექსპერტიზის მანქანა, ჟურნალისტმა რატომ არ ჰკითხა, მოკლული სად არისო, ეს კითხვა ჟურნალისტს რატომ არ გაუჩნდა?!. აწყურის ქუჩაზე „რუსთავი 2"-დან ჟურნალისტი ბექა მჭედლიშვილი იყო მოსული, მთელი დღე აცხადებდნენ, 17 წლის გოგო ქმარმა მოკლაო, აჩვენებდნენ ჩვენს სახლს, სადაც თითქმის ყველა დეტალი გადაღებული იყო, მაგრამ დანაშაულის კვალი არსად ჩანდა. პოლიციიდან დაბრუნებულს მეზობლების შემრცხვა, ჩემს დანახვაზე პირჯვარს იწერდნენ. არც ერთ ჟურნალისტს კითხვა არ გაუჩნდა, სად არის გვამიო?.. „რუსთავი 2"-ს ვკითხე კიდეც, ცოცხალ ადამიანებს რატომ კლავთ-მეთქი. როცა სამგორის პოლიციაში „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები წამოგვყვნენ, არ იკითხეს, სისხლის სამართლის საქმე ძარცვა-ყაჩაღობის მუხლით იყო აღძრული და როგორც იყო, ისე გაეშუქებინათ. საკვირველია ის, რატომ ადასტურებს შს სამინისტროს პრესცენტრი, რომ მკვლელობა მოხდა აწყურის ქუჩაზე?!. ქალბატონო, „რუსთავი 2"-ში და შსს-ს პრესცენტრშიც მინდოდა დარეკვა, მაგრამ მეგობრებმა მირჩიეს, არ დარეკო, შეიძლება ისე გაგაქრონ, ვერც გიპოვონო. არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის ვინმემ პასუხი ხომ უნდა აგოს?!. ადამიანს რომ მოკლულად აცხადებენ, ღმერთის არ ეშინიათ?!. ადამიანების ბედი სათამაშოდ გაიხადეს, მე, მარი ჯავაშვილი, პასუხს ვთხოვ „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობას გავრცელებული ცრუ ინფორმაციისთვის და შს სამინისტროს პრესცენტრს, რომელმაც ეს ინფორმაცია დაადასტურა, რომ მკვლელობა მოხდა აწყურის ქუჩაზე. თქვენთან კომენტარში ისიც წერია, თითქოს თურქეთში დააკავეს მკვლელი. რა თურქეთი, რის თურქეთი, რაზე გელაპარაკებოდათ შს სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი, ვერაფერი გავიგე...

შსს ისევ დუმს. მარი ჯავაშვილი კი ტელეკომპანიებისა და შს სამინისტროს პრესცენტრის წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს, მის მიმართ განსაკუთრებით არაადამიანური მოპყრობისა და ცინიზმის გამო და მოითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას.

სხვათა შორის, ერთი სამართლებრივი ნონსენსი სააკაშვილის ხელისუფლების დროს მოხდა, თელავის პროკურორმა ჯავახიშვილმა ცოცხალი კაცის მკვლელობისთვის პასუხისგებაში მისცა სრულიად უდანაშაულო ადამიანი, ორი წლის შემდეგ კი მოკლული ცოცხალი აღმოჩნდა. „ნაცების" პროკურორი ჯავახიშვილი „ქოცებმა" დააწინაურეს. „ქოცები" ამაშიც ცდილობენ, „ნაცებს" გადაუჯოკრონ. დაუჭამიათ ერთმანეთი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?



**ირინა სარიშვილი:**

და კიდევ ერთხელ არჩევნებზე...

პარტიიდან პარტიაში ბოლო პერიოდში გახშირებულ "მოგზაურობებთან" დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ რამდენიმე მომენტის ხაზგასმა.

არსებული მანკიერი საარჩევნო სისტემის მიხედვით, იმ პარტიათა ხმები, რომლებიც ვერ გადალახავენ არსებულ ბარიერს, პროპორციულად უნაწილდება პარლამენტში გასულ, ანუ ბარიერგადალახულ პარტიებს. ანუ სხვა პარტიისთვის მიცემული ხმა ხვდება პარლამენტში გასულ პარტიებს!

არსებული კვლევების თანახმად, მცირე მაგრამ მაინც უპირატესობით, პირველ ადგილზეა "ოცნება", მეორეზე "ნაციონალური მოძრაობა".

გარანტირებულად ბარიერის გადალახვა (თუ პოლიტიკაში საერთოდ შეიძლება რაიმე გარანტიებზე საუბარი) სწორედ ამ ორ პარტიას შეუძლია.

თუ ამ ორი სუბიექტის ძალთა თანაფარდობა არ შეიცვალა და "ოცნება" დარჩა თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობით პირველ ადგილზე, ასეთი "დაკარგული" ხმების უმრავლესობა სწორედ მას შეხვდება რითაც მისი უპირატესობა გაიზრდება!

აბა ეხლა დავაკვირდეთ რა ხდება 2 ძირითად საარჩევნო ორბიტაზე ( "ოცნება" და "ნაციონალები") და საარჩევნო სუბიექტებში:

"ოცნების" ორბიტაზე მოძრავი საარჩევნო სუბიექტები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ გადალახავენ ბარიერს, ანუ მათ ბიძინა "გადააგდებს", არანაირ ზიანს დღევანდელი მონაცემებით პირველ ადგილზე მყოფ "ოცნებას" არ აყენებენ — მათთვის მიცემული ხმების უმრავლესობა სწორედ "ოცნების" ყულაბაში მიდის.

"ნაციონალური მოძრაობის", ანუ დასავლურ ორბიტაზე უკვე არსებული დამაფიქრებელი ორგანიზაციების და ახლადშექმნილი პარტიების ხმები, თუ ისინი ვერ გადალახავენ არსებულ ბარიერს. ასევე "ოცნების" ყულაბას შეავსებენ, მიუხედავად იმისა, არჩევნების დღეს ვის "წაართვეს" ხმები.

ამიტომ სხვადასხვა მიზეზით თუ საბაბით მოხტუნავე დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებო: ეგებ სანამ წინასაარჩევნო მოგზაურობას დაიწყებდეთ, ან ამაზე დაფიქრებულიყავით ან საარჩევნო სისტემის დახვეწაზე გეფიქრათ???

ან ეგებ იფიქრეთ ან გაფიქრეს და ამიტომაც იქცევით ასე?

ყველაფერს, მათ შორის თქვენს მოქმედებასაც და მიზნებსაც მოტივი განსაზღვრავს: შიშველი ქალის გამოსახულება ან ხელოვნების ნიმუშია ან პორნოგრაფია, გააჩნია მოტივს!

მოკლედ: ან მოხტუნავე პოლიტიკოსები უნდა მოვიდნენ აზრზე, ანუ დაფიქრდნენ, რა მოაქვს შედეგად მათ წინასაარჩევნო პირუეტებს, ან ამომრჩეველი უნდა კარგად დაფიქრდეს და არ მისცეს ხმა არაპერსპექტიულ (ბარიერის გადალახვის თვალსაზრისით) პარტიას, ოჯახის წევრიც რომ ჰყავდეს ამ პარტიაში, რადგან მისი ხმა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საბოლოოდ ისევ პარლამენტში გასულ პარტიებს დარჩება და პირველ რიგში მას, ვინც პირველზე გავა!

ნებისმიერი პოლიტიკოსი ვალდებულია არსებული რეალობა გაითვალისწინოს. და ვინც ამას არ აკეთებს, ის ან ბრიყვია ან შეგნებული მავნებელი.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ამომრჩეველს, რომელსაც ძალიან აბნევს წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსთა მოულოდნელი გადარბენები და არც დრო აქვს საკმარისი ამ ყველაფრის გასაანალიზებლად.

ამიტომ, მაქსიმალურად უნდა გავამარტივოთ ძალიან რთული სიტუაცია, რომ არსებულ ხელისუფლებას საკუთარი ჩანაფიქრი არათუ ჩავუშალოთ, არამედ აიკიდოს პრინციპით, მისსავე საწინააღმდეგოდ გამოვიყენოთ.

ანუ:

დღეისათვის ყველაზე მარტივი გამოსავალი ამომრჩევლისთვის, რომელსაც არ უნდა რომ მისი ხმა შეხვდეს მას, ვისთვისაც არ მიუცია, ბარიერის გადამლახავი პარტიისთვის ხმის მიცემაა! ანუ არჩევანი უნდა გაკეთდეს "ოცნებასა" და "ნაციონალურ მოძრაობას" შორის, რადგან ყველა სხვა ხმა დიდი ალბათობით დაკარგულია და პარლამენტში გასულ პარტიებზე გადანაწილდება ადგილების მიხედვით!

ეს სტატუსი ამომრჩევლის სტატუსის სერიიდანაა და ტყუილად არ შეიწუხოთ თავი ჩემი რომელიმე საარჩევნო სიაში ძებნით — მე კენჭს არ ვიყრი და შესაბამისად არანაირი ინტერესი გარდა შედეგიანი და სწორი არჩევანისა, არ მამოძრავებს!

პ.ს.. მე არცერთ პოლიტიკოსზე ჭკვიანად თავს არ ვთვლი, უბრალოდ საარჩევნო სუბიექტებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა მაქვს — მე ამომრჩეველი ვარ და ბევრად ობიექტურად შემიძლია სიტუაციის ანალიზი, ვიდრე მაშინ, როცა თავად ვიყრიდი კენჭს! დამიჯერეთ!



**დემურ გიორხელიძე:**

რაო?!

ევროპის შეიარაღებულ ძალებზე ალაპარაკდნენ დასავლეთ ევროპაში?!

აი, სად ვხედავ მე საქართველოს ადგილს და

რის შესახებაც წლებია ვწერ -

მოვა დრო და ევროპული უსაფრთხოების სისტემა შეიქმნება-თქო!

ევროპული უსაფრთხოების სისტემა კი ევროპის მთავარი ქვეყნების შეთანხმებაა და არა პოლიტიკური დაპირისპირება მთავარ ქვეყნებს შორის!

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## გია ბურჯანაძე: ალასანიას თვითონ როგორ ეძინა, 26 მაისს ხალხს რომ ხოცავდნენ ქუჩაში




„დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი წევრი გია ბურჯანაძე თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ალასანიას ურჩევს, როდესაც ივანიშვილისა და ღარიბაშვილის „მშვიდად ძილზე" საუბრობს, საკუთარ თავს ჰკითხოს, თვითონ როგორ ეძინა მშვიდად, როდესაც წინა ხელისუფლების დროს „აქციებზე ხალხს ხოცავდნენ და ციხეებში უამრავი უკანონო პატიმარი იჯდა".

როგორც გია ბურჯანაძე აცხადებს, არ ახსენდება შემთხვევა, ალასანიას, ან მისი გუნდის რომელიმე წევრს გასჩენოდა კითხვები ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პროკურატურის მიმართ, როდესაც 2010 წელს პატიმრების წამების წინააღმდეგ გამართულ აქციაში მონაწილეობისას თავად გია ბურჯანაძე დააკავეს.

– ბიძინას და ირაკლის როგორ სძინავთო, ალასანია რომ ამბობს, თვითონ როგორ ეძინა, როდესაც ამდენი უკანონო პატიმარი იყო ქვეყანაში, 26 მაისს ხალხს რომ ხოცავდნენ ქუჩაში. მაშინაც ხომ ვითომ ოპოზიციაში იყვნენ, როგორ ეძინათ? ჩემს სასამართლოზე უკითხავს, როგორ და რატომ მომისაჯეს? ჩემთან ერთად მაშინ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" პოლიტიკური საბჭოს წევრი ბესო ტაბატაძე დააპატიმრეს, რომელსაც 2011 წლის 26 მაისის აქციაზე თვალი ამოუღეს, - აცხადებს გია ბურჯანაძე.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ თავს არ მიიჩნევს ღარიბაშვილის მთავრობის დამცველად, მაგრამ ირაკლი ალასანიას სიტყვებმა „ყური მოსჭრა" და საპასუხო განცხადების გაკეთების სურვილი გაუჩნდა.

გია ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ ყველა ადამიანი იმსახურებს მიუკერძოებელ სასამართლოსა და დამოუკიდებელ გამოძიებას და იმედოვნებს, რომ ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით სიმართლე გაირკვევა.

– ამაში, რა თქმა უნდა, ვეთანხმები ალასანიას. მაგრამ, მიკვირს ირაკლის და მისი გუნდის, როდესაც თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, მაშინ კითხვები არ უჩნდებოდათ? - აცხადებს იგი.

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ე.წ. კაბელების საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე მისი ყოფილი უწყებიდან დაკავებულ ხუთ პირს ივანიშვილის პირადი პოლიტიკური ტყვე უწოდა და განაცხადა, რომ ძალიან უკვირს, როგორ სძინავთ მშვიდი ძილით ივანიშვილსა და ღარიბაშვილს, როდესაც მერამდენე თვეა, თავდაცვის სამინისტროს სრულიად უდანაშაულო თანამშრომლები საპყრობილეში არიან. (info9.ge)

## ხალხს გულს ნუ უხეთქავთ, ერთი, ღმერთი გიშველით, რა!



– არ გამოვრიცხავ, ეს ე.წ. წვრთნები სერიოზული პროვოცირების მიზეზი გახდეს, რამაც შესაძლოა, 2008 წლის მსგავს კონფლიქტამდე მიგვიყვანოს. თუ იმის თავი გვაქვს, რომ რუსეთს რამდენიმე ტანკით დავამარცხებთ და ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ მთლიანობას აღვადგენთ, მაშინ ღმერთმა გაგვიმარჯვოს, - ამის შესახებ უმრავლესობის დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა ქართულ-ამერიკული წვრთნების კომენტირებისას განაცხადა. მისი თქმით, წვრთნები, რომელიც ვაზიანში მიმდინარეობს საფრთხის შემცველია.

– ერთი მხრივ, ძალიან საფრთხის მატარებელია ეს წვრთნები და მეორე მხრივ, რუსეთის მუქარის შემცველი განცხადებები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი და იქ ისედაც ჰყავს სამხედროები, არ არის გამორიცხული, კიდევ უფრო მეტი კონტინგენტი შემოიყვანოს და ეს წვრთნები გახდეს სერიოზული პროვოცირების მიზეზი, რომელმაც შეიძლება 2008 წლის მსგავს კონფლიქტამდე მიგვიყვანოს, - განაცხადა დეპუტატმა.

მეჭიაურის თქმით, მას ეეჭვება, რომ ამან რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოუტანოს ქვეყანას იმ პირობებში, როცა ჩვენი სამეზობლო ცეცხლის ალშია გახვეული.

– შედეგებს კიდევ ჩვენი თვალით ვუყურებთ, რა ხდება უკრაინაში, სირიაში და ა.შ. თუ ჩვენ გვინდა, რომ მომდევნო ასეთი ქვეყანა გავხდეთ, არ ვიცი და მე არ მინდა. მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის არსებობის აუცილებლობაზე იყოს საუბარი. მე მგონია ესენი ვიღაცას უმტკიცებენ ერთგულებას და სანაცვლოდ ქვეყანას ხვევენ ცეცხლის ალში, ან ამის პროვოცირებას აკეთებენ, - განაცხადა მეჭიაურმა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტმა, 11-26 მაისს ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დაგეგმილი ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2016" შესახებ 6 მაისს გაავრცელა, სადაც რუსული მხარე აღნიშნულ წვრთნებს „ნატოს სამხედროების მიერ საქართველოს ტერიტორიის თანმიმდევრულ თვისებად" და „პროვოკაციულ ნაბიჯად" აფასებს, „რომელიც მიმართულია კავკასიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეგნებულად გამწვავებისკენ". (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი ვაშაძე: ფულს ვერავის მივცემ იმისთვის, რომ არჩევნებში ჩაერთოს, ღიად ვაცხადებ



„ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ახალ პოლიტიკურ მოძრაობაში გაწევრიანებისა და არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს მოტივაცია უნდა აერთიანებდეთ.

– მე ფულს ვერავის მივცემ იმისთვის, რომ არჩევნებში ჩაერთოს, ღიად ვაცხადებ. მოტივაციას კი ბატონო, ერთად გავაკეთებთ და ერთად ჩავერთვებით. ახალ მიდგომასა და ძველ მიდგომას შორის სხვაობა ისაა, რომ იგივე ფინანსებით გაცილებით რამდენჯერმე უკეთეს შედეგზე შეიძლება გახვიდე, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ და ამის მაგალითად ელექტრონული შესყიდვების პროგრამის დანერგვა მოიყვანა, რომელიც მისი თქმით, უკრაინაში გაცილებით იაფად განხორციელდა, ვიდრე საქართველოში.

ამასთან, ვაშაძემ მოქალაქეებს მიმართა და აღნიშნა, რომ ახალ პოლიტიკურ მოძრაობაში გაწევრიანების მსურველებისთვის სოციალური ქსელში სპეციალური აპლიკაცია განთავსდება. (info9.ge)

## საქველმოქმედო კონცერტი ლილე კაპანაძის დასახმარებლად



2 თვის ლილე კაპანაძის დასახმარებლად **CABANA CLUB**-ში 12 მაისს საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობენ: ლაივ ბენდი **THE FIVE**, ვერიკო ტურაშვილი, ქეთი ორჯონიკიძე, სოფო ბედია, მარიტა როხვაძე, გიორგი ნაკაშიძე, სალომე ტეტიაშვილი, ბესიკ ნემსაძე, ელენე ვახანია, ანუნა მდივნიშვილი, ოთო ღურწკაია, ცეკვის თეატრი სალხინო, **DJ MISHO.**

კონცერტის წამყვანები იქნებიან: იურა გერგაული და კომედი შოუს მსახიობები დიტო კუპატაძე და თემუკა პატარიძე. ბილეთის ფასი 10 ლარი. 571 84 27 27/ 558 35 30 26 მისამართი მტკვრის მარცხენა სანაპირო. საქართველოს ბანკის ანგარიშის ნომერი **GE88BG0000000732314500** მიმღები (დედა) ელგა თათარაიძე. (ნიუპოსტი)

## ცივი ღომი, დედალი, მერი და თავმჯდომარე



დავით ნარმანიას მისამართით დავით უსუფაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება „თავისუფალი საქართველოს" ლიდერს მეგრელისა და კახელის ანეკდოტს ახსენებს. კახა კუკავას განმარტებით, პარლამენტის თავმჯდომარეს გონება მხოლოდ მას შემდეგ გაეხსნა, რაც „რესპუბლიკური პარტია" ოპოზიციაში გადავიდა. კახა კუკავას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ უსუფაშვილის განცხადება სწორია, მისი ბოლო წლების დუმილი მის ამ განცხადებას ჩრდილს აყენებს

– ძველი ანეკდოტი მახსენდება – მეგრელი კახელს ცივ ღომს რომ უცვლის დედალში და ეუბნება გონებას ხსნისო, და კახელი ჭამას რომ დაიწყებს, მერე ეუბნება, რომ მე მგონი მაგრა მივქარეო, და ახლა ხომ გაგეხსნაო გონებაო. აა, ზუსტად ასე არის უსუფაშვილის ამბავი – ოპოზიციაში რომ გადავიდა, ახლა გაეხსნათ გონება, ახლა უჭერენ მხარს გერმანულ მოდელს, ახლა უჭერენ მხარს, რომ მერი საკრებულოში დადიოდეს და მოსმენების წინააღმდეგ კანონს და ახლა არიან ოდეერების წინააღმდეგი და რატომღაც არაფერი ეს არ გვახსოვს მთელი გასული ოთხი წლის მანძილზე. ძალიან სამწუხაროა, რომ დავით უსუფაშვილს ახლა გაეხსნა გონება, მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობაში აღარ არის და ახლა აღმოაჩინა, რომ თურმე, ნარმანიასთან დაკავშირებით და კიდევ ბევრ საკითხთან დაკავშირებით ხარვეზები არსებობს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ განცხადება ფორმალურად შინაარსობრივად სწორია, ამ განცხადებას ჩრდილს აყენებს უსუფაშვილის დუმილი გასული ოთხი წლის მანძილზე ამ და კიდევ ძალიან ბევრ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, - აცხადებს კახა კუკავა. (პირველი რადიო)

**ანეკდოტებზე თუ მიდგა საქმე, აგერ, ესეც ესადაგება მაგ ამბავს –– მიხოს მუნჯი ბალღი რომ ჰყავს და წლების მერე რომ იყვირებს სუფრასთან –– ხაშლამას მარილი აკლიაო... აქამდე ხმას იმიტომ არ ვიღებდი, არ ეკლდაო...**

**ზოგადად, როცა ნებისმიერი პოლიტიკოსი მარილიან ხაშლამას მიირთმევს, არც ხიზილალა აკლია და არც კარაქიანი პური, გიჟია, ხმა ამოიღოს?! ოღონდ ეს მხოლოდ უსუფაშვილს არ ეხება! სამწუხაროდ, აბსოლუტურად ყველა ასეა, აბსოლუტურად ყველა!!!**

## გოგა ხაჩიძე: „ნაციონალური მოძრაობის" კარი ღიაა, მაგრამ ოთახია სავსე



ახალი პოლიტიკური ცენტრ „გირჩის" წევრი გოგა ხაჩიძე მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" განახლება სჭირდება. ხაჩიძემ განაცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ"პრობლემები პარტიის შიგნით უნდა ეძებოს.

– ვხედავთ და ამას ფორბსიც ადასტურებს, რომ ივანიშვილს არ გამოლევია ფული და თუ მას „ნაციონალური მოძრაობის" დაშლა უნდა, მაშინ „ნაციონალურმა მოძრაობამ" უნდა გაიაზროს, რომ მესიჯ ბოქსი შეცვალოს. გარეთ ნუ ეძებენ პრობლემებს, პრობლემები პარტიის შიგნით უნდა ეძებონ... პრობლემა ისეთია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" მართლა სჭირდება განახლება. მართალია, ამბობენ, ჩვენი კარი ღიააო, მაგრამ კარი შესაძლოა, ღიაა, მაგრამ ოთახია სავსე, - განაცხადა გოგა ხაჩიძემ და დასძინა, რომ თუ ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს „ნაციონალური მოძრაობიდან" წასულებს, ამის შესაბამისი ფაქტები უნდა არსებობდეს, რაც რეალურად არ არსებობს. (ipress.ge)

## „სააკაშვილის დროს ვჩხუბობდი და არ დაუკავებივარ" - ელისაშვილი



ალეკო ელისაშვილს სასამართლომ 250-ლარიანი ჯარიმა დააკისრა და გაათავისუფლა. ელისაშვილმა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ განაცხადა, რომ ის ჯარიმას გადაიხდის.

– ბიძინა ივანიშვილს 250 ლარი დააკლდა, მე დამაკისრეს ეს ჯარიმა და უნდა გადავიხადო. ვიჯექი პროცესზე და ვფიქრობდი, რომ სააკაშვილის დროს ხან გუდიაშვილის მოედანზე ვჩხუბობდი, ხან სხვაგან და მაშინ არ დავუკავებივარ არასდროს და ეტყობა, ისეთი საოცარი დემოკრატია გვაქვს ახლა, რომ დამაკავეს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის ამ დაკავებას, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ქვეყანა არ არის ივანიშვილის შპს, ეს არის თითოეული ჩვენგანის ქვეყანა. არ გავჩერდები, რამდენიმე საათიანი ყურყუტი სასამართლო დარბაზში და ჯარიმა არაფერს ნიშნავს ჩემთვის. ივანიშვილმა ის ტერიტორია უნდა დაუბრუნოს ქალაქს, ეს არის მნიშვნელოვანი და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ხელისუფლება მიხვდეს, თავზე არ უნდა დააჯდეს და ივანიშვილიც უნდა მიხვდეს ამას, - განაცხადა ელისაშვილმა. (guriismoambe.com)

## რა ქონებას ფლობენ ყოფილი ,,ნაციონალები“




1. გიორგი ვაშაძეს ამონაწერი ქონებრივი დეკლარაციიდან

ბინა, საქართველო, თბილისი, მცხეთის ქ. 6, ბინა 7, ფართობი — 106.00 კვ.მ;

ავტოფარეხი, საქართველო, თბილისი, მცხეთის ქ. 6, ფართობი — 30.00 კვ.მ;

არასაცხოვრებელი ფართი, საქართველო, თბილისი, სტანისლავსკის ქ. 5, ფართობი — 100.00 კვ.მ (მეუღლის ქეთევან სიჭინავას სახელზე)

საბანკო ანგარიშები:

გიორგი ვაშაძე რესპუბლიკა ბანკი სახელფასო 6005.00 ლარი კრედიტი(+);

გიორგი ვაშაძე რესპუბლიკა ბანკი მიმდინარე 815.00 ევრო დებეტი(-);

მიხეილ ვაშაძე (შვილი) რესპუბლიკა ბანკი ანაბარი 11545.13 ლარი კრედიტი(+);

გიორგი ვაშაძე ,,საქართველოს ბანკი ანაბარი 6821.09 აშშ დოლარი კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა (მეუღლე) თიბისი ბანკი ანაბარი 5270.15 ლარიჩE8 კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა(მეუღლე) თიბისი ბანკი დეპოზიტი 5188.00 ლარი კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა (მეუღლე) თიბისი ბანკი დეპოზიტი 5515.48 ევრო კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა (მეუღლე) თიბისი ბანკი ანაბარი 6.93 ევრო კრედიტი(+);

გიორგი ვაშაძე საქართველოს ბანკი ანაბარი 2027.31 აშშ დოლარი კრედიტი(+);

გიორგი ვაშაძე საქართველოს ბანკი მიმდინარე 187.00 აშშ დოლარი კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა (მეუღლე) თიბისი ბანკი სახელფასო 4346.93 ლარი კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა (მეუღლე) თიბისი ბანკი სახელფასო 15770.74 ლარი კრედიტი(+);

ქეთევან სიჭინავა(მეუღლე) თი—ბი—სი ბანკი სახელფასო 4198.76 ლარი კრედიტი(+);

ნახდი ფულადი თანხა:

გიორგი ვაშაძე **4500.00 GEL**

ქეთევან სიჭინავა (მეუღლე) 3500.00 აშშ დოლარი.

დეკლარაციის ბოლო შევსების თარიღი: 24/06/2015

2. პავლე კუბლაშვილის ამონაწერი ქონებრივი დეკლარაციიდან

ბინა, საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 34/19, ფართობი — 160.00 კვ.მ

ავტოფარეხი, საქართველო, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ 34/19, ფართობი — 18.00 კვ.მ

50% მიწის ნაკვეთი საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფ. წოდორეთი, ფართობი — 947.00 კვ.მ (მეუღლის თამილა აბუთიძეს სახელზე);

50% საცხოვრებელი სახლი საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წოდორეთი, ფართობი — 120.00 კვ.მ (მეუღლის თამილა აბუთიძეს სახელზე);

მსუბუქი ავტომანქანა ტოიოტა პრადო, 2008, (მეუღლის თამილა აბუთიძეს სახელზე);

საბანკო ანგარიშები:

პავლე კუბლაშვილი თიბისი ბანკი მიმდინარე 2500.00 ლარი კრედიტი(+);

თამილა აბუთიძე (მეუღლე) ვითიბი ბანკი სახელფასო 90.00 ლარი კრედიტი(+);

დეკლარაციის ბოლო შევსების თარიღი: 11/06/2015

3. გიორგი ხაჩიძის ამონაწერი ქონებრივი დეკლარაციიდან

ბინა საქართველო, თბილისი, ნავთლუღის ქუჩა 39, ბინა 4, , ფართობი — 75.00 კვ.მ;

ავტომობილი რენო ლაგუნა 2002;

საბანკო ანგარიშები:

გიორგი ხაჩიძე საქართველოს ბანკი საკრედიტო 6000.00 ლარი დებეტი (-);

ნაღდი ფულადი თანხა 4300.00 ლარი.

დეკლარაციის ბოლო შევსების თარიღი: 21/05/2015

4. ზურაბ ჯაფარიძეს ამონაწერი ქონებრივი დეკლარაციიდან

ბინა, საქართველო, თბილისი, გაბაშვილის ქ.3, ფართობი — 105.00 კვ.მ

ბინა საქართველო, თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 2, ბ. 71, ფართობი — 78.00კვ.მ (მეუღლის ნატა ქორიძეს სახელზე)

საბანკო ანგარიშები:

ზურაბ ჯაფარიძე თიბისი ბანკი სახელფასო 2135.00 ლარი კრედიტი(+);

ზურაბ ჯაფარიძე თიბისი ბანკი ანაბარი 25496.00 აშშ დოლარი კრედიტი(+);

ნატა ქორიძე (მეუღლე) საქართველოს ბანკი სახელფასო 673.00 ლარი კრედიტი(+);

ნატა ქორიძე (მეუღლე) საქართველოს ბანკი ანაბარი 16413.00 აშშ დოლარი კრედიტი(+);

ნატა ქორიძე (მეუღლე) საქართველოს ბანკი ანაბარი 2796.00 ევრო კრედიტი(+);

დეკლარაციის ბოლო შევსების თარიღი: 06/01/2016. (timesnews.ge)

## ,,ჩვენ ჩვენი გზით წავალთ, თქვენ თქვენი გზით“ - თურქეთის პასუხი ევროკავშირს

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი უარს აცხადებს ანტიტერიროსტული კანონის შემსუბუქებაზე იმის სანაცვლოდ, რომ თურქეთის მოქალაქეებმა ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლა შეძლონ.

– ჩვენ ჩვენი გზით წავალთ, თქვენ თქვენი გზით, - მიმართა ევროკავშირს ერდოღანმა.

განცხადება რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ერთი დღის შემდეგ გააკეთა.

სწორედ დავითოღლუ ხელმძღვანელობდა ევროკავშირთან მოლაპარაკებებს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე. (pia.ge)

## ,,ვეფხისტყაოსანი“ კორეულ ენაზე გამოიცა




კორეაში, სეულის იონსეის უნივერსიტეტის პროფესორ ჩო ჯუკვანის მიერ კორეულ ენაზე ნათარგმნი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გამოიცა.

ჩო ჯუ-კვანი ქართულ ნაწარმოებზე 10 წლის მანძილზე მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კორეულ ენაზე ნათარგმნი პირველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებია.

პროფესორი ჩო ჯუ-კვანი ახლო მომავალში „ვეფხისტყაოსანზე“ საკუთარი კვლევითი ნაშრომის გამოქვეყნებას აპირებს.

ნაწარმოების თარგმნის პროცესში კორეელ პროფესორს კონსულტაციებსა და დახმარებას უწევდნენ აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი გურამ ჩიქოვანი და სეულის ჰანკუკის უცხო ენათა უნივერსიტეტის ქართველი მაგისტრანტი, რუსუდან ფირცხალავა. (pia.ge)

## ლაგოდეხში ძმამ ძმა მოკლა

მამაკაცმა, რომელსაც წინასწარი ინფორმაციით, ფსიქიკური პრობლემები აქვს, 45 წლის ძმას ჯერ ბლაგვი საგანი ჩაარტყა, შემდეგ კი მეორე სართულიდან გადმოაგდო.

მეზობლების თქმით, მკვლელობის დროს ძმებს ურთიერთშელაპარაკება მამის სახლში მოუხდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რომელიც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციამ ეჭვმიტანილი უკვე დააკავა. (pia.ge)

## თბილისში სოფი ლორენი ჩამოდის



ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდის მხარდასაჭერად და მორიგ ღონისძიებაზე დასასწრებად, თბილისში იტალიელი კინოვარსკვლავი, სოფი ლორენი ჩამოვა. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელით ნინო სურგულაძე ავრცელებს.

– ფონდ „ნატვრის ხის“ 15 ივნისის ღონისძიებას ოპერისა და ბალეტის თეატრში შეუერთდება მსოფლიო კინო-ლეგენდა, მსახიობი სოფი ლორენი, როგორც საპატიო სტუმარი. მან სრულიად უსასყიდლოდ გამოთქვა სურვილი დადგეს ჩვენთან ერთად ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად.

ყველას, ვისაც გაქვთ სურვილი მხარი დაუჭიროთ „ნატვრის ხეს“ და ჩვენთან ერთად იბრძოლოთ პატარების სიცოცხლის გადასარჩენად, მოგვმართეთ, — წერს ნინო სურგულაძე. (fortuna.ge)

## ნატა ფერაძე ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მუხლით დააკავეს




კოჯრის ახალი გზატკეცილის მეოთხე ნომერთან, „პარტიზანი მებაღეების" მიერ გამართულ აქციაზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 5 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც პოლიციელის კანონიერი განკარგულების, ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს და განმარტავს, რომ დაკავებულთა შორის იოსებ ხ., გიორგი ა., კონსტანტინე გ., ალექსანდრე ე. და ირაკლი კ. არიან.

აქციის ერთ-ერთი მონაწილე ნატალია ფ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 45-ე (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) მუხლებით არის დაკავებული. შსს-ს ინფორმაციით, მის მიმართ ასევე, გამოძიება პატრულ-ინსპექტორისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისა და პოლიციის მანქანის დაზიანების ფაქტებზე, სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე (ცემა) და 187-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) მუხლებით დაიწყო.

აქციის მონაწილე გიორგი ა.-ს მიმართ ასევე დაიწყო გამოძიება საპატრულო პოლიციის ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) მუხლით. (info9.ge)

## ლევან როსტოშვილსა და ლაშა კურტანიძეს პატიმრობა შეეფარდათ

ყოფილ ტელეწამყვანსა და სპორტსმენ ლევან როსტოშვილსა და მსახიობ ლაშა კურტანიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო.

დაკავებულებისთვის პატიმრობის შეფარდებას პროკურატურა ითხოვდა. სასამართლო პროცესს თავად ბრალდებულებიც ესწრებოდნენ. ორივე მათგანი დუმილის უფლებას იყენებს.

გამოძიების ინფორმაციით, როსტოშვილსა და კურტანიძეს 42,9524 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ემდემა“ და ექსტაზი აღმოაჩნდათ.

ლევან როსტოშვილი და ლაშა კურტანიძე 5 მაისს გვიან ღამით, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ში განმარტავენ, რომ ორი პირი



სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილითაა დაკავებული, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებას გულისხმობს.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, აღნიშნული ქმედება 8-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან უვადო პატიმრობით ისჯება. (info9.ge)

## ,,კახეთიდან გამოაგდო, ცემა... სასწრაფო დახმარება მოვიდა და თქვეს, რომ არ გადაიყვანდნენ“



„ფეისბუკის“ ერთ-ერთი მომხმარებელი სოციალურ ქსელში ემოციურ პოსტს აქვეყნებს:

– ეს ბაბუა შვილმა ცემა. 6 თვეა, რაც კახეთიდან გამოაგდო და თბილისში უპატრონოდ დადის. გუშინ სეუს წინ მას წელი მოეხარა და ველარ გასწორდა. როდესაც ვკითხეთ, რა დაემართა, გვითხრა, რომ შვილმა ისე მცემა, ტრავმა მივიღეო და ხერხემალზე სასწრაფო ოპერაცია სჭირდება. ყოველდღე ასეთი ტკივილები აქვს და გამაყუჩებლებით უმკლავდება, რადგან ეს ოპერაცია არ ფინანსდება და მას საშუალება არ აქვს. როგორ შეიძლება საკუთარი მამა სცემო ასე სასტიკად, რაც არ უნდა დაგიშაოს... როდესაც სასწრაფო დახმარება მოვიდა, გაუკეთეს გამაყუჩებლები და თქვეს, რომ მას არ გადაიყვანდნენ, რადგან აზრი არ ჰქონდა. აბა, პატრონი ჰყოლოდა ამ კაცს, დაუფიქრებლად გადაიყვანდნენ. უბრალოდ, უსამართლობაა. იქვე შეიკრიბნენ ახალგაზრდები და როდესაც გაიგეს, რომ არ მიჰყავდათ საავადმყოფოში, შეწუხდნენ, გაბრაზდნენ, როგორ შეეძლოთ ეს კაცი დაეტოვებინათ გარეთ, მას შემდეგ, რაც გამაყუჩებლები გაუკეთეს, ისე ცუდად იყო, წელში ვერ იშლებოდა... (mediamall.ge)

## დიმიტრი ხუნდაძე: მაქვს ინფორმაცია, რომ ,,ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა უფრო აქტიურ ფაზაში გადავა

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში, „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა უფრო აქტიურ ფაზაში გადავა.

– არ დაგიმალავათ და მაქვს ინფორმაცია, რომ ეს რღვევა გაგრძელდება და უფრო აქტიურ ფაზაში გადავა, თუმცა შიდაპარტიულ პროცესში ჩარევა, გვარების დასახელება ჩემი მხრიდან სწორი არ იქნება, თუმცა ვადასტურებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა უახლოეს პერიოდში, იქნება უფრო აქტიური, - განაცხადა ხუნდაძემ. (pia.ge)

ლევან მამალაძე



## რას მიიღებს საქართველო ამერიკული მძიმე ტექნიკის შემოყვანით?!

რამდენი ტექნიკაც აშშ-დან შემოვა, იმაზე მეტს განალაგებს რუსეთი ცხინვალსა და სოხუმში!

აბრამსის ტანკებისა და ამერიკული სამხედრო ტექნიკის საქართველოში შემოყვანა , საქართველოს სასიკეთოს არფერს მოუტანს. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება , რომ ხიდაშელ- უსუფასვილმა შეასრულეს ვაშინგტონის დავალება და ისედაც დახლეჩილი საქართველო აშშ-რუსეთის გლობალურ დაპირისპირებაში ჩააბეს. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ , საქართველოს მაშინდელ ელიტას არ ეყო პოლიტიკური გამოცდილება და გეოპოლიტიკური დაპირისპირების საგნად აქციეს ჩვენი სამშობლო. ეს დაპირისპირება სააკასვილმა უფრო მეტად გააღვივა , რომლის შედეგად საქართველომ ტერირორიები დაკარგა. სააკაშვილის პოლიტიკას დღეს ზედმიწევნით აგრძელებს „ უსუფა ხიდაშელი“, რაც საქართველოს ახალ საზრთხეებს უქმნის . ამ პოლიტიკის გამო საქართველოს ჩამოერთვა სუვერენიტეტის დიდი ნაწილი და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ოკიანსგაღმიდან წყდება. 20 წლის წინ რუსეთის სამხედრო შენაერთებმა საბოლოოდ დატოვეს საქართველო, ახლა კი ხალხის დაუკითხავად ამერიკელები შემოყავთ. ზოგიერთ „ტვინადულებულს“ გონია , რომ ეს საქართველოს ბრძოლისუნარიანობას ამაღლებს და უპირატესობას მივიღებთ ჩვენ მეზობლებთან მიმართებაში. სააკაშვილისეული პროპაგანდით ზომბირებულნი კი , დღემდე ელოდებიან რუსეთის დაშლას, ფიქრობენ რომ ყველაფერი ამით მოგვარდება. სირიაში მიმდინარე პროცესებმა ძალთა განლაგება მსოფლიო მასშტაბით , რუსეთის სასარგებლოდ შეცვალა. რამდენი ტექნიკაც აშშ-დან შემოვა, იმაზე მეტს განალაგებს რუსეთი ცხინვალსა და სოხუმში.

ჩვენი ისტორიული მეხსიერება გვკარნახობს, რომ საქართველოსთვის სამხედრო პოლიტიკური კუთვნილების გამოკვეთა და მიმხრობა, ყოველთვის იწვევდა სხვა ქვეყანების გეოპოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირებას, რის გამოც საქართველო ხშირად განახევრებულა და დამოუკიდებლობაც დაუკარგავს. არავის არა აქვს უფლება საფთხის ქვეშ დააყენოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა! ჩვენ ისე უნდა ვითანამშრომლოთ ყველასთან, რომ არ შევქმნათ ძალთა დისბალანსი. ჩვენ უნდა დვუკამაყოფილოთ აშშ-ს ინტერესები ნახშირწყაბადების და ტვირთების ტრანზიტის გაკონტროლებაზე, რუსეთთან აღვადგინოთ კეთილმეზობლური ურთიერთობები და ჩვენი მხრიდან სამხედრო საბრთხე მოვუხსნათ. გამოვკვეთოთ თანამშრომლობის ეკონომიკური ასპექტები, საქართველოს ტერიტორიაზე გლობალურ ტრანსნაციონალურ პროექტების განხორციელებაში პარტნიორებად შემოვიყვანოთ აშშ, რუსეთი, ევროპა, ჩინეთი და ჩვენი მეზობლები, რითაც ძლიერი საქართველოს არსებობა მათ სტრატეგიულ ინტერესებში შევა. თავი უნდა შევიკავოთ ყველანაირ სამხედრო პოლიტიკურ ალიანსებში გაწევრიანებისგან. უარი ვთქვათ საქართველოს ხალხზე გაუთავებელი ექსპერიმენტების განხორციელებაზე. საქართველომ ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული, საუკუნეებზე გათვლილი სახელმწიფო პოლიტიკა უნდა აწარმოოს. საქართველოს აქტიური ნეიტარლიტეტი ჩვენი სახელმწიფოეს გამთლიანების და განვითარების გარანტად უნდა ვაქციოთ!

სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი,

სახალხო ხელისუფლების ლიდერი.

# თინა ხიდაშელი: „ამ ბატონისგან კატეგორიულად შვილები, ან როცა მათ საფრთხე ემუქრებოდათ, ის

## თამაზ მეჭიაური: „ქალბატონია და არ მინდოდა, მისთვის მამაკაცურ პოსტს იკავებს, თავს ვალდებულად ვთვლი, ვუპასუხო —





**„დამისახელოს ხიდაშელმა, როდის ვიყავი ჩირგვებში და როდის ვებრძოდი რეჟიმს, ეგ სად იმალებოდა? კონკრეტულად რომელ პერიოდს გულისხმობს? 1974 წლის 14 აპრილი მახსოვს, 1989 წლის 9 აპრილი, ისიც მახსოვს ამ სისხლიანი ღამის შემდეგ ზოგიერთები კომუნისტურ პარტიაში რომ შევიდნენ. ასევე, მახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როცა მე, სხვათა შორის, დამაპატიმრეს. კიდევ მახსოვს 2011 წლის 25-26 მაისის ღამე, როცა დაგვარბიეს და დღემდე შენახული მაქვს ის ბორკილები, როცა ერთმა ღვთისნიერმა კაცმა გადამარჩინა. მაშინ, უმოწყალოდ რომ გვარბევდნენ, ეს ქალბატონი არ მინახავს, მეტიც, არც კი გაუპროტესტებია“**

ნინო სამხარაძე

599 71-14-22



„ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირება“ გადამწყვეტ ფაზაში შედის და შესაძლოა, ძალიან მალე გავხდეთ იმის მოწმე, რომ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მოახდინოს პარლამენტის ხავერდოვანი გადატრიალება და მივიღოთ ახალი უმრავლესობა. ამ საშიშროებაზე ღიად საუბრობენ ექსპერტები და პოლიტოლოგები, ამის თქმის საშუალებას იძლევა თავად „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერების განცხადებები. დავით უსუფაშვილი, რომელიც აქამდე კონსტრუქციულ მედიატორად ითვლებოდა, რომელიც ბალანსის შენარჩუნებას ახერხებდა, უკვე გამაფრთხილებელ მესიჯებს ისვრის „ქართული ოცნების“ ლიდერების მისამართით, თუმცა აგრესიულობით მის მეუღლეს ნამდვილად ვერ გაუტოლდება და ამჯერადაც თინა ხიდაშელს ბადალი არ ჰყავს და შესაძლოა, ის სიტუაციის მთავარი ამყირავებელიც აღმოჩნდეს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნატო-ს სამხედრო წვრთნები საქართველოში ჩატარდება და ფოთში შემოვიდა სამხედრო ტექნიკა, ამას მოჰყვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს აგრესიული განცხადება, ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტმა 11-26 მაისს ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დაგეგმილი ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლების „ღირსეული პარტნიორი-2016“-ის შესახებ 6 მაისს განცხადება გაავრცელა, სადაც რუსული მხარე აღნიშნულ წვრთნებს ნატო-ს სამხედროების მიერ საქართველოს ტერიტორიის თანმიმდევრულად ათვისებას და პროვოკაციულ ნაბიჯად აფასებს, რომელიც მიმართულია კავკასიის რეგიონში სამხედრო პოლიტიკური ვითარების შეგნებულად გამწვავებისკენ. პარტია „ქართული ოცნების“ წევრი თამაზ მეჭიაური ნატო-ს წვრთნებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს და აცხადებს: „არ გამოვრიცხავ ე.წ. წვრთნები სერიოზული პროვოკაციის მიზეზი გახდეს, რამაც შესაძლოა, 2008 წლის მსგავს კონფლიქტამდე მიგვიყვანოს. თუ იმის თავი გვაქვს, რომ რუსეთს რამდენიმე ტანკით დავამარცხებთ და ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ, მაშინ ღმერთმა გაგვიმარჯოს. წვრთნები, რომელიც ვაზიანში მიმდინარეობს, საფრთხის შემცველია, ასევე, გასათვალისწინებელია რუსეთის მუქარის შემცველი განცხადებები, მეეჭვება, ამან რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოუტანოს ქვეყანას იმ პირობებში, როცა ჩვენი სამეზობლო ცეცხლის ალშია გახვეული...“

თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფი ვიღაცას უმტკიცებს ერთგულებას და სანაცვლოდ ქვეყანას ცეცხლის ალში ხვევს. რა თქმა უნდა, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მეჭიაურის განცხადებას მყისიერად გამოეხმაურა „ფეისბუკის“ საშუალებით, გთავაზობთ ხიდაშელის იმპერატიულ მოთხოვნას, რომ ჟურნალისტებმა ვკითხოთ დეპუტატ მეჭიაურს, როდის და სად გახიზნა მისი შვილები, მისი განცხადების შინაარსი არის ასეთი: „არავითარი ვალდებულება არ მაქვს, ვიჯდე და ვისმინო აბდაუბდა. თამაზ მეჭიაურს უბრძანებია, ამ გადაწყვეტილებების მიმღებებისგან განსხვავებით, შვილები არ მყავს გახიზნული და ქვეყნის ბედი მაღელვებსო, ქვეყნის ბედზე, რუსულ არჩევანზე, შიშზე, „ბაბაია დაუძახე“-ზე სხვა დროს, ეს ამბავი პირველი რომ იყოს, გავატარებდი, ალბათ, მაგრამ ამ ბატონისგან კატეგორიულად მოვითხოვ პასუხს, სად და როდის გავხიზნე ჩემი შვილები, ან როცა მათ საფრთხე ემუქრებოდათ, ის თავად სად იყო, რომელი ჩირგვის ძირში? მე ყველა გავაფრთხილე, არავითარ კონტექსტში არასოდეს ჩემი შვილები არ ახსენოთ, პასუხს მოგთხოვ-თქო და ჰოდა, პატივცემულო მედია, იქნებ გადასცეთ ჩემი კითხვა და დაჟინებით მოსთხოვოთ ჩემი პასუხი...“

პატივცემულო თინა, ფოსტალიონის ფუნქციას ნამდვილად ვერ შეგისრულებთ, დღემდე ამ ხელისუფლების მინისტრი ხართ, თუმცა ცდილობთ, აღმოჩნდეთ ოპოზიციურ სკამზეც, მაგრამ კარგად იცით, რომ ორ სკამზე ჯდომით შუაზე გაიხევით, ვიდრე შუაზე არ გახეულხართ, კეთილი ინებეთ და თავად მოითხოვეთ პასუხი, ვიდრე ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრი ხართ. აგდებული ტონით და დაჟინებული მოთხოვნებით ესაუბრეთ თქვენს ხელქვეითებს. ახლა დაგჭირდათ ჟურნალისტები თქვენს პოლიტიკურ პარტნიორებთან საქმის გასარჩევად?!. ერთმანეთი თავად აირჩიეთ „რესპუბლიკელებმა“ და „ქართულმა ოცნებამ“, თავში ქვა გიხლიათ და მუცელში სამართებელი.

„ალია“ გთავაზობთ ინტერვიუს უმრავლესობის წევრ **თამაზ მეჭიაურთან** და ვნახოთ, როგორ შეაფასებს თავდაცვის მინისტრის აგრესიულ და ნერვიულ განცხადებას.

– კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ თინა ხიდაშელი არის არაადეკვატური და ასეთი პიროვნების თავდაცვის მინისტრად ყოფნა ქვეყნისთვის გაცილებით საფრთხის შემცველია, ვიდრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის განცხადება. ლავროვი ამოდის თავისი ქვეყნის ინტერესებიდან, აქ რა არის ახალი? აგრესორი ქვეყნის პოლიტიკის გამოძახილია. ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებული აქვს, განლაგებული აქვს თავისი სამხედრო ნაწილები და ტექნიკა, რაც უფრო მეტ მიზეზსა და საბაბს მივცემთ, მეტად აგრესიული გახდება. მე რომ ჩემი შვილების მომავალი მაღელვებს, ეს თინიკოს შევუთანხმო, თუ რა ვქნა?!. მის შვილებს არ შევხებივარ, ღმერთმა დამიფაროს, აბა, ერთი ჰკითხოს კონფლიქტის საზღვრებზე ყოველდღე რომ უყურებენ მავთულხლართებს, შიშის ქვეშ რომ არიან ადამიანები და ამ განცხადების შემდეგ რუსეთის ჯარის ნაწილები რომ დაემატება, იმ ხალხს რა პასუხს გასცემს, ეს მაინტერესებს.

**— თინა ხიდაშელი ამბობს, რომ არავითარი ვალდებულება არ აქვს, თქვენს აბდაუბდას უსმინოს ნატო-ს წვრთნებთან დაკავშირებით.**

– ჯერ ერთი, მას ვალდებულება აქვს პარლამენტის წინაშე, აბდაუბდა კი მთლიანად მისი ეს განცხადებაა. ქალბატონია და არ მინდოდა, მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მაგრამ, რადგან ეს ქალბატონი ყველაზე მამაკაცურ პოსტს იკავებს, თავს ვალდებულად ვთვლი, თუნდაც ორი სიტყვით ვუპასუხო – „ქალი უნდა იყოს „კუხნაში“, თუ იქ მაინც გამოდგება.



**— თინა ხიდაშელმა მედიას დაჟინებით მოსთხოვა, გაგვერკვია, სად და როდის გახიზნა მისი შვილები, საერთოდ, როგორ ბედავთ და რატომ ახსენებთ მის შვილებს, როცა მე ვიბრძოდი, ის თავად სად იყო, რომელი ჩირგვის ძირში? ჩაბჟირებულ-დაჟინებული ვითხოვ თქვენგან პასუხს, როგორ გაბედეთ და როგორ ახსენეთ თინას შვილები და დაასაბუთეთ, სად ჰყავს თინას გახიზნული ბავშვები?**

– მისი შვილები საერთოდ არ მიხსენებია, ჩემი განცხადება ეხება ყველას შვილებს, რომ ვინც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს, ვინც სხვის შვილებს ცხელ წერტილში აგზავნის, საკუთარ შვილებს კი უცხოეთის უნივერსიტეტში ასწავლის და კომფორტულად აცხოვრებს, ამას ვგულისხმობ, ეს ეხება ყველას, ვინც არ უნდა იყოს, ვინც ასეთ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს. ნატოს სამხედრო წვრთნებზე გადაწყვეტილება ხიდაშელს არ მიუღია, ის, უბრალოდ, შემსრულებელია. ძალიან ცუდია, როცა ასეთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს ქვეყანა ასეთ არაადეკვატურ ადამიანს ანდობს. დამისახელოს ხიდაშელმა, როდის ვიყავი ჩირგვებში და როდის ვებრძოდი რეჟიმს, ეგ სად იმალებოდა? კონკრეტულად რომელ პერიოდს გულისხმობს? 1974 წლის 14 აპრილი

# მოვითხოვ პასუხს, სად და როდის გავხიზნე ჩემი თავად სად იყო, რომელი ჩირგვის ძირში?“

## შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მაგრამ რადგან ეს ქალბატონი ყველაზე „ქალი უნდა იყოს „კუხნაში“, თუ იქ მაინც გამოდგება“

მახსოვს, 1989 წლის 9 აპრილი, ისიც მახსოვს, ამ სისხლიანი ღამის შემდეგ ზოგიერთები კომუნისტურ პარტიაში რომ შევიდნენ. ასევე, მახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როცა მე სხვათა შორის, დამაპატიმრეს, კიდევ მახსოვს 2011 წლის 25-26 მაისის ღამე, როცა დაგვარბიეს და დღემდე შენახული მაქვს ის ბორკილები, როცა ერთმა ღვთისნიერმა კაცმა გადამარჩინა. მაშინ, უმოწყალოდ რომ გვარბევდნენ, ეს ქალბატონი არ მინახავს, მეტიც, არც კი გაუპროტესტებია. არასოდეს ჩირგვებში არ დავმალულვარ და დაჟინებით ჰკითხეთ, რომელ პერიოდს და რას გულისხმობს? ჩემი ცხოვრება, ასე თუ ისე, ყოველთვის ღია იყო, რადგან მე დასამალი არაფერი მაქვს. რაც ცოდვა მქონდა ღვთის წინაშე, არც იმას არ ვმალავ.

**— „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც ასეა დაპირისპირებული „ქართულ ოცნებასთან“, რატომ არ ტოვებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ეს პრემიერ-მინისტრის სისუსტეა?**

– ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ხიდაშელს გავათავისუფლებდი, არ შემიძლია გითხრათ, რატომ არ ხსნის პრემიერი ხიდაშელს, ეს უკვე მას უნდა ჰკითხოთ.

**— ირაკლი ალასანია იმუქრება ქუჩის აქციებით და ამბობს, რომ ფიზიკურ ძალასაც კი გამოიყენებს ივანიშვილის წინააღმდეგ, „ქართული ოცნების“ ირგვლივ წრე ვიწროვდება, კოალიციის ყოფილმა სუბიექტებმა პირი შეკრეს, გადატრიალებას ხომ არ გეგმავენ?**

– მე მგონია, შეთანხმებულად მოქმედებს სხვადასხვა ინსტიტუტები თავისი არასამთავრობოებით, თავისი „ენდიაით“ და „აირაით“, გარკვეული პოლიტიკური ლობისტებით უცხოეთიდან. ქმნიან განწყობას, თითქოს ხელისუფლებას ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია, ხოლო „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტ პარტიებს აქვთ უმრავლესობა. ამის გარდა, ფაქტობრივად, ზეწოლა ხდება პრემიერ-მინისტრზეც, როგორც ვატყობ, ერთი მხრივ ამ პოლიტიკური ძალების მხრიდან, კერძოდ, „რესპუბლიკელებისგან“. ისინი აქტიურად მიუთითებენ კვირიკაშვილს, როგორ დააკომპლექტოს პარტიული სია და მოუწოდებენ, ჩემნაირი პოლიტიკოსებისგან გათავისუფლდეს. ჩემნაირში იგულისხმებიან ისეთი პოლიტიკოსები, ვინც გარედან არ იმართებიან, როგორც დასავლეთიდან, ასევე ჩრდილოეთიდან. ასეთებისგან უნდათ გაათავისუფლონ პარტიული სია. თავის დროზე დასავლეთმა „ქართულ ოცნებას“ შეაყვანინა ეს „ტროას ცხენი“ „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სახით და ისინი გააყვანინა საარჩევნო ბლოკში. დღეს უკვე მეტ-ნაკლებად მომზადებულები არიან კოალიციის ხარჯზე, უკვე დამოუკიდებელ თამაშს აპირებენ. მაგრამ ახლა უნდათ, მეორე ტროას ცხენი ჩანერგონ შიგნით, რომელსაც ვუწოდე „დავარცხნილები“, სწორედ ასეთი დავარცხნილების შეყვანა უნდათ „ქართულ ოცნებაში“, რომელსაც ისევ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით გაიყვანენ, მერე ეს მოძლიერებული ძალები – „ნაციონალები“, „რესპუბლიკელები“ და „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილები, რომლებიც „ოცნების“ სახელით გამოვლენ, გაემიჯნებიან „ქართულ ოცნებას“, თუ კონკრეტული ძალის დავალებას არ შეასრულებენ. მერე შექმნიან უმრავლესობას, რომლის შექმნასაც ახლაც ცდილობდნენ. უბრალოდ, ვეღარ მოხერხდა. თუ დაგეგმილი სცენარი არ განხორციელდა და მეორე და მესამე ადგილზე ვერ გავლენ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები, გაეპარებათ ეროვნულ-პატრიოტული ძალა, რომელიც დაიკავებს მეორე ადგილს, ამ შემთხვევაში, დასავლეთში კონკრეტული დაჯგუფება „ენდიაის“ და „აირაის“ საშუალებით შექმნის ფონს, თითქოს არჩევნები გაყალბდა, უცხოეთში კონკრეტული ჯგუფების დახმარებით, შეეცდებიან, გაიმეორონ ის სცენარი, რომელიც ერთხელ უკვე გვაქვს ნანახი „ვარდების რევოლუციის“ სახით, დარწმუნებული ვარ, ამ სცენარის განვითარებას ისინი არ გამორიცხავენ. მათ უნდათ, ხავერდოვნად, თავისივე ხელით გადაატრიალონ „ქართული ოცნება“, წინააღმდეგ შემთხვევაში შექმნან იმის წინაპირობა, რომ ქუჩის აქციებით მოახდინონ ხელისუფლების აღება. ეს არის ჩანაფიქრი, რომელსაც, ჩემი აზრით, ზურგს უმაგრებს არცთუ ისე უმნიშვნელო პოლიტიკური ძალები უცხოეთიდან.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილს პროცესებზე ხელი აქვს ჩაქნეული და ვითარება ძალიან ჰგავს შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდს, რასაც „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა.**

– ბიძინა ივანიშვილი მაშინაც კი, როცა ხელისუფლებაში იყო, მაქსიმალურად იზოლირებული იყო, ზუსტად არ მიეწოდებოდა ის ინფორმაციები, რაც რეალურად ხდებოდა ქვეყანაში, ახლა მით უმეტეს იზოლირებულია, ხანდახან სთხოვენ პოლიტიკაში ჩარევას, მაგრამ მგონია, რომ ის წრეები, ვინც საგარეო პოლიტიკით არიან დაკავებულები, ნატოსთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ვინც კონტაქტობს, ისინი ივანიშვილს გაცილებით ოპტიმისტურ სურათს უხატავენ, ვიდრე რეალურად არის და აქედან გამომდინარე, ივანიშვილი ამ პროცესებს მეტისმეტად პოზიტიურად უყურებს, იმ პროცესებს, რაც განსაკუთრებით ნატო-სთან ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც საჯაროა, ცალსახად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული, არც ერთი დიდი მოთამაშე ნატო-სი არ თვლის, რომ საქართველოს და უკრაინის ნატო-ში მიღება უახლოეს პერიოდში შესაძლებელია. ამ ფონზე ჩვენს შიგნით პოლიტიკოსების გარკვეული ჯგუფი თავგადაკლული უმტკიცებს მოსახლეობას, რომ უახლოეს მომავალში მიგვიღებენ ნატო-ში და თურმე ნატო-ზე უკეთესი კიდევ გვაქვს რაღაც, თურმე სადღაც ვართ მიღებული. შეიძლება ნატო-ს სამხედრო ტექნიკის შემოსვლაც ზუსტად ამასთან იყოს დაკავშირებული, რომ ჩვენი ქვეყნის რაღაც პოლიტიკური ჯგუფის თხოვნით მოხდა ამ ტანკების შემოყვანა. ნატო არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ტანკები შემოიყვანეს და ცოტა ხანში გაიყვ-

**ვინ ვის ჯობნის?!**

ანენ, მაგრამ ისევ ჩვენი პრობლემების პირისპირ დავრჩებით მარტო, მაგრამ, თუ რაღაც უბედურება მოხდება, მოვისმენთ შეშფოთებისა და აღშფოთების განცხადებებს მათი მხრიდან, ეს იქნება მათი მხარდაჭერა. კითხვა მაქვს, ამ ტანკების შემოყვანის გამო ჩვენს ტერიტორიაზე რომ ომი დაიწყოს, რომელი მხარე დაზარალდება? გარწმუნებთ, არც ამერიკელები დაზარალდებიან და არც რუსები. დაიღუპება ისევ ჩვენი მოსახლეობა, ვინ იღებს ამაზე პასუხისმგებლობას, მიპასუხონ. ხის გადარგვაზე რომ ატეხეს ერთი ამბავი და ამხელა საფრთხის წინაშე ვდგავართ, შეიძლება ადამიანები შეეწირონ ამ ყველაფერს, პასუხისმგებელს კი ვერ ვხედავ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გასაქცევად გამზადებულმა ხელისუფლებამ წითელ ხიდზე რომ რიგი დააყენა და დაუსჯელები დარჩნენ, ამიტომაც ბედავენ ამდენს ზოგიერთები.

**— რატომ გაქვთ იმის განცდა, რომ შეიძლება 2008 წლის აგვისტოს ომი განმეორდეს?**

– მიჩნდება იმის შიში, რომ შეიძლება ამას მოჰყვეს ძალიან მძიმე შედეგი. ერთი მხრივ, ვხედავთ ოკუპანტი ქვეყნის მუქარის შემცველ განცხადებას, მეორე მხრივ, ვხედავთ, როგორ შემოჰყავს ნატო-ს სამხედრო ტექნიკა ჩვენს ტერიტორიაზე. ვიღაცები კი შედეგზე არ ფიქრობენ, მათთვის მთავარია, თავისი საჭიროება და ფუნქცია დაუმტკიცონ იმ ხალხს, ვინც თავის დროზე ისინი პოლიტიკაში მოიყვანა.

**— გამორიცხავთ შიდა გადატრიალებას? გამორიცხავთ, რომ „რესპუბლიკელებმა“ ააყირაონ სიტუაცია, „ნაციონალებთან“ და ალასანიასთან ერთად შექმნან უმრავლესობა, გადააყენონ მთავრობა და საკუთარი პრემიერ-მინისტრი დანიშნონ?**

– არც არაფერს ვადასტურებ და არც არაფერს გამოვრიცხავ!

**„კითხვა მაქვს, ამ ტანკების შემოყვანის გამო ჩვენს ტერიტორიაზე რომ ომი დაიწყოს, რომელი მხარე დაზარალდება? გარწმუნებთ, არც ამერიკელები დაზარალდებიან და არც რუსები. დაიღუპება ისევ ჩვენი მოსახლეობა, ვინ იღებს ამაზე პასუხისმგებლობას, მიპასუხონ“**



## Facebook ამბები



**თამარ ჩერგოლეიშვილი**

ვაშაძის წასვლით გამოწვეული კმაყოფილება, როგორც ჩანს დამატებით ახსნა - განმარტებას საჭიროებს ჩემი მხრიდან.

ადამიანები ან გულწრფელ გაკვირვებას გამოხატავენ, ანაც ნიშნისმოგებით მეკითხებიან, თუ "ასეთი ცუდი" იყო, რატომ იყო აქამდე პარტიაში.

1. მე არ ვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი, მითუმეტეს არ ვარ გადაწყვეტილების მიმღები პირი. შესაბამისად, მე ვერ გადავწყვეტ ვინ უნდა იყოს პარტიაში, ვინ - არა.

მხოლოდ მხარდამჭერი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემ ხედვასთან ყველაზე ახლოს ეს პარტია დგას არსებული პოლიტიკური ძალებიდან. ამ დრომდე ასეა.

ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ ამ პარტიის ყველა მოქმედება, ან ყველა აქტიური წევრი მომწონს და მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი არ გამაჩნია თითოეული მათგანის შესახებ.

2. ჩემი აზრი მის შესახებ, დაკვირვებული ადამიანებისთვის ცნობილია მისი პოლიტიკაში გააქტიურების დღიდან. საჯაროდაც გამოვხატავდი - მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნათესავური კავშირების და პატრიარქალური კულტურის გამო, ხშირად ეს ძალიან სულელურ პრობლემებს იწვევდა.

3. ბუნებრივია, ადამიანებს ვერ მოვთხოვ, ჩემი "ჟამთააღმწერელები" იყვნენ და ისეთი კითხვები, როგორიცაა "ახლა არ მოგწონთ ვაშაძე?!" არ დასვან.

ამიტომ, თემის ამოსაწურად, ვდებ ჩემს შარშანდელ პოსტს, რომელიც თავის დროზე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ფართო ჯგუფს გავუზიარე Facebook-ზე, როდესაც ჩემმა ერთ-ერთმა საჯარო პოსტმა "ქარიშხალი" გამოიწვია.

პოსტი ეხებოდა აღმასრულებელი მდივნის არჩევნებში სერგო რატიანის გამარჯვებას.

კენჭისყრის შემდეგ, სიხარული გამოვხატე, რომ ენმ-მა სწორი ღირებულებების ადამიანი აირჩია.

ვფიქრობ, ეს პასუხი დააკმაყოფილებს მათ, ვისაც გულწრფელი კითხვები აქვთ, მისი წასვლით გამოწვეულ კმაყოფილებასთან დაკავშირებით.

პ.ს.. ასე გამიხარდა ნინო ბურჯანაძის წასვლაც 2008 წელს.

ვინმემ თავმომწონეობად (აი რა მართალი ვიყავი) რომ არ ჩათვალოს ეს პოსტი, აქვე ვიტყვი, რომ შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, არც - მე.

ამის მაგალითი ზურაბ ჯაფარიძეა, რომელსაც ძალიან აქტიურად ვუჭერდი მხარს და მწარედ შევცდი.



ირინა სარიშვილი:

რამდენი "აღსდგა"—ს დავინახავ "აღდგა"—ს მაგივრად, ქრისტეს ნაცვლად ლევან ღვინჯილია მახსენდება.

ვძიძგნოთ ეხლა ერთმანეთი "აღსდგებებმა" და "აღდგებებმა" კვირაცხოვლობამდე.

მერე ვინც გადარჩებიან, "აღსდგებებმა" დაპოსტონ, "აღდგებებს" გშლითო და პირიქით. ვინც ვერა, ის ველარც აღდგება და ველარც აღსდგება ( მეორედ მოსვლის ამბავი არ მომიყვეთ, უკვე ვიცი).

ისე ცუდი არ იქნებოდა, IRI-ს და NDI-ს რო გამოეკვლია რამდენი რამდენზე ვართ, ან ყოჩაღად რამდენი ვართ და ვერ ვართ.

გილოცავთ!



ეკა ხოფერია:

ბოლოს იმდენს ვიზამთ, რომ მომავალ წელს აღდგომას აღარ მივულოცავთ ერთმანეთს) აღსდა/აღდგას გარკვევაში) ყველა რომ მშვიდად ვიყოთ, ორივე სწორია, ამდენად, მოვრჩეთ შანიძეობას და კვლავ განვაგრძოთ ბრწყინვალე დღესასწაულის აღნიშვნა) გილოცავთ კიდევ ერთხელ!

ორივე ფორმა შეიძლება!))))



მეგი გოცირიძე:

აბა გამოიცანით წუხელ კახეთში ვინ იყო ამ ე.წ. კოლორადო ხოჭო ტურისტების მასპინძელი მწვადებზე და ბატკნის ჩაქაფულზე ?------- არც მეტი არც ნაკლები კორკოტა, ბედუკაძე და გვიან შეუერთდა თარხან მოურავი!

9 მაისი დაგეგმეს და მხარდაჭერაც აღუთქვეს, ფულიც გამოართვეს და ხალხის მობილიზაციაც დაიწყეს!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# „ივანიშვილმა მხოლოდ საკუთარი ფულისა და

## „ერთხელ გადაიხადა და მას შემდეგ აღარ მიხვდები, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა

**„ალიას“ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრება ახლად დაფუძნებული პარტიის „ჩვენი საქართველოს“ გენერალური მდივანი ზურაბ ხუბულაშვილი.**

**— ზურა, „ნაცმოძრაობიდან“ გიორგი ვაშაძის წამოსვლის სხვადასხვა მიზეზები ვრცელდება. შენი ინფორმაციით, რეალურად რატომ წამოვიდა ვაშაძე პარტიიდან?**

– დაუკვირდით, რა ტაქტიკას მიმართეს „ნაციონალებმა“. ვინც ძალადობრივ და სხვა სახის დანაშაულში იმხილება, პარტიის ის ლიდერები ჩატოვეს „ნაცმოძრაობაში“, შედარებით სუფთა სახეებს კი პარტიიდან უშვებენ და ისინი ახალ პარტიებს ქმნიან. მაგალითისთვის „გირჩი“ და გიორგი ვაშაძეც კმარა, რომელიც არჩევნებამდე შექმნის პარტიას. ეს პარტიები არჩევნებამდე ან გაერთიანდებიან, ან ცალკე გამოვლენ არჩევნებზე და თუ პარლამენტში შეაღწიეს, მერე იქ გაერთიანდებიან „ნაცმოძრაობასთან“. მიშა სააკაშვილი მათზე არანაკლებ ზრუნავს, ვიდრე „ნაცმოძრაობაზე“, საგულდაგულოდ აფინანსებს და არც სხვა რამეს აკლებს, რაც არჩევნებში წარმატების მისაღწევად სჭირდება.

**— პაატა ბურჭულაძესაც სააკაშვილი აფინანსებს?**

– ჩემი ინფორმაციით, ასეა. ამ დღეებში მომიწია რეგიონებში ჩასვლა, პაატა ბურჭულაძის ფონდს, რომელიც მალე პარტიად გადაკეთდება, ყველა რაიონში საუკეთესო შენობა აქვს ნაქირავები და მის თითქმის ყველა რაიონულ ორგანიზაციას ყოფილი „ნაციონალები“ უდგანან სათავეში. რაც შეეხებს თანხებს, სააკაშვილს არ აკლია ფული, რომ ეს პარტიები რიგიანად დააფინანსოს. სააკაშვილი უკრაინის ბიუჯეტიდანაც ბლომად ფულს „ტეხავს“ და ამ თანხებს საქართველოში აგზავნის. ასევე, რეკეტის საშუალებით, მიშამ არაერთ მსხვილ უკრაინელ ბიზნესმენს წაართვა სოლიდური ფული და ამის ნაწილიც საქართველოში გამოგზავნა. გარდა ამისა, ეს პოლიტიკური ძალები დასავლეთიდან შემოსული ფულითაც ფინანსდებიან, დასავლეთი ფულს არ იშურებს ე.წ. ლიბერალური პოლიტიკოსებისთვის და ყველანაირად ხელს უწყობს, რომ ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში, „ნაცმოძრაობასთან“ ერთად თუ ცალკე.

ბურჭულაძეს ჯერ ერთი პოლიტიკური განცხადებაც არ გაუკეთებია და ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების შედეგებით, ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად დასახელდა. არ არის ეს კაცი ჯერ პოლიტიკოსი და რა შუაში იყო საერთოდ, იმ კვლევებში რომ ჩააკვეხეს? მერე, იგივე ბურჭულაძე, ამერიკაში, გავლენიანმა პოლიტიკოსებმა მიიღეს და ასეთი არაერთი შეხვედრა ჰქონდა, როდის იყო ამერიკელი პოლიტიკოსები ფონდის დირექტორებს ასე ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ? თან მედიის თანდასწრებით?

**— „ნაციონალებისა“ და მათი სატელიტების ხელისუფლებაში მოსვლის საფრთხის წინაშე რომ ვდგავართ, ეს „ქართული ოცნების“ სისუსტის ბრალია, უპირველესად. არ მეთანხმები?**

– რაღა თქმა უნდა, გეთანხმები, „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა ძალიან სუსტი, ხელისუფლებაში მოვიყვანეთ ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია და დიდი იმედი გვქონდა, რომ სამართლიანობას აღადგენდნენ, დამნაშავე „ნაციონალებს“ დასჯიდნენ და ქვეყანას სწორი გზით წაიყვანდნენ, მაგრამ არაფერი გააკეთეს საამისოდ. „ქართული ოცნება“ არის უუნარო ადამიანების პარტია, მათ არაფრის გაკეთების თავი არ აღმოაჩნდათ. ხალხში „ნაციონალების“ მიმართ უკიდურესი ზიზღი იყო და „ოცნებას“ შანსი ჰქონდა, საერთოდ გაექრო ეს პარტია პოლიტიკური ასპარეზიდან, ხალხის დაკვეთაც ეს იყო. მაგრამ „ოცნებამ“ ისე წაიყვანა საქმე, რომ გაქცეული დამნაშავეებიც კი უკან დააბრუნა, ახლა ყინჩად არიან და მათ ვერც ერთ დანაშაულს არ ედავებიან. მარტო ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და გიგი უგულავა აღმოჩნდნენ „ნაციონალური“ სახელისუფლებო ვერტიკალიდან დამნაშავენი და დანარჩენები ანგელოზები არიან? არჩევნებამდე აკი „ქართული ოცნების“ ლიდერები გვიმტკიცებდნენ, რომ სააკაშვილის მთელი სახელისუფლებო სისტემა იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში და როცა ხელისუფლებაში თავად მოვიდოდნენ, მათ სამაგალითოდ დასჯიდნენ, „ნიურნბერგის პროცესის“ მსგავს სასამართლოს მოუწყობდნენ. მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, ყველაფერს ეგენი აკონტროლებენ, მაგრამ სად არის „ნიურნბერგის პროცესი“?

**— მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ბიძინა ივანიშვილია და 1 წელი ეს კაცი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო, სწორედ მას უნდა დაეწყო 2012-2013 წლებში სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავე „ნაციონალთა“ დასჯა, მაგრამ მისი მმართველობისას რამდენიმე „ნაციონალი“ დაიჭირეს და სულ ეს იყო, ხალხს კი იმ დროს, ის წართმეული მანქანებიც არ დაუბრუნეს, დღეს რომ მისცეს, სხვას თავი დავანებოთ. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილმა თქვა უარი სამართლიანობის აღდგენაზე, ეს არც მაშინ გააკეთა, როცა პრემიერი იყო და არც დღეს ანძრევს ხელს საამისოდ, როცა არანაირი პოსტი არ უჭირავს, მაგრამ ქვეყანას მაინც ეგ კაცი მართავს. რატომ მოიქცა ასე?**

– 2011 წლის შემოდგომიდან უნდა დავიწყოთ, როცა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა და სააკაშვილს დაუპირისპირდა. ეს კაცი ბიზნესმენია და ჩემი აზრით, პოლიტიკასაც ისე უყურებს, როგორც ბიზნესს. გეხსომება, ბიძინა ივანიშვილს მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ სოლიდურ ფულს ართმევდა, ათას სისულელეში ხარჯავდა მის ფულს და ეს წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ძალიან ბევრი ფული მისცა ივანიშვილმა მიშას და მეეჭვება, ამას დიდი სიხარულით აკეთებდა. სააკაშვილი აიძულებდა, მისთვის სისტემატურად ეხადა ფული, არადა პრობლემებს შეუქმნიდა. ივანიშვილს მობეზრდა ამ ხარკის გადახდა და იფიქრა, ერთხელ გადავიხდი, ამას მოვიშორებ თავიდან და მერე გავთავისუფლდებიო. ამასთანავე, სააკაშვილის მოცილება





**„ოცნებამ“ ისე წაიყვანა საქმე, რომ გაქცეული დამნაშავეებიც კი უკან დააბრუნა, ახლა ყინჩად არიან და მათ ვერც ერთ დანაშაულს არ ედავებიან. მარტო ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და გიგი უგულავა აღმოჩნდნენ „ნაციონალური“ სახელისუფლებო ვერტიკალიდან დამნაშავენი და დანარჩენები ანგელოზები არიან?“**

### დასკვნა

მისთვის აზარტადაც იქცა, ადგა, შემოვიდა პოლიტიკაში, სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში ფული არ დაინანა, სწორად წარმართა მთელი პროცესი და მოუგო არჩევნები „ნაცმოძრაობას“, თავად მოვიდა ხელისუფლებაში და ის ხალხი მოიშორა, ვინც დიდ ფულს „აწერდა“. მოკლედ, ერთხელ გადაიხადა და მას შემდეგ აღარ იხდის. ბიზნესმენის თვალით შეხედე ამას და მიხვდები, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა სათავისოდ, მომგებიანი, ქვეყანა ფული დაზოგა. ეს რომ არ ექნა, კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა სააკაშვილი ხელისუფლებაში და რამდენს წაართმევდა.

**— გამოდის, რომ ივანიშვილს საკუთარი ფულის დასაზოგად მოუშორებია სააკაშვილი?**

– ეგ იყო, ჩემი აზრით, მისი პოლიტიკაში მოსვლის მთავარი მიზეზი, დაინახა, რომ ხალხი ყალყზე იდგა, სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზად იყო, ნებისმიერ რეიტინგულ და სუფთა ლიდერს გაჰყვებოდა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მოსაშორებლად ბრძოლაში ჩაუდგებოდა სათავეში. ივანიშვილი სწორედ ასეთი ლიდერი იყო და ხალხი გაჰყვა და მიშას საშინელი რეჟიმი მოაშორა ქვეყანას. მოდი, ამას ნუ დავუკარგავთ ამ კაცს.

**— ეგ მადლობა უკვე არაერთხელ გადაუხადა ხალხმა, როცა მისი ხათრით გიორგი მარგველაშვილი აირჩია პრეზიდენტად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები „ქართულ ოცნებას“ მოაგებინა და თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურში აბსოლუტურად გაუგებარი და უფერული პოლიტიკური ფიგურა, დავით ნარმანია გაატრია და ამხელა ქალაქის მერი გახადა. ხალხი ვალში ნამდვილად აღარ არის ივანიშვილთან. შენ ის მითხარი, ივანიშვილმა სააკაშვილი რომ მოიშორა, მერე ხომ არაფერი ედგა წინ, ბარემ შეესრულებინა წინასაარჩევნო დაპირებები, უმთავრესი, ქვეყანაში სამართლიანობა აღედგინა. ეს რატომ არ გააკეთა?**

– ივანიშვილი ბიზნესმენია და ვერ მოერგო პოლიტიკას... რაც შეეხება

იმას, რატომ არ აღადგინა სამართლიანობა ივანიშვილმა, შესაძლოა, ამის გაკეთება უნდოდა კიდეც, სხვა თუ არაფერი, მას პირადი ანგარიშებიც ჰქონდა სააკაშვილთან და მისი გარემოცვის წევრებთან. ვფიქრობ, ეს იმიტომ ვერ შეძლო, რომ ამ კაცს ქონების ნაწილი რუსეთში აქვს, ნაწილი ამერიკასა და ევროპაში. ივანიშვილი რომ დამნაშავე „ნაციონალებს“ დარეოდა და ციხეები მათით გაევსო, სრულიად სამართლიანადაც, ევროპა და განსაკუთრებით ამერიკა დაუპირისპირდებოდნენ, ამას პოლიტიკურ დევნად ჩაუთვლიდნენ, მათთვის ხომ დამნაშავე „ნაციონალი“ არ არსებობს, ამ კრიმინალების გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ და ყირიმი რუსეთმა წაიღო, ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებს კი უკრაინის ხელისუფლება ვერ მართავს, მათზე არანაირი კონტროლი არ გააჩნია. ამაზე წავიდნენ და ივანიშვილის განადგურებას დაერიდებოდნენ?

**— კარგი, სამართლიანობა რატომ არ და ვერ აღადგინა, ეს გავიგე, მაგრამ სხვა წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება რატომ ვერ მოახერხეს ივანიშვილმა და მისმა „ქართულმა ოცნებამ“? ხალხის დასაქმება, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, სოფლის მეურნეობაში ფულიც ჩადება... ამ ყველაფრის გასაკეთებლად ხომ ივანიშვილი არ იხდიდა ფულს, ბიუჯეტის ფული უნდა დახარჯულიყო, მხოლოდ პოლიტიკური ნება იყო საჭირო,** გრამაა დაუფინანსებელი და მათ შეეშველე. ვერც ამას აკეთებენ, არ იციან, თავი არ აქვთ და იმიტომ.

**— ამაშიც ბიძინა ივანიშვილია დამნაშავე, ეს უუნარო და არაფრის მაქნისი კადრებიც მან შეარჩია და იმ ხალხის უდიდესი ნაწილი ახლოს არ გააკარა ხელისუფლებას, ვინც „ნაცმოძრაობასთან“ ბრძოლაში ბოლომდე გაჰყვა და საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლე სასწორზე შეაგდო.**

– ეს იმ გარემოცვის ბრალიცაა, რომელიც მას ჰყავდა და ვისაც პარტიული თუ სახელისუფლებო კადრების შერჩევა ევალებოდა. ივანიშვილი ამ ხალხს ენდო, მაგრამ შეცდა, მათ მართლა ახლოს არ გაიკარეს ის ხალხი, ვინც წლები ებრძოდა სააკაშვილს. რაღა შორს წავიდე, არჩევნებ-

ჩატარებულმა არჩევნებმაც დაადასტურა, მაგრამ ეს ერთი ოლქი იყო, სხვა არის, მთელი საქართველოს მასშტაბით არჩევნების გაყალბება, ამას შნო უნდა. დავუშვათ, მოისურვეს გაყალბება, ვინ უნდა გააყალბოს? უბნებზე ამას ვერ მოახერხებენ, რადგან „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კომისიებში ძალიან ბევრი ყოფილი „ნაციონალი“ ჰყავს, ასევე, ყოფილი „ნაციონალები“ იქნებიან ბევრ უბანზე მათი დამკვირვებლები და ეს ხალხი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არჩევნებს არ გააყალბებს. კარგი, მოდი, დავუშვათ, რაღაც მანქანებით შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების გაყალბება, ამას საითკენ

# ნერვების დასაზოგად მოიშორა სააკაშვილი“

## იხდის... ბიზნესმენის თვალით შეხედე ამას და სათავისოდ, მომგებიანი! ქვეყანა ფული დაზოგა“



ივანიშვილს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ. თუნდაც, მის ბიზნესს უცხოეთში, მის ფულს, რომელიც უცხოურ ბანკებში აქვს შენახული. ხომ ნახე, გამოვიდა ამერიკელი კონგრესმენი სტივ რასელი და არ მოითხოვა ბიძინა ივანიშვილის საბანკო ანგარიშების დაყადაღება? ივანიშვილს რომ დაეწყო სამართლიანობის აღდგენა, წარმოგიდგენია, რამხელა ძალა დაუპირისპირდებოდა ამერიკიდან და ევროპიდან? ამას ვერ გაუძლებდა, იცოდა, მის ბიზნესსა და ქონებასაც საფრთხე შეექმნებოდა.

**— გამოდის, სამართლიანობის აღდგენაც ბიძინა ივანიშვილის ქონებისა და ბიზნესის გადარჩენას შეეწირა.**

– კი, სამწუხაროდ, ეგრე გამოდის. ვერც პრემიერობის დროს და ვერც ჩრდილოვანი მმართველობისას ეს ვერ გააკეთა, რადგან ძალიან სერიოზულ ძალას დაუპირისპირდებოდა, ამ ძალას მისი განადგურებაც შეეძლო და მათ ივანიშვილისთანა არაერთი შეუწირავთ. განსაკუთრებით, ამერიკული ლიბერალური პოლიტიკის მამამთავრებს, ჯონ მაკკეინისა და სხვათა მეთაურობით. ყველაფერს თავი დაანაბე, ამ ხალხმა უკრაინა ჯერ რევოლუციამდე, შემდეგ ომამდე მიიყვანა და ევროპაში სიდიდით მეორე ქვეყანა დააქუცმაცეს.

**რომ ძალიან ბევრი წინასაარჩევნო დაპირება რეალობად ქცეულიყო.**

– აქ უკვე არა მგონია, დამნაშავე ივანიშვილი იყოს, ეს იმ პოლიტიკური გუნდის ბრალია, რომელიც ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ დატოვა, ეს ხალხი სრულიად უუნარო აღმოჩნდა და ვერც ერთ სერიოზულ საქმეს თავი ვერ მოაბა. სადღაც სოფელში ხიდია გასაკეთებელი, სადღაც ასფალტია დასაგები, ამას ივანიშვილი ხომ არ გააკეთებს? ფული გაქვს ბიუჯეტში, ადექი და დააგე, რა, ეგ ასფალტი! არა, ამის უნარიც არ გააჩნიათ, საუბედუროდ, თითქმის ყოველი წლის ბოლოს, სხვადასხვა სამინისტროები, გამგეობები ბიუჯეტს ვერ ასრულებენ და ფულს უკან რიცხავენ ბიუჯეტში, ფულის დახარჯვას ვერ ახერხებენ, ზოგიერთი გამგეობის ხელმძღვანელები კი, ბიუჯეტი რომ შეასრულონ, საკუთარ თავსა და თანამშრომლებს პრემიებს უწერენ და დარჩენილ თანხას ასე ითვისებენ. თუ წლის ბოლოსთვის ფული გრჩება და დახარჯვა ვერ მოახერხე, ეს ნიშნავს, რომ საქმის კეთება არ იცი. მეორეც, იმ ფულს რაღა ბიუჯეტში აბრუნებ უკან, ადექი, ერთი მუხლიდან მეორეში გადაიტანე, ვთქვათ, სოციალურ პროგრამებში და გაჭირვებულ ხალხს დაეხმარე კანონიერად, რაღაც გაუკეთე, უამრავი სოციალური პრო-

ის წინ დამიჭირეს, ციხეშიც ვიჯექი, მაგრამ ციხიდან რომ გამოვედი, „ქართულ ოცნებას“ დავუდექი გვერდში და ყველაზე მძიმე რეგიონში, ქვემო ქართლში ვიბრძოდი „ნაცების“ წინააღმდეგ. გარდაბანში, რომელიც ვაჟა ლელუაშვილის სამფლობელოდ ითვლებოდა, დიდი ბრძოლები გადავიტანე მართლა და რამდენჯერმე გადავრჩი ხელმეორედ დაჭერას, იმ პერიოდში ჩემი ოჯახის წევრებიც დიდი დარტყმის ქვეშ იდგნენ, რომელს რას დამართებდნენ „ნაცები“, კაცმა არ იცოდა. ეგენი ხომ ყველაფერზე იყვნენ წამსვლელი. ამის მიუხედავად, არც მე, არც ჩემი თანამებრძოლები, რომელთაგან ზოგმა ჩემზე მეტი უბედურება გადაიტანა, ახლოს არ გაგვიკარეს. რა უნდა გვექნა? ავდექით და წამოვედით, ხვეწნას ხომ არ დავუწყებდით?

**— ამ შეუსრულებელი დაპირებებისა და რეიტინგის მკვეთრი ვარდნის ფონზე, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში წარმატების მიღწევის რა შანსი აქვს? ბევრი ჭკუასაკითხავი ექსპერტი და პოლიტიკოსი აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს გააყალბებს, რადგან ხელისუფლებაში დარჩენის სხვა შანსი აღარ დარჩენია.**

– არჩევნების გაყალბების სურვილი შეიძლება აქვთ, მაგის გამკეთებლები რომ არიან, ეს საგარეჯოში

მივყავართ? ეს არის უმოკლესი გზა ქართული „მაიდანისთვის“. ყველა პარტია გამოვა და დაიწყებს ყვირილს, რომ არჩევნები გაყალბდა, გამოვა ამერიკის ელჩი და იტყვის, არჩევნებმა კანონდარღვევით ჩაიარაო. იმავეს იტყვიან ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები და დასძენენ, რომ არჩევნების შედეგები არალეგიტიმურია, მათ ამის თქმის უფლება, უცხოელი დამკვირვებლების დასკვნების საფუძველზე, ექნებათ. ჰოდა, ეს უკვე მშვენიერი საფუძველი იქნება ოპოზიციის ქუჩაში გამოსასვლელად და „მაიდანის“ მოსაწყობად. ამაზე ოცნებობენ ზუსტად „ნაციონალები“ და მათი სატელიტო პარტიის ლიდერები, აგერ, ირაკლი ალასანია ახლავე იძახის, ხელისუფლების შესაცვლელად ქუჩაში გავიდეთ, ფიზიკურად დავუპირისპირდეთო და არჩევნები თუ გაყალბდა, მერე დააკავებ მაგას და სხვა ფსევდოლიბერალ პოლიტიკოსებს? „ქართული ოცნება“ თუ არჩევნებს გააყალბებს, თავის თავსაც დალუპავს და ქვეყანასაც დიდ შარში გახვევს. ურჩევნიათ, პატიოსნად ჩაატარონ არჩევნები, რამდენ ხმასაც მიიღებენ, ის შეირგონ. ხელისუფლებაში დარჩენა თუ უნდოდათ, შეესრულებინათ წინასაარჩევნო დაპირებები და ხალხი ხელახლა და უპრობლემოდ აირჩევდა მათ...

Facebook ამბები



ნუგზარ წიკლაური :

არ არსებობს არცერთი მიზეზი, არცერთი არგუმენტი, რომელიც გიორგი ვაშაძის ნაბიჯს გაამართლებს; ეს გადაწყვეტილება არის გამიზნული ქმედება მიშა სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და ემსახურება მხოლოდდამხოლოდ ივანიშვილის პოლიტიკურ ინტერესს.



სანდრო ბრეგაძე:

თუ პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი ხმას არ მიცემს კონსტიტუციაში ოჯახის როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობის განსაზღვრებას, მაშინ ის უმრავლესობის მხრიდან გადაყენებული უნდა იქნას თანამდებობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი არმოჩნდება რომ არის ბლეფი და არავის უნდოდა ამ შესწორების შეტანა, უბრალოდ დრო გაწელეს. ამას კი არავის ვაპატიებთ!!!!!!!!!



ნიკოლოზ მჭავანაძე:

ნაციონალური მოძრაობა კი არ იშლება, არამედ ბევრ ნაწილკებად მრავლდება. არჩევნების წინ იქნება ნაცმოძრაობა 1, ნაცმოძრაობა 2, ნაცმოძრაობა 3, ნაცმოძრაობა 4. ოღონდ სხვა სახელწოდებებით გირჩი, ციყვი და ასე შემდეგ.

ამით საერთაშორისო საზოგადოების წინაშე უნდა შექმნან ის სურათი, რომ ოცნება მარტოა, ხოლო ყველა პარტია მასთან დაპირისპირებაშია. ის ლანძვა გინება კი რომელიც თან ახლავს ნაც ოჯახიდან მათი პირმშოების გასვლას ეს არის დადგმული სპექტაკლი.

Facebook ამბები

facebook



ბაია პატარაია, უფლებადამცველი აღდგომის ღამეს გადაღებულ ფოტოს შესახებ, სადაც პრემიერი კვირიკაშვილი სამების ტაძარში მუხლებზე დგას, წერს:

– რწმენის თავისუფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებაა, ანუ ადამიანს რასაც უნდა იმას დაიჯერებს და ეთაყვანება. რელიგიის თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამინს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი რწმენა სხვადასხვა კანონიერი ფორმით.

მაგრამ(!) მუხლებზე დაცემული პრემიერ მინისტრს როცა ვუყურებ, არ მიმაჩნია ეს მისი რელიგიის თავისუფლების გამოხატულებად, არამედ მიმაჩნია სეკულარიზმის კრიზისად, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება მლიქვნელურად ემორჩილება საეკლესიო ხელისუფლებას (მლიქვნელურად იმიტომ, რომ ყველა ხელისუფლებას სურს იყოს ავტონომიური და არ ემორჩილებოდეს მეორეს).

რა თქმა უნდა ადამიან გიორგი კვირიკაშვილს აქვს სრული უფლება იყოს ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი და ჩოქვით შემოიაროს ნებისმიერი სამლოცველო, მაგრამ საქართველოს პრემიერ მინისტრი საჯაროდ არ უნდა ფორთხავდეს არც ერთ ეკლესიაში, რადგან ის სახელმწიფო ხელისუფალია.

ვისაც ჯიუტად არ მოუნდება ამ სტატუსის სწორად წაკითხვა, მათთვის კდევ ერთხელ ვიტყვი - რწმენა და რელიგია ადამინის პირადი ცხოვრების ნაწილია და სრულად თავისუფალია მასში. მაგრამ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების/მთავრობის საჯარო ქცევა ნებისმიერ სამლოცველოში - პოლიტიკური აქტია და არა პირადი. თორემ გიორგი კვირიკაშვილი რომელ მოძღვართან დადის და რამდენად გულმხურვალე მორწმუნეა, ნამდვილად მისი პირადი საქმეა და არა ჩვენი მანამ, სანამ ასე არ გაასაჯაროებს.

ნიკოლოზ მჟავანაძე: ცნობისათვის ამ არსებას აფინანსებს აშშ და დასავლური ფონდები. ხელისუფლება კი ასეთ ჭინკა არასამთავრობოებს იწვევს ყველა მაღალი დონის შეხვედრებზე და გულში იხუტებს, ხოლო მათ ვისაც ასეთი ავადმყოფური აზროვნება არ აქვს უგულებელყოფილი არიან. ხოდა ღირსები ხართ ამ არსებებმა ასე გლანძღონ და გთათხონ. არ გამიკვირდება ჩუგოშვილის, ფოფხაძის გარდა ეს ჭინკაც ვიხილო ოცნების მომავალ მთავრობაში.

გიორგი გიგაური: ფუი, ეშმაკს! ჯვარი აქაურობას!.. სოროსელლიბერასტებმა ამ სააღდგომოდ, როგორც ჩანს, ჩვენი თავშეკავებულობისდა გამო, ბევრი ბალღამი და გესლი ანთხიეს!.. აგერ, ვერმოუხვენელობისგან გაშლეგებულმა ლესბოსელ- გენდერთა ასო-ელთა უსტაბაშმა ბაია პატარაიამ, მართლმადიდებლობის ზიზღით, პირდაპირ გამოაცხადა, „პრემიერმინისტრი ეკლესიაში არ უნდა ფორთხავდესო! ჯერ ერთი, სოროსის ნაბიჭვარო, ეს „ფორთხვა" კი არა, მუხლმოყრაა უფლის წინაშე! მეორეც, კახპის დაგდებულო, ორიათასწლოვან მართლმადიდებელ ერს, რომელსაც უთვალავი მოწამე და წმინდანი ჰყავს, შენნაირი ერთუჯრედიანი ამება, ჭიპზეც რომ გადაიფსკვნას, ვერანაირად ვერ გადაუსხვაფერებს რწმენის უძველეს რიტუალებს! მესამეც, შენ და შენისთანა აბორტის ნარჩენები, 30-ვერცხლიანი იუდას დაწყევლილი შთამომავლები რომ არ იყოთ, ამ ბრწინვალე აღდგომისას მაინც ჩაიგდებდით ენას მყრალ მუცელში და მილიონობით ქართველი მართლმადიდებლის შეურაცხმყოფელ სიბილწეებს არ ამოანთხევდით სოროსის ქაქით ამოტენილი პირიდან!.. ჴ.შ. ისე, პრმიტივი ამება პატარაიების გასაგონად: იუდამ მაცხოვარის გაცემის მეორე დღეს, ჭკუიდან გადასულმა, თავი ჩამოიხრჩო და 30 ვერცხლის გრანტი სატანას უკანალში წაიღო!!!

მელორ ვაჩნაზე: ქალბატონო ბაია, ვერ მოვიტყუები რომ პატივისცემით, მაგრამ მინდა მოგმართოთ...)) ზოგადად უამრავი კრიტიკა მომისმენია, მაგრამ მსგავსი სისულელე ჯერ არ გამიგია არავიზე!!! და სად გაქრა თქვენი ლიბერალური აზროვნება? ))) მგონი თქვენ ულტრალიბერალიზმში გადავარდით. მინდა გითხრათ ადამიანი ეკლესიში თანაბარია და არავინაა იქ პრემიერი და არავინ მუშა... ყველას აქვს უფლება ეკლესიაში მოიქცეს ისე რის უფლებასაც მას საკუთარი რწმენა და სარწმუნოება აძლევს. და თუ მაინც არაა თქვენთვის გასაგები, გეტყვით რომ საქართველოს ისტორიას უამრავი დიდებული მეფე ახსოვს დაჩოქილი რომ ლოცულობდა!!!

მე ძალიან მომწონს თავისუფალი ადამიანი გიორგი კვირიკაშვილი!!!

ვახტანგ მაისაია: - კაცი როდესაც ლოცულობს და ეკლესიაშია და ღმერთის წინაშე არის ღვთიმოშიში, ეს ადამიანი არის ღვთისნიერი პიროვნება და ყველანაირად დადებითად არის შემკული და გაბრწყინებული და ვინც ასეთ მოქმედებას გაუკეთებს სხვაინაირ ინტერპრეტაციას ვის "თამაშს თამაშობს" და ვისგან არის მმართული უკვე გასაგებია......

ნინო ჯლარკავა: ამ ხეპრე ქალს, რომელსაც გორში მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტი სააკაშვილი ეამაყებოდა, ეკლესიაში მლოცველი პრემიერი უკვირს, ვაიი მართლა როგორ უჭირს თქვენს ტვინებს, იქნებ ეგ ბნელი გონება გაგინათდეთ ოდესმე!!!

ნინო ლაგარტყავა

571 99-92-33



მოძალადე მძღოლი

# „რადგან მოძალადე ტაქსის მძღოლი გავავრცელებ მის მონაცემებს და

„არადა, გაუჩერებია ის ტაქსი და წინ დამჯდარა. ცოტა გულახდილი ტანსაცმელი რომ სცმოდა — დეკოლტე, ან მოკლე კაბა, კიდევ იტყოდი, გამომწვევად იყოო, მაგრამ ზამთარი იყო, სულ ჩაფუთნულად ეცვა"



„პოლიციელმა უთხრა, შენ რომ ნასვამი არ ყოფილიყავი და წინ არ დამჯდარიყავი, არაფერიც არ მოხდებოდაო!"

ალბათ, ბევრს გემახსოვრებათ, გასული წლის 1-ელ დეკემბერს თბილისში ახალგაზრდა ქალბატონს მოძალადე ტაქსის მძღოლი რომ დაესხა თავს. აღნიშნული ამბავი სოციალურ ქსელ „ფეისბუკში" ელენე სარიშვილმა გაავრცელა და მოსახლეობას, განსაკუთრებით კი – ქალბატონებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა:

**„1-ელ დეკემბერს, ღამის 2-3 საათზე ტაქსის მძღოლის მიერ იქნა განხორციელებული ფიზიკური ძალადობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა ახალგაზრდა ქალბატონის მიმართ, ამ ეტაპზე ამ ქალბატონის სახელს არ ვასახელებ გარკვეული მიზეზების გამო. ეს ნაძირალა, რომელიც ამ ეტაპზე მოძრაობს სედანის ტიპის მანქანით, მუქი ფერის და სამწუხაროდ მარკა ვერ ამოიცნო დაზარალებულმა, რადგან შოკურ მდგომარეობაში მყოფი მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე ამ მხეცის შემოტევისგან თავი დაეცვა, როცა ძირს დაგდებულს წიხლებს ურტყამდა, მხოლოდ იმის გამო რომ მისი მხეცური სურვილისა და ჟინის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს, მუქი ფერის, სახელმწიფო ნომრით 213 და სერია ამ ეტაპზე დაუდგენელია, მამაკაცი არის დაახლოებით 40-50 წლის, საშუალო სიმაღლის, საკმაოდ ჩაფსკვნილი და დამახასიათებელი ნიშანი — არ აქვს მარცხენა თვალი. ამ პირუტყვის საქციელებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იმისი პირველი შემთხვევა არაა, რადგან საკმაოდ თავხედურად და უწმაწური სიტყვებით იხსენიებდა სამართალდამცავ ორგანოებს, რომ ისინი თითსაც არ დააკარებენ და ასე შემდეგ... იმედი მაქვს, რომ დაინტერესდებიან ამ საკითხით და თქვენი დახმარებით შევძლებთ ეს „არსება" წარდგეს სასამართლოს წინაშე და მთელი სიმკაცრით აგოს პასუხი, მადლობა ყურადღებისთვის".**

– ეს არის ელენე სარიშვილის განცხადებიდან ამონარიდი.

მომხდარიდან რამდენიმე დღეში კი ცნობილი გახდა, რომ ტაქსის მძღოლი, რომელიც მგზავრ ქალბატონს თავს დაესხა, დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია ისევ ელენე სარიშვილმა გაავრცელა და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული მოძალადე ტაქსისტი შესაბამის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემოდა.

სულ ორიოდე დღის წინ კი ელენემ დამირეკა და მითხრა, რომ ამბის რეზონანსულობის მიუხედავად, მომხდარი, ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა და მოძალადე ტაქსის მძღოლი დღესდღეობით ისევ გარეთ დადის...

**ელენე სარიშვილი:**

– თავიდან, როდესაც ეს ამბავი გავასაჯაროე და დიდი რეზონანსი მოჰყვა, ეტყობა, ამაზე აფუცხუნდნენ მაშინ. ფაქტობრივად, ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნახეს ის კაცი, რადგან ერთმა პიროვნებამ მომწერა მაშინ – მასეთი აღნაგობისა და მონაცემების აგრესიული მამაკაცი რომელიღაც ტაქსოპარკთან თანამშრომლობსო, რაც მე შემდეგ გამოძიებას ვუთხარი. დაზარალებული ახალგაზრდა ქალბატონი იმ ღამეს დააფიქსირა დიდუბეში რომელიღაც კამერამ, მგონი, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურზე იყო მიმაგრებული და ამ ქალს ეუბნებოდნენ, დროში დიდი სხვაობაა, რად უნდა ორი საათი წერეთლიდან დიდ დიღმამდე მისვლას, სად იყავითო? ალბათ, ფიქრობდნენ, ეს ქალი და ტაქსის მძღოლი სადღაც წავიდნენ, ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ და ფულზე ვერ შეთანხმდნენო, მაგრამ, დავუშვათ, სულ რომ მასეც ყოფილიყო, ასე უნდა ეცემა ქალი? კარგი, დავუშვათ ერთი წამით, რომ მართლაც რამეზე ვერ შეთანხმდნენ, ქალს უნდა გამოეკიდო, გალახო, აგინო და ტელეფონი წაართვა? მაინცდამაინც კვირიკაშვილის ან რომელიმე მინისტრის ნათესავი უნდა იყოს ადამიანი, რომ საქმე ნორმალურად წარიმართოს? გამოდის, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი დაცული არ ხარ!

**— მოდით, შეძლებისდაგვარად დეტალურად მომიყევით: რა მოხდა იმ ღამეს?**

– ის ახალგაზრდა ქალი თავისი ახლობლის ოჯახში იყო, ბავშვობიდან რომ ერთად მოდიან, ისეთ ოჯახში. მონასტერში დადის ხოლმე ძალიან ხშირად, ალკვეცილი არ არის, მაგრამ იქ მსახურობს, თან ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონდა, ახლაც აქვს და ამიტომ ახლობლის ოჯახში სულ ცოტა დალია, ბევრის დალევა არც შეიძლება მისთვის და არც სვამს. გვიან მოუწია იქიდან გამოსვლა. მე კი ვუთხარი, დამირეკე, როცა წამოხვალ და მანქანით გამოგივლი-მეთქი, მაგრამ არ მინდა, გამომაცილებენ ესენიო, მითხრა (სხვათა შორის, არც იმ ოჯახიდან მოხდა ვინმეს დაკითხვა). მოკლედ, სადღაც ღამის 2-ის ნახევრისკენ წამოსულა იქიდან, გაუჩერებია ის ტაქსი და წინ დამჯდარა. ცოტა გულახდილი ტანსაცმელი რომ სცმოდა – დეკოლტე, ან მოკლე კაბა, კიდევ იტყოდი, გამომწვევად იყოო, მაგრამ ზამთარი იყო, სულ ჩაფუთნულად ეცვა. ღვედი გადაუკრავს და შეთანხმებულან მგზავრობის თანხაზე და მას მერე ჩუმად მჯდარა. ცალი თვალი რომ არ ჰქონდა, ისიც მერე შევამჩნიეო, მითხრა. იმდენად არანაირი კონტაქტი და საუბარი არ ჰქონიათ. დილომში, „გუდვილის" წინ გაუჩერებია იმ ტაქსისტს მანქანა, რაც იქვე კამერამაც დააფიქსირა, მაგრამ ის კამერა უფრო მეტად შიდა პერიმეტრს აფიქსირებს, ანუ გარეთა ტერიტორია ბუნდოვნად ჩანს. სხვათა შორის, ის მანქანა, რომლითაც ტაქსაობდა, ნაქირავები ჰყოლია, თავისი არ ყოფილა... ერთი სიტყვით, როცა მანქანა გაუჩერებია, დაუწყია ქალისთვის ხელების ფათური, – შენ ახლა ცუდად ხარ და ჩემი დაწყნარება გინდაო... ეტყობა, რომ შეატყო ამ ქალს, ნასვამი იყო, ამან გაათამამა და იფიქრა, შეიძლება რაღაც გამომივიდეს ამასთანო. ამ ყველაფრის გამო, ქალს ხელი უკრავს, ღვედი მოუხსნია, მანქანიდან გადმოსულა და წამოსულა, მაგრამ ის გამოჰკიდებია, უკნიდან დაურტყამს მისთვის და ქალი ძირს დაცემულა, მაგრამ ტაქსისტი ძირს დაცემულსაც ურტყამდა. ამ დროს ერთი აზრი მიტრიალებდა თავში – ნაოპერაციევი ადგილები ხელებით დამეფარაო, თან ვყვიროდი, რა გინდა, რისთვის მკლავო... ამ მომენტში შემთხვევით გაუვლია იქ მანქანას (და ნეტა ვიცოდე, ვინ არის!) და დაუძახია, – მასე მოგიხდებაო... აი, ეს მოხდა და იმ ტაქსისტმა ჩვენებაში რა დაწერა, ეგ არ ვიცი, ცემის მიზეზი მომცაო, ასე უთქვამს.

**— უცხო ქალი ასე რა მიზეზით უნდა სცემო, რა უბედურებაა?**

– აი, შენ ეგ თქვი... მერე ამ კაცს აუტეხავს გინება, რა დროსაც ნაცემ ქალს ტელეფონი ამოუღია, პატრულში უნდოდა დარეკვა და წაართვა ის ტელეფონი. ეს, ფაქტობრივად, ყაჩაღობაა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამის გამო სხვა მუხლის დამატებაც არ მოგვითხოვია, მაგრამ აწი ამასაც მოვითხოვთ, რახან ასეა საქმე! ცალკე თავისმა დედამო სთხოვა ჩემს ახლობელს, – არ გინდა, არ გაართულო საქმეო და მოკლედ, ზედმეტად აღარ ჩავყევით. რეალურად კი, სამი სხვადასხვა მუხლია – სექსუალური ძალადობის მცდელობა, ყაჩაღობა და ცემა. როდესაც მე ეს ყველაფერი მითხრა ჩემმა ახლობელმა, მაშინვე დავრეკე 112-ში, პატრული არ მოუშვეს და კრიმინალური სამსახურის სამი მანქანა მოვიდა, იმდენი შემოლაგდნენ სახლში, გამიკვირდა. დაიწყეს უცნაური კითხვების დასმა – რატომ დაჯექი წინო, რატომ იყავი ნასვამიო, ეკითხებოდნენ ქალს...

**— ესე იგი, გამოდის, ველარც ორი ჭიქა დაგილევია ადამიანს და ველარც ტაქსში დამჯდარხარ...**

– შენ რომ ნასვამი არ ყოფილიყავი და წინ არ დამჯდარიყავი, არაფერიც არ მოხდებოდაო, წარმოგიდგენიათ? ვერ გავიგე, ვის რა უფლება აქვს, ჩემი ნების საწინააღმ-

დეგოდ ჩემთან სექსუალური კავშირის დამყარება სცადოს? რომელი საუკუნეა? ამ კრიმინალური სამსახურის შემდეგ გამომძიებელი მოვიდა. ნაცემ ქალს მანქანის სერია არა, მაგრამ ციფრები ახსოვდა, ფურგუნიანი „მერსედესი“ ყოფილა, მაგრამ ამას ფურგუნიანი „ოპელი“ ეგონა, სიბნელეში ვერ გაარჩია წესიერად მარკა. სერია რატომ არ დაიმახსოვრეო და მანქანა საით წავიდაო? – გამომძიებელი ეუბნებოდა მერე... იმ ღამეს სხვა ტაქსის მძღოლს, თეთრი ფერის მანქანა ჰყავდა, დაუნახავს ასეთ მდგომარეობაში ქალი, ჩაუსვამს თავისთან, დაუწყნარებია და იმას მიუყვანია სახლში ასეთ დღეში. სხვათა შორის, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: დიდუბეში რომ დააფიქსირა კამერამ ჩემი ახლობელი და შემდეგ რომ უკვე „გუდვილის“ კამერამ, შუალედი სულ 20 წუთი აღმოჩნდა და არა ორი ვოკატმა გვირჩია, – მიდით დილმის სამმართველოში, მოძებნეთ ჩამონათვალში და გეტყვიან, ამა და ამ პიროვნების ამა და ამ მუხლით აღძრული საქმე რომელ პროკურორს აწერიაო და ასე მოვძებნეთ პროკურორი.

— **ექსპერტიზა თუ ჩაუტარდა ქალს?**

– აი, ეს ფოტო ნახეთ (მაჩვენებს ნაცემი ქალის ფოტოს. – ნ.ლ.)... ტვინის შერყევა ჰქონდა, ახლობელი გვყავს ნევროლოგი და იმას მივმართეთ, ანუ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან ამის საბუთიც არ გვაქვს. თავზე კი გადაუღეს, მაგრამ სხვა არაფერი, მხოლოდ ზედაპირულად შეხედეს ასე გამოდის. ეს ქალი რომელ მონასტერშიცაა, იქ დედაომ თავისი თანხებით უყიდა წამლები და თვე-ნახევარი სახლში იწვა ტვინის შერყევით, თავბრუსხვევები ჰქონდა და ვერ დგებოდა. სამხარაულში

## მოძალადე მძღოლი

შეუძლია, თუკი მის საფასურად ასევე რაღაც გარკვეულ თანხას გადაიხდის... ანუ რა გამოვიდა ახლა: სასამართლო პროცესი ჩატარდა დაზარალებულის გარეშე, დაზარალებული დარჩა შეურაცხყოფილად, გალახულად, ნაცემად და ვიღაცამ, სავარაუდოდ, ამ ყველაფრით ისარგებლა – არ ვიცი, პროკურორმა აიღო ფული, მოსამართლემ თუ ვინ, მაგრამ ფაქტია, დაზარალებულისთვის არც კი შეუტყობინებიათ, რომ სასამართლო პროცესი ტარდებოდა! ჩვენ თავად რომ არ გვეაქტიურა და არ გაგვეგო ეს ყველაფერი, დღემდე ვიქნებოდით მოლოდინში და გაურკვევლობაში. არ უნდა შეეტყობინებინათ ეს ამბავი? პროცესზე დაზარალებული და მე კი არა, დედაო, მამაოები და მორჩილებიც

# დაუსჯელად გაუშვეს სახლში, მე ყველას გავაფრთხილებ, მოერიდონ!“

**„ქალს ხელი უკრავს, ღვედი მოუხსნია, მანქანიდან გადმოსულა და წამოსულა, მაგრამ ის გამოჰკიდებია, უკნიდან დაურტყამს მისთვის და ქალი ძირს დაცემულა, მაგრამ ტაქსისტი ძირს დაცემულსაც ურტყამდა“**




საათი, როგორც ამას თავიდან ამბობდნენ. როდესაც ამოცნობაზე იყვნენ, სამი კაცი ჰყავდათ მოყვანილი და ამ ქალმა პირდაპირ დაადო მას ხელი.

— **ძალადობის მსხვერპლ ქალბატონს დაზარალებულის სტატუსი, ალბათ, ოფიციალურად აქვს, ხომ?**

– ვინ იცის ეგ? ჩვენთვის არავის არაფერი უცნობებია მაგაზეც კი. ამოცნობა რომ ჩატარდა, იმ კაცსაც ულიარებია, რაღაც ჩვენება დაუწერია, მაგრამ გამომძიებელმა არ გვითხრა, რა ეწერა მის ჩვენებაში. ჩემს დას ხელი აქვს მოწერილი, რომ ამოცნობა არის ჩატარებული. საერთოდ, ქალი შეიძლება ვიღაცას გაეფლირტაოს, მაგრამ რატომ უნდა გაეფლირტაოს ნორმალური ქალი შუაღამისას ვიღაც ტაქსის ცალთვალა, მაპატიეთ და ძუნძგლიან მძღოლს? მოკლედ, ამოცნობის შემდეგ გვითხრეს, ახლა საქმე გადაეგზავნება პროკურატურასო, მერე რომელ პროკურორსაც დაეწერება ეს საქმე თავად დაგიკავშირდებათო (მისამართიც უწერიათ, ტელეფონიც და ა.შ). შენი ჭირიმე, თუ დაკავშირება უნდათ, რას არ მოგძებნიან? მით უმეტეს, საკონტაქტო ინფორმაციები ჰქონდათ. მას შემდეგ ერთი სამჯერ მე დავრეკე, სამჯერ იმ ქალმა და გამომძიებელი გვეუბნებოდა – დაიცადეთ, პროკურორი თვითონ დაგიკავშირდებათო. როგორ უნდა მოგვეძებნა ჩვენი პროკურორი? ხომ უნდა გაგვეგო, ვის ეწერა საქმე? არ ვიცი, რატომ მოხდა დროში გაწელვა, აბა, როგორ შეიძლება, გამომძიებელმა არ იცოდეს, ვინ მიამაგრეს მის გამოსაძიებელ საქმეზე? ადვოკატს რომ ველაპარაკეთ, ორდერისთვის 600 ლარი გვითხრეს, ცალკე კიდევ თანხა, რომ საქმეზე ეარა და ჩვენ ამდენი საშუალება არ გვაქვს. ადექსპერტიზა სრულყოფილად არ ჩატარდა, გაიხდიო? – ასე უკითხავთ ნაცემისთვის. აბა, რისთვის ვარ მოსულიო, ამას უპასუხია... ექსპერტიზაზე გამომძიებელი წაგვყვა, მაგრამ არც მე და არც ის შიგნით არ შეგვიშვეს. თავზე რომ გადაუღეს, იმაშიც ჩვენ გადავიხადეთ ფული – ისევ მონასტრიდან დაეხმარნენ. სამხარაულის დასკვნის ჩვენებაც არ გვაქვს წაკითხული, არ ვიცით, რა წერია შიგნით. ადვოკატმა მითხრა, – შეიძლება პროკურორმა მიიჩნიოს, რომ არც ღირდეს ეს საქმე სასამართლოზე გადასაცემადო და თავიდან ძიებაში გადაიგზავნოსო. თუ ეს ასე მოხდა, გამომძიებელს არ უნდა სცოდნოდა? რამდენჯერაც დავურეკეთ, – ყველაფერი იქ მაქვს გადაგზავნილი და მე არაფერი ვიციო, ამას იძახდა სულ.

— **საქმის პროკურორი ვინ არის?**

– ვინმე ნიკა სადრაძე, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურიდან, მოსამართლე კი გიორგი დარახველიძე იყო, როგორც ეს სულ ახლახან გავიგეთ, სასამართლო პროცესი კი წინა კვირაში ჩატარებულა თურმე... მოკლედ, ვრეკავდით ამ სადრაძის სამდივნოში, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა, ბოლოს როგორღაც ამ მდივანმა მოგვცა მისი ნომერი და თავად დაზარალებულმა ქალმა დაურეკა. უი, როგორ არა, ვიცი თქვენი საქმეო, უპასუხია, – სასამართლო ჩატარდა, იმ კაცმა აღიარა, რომ, რაც დაზარალებულმა დაწერა ყველაფერი სიმართლეაო, განჩინებაც გამოტანილია და ის კაციც დასჯილიაო... და დასჯილი რა არის, იცით? 125-ე მუხლით მიესაჯა მხოლოდ ფულადი ჯარიმა, თუ არ ვცდები 150 ლარის ოდენობით და რაღაც პერიოდი საზოგადოებრივი შრომა, რისგან თავის არიდებაც მას აპირებდნენ ჩამოსვლას, ყველამ იცის ეს ამბავი, რაც მოხდა. გაეგებინებინათ ჩვენთვის, გამოეგზავნათ ოფიციალური უწყება, როგორც წესი და რიგია და როგორ, არ მივიდოდით? ახლა მე მინდა, ამ საქმეს ისევ მიეცეს რეზონანსი, რადგან ასეთი წარმოუდგენელი გულგრილობა არაფრით არ შეიძლება! ელემენტარულად, ბოდიშიც კი არ მოიხადა იმ ტაქსის მძღოლმა და უკაცრავად და, აბსოლუტურად ყველამ ფეხზე დაიკიდა ეს საქმე! ავდგებით და გავასაჩივრებთ ამას და მოვითხოვთ სხვა მუხლების დამატებასაც, რასაც აქამდე არ ვაქცევდით ყურადღებას.

— **გამოდის, მოძალადე მამაკაცი დაუსჯელია, ისევ თავისუფლად გადაადგილდება თბილისის ქუჩებში და შესაძლოა, ისევ ტაქსაობდეს?**

– კი, ბატონო და ყველამ უნდა იცოდეს მისი ვინაობა! მე მისი სურათი ვერ მოვიძიე, მაგრამ მონაცემებს გეტყვით: მისი სახელი და გვარია კობა კაკულია, დაახლოებით 50-52 წლის, მარჯვენა თვალი არ აქვს, საშუალო სიმაღლისაა, ჩაფსკვნილი, ცოტა კეხიანი ცხვირით და შეთხელებული თმით, მაგრამ არც მელოტი არაა. მე რომ ახლა მაგის ფოტო მქონდეს, არ შევიკავებდი თავს და გავასაჯაროებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მაქვს... საერთოდ, ვერ გავიგე, დაზარალებულს თავისი სახელმწიფო არ უნდა იცავდეს? გამოძიება მიმდინარეობდა და არ გვინდოდა აჟიოტაჟის ატეხა, ხელი არ შევუშალოთო, ვფიქრობდით, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. მინდა, საზოგადოებამ გაიგოს, რაც მოხდა და იცოდეს, რომ მოძალადე ტაქსის მძღოლი თავისუფლად და დაუსჯელად დაიარება თბილისის ქუჩებში და კაცმა არ იცის, ვინ იქნება მისი შემდეგი მსხვერპლი...

## Facebook ამბები

facebook



კოკა ყანდიაშვილი „ბიბისის“ ჟურნალისტის მიერ მომზადებულ რეპორტაჟს – „სადილი მიცვალებულებთან“ ეხმაურება:

ჩემი რჩევა ქართველ თვითგვემია ქაჯებს და BBC-ის!

სხვის თვალში ბეწვის ძიებას ჯობია საკუთარ თვალში დირეს მიხედოთ!!!

მესმის თქვენი შოკის - ჩვენ ხომ გარდაცვლილი ოჯახის წევრების ფერფლს, ქილებით არ ვინახავთ სასადილოში.

ზედაპირული ექსკურსი.........

- საუდის არაბეთში - დემოკრატიამ, ერაყსა და ავღანეთში მშვიდობამ არ ჩაგაგდოთ შოკში?

- პუტინის ბარბაროსობამ საქართველოსა და უკრაინაში - არ გამოიწვია თქვენში პროტესტი?

- პირველი საკონცენტრაციო ბანაკები რომ შემქმენით, ჯერ კიდევ ანგლო-ბურების ომის დროს, და როგორც ეროვნული ღირებულება, მთელ მსოფლიოს რომ მოსდეთ - ამანაც არ შეატოკა თქვენში შოკის ძარღვი?

- რასაც დედამიწაზე, თქვენი პირსისხლიანი სამეფოს სახელით ჩადიოდით, ყაჩაღობდით, ძარცვავდით და ანადგურებდით ერებსა და სახელწიფოებს - ის არ გაგდებდათ შოკში?

- ბავშვთა მონური შრომის გამოყენებასა და მონა ბავშვების დეპორტაციის ისტორიაზე რას მეტყვით - რომელიც 1970 წლამდე გრძელდებოდა თქვენს ცხვირაბზუებულ სამშობლოში?

- სკოლებში, ბავშვების, საკუთარი შვილების ცემა, მხოლოდ 1999 წელს რომ გააუქმეთ, როგორც სასჯელის ფორმა - თქვენ ის ბრიტანელები არ ხართ?

- დილის პოლიციური ეკიპაჟებიდან დაწყებული, და თითქმის ყველა დამკრძალავი პროცესიით დამთავრებული, დღემდე რომ ცხენებს იყენებთ - ლონდონშიც კი, და ნეხვის ფერი (არომატზე აღარ ვიტყვი) რომაა ტემზა - ეგ როგორ ჯდება შოკუნიებში?

- ასეთ ჰუმანურ და ცხოველების მოყვარულ ხალხს, არც მელიებზე ნაციონალური ნადირობა არ გაღელვებთ?

- სულ დამავიწყდა, არაკასტრირებული, ფსლის სუნით გაჟღენთილი ღორის ხორცის ჭამაც (შემწვარი ბეკონი საუზმეზე) - არ გაგდებთ შოკში?

- არც მატლების ამოთხრის ეროვნული დღე?

- არც ეკლესიების - დისკოთეკებად, რესტორნებად, სასტუმროებად გადაქცევა იწვევს თქვენში შოკს - ხომ ასეა?

- არც აქ სადილი და ჭამა, არ გაგდებთ შოკში - არაა?

- და არც ნათესავებს დავდევთ - ოჯახის შესაქმნელად.

ხოდა ამიტომ გეტყვით, ჩვენ - ისევე როგორც თქვენ და მსოფლიოს სხვა ხალხებს, საკმარისი გვაქვს უც-



ნაური ტრადიციები, ადათ-წესები. ჩამობრძანდით, ისიამოვნეთ ჩვენი ხალხის სტუმარ-მასპინძლობით, დატკბით საქართველოთი, დახარჯეთ ფული და დაგვანებეთ ჩვენი მკვდრები. აი ასეთები ვართ ქართველები - როგორებიც ვართ. ასეთი ტრადიცია გვაქვს ჩვენი მიცვალებულების პატივსაცემად. და ის დღე დაიქცეს, აღდგომას საფლავზე რომ არ გავა ქართველი კაცი და ჭიქას არ წაუქცევს!!! ასეც არ გადავგვარდებით!

და ბოლოს;

- მეგობრებო - სიუჟეტის ავროტი, არაფერს ცუდს არ ამბობს ჩვენზე. ის უბრალოდ, სრულიად ვერ ერკვევა ან მარხვა რა არის, ან რატომ ვმარხულობთ, ან რას ნიშნავს სული წმინდა და საერთოდ ისე შორსაა რელიგიისგან - როგორს მთლიანად ბრიტანეთი. რა თქმა უნდა - ჩვენც ვიცით ხოლმე გადამლაშება, და მავანნი, აღდგომას საფლავის მონახულებისა და სანთელის ანთებას, ღრეობად აქცევს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთელი საქართველო - ქეიფობს მკვდრებთან ერთად.



ჩვენ პატივს მივაგებთ ჩვენი მიცვალებულების ხსოვნას. ასე იყო ეს ყოველთვის და ასე იქნება მუდამ. პაპაჩემი და ბებიაჩემი მეუბნეოდნენ ბავშვობაში - ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, აღდგომას ამოხვალ ჩვენს საფლავზე, თითო ჭიქას წაუქცევ შენს ოჯახთან და ძმაკაცებთან ერთად და ჩვენ სულებს ნათელი მოეფინებაო... რამდენი ლეგენდაა იმაზე, რომ საფლავს რომ არ მოინახულებ, როგორი მარტო, მოწყენილი და მიტოვებული რჩება შენი გარდაცვლილი ახლობელის სული, რომელიც ხედავს, რომ სხვები ახსოვთ - ეს კი დაავიწყდათ.

პ.ს. ბევრი სიკეთეც მოგიტანიათ კაცობრიობისათვის - ინგლისელებო, მაგრამ თავს ნუ გამოიდებთ ძაან გთხოვთ - ჩვენთან მითუმეტეს! ნუ დაგავიწყდებათ - ჩვენ პირველი ევროპელები ვართ!

პ.პ.ს. - ახლა გინდა რეტროგრადი მეძახეთ და გინდა ბნელი. ასეთი ქართველი ვარ - მე!

## facebook



**მეგი გოცირიძე:**

როლანდ ახალაია დაიჭირეთ, ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით!

გიორგი სიბაშვილს 5 საქმეზე ბრალს სდებდით, 27 -ჯერ პროკურორი არ გამოცხადდა... ბოლოს ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით!

დამენია დაიჭირეთ, ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით !

გილაური დაიჭირეთ, ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით !

გვარამია დაიჭირეთ (მისმა აიქიუმ სსამართლო არ დააკმაყოფილა ), ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით !

გუნავას წამალი და იარალი ჩაუდეთ, მერე ისევ ამოუღეთ, ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით !!!

გენშტაბის უფროსი მუხანათურდ დააპატიმრეთ, ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით!

მერიის თანამშრომლები დაიჭირეთ, წინ და უკან ატარეთ, აპატურაი გააოცეთ.. ბოდიში მოუხადეთ და გამოუშვით !

ათასობით მერიის თანმშრომელი ატარეთ დაკითხვებზე, აიძულებდით გიგის წინააღმდეგ ჩვენება მოეცათ, ბოდიშიც არ მოგიხდიათ!

ჟვანიას სახელი ტალახში ამოსვარეთ და

ერთადერთი მოწმე, რომელსაც აიძულებდით ეღიარებინა ის რაც არ ყოფილა...... ექსპერტი ჩაჩუა ციხეში გყავდათ გამოკეტილი და მისი სიკვდილი გინდოდათ (ქიმიოთერაპიის კურსს ციხეში იტარებდა , უმძიმესი ონკოლოგიური ავადმყოფი), ბოდიში მოუხადეთ ან არც მოუხადეთ და გამოუშვით!

პროკურატურის ერთადერთი მოწმე თათუხაშვილი მოკალით, კორტავა მოკალით ..........აქ აღარ გავაგრძელებ !!!

ციხეში 1000 კაცი შიმშილობდა აი ისინი, "მევიდნენ ჩვენებიო" გისოსებიდან რომ გვამცნეს და ვითომც არაფერი..

რაფალიანცით დაიწყეთ შეკვეთილი მკვლელობები და ჯერჯერობით წარმატებით აგრძელებთ......

რაფალიანცის მკვლელი მინისტრის მოადგილეა, ან მკვლელის მფარველი !!!

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე (საკუთარი შვილის), დაჩი დარჩიას მკვლელის მფარველია!

ბაჩო ჩამოვიდა და დამიმტკიცეთ, სისხლის მსმელი, რომ ვარო ,სასამართლოების ნაცვლად ბოტანიკის გაკვეთილებს უტარებდით......

.............................................მგონი 12 საქმეზე ბრალი წაუყენეთ და 11—ზე თქვენვე გაამართლეთ !!!

გორამდე არიან რუსები უკვე და ზაქარეიშვილის განცხადებით 300—მეტრის გულისთვის ომს ხომ არ დავიწყებთ რუსეთთანო !!!

მერია კორუფციაში იხრჩობა !

ივანიშვილმა, ომი საქართველომ დაიწყოო !

ხიდაშელმა, ვერანაირ ომს ვერ მოიგებს საქართველო და გაწვევაც არ არის საჭიროო.....

ასე გააგრძელეთ მეგობრებო და თქვენი გაწვევაც კარზეა მომდგარი, ყველა გამოცდაში ჩაჭრილები ხართ , დასხედით ორიანი!



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

# მიხეილ მაჭავარიანი: „რეები მოიგონა, რეები მოჩმახა?! წარსულია უკვე ჩემთვის ვაშაძე და ეგ კაცი არის ჩემთვის ცრუპენტელა, მატყუარა ადამიანი!"

## „სიის ათეულში არ იქნება არც ერთი მოქმედი პარლამენტის წევრი, ბაქრაძის გარდა"

**კვირის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი „ნაციონალური მოძრაობიდან" გიორგი ვაშაძის წასვლა გახდა. პარლამენტარმა ჯერ იყო და სულ კაბინეტური მმართველები, კარჩაკეტილები და უიდეოები ეძახა ყოფილ თანაგუნდელებს, მერე „ნაცები" სააკაშვილის „ჩაჩოჩებაშიც" დაადანაშაულა დავით ბაქრაძის მეთაურობით, მის რეიტინგსაც ყალბი უწოდა და ახალი მოძრაობის შექმნა დააანონსა. „ნაციონალურმა მოძრაობამ" პარტიის განხეთქილებაშიც ივანიშვილის ინტერესები და ფული დაინახა, ვაშაძეს კი სიაში მოხვედრაზე დახამებულისა და მოღალატის იარლიყი მიაკრა. „ალია" ძირძველ „ნაციონალს" მიხეილ მაჭავარიანს ესაუბრა.**

**— გიორგი ვაშაძის წასვლასთან დაკავშირებით ორი მიზეზი დაასახელა თქვენმა პოლიტიკურმა გუნდმა.**

სწორედ განახლების საორგანიზაციო საკითხებში მდივანი და რეალურად არაფერი გაუკეთებია, მას არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონდა შექმნილი, სადაც საკმაოდ დიდი თანხები იყო მობილიზებული. მე როგორც ვიცი, პარტიის ლიდერები, იგივე აღმასრულებელი მდივანი რატიანი, იგივე თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე მელია, სთავაზობდნენ მას ამ ხალხის ინტეგრირებას პარტიაში. კონკრეტულად მელია სთავაზობდა, რომ მთლიანად ეს გუნდი გადასულიყო თბილისის ორგანიზაციაში და აღმასრულებელ, მმართველობით რგოლშიც მიეღოთ მონაწილეობა. იგივე ბანაკებს რომ აკეთებდა, მაშინ იყო საუბარი, რომ ეს ბანაკები კი არ ყოფილიყო უბრალოდ საზაფხულო ბანაკები, არამედ გამოეყენებინა პარტიას სურვილი არ მაქვს და ვერც საჭიროებას ვხედავ, ჩვენ იმ პრობლემებზე უნდა ვისაუბროთ, რაც ახლა მოსახლეობას აწუხებს. ვაშაძის ყოველი სიტყვის კომენტირებას არ ვაპირებ, რაც ვთქვი, ესეც ზედმეტი იყო, მე თუ მკითხავთ.

**— რაც შეეხება სიას, ბევრ ბობოლა ნაციონალზეც ითქვა უკვე, რომ სიის ათეულში ვერ მოხვდებიან, იგივე გოკა გაბაშვილი, ნუგზარ წიკლაური და ა.შ...**

– სიის ათეულში არ იქნება არც ერთი მოქმედი პარლამენტის წევრი, ბაქრაძის გარდა.

**— თქვენც არ იქნებით?**

– ვერა, არა!

**— გასაგებია თქვენი პოზიცია ვაშაძესთან მიმართებაში, მაგრამ ამავე მიზეზით დატოვა გუნდი ანდრო ბარნოვმა, კიდევ უფრო ადრე გამოგეყვნენ „გირჩები", ყველას ეჩვენება ჩაკეტილად და დაპაუზებულად პარტიის განვითარება? და ყველა ივანიშვილის გადაბირებულია?**

– ბარნოვი არასოდეს არ ყოფილა ჩართული პარტიის საქმიანობაში, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას. თან პარტიაში ცხოვრება სულ სხვა რამეა... ჩვენ ვიყავით ზურაბ ჟვანიას გუნდში, დღემდე მოვდივართ ეს ხალხი. ანდრო ბარნოვი საერთოდ აქციებში იყო ერთ დროს ჩართული, კარვების პერიოდში. ჩვენთან ბარნოვი დადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აკადემიის რექტორად დაინიშნა. ვაშაძეც ბიუროკრატი იყო, იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო და მხოლოდ მას შემდეგ მოვიდა ჩვენთან, რაც კენჭი იყარა. პარტიამ ძალიან ბევრი დრო და რესურსი დახარჯა ამ ადამიანის პრომოუშენისთვის, ისევე როგორც ზურა ჯაფარიძის პრომოუშენისთვის. ამიტომ ბარნოვზე საერთოდ ვერ მივიღებ ამ კითხვას, მას რა უნდოდა, არ ვიცი... „გირჩები" უფრო სპეციფიკური თემაა, როგორც ჩანს, უფრო დიდხანს მწიფდებოდა ეს თემა, მე შეხედულება გამოვთქვი „გირჩებზე". 21 წელია პოლიტიკაში ვარ და ძალიან კარგად ვიცი, ვინ რაში დებს ფულს, ის, რომ დღეს მწვანე აქვს „გირჩებს" თანხების თვალსაზრისით გახსნილი, ჩემთვის ძალიან ბევრის მანიშნებელია. მე კარგად ვიცი, დღეს როგორ აკონტროლებენ ყველა ბიზნესმენს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" არ დაეხმარონ. ბიზნესში თუ ვინმეს რამის ცვლილება უნდა და ბევრს უნდა, უნდა რომ ინვესტიცია განახორციელოს ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიაში. მოსწონთ თუ არა, დღეს ჩვენ ვართ ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია. ვინც აფინანსებს „გირჩს", მე ხომ ვიცი, არა? ვენერი გვენეტაძე იყო ერთ-ერთი, ვინც „ნაციონალური მოძრაობისთვის" „მაიკებსა" და კედებს გვიკერავდა. ხომ ვიცი, რამხელა ბრუნვა აქვს და რა გაქანება ამ ადამიანს და შეუძლია თუ არა, რომ ამ პარტიას დაეხმაროს. ამაზე მეტს არ ვიტყვი.

**— ვაშაძის პოზიციაზე სხვებიც დგანან „ნაცმოძრაობაში"? უკრაინაში ბევრი მათგანია წასული და ხომ არ აპირებენ, თუ იცით, ისინიც პარტიის დატოვებას?**

– მე ერთი რამე ვიცი, გუნდში სხვადასხვა დამოკიდებულება იყო ამ ხალხის მიმართ, ბოლო სუბიექტზე, ვისზეც იყო საუბარი, მას ჰყავდა



**„ჩვენს მხარდამჭერებს სჭირდებათ განცდა, რომ ჩვენ ვისწავლეთ ჩვენს შეცდომებზე, არ გავიმეორებთ. ამიტომ საჭიროა ახალი ადამიანები, გამოცდილება აქვთ, მაგრამ არ დაუშვებენ რაიმე შეცდომას"**



**ერთი ის, რომ სიის ათეულში ვერ მოხვდა. მეორე — ივანიშვილის სცენარი. ვაშაძე კი სწორედ ივანიშვილს ასახელებს ქვეყნის მთავარ საფრთხედ...**

– რაც შეეხება პირველ ფაქტორს, იმას, რომ ვაშაძე სიის ათეულში ვერ მოხვდა – დაახლოებით 2 წელია, სულ ცდილობდა, ადგილი დაემკვიდრებინა, ოღონდ არა იმ თამაშის წესებით რომელიც არსებობს. გაიხსენეთ თბილისში მერობის კანდიდატის პრაიმერისი. მან უარი თქვა პრაიმერისზე, ვინაიდან წაგების შეეშინდა. გაიხსენეთ მისი მონაწილეობა პარტიის აღმასრულებელი მდივნის არჩევაში. მოკლედ, არანაირი გარანტირებული ადგილი არც ვაშაძეს და არც მაჭავარიანს სიაში არ აქვთ. ახლა დგება სია, ჩვენ მარტო იმ ადამიანებზე შევთანხმდით, რომელთაც აქვთ გამოცდილება, მაგრამ პოლიტიკისთვის ახლები არიან და ამიტომ ესეც ტყუილი ბრალდებაა, რომ მას ჰქონდა გარანტირებული ადგილი სიაში. ისიც ტყუილია, რაც ბატონმა ვაშაძემ თქვა, არანაირი პარტიის განახლების გეგმა მას არ მოუტანია, არსად არ განხილულა ეს ყველაფერი, ამიტომ, როცა ის საუბრობს ტყუილებით, რა უნდა ვუპასუხო?! რაც შეეხება ივანიშვილს, მისი კრიტიკა ახალი არ არის, მაგრამ ვაშაძის ქცევა, გამოეყოს „ნაციონალურ მოძრაობას" და მუდმივად აკრიტიკოს ყოფილი გუნდი, ამით ზიანი მიაყენოს, ეს არის სწორედ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ეჭვები, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და მოგვიანებით დავასახელებთ. იმიტომ რომ ის იყო თავის კონკრეტული ტრენინგებისთვის, ეს ადამიანი მუდმივად იკავებდა თავს. მის დასახელებას ათეულში არავინ აპირებდა, ვინაიდან, ფაქტობრივად, ბოლო 4 თვის განმავლობაში ის პარტიაში სულ 15-ჯერ თუ იქნება ნამყოფი. უკრაინაში იყო ძირითადად, ჩამოდიოდა საპარლამენტო კვირაში ძირითადად და თუ თბილისში იყო, მიდიოდა თავის არასამთავრობოში.

**— „ნაციონალურ მოძრაობაში" დახურულ კაბინეტურ მმართველობაზეც ისაუბრა...**

– რა დახურული კაბინეტური მმართველობა, ჩემო კარგო, კარგით რა, 2012 წლამდე ვაშაძე, თქვენი პარტიაო, გვეძახდა. მე 2001 წელს დავტოვე მინისტრის პოსტი, ვინაიდან მიმაჩნდა, რომ იყო კორუფცია შევარდნაძის მთავრობაში, 2013 წელს პარტიის გენერალური მდივნობა დავუთმე ვანო მერაბიშვილს და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გავიწიე და ვთქვი, რომ ახალი ხალხი უნდა მოვიდეს პარტიის მმართველობაში. რა კაბინეტური მმართველობა? რეები მოიგონა, რეები მოჩმახა?!

**— სააკაშვილთან დაკავშირებითაც იცრუა? როცა თქვა, რომ დავით ბაქრაძის მეთაურობით, პარტია მის პოლიტიკურ ჩაჩოჩებას გეგმავს და „ნაციონალებს" მისი საქართველოში დაბრუნება არ უნდათ?**

– ისევ გიმეორებთ, წარსულია უკვე ჩემთვის ვაშაძე და ეგ კაცი არის ჩემთვის ცრუპენტელა, მატყუარა ადამიანი და მე ვერ გამოვიტან ჩვენს შიდა სამზარეულოს გარეთ, არც რაღაცა ჯგუფი, რომელიც სულ ცდილობდნენ, რომ გაემართლებინათ, როცა ჩვენ ვამბობდით, რომ რატომ არ მოდის, რატომ არ გვთავაზობს იდეებს, რატომ არ არის ჩართული პარტიაში და ა.შ. რა კაბინეტური მმართველობა, მოდი, ერთი ნახეთ, სად არის კაბინეტური მმართველობა. არის რაღაცა ჯგუფები, მაგრამ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არავინ იღებს. უნდა ნახოთ ხოლმე, განხილვის დროს რა ხდება სხვადასხვა საკითხზე, რამხელა მსჯელობა მიდის. პარტია ცოცხალი ორგანიზმია და სჭირდება დისკუსია, ხალხთან ურთიერთობა, მხარდამჭერებთან. პარტია მაჭავარიანმა და ვაშაძემ, ბაქრაძემ და მელიამ კი არ გადაარჩინეს, ხალხმა გადაარჩინა. ეს ხალხის პარტია, მათ გარეშე ნული ვართ. ამიტომ პარტიული სია, ჩვენი აზრით, უნდა შეესაბამებოდეს: ა) ჩვენს მხარდამჭერებს სჭირდებათ განცდა, რომ ჩვენ ვისწავლეთ ჩვენს შეცდომებზე, არ გავიმეორებთ. ამიტომ საჭიროა ახალი ადამიანები, გამოცდილება აქვთ, მაგრამ არ დაუშვებენ რაიმე შეცდომას და ბ) რომ იყოს რაღაცა განგრძობითობა, პარტიული სტრუქტურის.

**— რამდენიმე ახალი გვარი გაჟღერდა, მათ შორის სანდრა რულოვსი, ვერ გვეტყვით მათ გვარებს დადასტურებულად?**

– ვერც სანდრა რულოვსს დაგიდასტურებთ ჯერ და ვერც უარვყოფ. ზოგიერთს, ალბათ, შეეშინდა, რომ ვერ აღმოაჩენდა სიაში თავს და განაწყენდა და გაქცევა არჩია.

# ქალის მკვლელობაზე იქნება მაქსიმუმი 14 წელი, ხოლო კაცის მკვლელობაზე — 12 წელი, ანუ ქალის სიცოცხლე უფრო ძვირი ელირება, ვიდრე კაცის!





**„ქართული ოცნების“ დეპუტატი გედევან ფოფხაძე კი, ბოდიში მომითხოვია და, ატრაკებს და უხარია**



ლევან ლომიძე

ორი თამარი, ორივე „რესპუბლიკელი“ და ორივე მაქინაციებით გადეპუტატებული უკვე მაგრად ჭედავს! ესე იგი, ნაძალადევის მაჟორიტარ კორძაიას და საგარეჯოს მაჟორიტარ ხიდაშელს პარლამენტში ახალი კანონპროექტი კი შეუგდიათ ტრაგიკულ თემაზე, მაგრამ სინამდვილეში კომედიაა. ფემიციდი – გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 11-დან 14 წლამდე. თუ იგივე ქმედება ჩადენილია ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად, სასჯელი იქნება თავისუფლების აღკვეთა ვადით 13-დან 17 წლამდე. როგორც დეპუტატები განმარტავენ, 2015 წელს ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება 26 საქმეზე დაწყებულა, ხოლო 2014 წელს საქართველოში მოუკლავთ 33 ქალი. დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად (სისხლის სამართლის კოდექსი – 109 მუხლი), სასამართლო მსჯელობს განზრახ მკვლელობაზე (დამამძიმებელ გარემოებაში) და დამნაშავეს უსჯის 11-დან 12 წლამდე, არა აქვს მნიშვნელობა, მსხვერპლი ქალია თუ კაცი. თუ ორი თამარის ინიციატივას პარლამენტი გაიზიარებს, მაშინ ქალის მკვლელობაზე იქნება მაქსიმუმი 14 წელი, ხოლო კაცის მკვლელობაზე – 12 წელი, ანუ ქალის სიცოცხლე უფრო ძვირი ელირება, ვიდრე კაცის. ცოტა ხნის წინ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ ჩაუტარებია კვლევა და დაუდგენია, რომ ქალთა მკვლელობები უმეტესწილად ყოფით მოტივებს უკავშირდება და სასამართლო არ ითვალისწინებს გენდერულ ხედვას, ფემიციდი განიხილება, როგორც ქალებზე ძალადობის იზოლირებული შემთხვევა და არ ხდება დანაშაულის ანალიზი გენდერული ძალადობის, ანუ ქალთა დისკრიმინაციის ზოგად კონტექსტში. კი, ბატონო, დავუშვათ, კანონში ჩავწერეთ, რომ ქალის მკვლელს უნდა მიესაჯოს 14 წელი, მაშინ რა ვუყოთ კაცის მკვლელს? იქნებ გენდერული მოტივით კაცი იჩაგრება, რა, ცოტაა საქართველოში მამრი, ვისაც ცოლი ან სიდედრი ჩაგრავს და სულს ხდის?

**ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მკვლელობა მკვლელობაა, ქალიც ადამიანია და კაციც, სასამართლომ უნდა გაიზიაროს მოტივი და ამის მიხედვით გამოიტანოს განაჩენი, არავითარი უპირატესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი აღარ იქნება ყველასთვის ერთი!**

მძიმე თემით დავიწყე, ახლა კი სასიხარულო ამბავი: ირაკლი შიხიაშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს და არ გამორიცხავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში კენჭი დამოუკიდებელ მაჟორიტარად იყაროს: „მე მაქვს პოლიტიკური გეგმები, როდესაც საარჩევნო პერიოდი დაიწყებს ათვლას, უფრო მეტ დეტალზე მაშინ ვისაუბრებ. საერთოდ, თუ ხელისუფლებასთან არ ხარ, აუცილებლად ოპონენტი ხარ? მიმაჩნია, რომ ხელისუფლების კრიტიკა ჩემი თვითმიზანი არასდროს არ იქნება. ჩემი მიზანი იქნება, ვაკეთო საქმე. მე მყავს გუნდი, რომელიც არჩევნებზე იქნება ჩემს გვერდით. საუბარი მექნება ყველასთან“.

**რა იყო, არ გაგიხარდათ? რაო, ჯოჯოხეთს ერთი მაშხალალა აკლდა?! არა, ხალხო, დასკვნების გაკეთებას ნუ ჩქარობთ... შიხიაშვილი პატიოსნების განსახიერებაა — აბა, თქვენ გინახავთ თანამდებობის პირი, რომელიც პრემიას კურთხევის გარეშე არ იღებს? არ გინახავთ და ვერც ნახავთ, ასეთი მხოლოდ ეს ადამიანია — მის მიერ აღებული ყველა პრემია, სარგო თუ დანამატი გახლავთ ნაკურთხი! განა ეს ცოტაა? განა ამის დაუნახაობა შეიძლება? გარდა ამისა, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ირაკლი შიხიაშვილს ძალიან მძიმე წარსული აქვს: სანამ ბიძინა შემოაბიჯებდა პოლიტიკაში, იყო „ნაციონალებში“ (მარტო ამისთვის ეკუთვნის ყოველდღიურად 1 ლიტრა რძე, 1 კილო ყველი და 3 ცალი იხვის ტოლმა), თბილისის საკრებულოში მწყემსავდა მიშა სააკაშვილის „სასტავს“. 2012 წლიდან ჩვეული შემართებით აზიდა ზემოთ თავისი გადაწკეპილი წარბები და ისკუპა „ქართულ ოცნებაში“ იმ პირობით, რომ „ნაციონალების“ ბანაკს საკრებულოში დაშლიდა და გააპარტახებდა. ეგრეც მოიქცა, გააპარტახა და „ოცნების“ მეთაურიც გახდა. თქვენ არ იცით, როგორ იტანჯებოდა სულიერად, როცა „ნაცებიდან“ „ქოცებში“ გადადიოდა, ეს იყო, ფაქტობრივად, ხელახლა დაბადება და სხვათა შორის, ეს გადასვლაც გახლდათ ნაკურთხი! აი, ამის შემდეგ კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ღვაწლის დაფასება, ანუ ვეტერანების (ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტი) შეფად გამწესება და 20 მილიონი ნაკურთხი ლარის ხელში ჩაგდება. როგორც უკვე იცით, შიხიაშვილს ბევრი მომჩივანი გამოუჩნდა და გადააყენეს. ჯერ იძახდნენ, ამერიკაში გაიქცაო, თავშესაფარი მოითხოვაო, მერე თქვეს, ირაკლი ვაჟკაცია, გასაქცევი არაფერი სჭირსო და აჰა, ახლა კიდევ დეპუტატობა მინდაო. უნდა და რა ქნას? ვიცი, დაიწყებთ, ხმას არ მივცემთ, რაღაც „სტრაშნი“ ტიპის შთაბეჭდილებას ტოვებსო, მაგრამ ცესკოში რომ ნაკურთხ განაცხადს შეიტანს, მერე რაღას იზამთ? ეგ უკვე აღარ ვიცი, მაშინ მოგიწევთ უფლის წინააღმდეგ წასვლა.**

მოკლედ, თინა ძალო რომ არ გამხდარიყო თავდაცვის მინისტრი, რა გვეშველებოდა, სხვა რა გასართობი გვექნებოდა? რაც ამ ანთოკელმა ქალმა დაატრიალა საგარეჯოში, კარგად გახსოვთ, ხომ? ჰოდა, ახლა უსირცხვილოდ გამოდის და იძახის, ვამაყობ სპეცუბნების გაუქმებითო:

„როდესაც თავდაცვის მინისტრი გავხდი, პირველივე დღეს განვაცხადე, რომ მინისტრობის პერიოდში ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ორი საკითხი, რომელსაც მუდმივად ვებრძოდი, ეს არის სპეცუბნები და ჰაუპტვახტები. ორივე გაუქმდება ჩემი თავდაცვის მინისტრობის პირობებში-თქო. პირობა დავდე და, რა თქმა უნდა, შევასრულებ“.

რაიო? სპეცუბნებს და ჰაუპტვახტებს ვებრძოდიო? ნუ, ახლა საგარეჯოში რომ ლამის მთელი ქართული ჯარი გადაისროლა და თავის ნათესავ თამარ ხიდაშელისთვის ხმა მიაცემინა, ეს ვიცით, ეს თითქმის დიდგორის ბრძოლა იყო გიგლა აგულაშვილის სარდლობით (თინა ძალო მარტო ხმებს ითვლიდა უბნებში), მაგრამ ჰაუპტვახტებს როდის და სად ებრძოდა ნეტავ?! აი, მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვებრძოდი და თანაც ძალიან მეზიზღებოდა, რადგან არაერთხელ ვმჯდარვარ ჰაუპტვახტში, მაგრამ ამ ქალის პრეტენზია როდისმე გაგიგიათ ამ თემაზე? ეეეჰ... ქალი ასე ჰგავდეს ყვარყვარე თუთაბერს, მე მგონი, პირველად და უკანასკნელად ვხედავ!!!

გიორგი ვაშაძემ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა. ისაო, ესაო, ეს შევარდნაძის დროინდელი მაჭავარიანები და გოგორიშვილები ყელში ამომივიდა, წავედი, ახალი მოძრაობა უნდა შევქმნა, ახალი სახეები მოვიყვანო და ბიძინა ივანიშვილი დავამარცხოო. „ქართული ოცნების“ დეპუტატი გედევან ფოფხაძე კი, ბოდიში მომითხოვია და, ატრაკებს და უხარია, „ნაციონალებიდან“ გამოქცეულ გიორგი ვაშაძესთან ადამიანურად არანაირი პრობლემა არ მაქვს, მასთან ბევრი საერთო მეგობარი მყავსო:

„გიორგი ვაშაძეს მე პიროვნულად ცუდ ადამიანურ რესურსად ნამდვილად არ ვთვლი. იმედია, „ნაციონალური მოძრაობა“ იმას მაინც არ იტყვის, ბალასტი მოვიშორეთო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და გიორგი ვაშაძეს შორის განსხვავებული ღირებულებები და ხედვებიც არის, ზოგადად, ყოველთვის საინტერესო ოპონენტი იყო კამათის დროს. თუ აქვს სურვილი ჩვენთან თანამშრომლობის, ჩვენ ხელი რატომ უნდა ვკრათ?! ეს პატარა ქვეყანაა და ყველა ადამიანური რესურსი, რომელიც ქართული სახელმწიფოს განვითარებას, მის საერთო გამარჯვებას შეუწყობს ხელს, უნდა იყოს ერთად“.

თქვენი არ ვიცი და... მე უკვე გინების ხასიათზე ვარ! გედევან, შენც და შენი თანაგუნდელებიც ავად ხართ, ვერ აზროვნებთ და ამას აუცილებლად დაესმება წერტილი ოქტომბერში! ვაშაძესთან რა გაკავშირებს, სულ ფეხებზე მკიდია, მაგრამ, როცა საკუთარი მხარდამჭერები მიატოვეთ და დღემდე არავინ გაგხსენებიათ, მაშინ რატომ არ იძახდი, ერთად ვიყოთ, ვითანამშრომლოთ, ქვეყანა ავაშენოთო? გიმეორებ: აგერ მოვა ოქტომბერი და ვაშაძესთან

## მისაქირხენები

ერთად დაახვევ პარლამენტიდან, მერე დასხედით სადმე მოფარებულში და იფხანეთ მეგობრულად ერთი ადგილი!

ა, კიდევ ერთი ანომალია: ოდესღაც პოლიტოლოგი და ახლა პაატა ბურჭულაძის ფონდის წევრი, ხათუნა ლაგაზიძე ამტკიცებს, საქართველოში დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრის ფაქტობრივმა უმრავლესობამ ამოწურა საკუთარი ნდობა საზოგადოების თვალში და ლუსტრირებულია არა მარტო ხელისუფლება, არამედ მთელი ოპოზიციური სპექტრი, რასაც როგორც საქართველოს მოსახლეობა, ისე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებიც გრძნობენო. დასავლური პოლიტიკური ისტებლიშმენტი ეძებს იმ ადამიანებს ვისაც აქვთ პოტენციალი, გახდნენ საზოგადოებრივი ლიდერებიო. სანამ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში მოსვლას გადაწყვეტდა, ბიძინა ივანიშვილს უთქვამს: მოდი, „ქართულ ოცნებას“ შეუერთდი, სიაში ჩაგსვამთ, ისე იყარე კენჭიო. არა, ბატონო ბიძინა, გიორგი მარგველაშვილი ჩემი მეგობარია, მასთან სხვა ვალდებულებები მაქვს, ვერ ვუღალატებო. ახლა დადის და ლაპარაკობს, დამოუკიდებელი გახლავართ, საქართველოს გადარჩენისთვის ვიბრძვიო. ლაგაზიძე კიდევ აქეთ გვაბოლებს, დასავლური ისტებლიშმენტი იმ ადამიანებს ეძებს, ვისაც პოტენციალი აქვსო. დასავლური ისტებლიშმენტი არა, ხახვი, ეგ რა შუაშია, როცა ხმა ქართველმა ხალხმა უნდა მისცეს? ამასობაში ბურჭულაძემ ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, ბაღდათსა და ვანში „საქართველოს განვითარების ფონდის“ ოფისები გახსნა და დაასკვნა, მე ხალხს მომავლის იმედი გავუჩინე, მეუბნებიან, ფონდი პარტიად გადააკეთე და საქართველოს უშველეო. ჰოდა, მეც სხვა გზა არ მაქვს, ჩემს მშობელ ხალხს უნდა დავუჯეროო, აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძსო. ღმერთო, შენ გვიშველე, რა დავაშავეთ ამისთანა, რომ ყველა ხალხის ფაქიზი გრძნობებით მანიპულირებს? რატომ ჰგონია ყველას საკუთარი თავი მესია და ამ ქვეყნის მხსნელი?

დაბოლოს, ცინცხალი ანეკდოტი: ლევან ბერძენიშვილი ამბობს, ბიძინა ივანიშვილი ღმერთი არ არის, რომ არაფერი შეეშალოს, მაგრამ დედას ვფიცავარ, საშუალება რომ მქონდეს, ზებრას მეც ვიყოლიებდიო. ცოტა ხანს ვიცინებ და მერე ამ უგზო-უკვლოდ განათლებულს მივცემ ერთ კარგ რჩევას, ზებრების საკითხში კარგად ვერკვევი... ესე იგი, ბატონო ლევან, ბიძინა ივანიშვილი რომ ღმერთი იყოს, თქვენ პარლამენტში შეგიყვანდათ? გამოდის, მას ძალიან ბევრი რამე ეშლება! რაც შეეხება ზებრას, ეს პრობლემა ძალიან იოლი მოსაგვარებელია – იყიდეთ კაი „ზორბა“ ვირი (დაახლოებით 500 ლარი ჯდება) და „გადაკრასკეთ“, ანუ თეთრი ზოლები გაუკეთეთ. თუ რამე სხვაობა იყოს, ბოდიშს მოვიხდი ქვეყნისა და ერის წინაშე!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



**კოკა ყანდიაშვილი:**

ყველა თავისებურად "ფორთხავს", ზოგი სად და ზოგიც სად.... ისტორიის მანძილზე, საქართველოს ყველა თავკაცს „უფორთხია" ეკლესიაში - სამშობლოსათვის ლოცვისას. მაგრამ ასე სამარცხვინოდ, ომიანობისას, ბრძოლის ველიდან მოშორებულს შიშით ეფორთხოს - მხოლოდ სააკაშვილმა მიხეილმა მოახერხა. და მერე დამქაშნი მისნი, გვიმტკიცებდნენ მთელ საქართველოს, რომ ეს ომი მოვიგეთ და მთავარსარდალი გმირიაო..... ახლაც იგივე აზრზე არიან - ამიტომაც ლოცვას, ფორთხვად ასაღებენ. კომპლექსები - დამღუპველია.....ძველი და ახალი



**ირინა სარიშვილი:**

არც არავის განვიკითხავ, არც ვინმეს ჭკუას არ ვასწავლი, მაგრამ მომკალით და ვერანაირად ვერ ვიგებ, როცა საფლავზე დატოვებული კვერცხები ან სხვა პროდუქტი მიაქვთ მერეო, ამაზე ბრაზდებიან... არც სხვისი ერიდებათ და არც საკუთარი თავისო... ადრე მოსაღამოვებას მაინც ელოდებოდნენო...

ერთადერთი გამართლება საფლავზე საკვების დატოვებას სწორედ ისაა რომ შემდეგ მას რომელიმე გაჭირვებული წაიღებს...

როგორ გგონიათ, მაძღარი საფლავიდან აიღებს კვერცხს ან პურს?!

აბა რისთვის ტოვებთ?!

და თუ წელს იმაზე სწრაფად მიაქვთ ყველაფერი, ვიდრე აქამდე ხდებოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრს შია, წყურია ან თუნდაც საფლავიდან აღებული ყვავილის გაყიდვით სახლში რაღაცას მიიტანს, თუ რა თქმა უნდა, ღეროებს არ დაამტვრევთ ყვავილებს, რომ მერე სხვამ არ წაიღოს!...

რა დაგემართათ ხალხო???

რისთვის მიგაქვთ აბა ეს ყველაფერი საფლავზე? მიცვალებულისთვის???

ეგებ თქვენიანის საფლავიდან აღებული კვერცხი, პური, შემწვარი ქათამი ან თუნდაც ყვავილი მეტი მადლი იყოს მისთვის, ვისი ჭირისუფლებიც ხართ! ამაზე არ გიფიქრიათ?

თუ მე რამე არ მესმის, მე მაპატიეთ...

როგორც მესმის, ისე გეუბნებით...

facebook



Facebook ამბები

**ნესტან აბდუშელიშვილი**, ექიმი:

ბოლო წლებში ზედმეტად გახშირდა ექიმებზე აგდებული და შეურაცმყოფელი ლაპარაკი - თუ როგორი უცოდინარი, უგულო, ფულზე გაყიდული ხალხია. მშობლები და ახლობლები აშიარებენ ღვთის იმედად დარჩენილი მომაკვდავი ბავშვების ფოტოებს. ისე „წააკლავენ" ხოლმე ექიმს ნებისმიერ პრობლემას, უკან არ მოიხედავენ. თუ ავადმყოფი გამოჯანმრთელდა - "დიდება უფალს", მაგრამ თუ საქმე ცუდად წავიდა - მიდის ექიმებზე ლაფის დასხმა. სულ ცოტა ხნის წინ იაშვილის კლინიკის კრიტიკული მედიცინის დეპატრამენტში მოთავსდა 10 წლის ბავშვი უჩვეულო ძილიანობით. ძილი გრძელდებოდა მთელი დღეღამე - ირღვეოდა სასიცოცხლო ფუნქციები და თან ახლდა მხედველობითი ჰალუცინაციები. ბავშვს ჩაუტარდა მრავალმხრივი გამოკვლევა როგორც აქ, ისე ევროპაში, მაგრამ მიზეზი ვერ იქნა ნანახი. პარალელურ რეჟიმში დედა და ნათესავენი ახდენდნენ მედპერსონალის ტერორიზებას. . იყო წივილ-კივილი, რო უცოდინარი ექიმები დიაგნოზს ვერ ადგენენ, რო ბავშვს უკლავენ . . პერიოდულად იძახებდნენ პატრულს, მოყავდათ ტელევიზიები , ხანგამოშვებით მღვდლები აკურთხევდნენ განყოფილების კედლებს , მუდმივ რეჟიმში იხდიდენენ პარაკლისებს. ეს გრძელდებოდა თვეები. აგრესიული განწყობა გადაედო სხვა მშობლებსაც. მოსაცდელებში და გასასვლელებში ხვდებოდი უძილო, გადაღლილ, დათრგუნულ ექიმებს და „სამართლიანი მრისხანებით" აღსავსე მშობლებს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს „გია ექიმმა" მიაგნო ერთ უცნაურ კანონზომიერებას - ბავშვი ღრმა ძილს ეძლეოდა უშუალოდ დედის ვიზიტის შემდეგ. უჩუმრად ჩატარდა ტოქსიკოლოგიური სკრინინგი და აღმოჩნდა რომ . . . ამ უჩვეულო ძილს იწვევდა დედა . . .რომელიც შვილს „კვებავდა" დიდი რაოდენობით დიმედროლით . . . დაისვა დიაგნოზი Munchausen's syndrome by proxy რატომ, რისთვის აძინებდა დედა შვილს, ეგ პროკურატურის საქმეა ექიმებისთვის ბოდიში არავის მოუხდია ისედა, რა თქმა უნდა „დიდება უფალს" მაგრამ იქნებ მაინც . . . ექიმსაც არ აწყენდა მადლობა,ზოგჯერ კაი გრძნობაა მადლიერება.

**მაია გიორგობიანი:** გული არ დაგწყდეთ, თქვენ არაჩვეულებრივი პროფესიონალები ხართ შოკისმომგვრელია ის, რაც ბატონმა გია ბიბილაშვილმა აღმოაჩინა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს თქვენს სიძლიერეს, მადლობა თქვენ, იმისათვის, რომ არსებობთ.

# — ამბობენ, ივანიშვილი ქვეყნის ჩაიქნია საკუთარ პარტიასა და

## გია ხუხაშვილი: ივანიშვილი

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„ნაციონალური მოძრაობის" აქტიურმა სახემ გიორგი ვაშაძემ გასულ კვირას „ნაცმოძრაობა" დატოვა. ეს პოლიტიკურად ბინძური ორგანიზაცია ნაწილ-ნაწილად იშლება და გასაკვირი არ არის, ვაშაძის პარტიიდან გასვლა და როგორც ამბობენ, გიორგი ვაშაძე არ იქნება უკანასკნელი და „ნაცმოძრაობის" რღვევა გარდაუვალია, მანამდე პარტია დატოვეს აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ ჯაფარიძემ, პავლე კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ და გიორგი მელაძემ. რა თქმა უნდა, გაჩნდა ლოგიკური ეჭვი, რომ ამ კვარტეტის უკან იდგა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც გადაწყვიტა, „ნაციონალური მოძრაობა" ნაწილებად დაეშალა, ხოლო რაც შეეხება გიორგი ვაშაძის პარტიიდან წასვლას, „ნაციონალებმა" ესეც ივანიშვილს მიაწერეს. თუმცა, ამ ბნელმა ძალამ ვისაც არ უნდა მიაწეროს პარტიის დაშლა, ფაქტია, რომ ასეც უნდა მომხდარიყო. გიორგი ვაშაძემ გააკრიტიკა „ნაცმოძრაობა" და განაცხადა: „...ნაცვლად სიცოცხლისუნარიანი ღია ორგანიზაციისა, ჩვენ მივიღეთ დახურული კაბინეტური მმართველობის სისტემა, რომელიც მისი ბუნებიდან გამომდინარე თავადაა მოკავშირე ივანიშვილის მავნებლური მმართველობის და ემსახურება მხოლოდ პარტიის ერთი მცირე ჯგუფის ინტერესებს. ამ კაბინეტურ მმართველობას აქვს თავისი სახელი და გვარი: გიგა ბოკერია, მიშა მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, გოკა გაბაშვილი და მათ ფარად ქცეული — დავით ბაქრაძე. მე უარს ვამბობ გარანტირებულ ადგილზე საარჩევნო სიაში იმ ფასადური განახლებით, რასაც ეს ადამიანები აპირებენ და ვიწყებ ახალი მოძრაობის შექმნას, რომლის მთავარი პრინციპი იქნება — ახალი ადამიანები პოლიტიკაში..."

ძნელად წარმოსადგენია ვაშაძემ არჩევნებამდე შექმნას ისეთი პარტია, რომელიც შეძლებს არჩევნებში ბარიერის გადალახვას. ამიტომაც არსებობს უამრავი ვერსია, სად შეიძლება იგი მოიაზრებოდეს. ერთ-ერთი ვერსიით, არ გამოირიცხება, ის პაატა ბურჭულაძის პარტიაში ვიხილოთ, რომელიც ჯერ არ შექმნილა, თუმცა ბურჭულაძე უკვე აანონსებს, რომ ხალხმა დაუკვეთა მას პარტიის შექმნა და, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს ვიხილავთ პაატა ბურჭულაძეს, როგორც პოლიტიკურ ლიდერს. თუმცა ქართულ პოლიტიკას ახსოვს ბევრი სატელიტური პარტია, რომელიც სახელდახელოდ შექმნილა და სახელისუფლებო ძალას მისთვის ბარიერი გადაულახვინებია... ასეთი იყო გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია", რაც სააკაშვილმა 2007 წლის 7 ნოემბრის ტელეკომპანია „იმედის" დარბევისა და ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შემდეგ, გიორგი თარგამაძესა და პოლიტიკურ „პუტანკებს" უფეშქაშა იმის სანაცვლოდ, რომ გასუსულიყვნენ... ასე რომ, ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა და სულაც არ გამიკვირდება, თუკი ვაშაძე იქნება ხელისუფლების სატელიტი და მას გადაალახვინებენ ბარიერს.

„ნაცმოძრაობაში" ცემა-ტყეპის სეზონი გახსნილია, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზაზა კედელაშვილმა აკო მინაშვილი დაასისხლიანა, მიზეზი გახლავთ საარჩევნო სიაში ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამბობენ, რომ სააკაშვილმა პარტიას დაფინანსება საგრძნობლად შეუმცირა, ზაზა კედელაშვილი კი გამსვლელ სიაში ჩასმის სანაცვლოდ პარტიას 100 ათას დოლარს აძლევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ შეთანხმების მიუხედავად, სიაში არ იყო, გაღიზიანებულმა სპორტსმენმა აკო მინაშვილი უმოწყალოდ სცემა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი მიდის „ქართულ ოცნებაში", როგორც იტყვიან, ისეთი ამბები ხდება, ძაღლი პატრონს ვერ სცნობსო... „ქართული ოცნება" საარჩევნო სიას ვერ ადგენს, ყველას თავისი თეორიები აქვს, რეალურად კი არავის აქვს იმის უკანალი, თავისი სიტყვა ბოლომდე გაიტანოს. ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების" ლიდერებისთვის მიუწვდომელია, მის გარეშე კი ნაბიჯს ვერავინ დგას, შესაბამისად, დეპუტატთა დიდი ნაწილი თავპირს იხოკავს, რადგან არ იცის, ხვალ სად იქნება. „ნაცმოძრაობის" დაშლის პარალელურად ვხედავთ, რომ დაიშალა „ქართული ოცნებაც", რამაც გარკვეულწილად „ქართულ ოცნებაში" დაპირისპირება შეარბილა, რადგან ყველას გაუჩნდა შანსები, სია დაგრძელდება და ვინძლო, ზოგიერთებს გაუმართლოსო. თუმცა არავინ იცის, ივანიშვილი საბოლოოდ რა კორექტივებს შეიტანს სიაში, ახლა ის ძალიან გაბრაზებულია, გაბრაზებულია როგორც საკუთარ გუნდზე, ასევე ხალხზე. ის თვლის, რომ ბევრს აკეთებს, მაგრამ არ უფასებენ. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მას ხელი აქვს პროცესებზე ჩაქნეული...

თუმცა „ალიასთან" საუბარში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან 2012 წლის არჩევნების პერიოდში ძალიან დაახლოებული პირი იყო და მის ხასიათს კარგად იცნობს, აცხადებს, რომ ივანიშვილი არის პასუხისმგებლიანი პიროვნება და კატეგორიულად ემიჯნება იმ მოსაზრებას, რომ მას პროცესებზე ხელი აქვს ჩაქნეული, თუმცა ადასტურებს, რომ ის გაბრაზებული ნამდვილად არის. გასული კვირის მოვლენებს ჩვენთან ერთად შეაჯამებს **გია ხუხაშვილი** და აი, რას აცხადებს „ნაცმოძრაობის" სავარაუდო დაშლასთან დაკავშირებით:

— ვფიქრობ, კანონზომიერი ვითარებაა ის, რაც ხდება „ნაციონალურ მოძრაობაში", ყველა კვლევა აჩვენებს, რომ მათ ზრდის პოტენციალი არ გააჩნიათ და ჰყავთ სტაბილური ელექტორატი, რომელიც ადგილიდან არ იძვრის, რაოდენობა არც იზრდება და არც იკლებს, შესაბამისად, „ნაცმოძრაობის" პრეტენზია ხელისუფლებაში მოვიდნენ არჩევნების გზით, გამორიცხულია, ისინი ვერც პოლიტიკურ პარტნიორებს მოძებნიან, თუნდაც კოალიციური გზით მიიღონ შედეგი. როცა ეს ზეამოცანა ვერ სრულდება, ბუნებრივია, ეს ცუდი ენერგია გადადის შიდა დაძაბულობაში და ასეთი გამოტყორცნები დროდადრო მოხდება.

— „ნაცმოძრაობის" მიზიდულობის ცენტრად სააკაშვილი რჩება, პარტიიდან პოლიტიკოსების წასვლა სისტემურ ზიანს ვერ მიაყენებს. ისევე როგორც სისტემური ზიანი ვერ მიაყენა ზურაბ ჯაფარიძის ჯგუფის პარტიიდან გასვლამ. ასევე, „ოცნებაში" ბიძინა ივანიშვილი არის ძალის ცენტრი და სისტემური ზიანი პოლიტიკურ დაშლას არ გამოუწვევია, პრემიერი ღარიბაშვილი წავიდა და თითქოს არაფერი მომხდარა, ბევრად უფრო მძიმე პროცესები განვითარდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში", მაგრამ რეიტინგის მხრივ ცვლილება არ მომხდარა, რადგან ამომრჩეველი კონსოლიდირებულია არა „ოცნების", არამედ ივანიშვილის ირგვლივ ისევე როგორც „ნაციონალების" ამომრჩეველია კონსოლიდირებული მიხეილ სააკაშვილის გარშემო, შესაბამისად, ვინც არ უნდა წავიდეს და მოვიდეს პარტიაში, სანამ არსებობს ილუზია, რომ სააკაშვილის სული ტრიალებს „ნაცმოძრაობაში", მათი ელექტორატი დარჩება „ნაციონალების" გვერდით.

**— გიორგი ვაშაძის პარტიიდან წასვლამ თავდაყირა დააყენა „ენდიაისა" და „აირაის" კვლევების შედეგები და წყალში ჩაყარა დასავლეთში კონკრეტული ჯგუფის წინასწარ დაწერილი სცენარი, რომ მინიმუმ „ნაცმოძრაობა" უნდა ყოფილიყო მეორე ოპოზიციური ძალა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ გახდება მეორე ოპოზიციური ძალა პარლამენტში და არის თუ არა ეს პროცესი „ნაცმოძრაობის" დასასრულის დასაწყისი?**

— პრობლემა არის უფრო სერიოზული და მოდით, პოლიტიკურ სურათს სიღრმისეულად შევხედოთ. დღეს გვაქვს ვითარება, როდესაც ამომრჩეველთა უმრავლესობა „ქართულ ოცნებასაც" და „ნაცმოძრაობასაც" ეუბნება უარს, ჯამურად „ნაციონალებიც" და „ოცნებაც" უმცირესობაში არიან. ამას ყველა კვლევა ადასტურებს და არა აქვთ უფლება, ორივეს ერთად ჯამურად ჰქონდეთ სახელისუფლებო პრეტენზია. ჯამში, ორივე პარტიის რეიტინგი 50 პროცენტზე ნაკლებია. საინფორმაციო ველი არის მათი, დანარჩენი პარტიებისთვის დაკეტილია, ამიტომაც არის ორპოლუსიანი სისტემის ილუზია შექმნილი, თორემ რეალურად ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი არ არის, სხვა პარტიები კიდევ უფრო რთული პრობლემის წინაშე დგანან, რადგან ისინი ალტერნატივას ვერ აყალიბებენ. დღეს ამომრჩეველი ამბობს, მე მყავს ცუდი ხელისუფლება, მაგრამ მყავს უარესი ოპოზიცია „ნაციონალების" ხაზით და ვეძებ პარტიას, რომელსაც ხმას მივცემ. ამომრჩეველს უნდა არჩევნებზე წასვლა, მაგრამ არ იცის, ვის მისცეს ხმა, ეს დიდი პრობლემაა. ამომრჩეველი ასეთ ვითარებაში არასდროს ყოფილა. პოლიტიკურმა სისტემამ ამომრჩეველს უნდა მისცეს ამორჩევის საშუალება, ეს კომპონენტი გვაკლია. ყველა ერთად მოვახერხებთ თუ არა ამის გაკეთებას, ეს ცალკე საკითხია. თუმცა შემიძლია გითხრათ, რა სცენარი განვითარდება. დღეს არის იმის ვითარება, როცა ამომრჩეველი პოლიტიკურ ელიტას ეუბნება არას და 60%-ზე მეტი არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დაბალი აქტივობის არჩევნებს ვიღებთ. დაბალი აქტივობით მოსული ხელისუფლება იქნება ძალიან სუსტი ლეგიტიმაციის მატარებელი და შესაძლოა, არჩევნების შემდეგ მივიღოთ კრიზისი, რადგან სუსტი ლეგიტიმაციით მოსული ხელისუფლება იქნება ძალიან მყიფე და ისინი ვერ დაასრულებენ საარჩევნო ციკლს და გადაჰყვებიან ან არჩევნების გაყალბების ლოზუნგის კრიზისს, ან სოციალურ თემას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდა იმ 60%-ის არჩევნებზე მოყვანა, მერწმუნეთ, რომ ის უარს ეტყვის „ნაცებსაც" და „ქართულ ოცნებასაც" და მათი ხმები გადანაწილდება დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებზე, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ისინი. ახლა კი ბევრი რამ დამოკიდებულია არასაპარლამენტო პარტიებზე, ვინ წამოიყვანს იმ 60%-იან ელექტორატს და ვის საარჩევნო ყუთში აღმოჩნდება მათი ხმები.

**— საქართველოში მუდმივად ვეძებთ ახალ ლიდერს და შეიძლება, რომ პაატა ბურჭულაძე აღმოჩნდეს სწორედ ის პოლიტიკური ლიდერი, რომელიც თავისუფალ ხმებს წამოიღებს? ბურჭულაძე აცხადებს, ხალხმა პარტია დამიკვეთაო და სავარაუდოდ, სულ მალე პარტიულ ყრილობასაც ჩაატარებს.**

ექსპერტი







„უსუფაშვილი გაუგებრობაშია და მახსენებს შევარდნაძეს, მასავით ჩაახუჭუჭებს რაღაცას ისე, რომ თავს და ბოლოს ვერ გაუგებ, ვერ ხვდები ადამიანი, რა უნდა, მასაც დაეტყო ასაკი"

– თეორიულად ყველაზე მაღალი შანსი პაატა ბურჭულაძეს აქვს, რომ ნეიტრალურ პოზიციაში დარჩენილი ამომრჩეველი მიიზიდოს და იცით, რატომ? არსებული პოლიტიკური ელიტა, რომელიც სახეზეა, ყველა დამძიმებულია წარსული ცოდვებით და ვერ დამისახელებთ პარტიას, რომელიც დამარცხებული არ არის, საქართველოში კი დამარცხებულები არ უყვართ. შესაბამისად, ვინც პოლიტიკას იწყებს სუფთა ფურცლიდან, მეტი შანსი უჩნდება ამომრჩევლის მოსაზიდად, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ თეორიულ შანსებზე. იმისთვის, რომ ბურჭულაძემ თეორიული შანსი რეალობაში გადაზარდოს, მან კითხვას უნდა უპასუხოს – შეუძლია თუ არა მას ბიოგრაფიამ და პიროვნულმა ტრაგედიამ ჩვენს თვალწინ გაიარა. ჯერ მაჩოს როლში მოგვევლინა და შემდგომ საპირისპირო როლი მოირგო, ახლა ისევ მაჩოს თამაშობს. მას არასერიოზულად ვუყურებ. ბევრი ცუდი რამ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ამ სიბინძურის მთლიანი თანამონაწილე იყო ირაკლი ოქრუაშვილი და ყველა ის სიმახინჯე, რაც მიშამ დაიწყო, პირველი ნაბიჯები სწორედ ირაკლის მხრიდან გვახსოვს, საროსკიპოების დარბევიდან დაწყებული, ომის რიტორიკით გაგრძელებული და ასევე, კამერების წინ ბოდიშებით დამთავრებული. მის პოლიტიკურ პერსპექტივას სერიოზულად არ ვუყურებ.

**— „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ აქციის მონაწილეები დააკავეს, მათ**

ღმერთმა არ ქნას, ივანიშვილი ამ პროცესს გაემიჯნოს. ეს რომ მოხდეს, „ქართული ოცნება“ ერთმანეთს დაჭამს. ერთადერთი გარანტი „ქართული ოცნების“ სტაბილურობისა, რომ შიგნით ერთმანეთს არ დაერიონ, არის ივანიშვილი. მეტი გარანტი იქ არ არსებობს, რადგან რეალურად იქ ლიდერები არ არიან, თუმცა ამბიციები, იცოცხლეთ, იმხელა აქვთ. შესაბამისად, როგორც პარტიული სტაბილურობა, ასევე სახელმწიფო სტაბილურობა, ამ ეტაპზე, ვიმეორებ, ამ ეტაპზე დამოკიდებულია ივანიშვილზე. თუკი ამ პროცესს გაემიჯნება, მივიღებთ უმართავ პროცესებს. ივანიშვილი გაბრაზებულია, მას აქვს უსამართლობის განცდა, მაგრამ

### ექსპერტი



ლისუფლება, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ქოქოლას აყრიდა პრეზიდენტს და ეს არ იყო სწორი. შესაბამისად, არ მომხდარა პრემიერ-მინისტრის, როგორც ქვეყნის პირველი პირის განცდა. პრემიერი ვერ ჩამოყალიბდა ლიდერად და ეს დადასტურდა იმით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, ორწლიანი მმართველობის შემდეგ, ისე წავიდა, დღეს აღარავის ახსოვს. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. აღარაფერს ვამბობ პარლამენტის თავმჯდომარეზე. ის საერთოდ რა განცხადებებს აკეთებს, ვერ გავიგე. ამ ბოლო პერიოდში უსუფაშვილი ძალიან გაუგებრობაშია და მახსენებს

# დატოვებას აპირებს, თითქოს ხელი პოლიტიკურ პროცესებზე, ასეა?

## ძალიან გაბრაზებულია...

**„ივანიშვილი გაბრაზებულია, მას აქვს უსამართლობის განცდა, მაგრამ... ვისურვებდი, კრიტიკული ანალიზი გაეკეთებინა და საკუთარი შეცდომები ეღიარებინა, რადგან მან უამრავი შეცდომა დაუშვა“**



ქვეყნის მართვა?.. ამაზე პასუხის გაცემა ბურჭულაძისთვის იქნება რთული. პრაქტიკულად რამდენად მოახერხებს, ხელისუფლებას გაუწიოს წინააღმდეგობა და შემდეგ ქვეყანა მართოს, ეს უნდა გვაჩვენოს, რაც აქამდე არ გაუკეთებია და არ გვინახავს.

**— სოციალურ ქსელში პერმანენტულად ვრცელდება პაატა ბურჭულაძისა და მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი ფოტოები, გაუთავებლად საუბრობენ, რომ ის არის ადეიშვილისა და სააკაშვილის პროექტი. არის თუ არა სააკაშვილი ბურჭულაძეში რეინკარნირებული?**

– ეს ხმები, რა თქმა უნდა, მსმენია, ქართულ პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, მაგრამ მთავარი ინდიკატორია გუნდი, რომელიც ბურჭულაძის გარშემო იკრიბება. მის გარშემო კი ვერ ვხედავ მიშასადმი პოზიტიურად განწყობილ ადამიანებს. როგორც წესი, გუნდიდან გამომდინარე ხშირად ჩანს, არსებობს თუ არა ფარული გეგმა, მაგრამ ეს გუნდი არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კავშირი აქვთ მიშასთან. ერთადერთი წევრი, ვინც „ნაციონალებთან“ ასოცირდებოდა, ეს იყო ვანო მაჭავარიანი, რომელმაც დატოვა ბურჭულაძის ორბიტა.

**— პოლიტიკური გვამების გაცოცხლების მომსწრენი ვართ, რაში სჭირდება ხელისუფლებას ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურად გააქტიურება, რომელიც, წესით, პროკურატურაში დაკითხვაზე უნდა დადიოდეს და არა გორის საკრებულოში?! ირაკლი ალასანიასა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის დაპირისპირება კი მწვავე ფაზაში გადადის, ოქრუაშვილი იხსენებს, როგორ იყო დაპატიმრებული ალასანიას ცოლისძმა ნარკოტიკების ბარიგობის გამო და ახდენს მისი პარტიის წევრის დისკრედიტაციას საკრებულოში.**

– ეს არის მეორე ლიგაში დაპირისპირება, ვფიქრობ, რომ ჩვენ პირველ ლიგაში ვთამაშობთ და ნუ ვისაუბრებთ მეორე ლიგაზე. ოქრუაშვილის გააქტიურებას არასერიოზულად ვუყურებ, მისმა პოლიტიკურმა

**შორის საკრებულოს დეპუტატი ალეკო ელისაშვილი. რაში სჭირდება ხელისუფლებას არჩევნების წინ მსგავსი სკანდალი?**

– ალეკო ელისაშვილს, როგორც საკრებულოს დეპუტატს, იმუნიტეტი არ იცავს, თუმცა ის არის საჯარო ფიგურა და სამართალდამცავები ქმედებების დროს ჯობია იყვნენ უფრო კულტურულები. შეიძლება ივანიშვილის მიმართ ბევრი პრეტენზია გვქონდეს, მაგრამ, რაც შეეხება კონკრეტულად ამ კამპანიას, პოლიტიკური ხაზით ვიტყვი, რომ ივანიშვილი გამოაცხადო ბუნების მტრად, ეს არის წმინდა პოლიტიკური გზავნილი, რადგან მას კარგად ვიცნობ, ზუსტად ვიცი მისი დამოკიდებულება ბუნებისადმი. ამიტომ მიმაჩნია, ეს არის მის მიმართ უსამართლო პრეტენზიები, თუმცა პოლიტიკური ტექნოლოგიის თვალსაზრისით, გასაგებია, რატომ აკეთებენ ამას მისი ოპონენტები. საერთოდ, პოლიტიკაში ასეთი წესია – თუ გინდა, ადამიანი წყობიდან გამოიყვანო, უნდა დააბრალო ის, რაც მისთვის მტკივნეული და მწარეა. დამერწმუნეთ, ამ შემთხვევაში ივანიშვილისთვის ყველაზე მიუღებელია, დააბრალო ბუნების გაჩანაგება და რაც ხდება, ეს არის ნერვების თამაში და წმინდა პოლიტიკური თემა.

**— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ივანიშვილი აპირებს ქვეყნის დატოვებას, თითქოს ხელი ჩაიქნია საკუთარ პარტიასა და პოლიტიკურ პროცესებზე. ასეა?**

– პარადოქსულ რამეს გეტყვით, რამდენად უდგება თვითკრიტიკულად საკუთარ შეცდომებს და ხვდება თუ არა, რა შეცდომები დაუშვა, არ ვიცი, რადგან პირდაპირი კომუნიკაცია დიდი ხანია მასთან არ მქონია. ვისურვებდი, კრიტიკული ანალიზი გაეკეთებინა და საკუთარი შეცდომები ეღიარებინა, რადგან მან უამრავი შეცდომა დაუშვა.

**— თქვენი აზრით, ყველაზე მძიმე შეცდომა, რაც დაუშვა, რა იყო?**

– ვფიქრობ, მისი მთავარი მისია იყო სახელმწიფო ინსტიტუტების გამყარება, მათდამი პატივისცემის გაჩენა, შესაბამისად ინსტიტუციური პოლიტიკური მაგიდის ჩამოყალიბება, სადაც პიროვნებებზე კი არ იქნებოდა ინსტიტუტები დამოკიდებული, არამედ პირიქით, ან პრეზიდენტი მარგველაშვილი კი არ იქნებოდა როგორც პიროვნება თავის ცოდვებით, მინუსებით და პლუსებით, არამედ მარგველაშვილი იქნებოდა პრეზიდენტი, რომელსაც ეცოდინებოდა თავისი ადგილი, ისევე როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს და სწორედ მათგან შედგებოდა პოლიტიკური მაგიდა. ეს იყო მთავარი ამოცანა და ამ თემებზე ვსაუბრობდით. სწორედ ამ მიმართულებით გვინდოდა წინ წასვლა, მაგრამ წინ კი არ წავედით, უკან დავიხიეთ. ვთვლი, რომ ივანიშვილმა ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დელეგიტიმაცია მომხდარიყო. მან ისეთი ფონი შექმნა, რომ მთელი ხეშევარდნაძეს, მასავით ჩაახუჭუჭებს რაღაცას ისე, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, ვერ ხვდები ადამიანი, რა უნდა, მასაც დაეტყო ასაკი.

**„პოლიტიკაში ასეთი წესია — თუ გინდა, ადამიანი წყობიდან გამოიყვანო, უნდა დააბრალო ის, რაც მისთვის მტკივნეული და მწარეა... ამას აკეთებენ ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში“**

**— დავით უსუფაშვილმა ქალაქის მერს უსაყვედურა, თუ შენ არ მიხვალ საკრებულოში და კითხვებზე პასუხს არ გასცემ, როცა მისვლა მოგინდება, უკვე გვიანი იქნებაო. მიანიშნებს თუ არა უსუფაშვილის ეს განცხადება ნარმანიას გადადგომისკენ?**

– უსუფაშვილი ცდილობს, იაქტიუროს, მაგრამ ეს ვერ შეცვლის სიტუაციას. ნარმანია არც არასდროს ყოფილა ლიდერი და არც თბილისელებს აქვთ განცდა, რომ ნარმანიას სახით მათ ჰყავთ მერი. მე არ ვფიქრობ, ნარმანია მერიაში იღებდა ოდესმე რაიმე ტიპის გადაწყვეტილებებს. სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას და ამას აფორმებს ნარმანია. სამწუხაროდ, ნარმანიამ უსუფაშვილის კრიტიკაზე ვერ გაბედა, რომ თვითონ ეპასუხა და მისმა მოადგილემ უპასუხა, რაც სუბორდინაციის დარღვევაა. ელემენტარულად, როცა პარლამენტის თავმჯდომარე მერს აკრიტიკებს და მერი პასუხის გაცემას ვერ ბედავს, ნიშნავს, რომ ის არის ნომინალური ფიგურა. ძალიან დიდი ალბათობით, ვფიქრობ, რომ მერის იმპიჩმენტი არც იქნება საჭირო, ნარმანია ძალიან მალე გადადგება და მერობის არჩევნები საპარლამენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდება. ამ ფონზე, ალეკო ელისაშვილის გააქტიურება არ არის გასაკვირი, მას აქვს ამბიცია, კენჭი იყაროს მერის პოსტზე და რატომაც არა. რაც შეეხება „ქართული ოცნებიდან“ სავარაუდო კანდიდატს მერის პოსტზე, ამის თქმა გამიჭირდება. ვისურვებდი მომავალი მერობის კანდიდატად ლიდერის თვისებების მატარებელი ადამიანი აერჩიათ, რომელიც თბილისს ბავშვობიდან იცნობს.

---

Facebook ამბები



**რომან გოცირიძე:**

შეიქმნას წვრილმანი ხულიგნობის მხარდამჭერი ფონდი!
**Смайлик**

რუსეთიდან საქართველოში გეორგიევსკის ლენტებითა და ქართული დროშებით დამშვენებული მანქანები რომ შემოდიან, ნუთუ ვინმე ისეთი გულუბრყვილოა, რომ ეს ცალკეული ტურისტის ინიციატივა ჰგონია? ნურას უკაცრავად. ესაა ორგანიზებული აქცია-პროვოკაცია, როცა უბრალო დამსვენებლები გვევლინებიან რუსეთის იდეოლოგიური ფრონტის ჯარისკაცებად. ეს არის ასევე ჩვენი ნერვების გამოცდა, ხელისუფლებისა და ხალხის ლოიალობის გამოცდა. აბა ერთი გაებედათ უკრაინაში!

რა უნდა გაკეთდეს:

- მთავრობამ საზღვარზევე უნდა აჰკვეთოს მსგავსი გამოვლინება და შეახსენოს ყველას, რომ საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის საჯაროდ გამოყენება აკრძალულია. დაურიგოს შემომსვლელებს საცნობარო ბროშურები, უზრუნველყოს ამ ინფორმაციის მიტანა ყველა ტურისტამდე.

- პუტინის ტურისტ-ჯარისკაცებს უნდა გაეცეს პასუხი საზოგადოებრივი პროტესტით: ყველა მანქანა თუ მოტოციკლი შეღებილი იქნას სათანადო სიმბოლური წარწერით. განსაკუთრებით მოუხდება პუტინის ცნობილ ბრუნვაში ხმარება

-შეიქმნას "სამოქალაქო კეთილი ხულიგნების" მხარდამჭერი ფონდი და ყველა ასეთი დამრღვევი საკუთარი ფეხით წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. ვდებ ას ლარს პირველი დაჯარიმებულის სანაცვლოდ. სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ შეგიძლიათ მომმართოთ და პირველ ჯარიმას მე გადავიხდი

-ვინც ამ პროვოკატორი ტურისტების მიმართ განხორციელებულ ჭკუისსასწავლ ქმედებას ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციის დარღვევად შეაფასებს, მასაც შეესხას ზურგზე გეორგიევსკის ლენტისფერება საღებავი. ამ სახის პირველი ქმედებით წარმოქმნილ ზარალსაც მე ვფარავ!

-ყოველი მსგავსი შემთხვევა გადაღებული იქნას მობილურით და განთავსდეს სოციალურ ქსელებში საერთაშორისო რეზონანსის მოსაპოვებლად.

როგორც იტყვიან, მაგალითი გადამდებია. ამით ჩვენ კეთილ მაგალითს მივცემ სხვებს შავი იუმორის ფორმით!

დავიწყოთ!

შენ დაუკა!




**ცოტნე გამსახურდია:**
მოკლედ, ამ დაჩოქება-არდაჩოქების ეპოპეაზე გამახსენდა:
ციხიდან ახალი გამოსული ვარ და გვიან საღამოს საპატრიარქოში მივედი სტუმრად. მიუხედავად იმისა, რომ დადებითად ვერ შევაფასებ მის ან ეკლესიის როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში, მრავალ მის პოზიციას არ ვიზიარებ და არ ვეთანხმები, პიროვნული სიძულვილი ან ზიზღი ილია მეორესადმი არ გამაჩნია... ამას ვერ ხვდება ხახადაფჩენილი, გაბოროტებული ბრმევლი, რომელიც მისი კერპის უმცირეს დაუფასებლობისათვის მზადაა თვალები ამოგკორტნოს!
ვისაუბრეთ. არ მოვყვები ახლა იმ საუბრის ემოციურ თუ შინაარსობრივ ასპექტზე. დასასრულისკენ მეუბნება: მოდი, დაიჩოქეო. რა, უწმიდესომეთქი? არ შეგიძლია, დაიჩოქოო, და მის წინ ადგილს მიმითითებს. რატომ უნდა დავიჩოქომეთქი? ჰო, მერე რა მოხდაო, მეხმაურება იქვე ოთახში მყოფი შორენა, მისი მდივანი...
რა თქმა უნდა, მყისვე მივხვდი, რა მოხდა. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას ნიშნავს, როცა ადამიანი გეუბნება დაუჩოქო. შევიშმუშნე, რაღაც უსიამოვნო მდგომარეობაში აღმოვჩნდი, წასვლას ვაპირებ... ესენი მიყურებენ და ფიქრობენ, რას ვიზამ. მოვტრიალდი მდუმარედ წასასვლელად და ვხედავ, შორენა დამბზუის გარშემო ხელში პატარა ფოტოაპარატით! :)))
დანარჩენზე თქვენ დაფიქრდით, ვისაც ეს უნარი გაქვთ შერჩენილი......




**თამაზ ჭეიშვილი:**
2000 წელს დამირეკეს საპატრიარქოდან. უნეტარესს სურს თქვენთან შეხვედრა და ხომ არ მობრძანდებითო? რასაკვირველია მივედი.მთელი საათი ვსაუბრობდით. ვსაუბრობდით ძალიან თბილად ...ვისხედით ჩვეულებრივად, სავარძლებში, და ვსაუბრობდით. შემდეგ დამლოცა და წამოვედი. ძალიან კმაყოფილი ვიყავი. ბედნიერების შეგრძნება მთელი კვირა არ მომშორებია...
რა ვიცი, პატრიარქს არ უთქვამს ჩემთვის დაიჩოქე ან ,,პაპპლაცტუნსკი იხოხეო" არც ,,ატჟიმანიები,, უბრძანებია! ,,სეკრეტარშაც" არ მინახავს იქ... მხოლოდ მე და პატრიარქი ვსაუბრობდით.!

# ვინ მოხსნა გლდანისა და სამგორის გამგებლები და ვინ იქნება შემდეგი?

**,,როცა ,,ალიას" ვეუბნებოდი, რომ ეს ადამიანები უახლოეს მომავალში წავიდოდნენ, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა დადგებოდა და შვებულებიდან არც გამოვიდოდნენ, ლამის ტანსაცმელი შემოიხიეს — ასე არა არისო! აი, თუ არ არის!"**



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



»» გახმაურებული

სამგორის გამგებელმა მამუკა ჩოქურმა თანამდებობა დატოვა. ჩოქურთან ერთად თანამდებობა დატოვა გლდანის გამგებელმა ბესიკ ქარცივაძემაც. სამგორის ყოფილი გამგებელი ამბობს, რომ მერიის ერთ-ერთ საქალაქო სამსახურში გადადის. მისივე თქმით, მას უკვე ჰქონდა შეხვედრა და კონსულტაციები თბილისის მერთან. ის ამჯერად საზღვარგარეთ მიემგზავრება და მისი ახალ თანამდებობაზე დანიშვნა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოხდება. თბილისის მერიაში საკადრო ცვლილებებს ადასტურებენ, თუმცა მიზეზებს არ განმარტავენ.

რის საფუძველზე ხსნიან თბილისის რაიონების გამგებლებს, ვინ იქნება შემდეგი და ვინ ჩაანაცვლებს განთავისუფლებულ ჩინოვნიკებს?

„ალიას" მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" დამფუძნებელი, ლევან ხაზეიშვილი ესაუბრა:

– ცოტა ხნის წინ, როცა „ალიას" ვეუბნებოდი, რომ ეს ადამიანები უახლოეს მომავალში წავიდოდნენ, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა დადგებოდა და შვებულებიდან არც გამოვიდოდნენ, ლამის ტანსაცმელი შემოიხიეს, – ასე არა არისო. თუმცა, ამ ახალი ამბის მერე, სამგორის გამგებელმა, ისიც დაადასტურა, – ჩემი წასვლის შესახებ საუბარი ერთი თვეზე მეტია მიმდინარეობსო. ახლა გამოდიან და ამბობენ, გამგეობიდან კი არ მივდივართ, უბრალოდ, გამგებლები არ ვიქნებითო. ეს იგივეა, ირაკლი შიხიაშვილმა რომ თქვა, კი არ მივდივარ, აქვე, ახლოს გადავდივარო. ყველაზე ბანძი ახსნაა ეს, იმიტომ, რომ არავის არ სჭირდება არ ჩოქური და არც შიხიაშვილი. ფაქტობრივად, გააპარეს ახლა ეს ორი ადამიანი. ამიტომაც მარტივი ახსნა აქვს – რატომ დატოვა თანამდებობა მამუკა ჩოქურმა.

– რატომ არ მიმდინარეობს დევნა მამუკა ჩოქურის მიმართ?

– ამას ერთი ძალიან მარტივი ახსნა აქვს – „ქართულ ოცნებას" წინ აქვს არჩევნები და პოლიტიკურად არ აწყობთ მათ ამ ადამიანის კრიმინალად შერაცხვა. ამიტომაც, ამ ყველაფერზე, სამართლებრივ შეფასებებს არჩევნების შემდეგ დაველოდებით, ახალი ხელისუფლების პირობებში, და მამუკა ჩოქურსაც აუცილებლად მოუწევს პასუხისგება. სხვათა შორის, ეს ადამიანი „მედიატორს" გვიჩივის. ასე ბაღდათის გამგებელიც გვიჩიოდა, – უმწიკვლო ადამიანი ვარ და რას მაბრალებთო, მაგრამ ამის მერე დაახლოებით 2 თვეში დააკავეს იმ საკითხზე, რაზეც ჩვენ გვქონდა ჩატარებული კვლევა. ჩოქურმა გვიჩივლა და ორ კვირაში არც ეს ადამიანია თანამდებობაზე.

– ვინ იქნება შემდეგი?

– ვისი კადრები იყვნენ მამუკა ჩოქური და ბესიკ ქარცივაძე?

– მამუკა ჩოქური ჯანყარაშვილ-შიხიაშვილის ხაზი იყო. ჩოქურს პრობლემები მას მერე წარმოექმნა, რაც ღარიბაშვილი პრემიერი აღარ არის, იმიტომ რომ ამ პერიოდიდან ჯანყარაშვილსაც პრობლემები შეექმნა. ჯანყარაშვილის პრობლემები ერთიერთში აისახა შიხიაშვილთან მიმართებაში და საბოლოო ჯამში, მამუკა ჩოქურს აღარ დარჩა პოლიტიკური პატრონი და ამ ყველაფერს გადაჰყვა მამუკა ჩოქურიც.

ეს ადამიანი ათასგვარ კორუფციულ გარიგებაში იყო შემჩნეული. შესაბამისად, რაც მას პოლიტიკური პატრონი აღარ ჰყავს არც არავის სჭირდება ის რაიმე სახის პოლიტიკური დავალების შესასრულებლად, მით უმეტეს, როცა არც სუფთაა და არც საქმის მკეთებელი.

– მარტო ეს ორი ადამიანი რომ არ დატოვებს თანამდებობას, ალბათ, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს გაგრძელდება მასობრივად. ყველა მათგანს დაწერილი აქვს განაცხადი და დაკმაყოფილებას ელოდებიან. ჩვენ ვამბობდით, რომ ეს ყველაფერი სამგორით და გლდანით დაიწყებოდა – რაც ასეც მოხდა. შემდეგი, რიგში დგას კრწანისის გამგებელი – გიორგი კოპალეიშვილი, რომელსაც მიჰყვებიან საბურთალოსა და ისნის გამგებლები. ამ პროცესებს, ვერაფერი ვერ შეაჩერებს. აქვე, შეგახსენებთ, რომ ჩვენ, „მედიატორი", არ ვსაუბრობთ ჭორებით. ჩვენს ყველა განცხადებას აქვს თავისი საფუძველი, ამიტომაც არც კრწანისის გამგებელს უნდა ეძინოს უკვე მშვიდად.

რაც შეეხება უშუალოდ დავით ნარმანიას – დიდი ხანია, ეს ადამიანი ვერ იღებს ვერც პოლიტიკურ და ვერც საკადრო გადაწყვეტილებებს. ფაქტობრივად, ის აღარ არის მერი. მის განთავისუფლებამდე დარჩენილია რამდენიმე თვე. სექტემბერში კი უკვე დავით ნარმანია დაწერს განცხადებას და წავა. მანამდე ხელისუფლებას არ აწყობს მერის ახალი არჩევნები.

რაც შეეხება გლდანის ყოფილ გამგებელს ბესიკ ქარცივაძეს – გაურკვეველია, ამ ადამიანის პოლიტიკური წარმოშობა, მაგრამ ფაქტია, ამ ადამიანს უამრავი საკითხი დაუგროვდა – ვადაგასული ქათმებიდან დაწყებული, დოკუმენტებით დასრულებული, დოკუმენტებით, თავში ყოფილი გამგებლის სახელი და გვარი რომ ეწერა და ბოლოში ეს აწერდა ხოლმე ხელს. უამრავი ასეთი დოკუმენტი გავასაჯაროეთ. ისეთი საბუთებით რიცხავდა ათიათასობით ლარს, რომელსაც სამართლებრივი ძალა არ ჰქონდა და ეს არ არის რაიმე სახის მექანიკური შეცდომა. ბესიკ ქარცივაძის გამგებლობა, მინიმუმ უხერხულიც იყო.

– ვინ იღებს საკადრო გადაწყვეტილებებს?

– საკადრო გადაწყვეტილებებს იღებს არა დავით ნარმანია, არამედ თბილისის რეალური მერი – „ქართუ ბანკის" წარმომადგენელი ლილუაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია. ეს ადამიანი ატარებს საკადრო ცვლილებებს ერთი მარტივი მიზეზის გამო – არავის სჭირდება დისკრედიტებული ადამიანები, რომლებთანაც კითხვები აქვს როგორც საზოგადოებას, ასევე გამოძიებას.

ისე წავიდა მამუკა ჩოქური თანამდებობიდან, დამნაშავე იყო თუ არა ეს ადამიანი, ამ დრომდე ვერ გაგვიგია.

– ვინ ჩაანაცვლებს ამ გამგებლებს?

– უცნობია, ვინ ჩაანაცვლებს მამუკა ჩოქურს. გლდანის გამგებელს კი ჩაანაცვლებს ვინმე დიტო ორმოცაძე, რომელიც „ნაციონალების" დროს, 2008-2010 წლები საოლქოს თავმჯდომარე იყო გლდანში, დღეს კი ფინანსთა სამინისტროში ერთ-ერთი სამსახურის უფროსია. მახასიათებელი, რითაც ეს ადამიანი შეარჩია ლილუაშვილმა, არის „ქართული ოცნებისადმი" ერთგულება. სამწუხარო ის არის, რომ, ვინც არ უნდა გაუშვან და ვინც არ უნდა მოიყვანონ, ქალაქსა და მის პრობლემებს მომგვარებელი არ ჰყავს.

**„ალია" კრწანისის გამგებელს, გიორგი კოპალეიშვილს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, იდგა თუ არა დღის წესრიგში მისი განთავისუფლების საკითხი. გიორგი კოპალეიშვილმა უარყო აღნიშნული და თქვა, ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, ჩემი გადადგომის საკითხი დღის წესრიგში არ დგასო და იქვე დასძინა, — ნუ, დღესო...**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**რა ხდება „ნაციონალებში“? რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? რა ხდება ქვეყანაში? კარგი არაფერი, საარჩევნო სიებში მოსახვედრად ამტვრევენ ერთმანეთს თავ-პირს. „ალიას“ სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე დიასპორის საკითხებში, სანდრო ბრეგაძე საინტერესო ამბებს უყვება:**

# რა გეგმა აქვს გიგა ბოკერიას?! სააკაშვილი თანახმაა!!! დავით ბაქრაძე არა!!!

## „ივანიშვილსაც და ამ ხელისუფლებასაც შიგნითვე ჰყავს ხალხი, რომელიც აფეთქებას უპირებს“



**„თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს „ნაცმოძრაობა“ არჩევნებისთვის და მეორე ადგილისთვის ემზადება, ძალიან ცდება, სააკაშვილი ემზადება რევოლუციისთვის, ანუ რევანშისთვის. ამავე დროს, რა ხდება „ოცნებაში“?“**





– ეს პროცესები იყო გარდაუვალი... მაგალითად, „ნაცმოძრაობა“ ის დაჯგუფებაა, სადაც ადამიანები არიან გარკვეული სარგებლის სანახავად. ასევე, სარგებლის სანახავად იყო მისული გიორგი ვაშაძეც, რომელიც გახლავთ 1930-იანი წლების ტიპური კომკავშირელი. ის ყოველთვის ადამიანების დაბეზღებით იყო დაკავებული და ამაში იღებდა გარკვეულ გასამრჯელოს.

**— რა დაბეზღებაზე ლაპარაკობ, იქნებ დააკონკრეტო?**

– ეს ადამიანი არის იმ სისტემის შემოქმედი, რომელიც შექმნეს სააკაშვილმა და ადეიშვილმა. ის ყოველთვის მოქმედებდა პავლიკ მოროზოვის პრინციპით, შინაურებსაც აბეზღებდა და გარეულებსაც. ვაშაძე გახლავთ ზურაბ ადეიშვილის კლანის წევრი, სადაც, ასევე, ფიგურირებს ყოფილი პროკურორი ზოდელავა. ვაშაძე და მისნაირები „ნაცმოძრაობაში“ იქნებიან თუ სხვაგან, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, აქ საყურადღებოა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ მანქურთმაც კი დაინახა „ნაცმოძრაობაში“ ჩაბუდებული სიბინძურე და გადაწყვიტა სხვა ფლანგზე გადანაცვლება. გიგა ბოკერია ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს, მიხეილ სააკაშვილი ჩამოაცილოს „ნაცმოძრაობას“ და ჰგონია, ასე უფრო მეტ ხმებს მიიღებს არჩევნებში. რომელ ახალ სახეებზეც ისინი საუბრობენ, არანაირი ახალი სახეები არ არიან. ადეიშვილის მოწაფე და ადვოკატი ოთო კახიძეა ახალი? აქ საუბარია საკმაოდ დიდ თანხებზეც. ამ პარტიას, როგორც ყველა დანაშაულებრივ ორგანიზაციას, ჰქონდა და აქვს ე.წ. „ობშიაკი“, სადაც არის ათეულობით მილიონი დოლარი და ამ თანხებს პერიოდულად რიცხავს საქართველოდან გაქცეული დავით კეზერაშვილი, სააკაშვილის „კასირი“. რასაკვირველია, სერიოზული ბრძოლა მიდის არა მხოლოდ საარჩევნო სიებში მოხვედრაზე, არამედ ამ ფულის ხელში ჩაგდებაზეც.

**— სანდრო, რამდენიმე დღის წინ „ნაციონალებს“ ჰქონდათ საბჭოს სხდომა, სადაც „სკაიპის“ საშუალებით მონაწილეობდა მიხეილ სააკაშვილიც. ხომ არ გაქვს ინფორმაცია, კონკრეტულად რაზე იყო საუბარი?**

– ამ სხდომაზე განიხილეს „რევოლუციური“ სცენარები... მაგალითად, გიგა ბოკერიას აქვს ასეთი გეგმა: სხვადასხვა წვრილი პარტიები უნდა გაერთიანდნენ „ნაცმოძრაობის“ ირგვლივ, აქ ჩაიდება დიდი ფული, გამოვლენ ქუჩაში და დაამხობენ არსებულ ხელისუფლებას. ამ სცენარს ემხრობა სააკაშვილი, რომელიც ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობს გამარჯვებაზე და საქართველოში დაბრუნებაზე, მაგრამ აქ ხელს უშლის დავით ბაქრაძე, ის უფრო ზომიერი დაჯგუფების წევრია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს „ნაცმოძრაობა“ არჩევნებისთვის და მეორე ადგილისთვის ემზადება, ძალიან ცდება, სააკაშვილი ემზადება რევოლუციისთვის, ანუ რევანშისთვის. ამავე დროს, რა ხდება „ოცნებაში“? მოდი, პირდაპირ ვთქვათ: სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების დიდი ნაწილი არის „ნაცმოძრაობის“ მომხრეებით დაკომპლექტებული. მე ორ სამინისტროში ვიყავი მოადგილე და ორივეგან ჩემი მისია იყო, რომ სააკაშვილის ნარჩენებისგან გამეწმინდა და ამას ვაკეთებდი კიდეც, მაგრამ, როცა წამოვედი, დეპარტამენტების უფროსებმა სუფრები გაშალეს, ბრეგაძე მოგვშორდაო. სხვათა შორის, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს რუს ოლიგარქს ეძახდნენ და 24 საათი ლოცულობდნენ სააკაშვილის დაბრუნებაზე. მინისტრებისგან მე კატეგორიულად მოვითხოვდი ასეთების განთავისუფლებას, ბევრის გაშვება შევძელი, მაგრამ კიდევ ბევრი დარჩა, ისინი დღეს მაღალ თანამდებობებზე არიან. ზოგი დააწინაურეს კიდეც და ზოგზე ისიც გავიგე, „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიაში წერენო. „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს შიგნითაც და გარეთაც, ახლა რაღაცნაირად მოდაში შემოვიდა იმაზე საუბარი, რომ თურმე პარლამენტში უნდა შეიყვანონ „გაუსვრელი“ ახალი სახეები. ერთი უბნელი მყავს, რომელსაც დღემდე „ლაყეს“ ვეძახით და რომელსაც არასოდეს არავითარ საპროტესტო აქციაში არ მიუღია მონაწილეობა, კრიტიკულ მომენტებში სახლში იჯდა და გარეთ არ გამოდიოდა, მხართეძოზე იყო წამოწოლილი. ახლა გავიგე, თურმე ამ „ლაყეს“ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ჩასმას უპირებენ, სუფთა პიროვნებააო. ეს ერთი მაგალითი მოვიყვანე, თორემ ასეთები ბევრი შეყარეს „ოცნებაში“. ეს უკვე არის ელემენტარული მარაზმი, ასე „ქართული ოცნება“ წარმატებას ნამდვილად ვერ მიაღწევს და მომავალიც არ აქვს საერთოდ. ხალხმა თავი გადადო ამათი გულისთვის, ხალხი ყველა ფრონტზე იბრძოდა და ახლა „გაუსვრელები“ და მამა აბრამის ბატკნები მოჰყავთ? თუ გვინდა, რომ „ლაყეების“ ხელისუფლება მივიღოთ, კი, ბატონო, ასეთები ისედაც არ გვაკლია და კიდევ უფრო ბევრნი იქნებიან და ავშენდებით!

### დაუჭამიათ ერთმანეთი

**— მერე იტყვიან, ბიძინა ივანიშვილმა არ იცოდაო, ხალხს ვერ ცნობსო, შეაპარესო... მოკლედ, აშკარად ეტყობა, რომ უარესი მარაზმი მოდის და მერე გვიკვირს, რომ სააკაშვილს რაღაც იმედები უჩნდება.**

– როდესაც ექსპერტებად და მრჩევლებად მოწვეული გყავს ადამიანები, რომლებიც ივანიშვილს რუს ოლიგარქს ეძახიან, რა თქმა უნდა, იმ ადამიანების რჩევებიც შესაბამისია. მე პირდაპირ გეტყვი, დასამალი არაფერია, ივანიშვილსაც და ამ ხელისუფლებასაც შიგნითვე ჰყავს ხალხი, რომელიც აფეთქებას უპირებს. საერთოდ, ასე ხდება, სპეციალურად მარაზმატიკულს ხდიან სიტუაციას, რომ ადამიანები ნიჰილიზმში გადაცვივდნენ. ჩვენს თვალწინ დაემხო ბევრი ხელისუფლება და ყველა დაემხო შიგნიდან. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ჩამოშალეს შიგნიდან, ძალოვანი სტრუქტურებიც და პარლამენტიც გატენილი იყო მოღალატეებით. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება შიგნიდან დაამხვეს სააკაშვილმა და ჟვანიამ. ისინი თავად იყვნენ ხელისუფლებაში, ეს მაინც გვახსოვს. მე პირადად აღარ მინდა, საქართველოში ვიხილო იგივე სიტუაცია. ვერ გავიგე, თუ ადამიანს ერთხელ მაინც არ გამოუთქვამს პროტესტი, ერთხელ მაინც არ გამოსულა ქუჩაში, ერთხელ მაინც არ შეწუხებულა ამ ქვეყნის ბედით და საერთოდ არის „ლაყე“, საიდან გამოდის სუფთა და უმანკო? მე თუ მკითხავთ, ასეთები არც საკუთარ ოჯახს გამოადგებიან, არც ქვეყანას და არც არავის, მათ შორის, არც „ქართულ ოცნებას“. დანარჩენი თავად გადაწყვიტონ, არავის საქმეში არ ვერევი!

**„უბნელი მყავს, რომელსაც დღემდე „ლაყეს“ ვეძახით, კრიტიკულ მომენტებში სახლში იყო მხართეძოზე წამოწოლილი... ახლა გავიგე, თურმე ამ „ლაყეს“ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ჩასმას უპირებენ, სუფთა პიროვნებააო! არ არის მარაზმი?“**

---

## facebook



ივდით კუხიანიძე, ლიტერატორი:

აღსდგა თუ "აღდგა"? შევეცდები, მარტივად ავხსნა:

გრამატიკულად "აღდგა" - ერთპირიანი ზმნაა და იმიტომ. ანუ ეს ზმნა არის მესამე სუბიექტური პირის ზმნა - "აღდგა -ის ", მაგალითად, "სამართლიანობა აღდგა" და, ცხადია, არ ჭირდება ირიბი ობიექტის ნიშანი "ს" იმიტომ , რომ თავად ირიბი ობიექტი არ ეწყობა და მისი საკუთარი ნიშანი რატომ გამოჩნდება?

რაც შეეხება ქრისტეს აღდგომას: ამ კონტექსტში "ს" საჭიროა და , აი, რატომ : სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს ,ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისაგან სრულიად განსხვავებულს , ერთადერთსა და განუმეორებელს და ამიტომ აზრობრივ-შინაარსობრივი კუთხით ხომ უნდა გამოირჩეოდეს დანარჩენი "აღდგომისა " თუ "ადგომისაგან"?

აი, სამი მაგალითი და დავაკვირდეთ:

1. კაცი ადგა
2. დანგრეული შენობა აღდგა, სამართლიანობა აღდგა

და

3. ქრისტეც აღდგა?

ასე რომ, მხოლოდ გრამატიკული კატეგორიით ამ მოვლენის განხილვა არ იქნება მართებული. ამიტომაც არის ,ალბათ, ჩვენი არამარტო ყურის , არამედ გულისთვისაც მისაღები "აღსდგა " და არა " აღდგა".

ჴ.შ. აქ არ შევუდგები ქართული ზმნების თავისებურებებზე საუბარს და აღარ მოვიყვან იმ უამრავ მაგალითს, რაც მათ განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. მხოლოდ ამას დავამატებ: ზოგჯერ ერთ სიტყვას, ერთ ქართულ ზმნას, შეუძლია ის, რაც არ ძალუძს სხვა რომელიმე ენის მთლიან წინადადებას და ზოგჯერ მთელ აბზაცსაც კი ! ამ შემთხვევაში კი ისიც მგონია, პირდაპირ ობიექტსაც რომ ჰქონოდა ნიშანი, "აღსდგას" ისიც დაემატებოდა , "გახდებოდა" ზმნა სამპირიანი (ანუ სამპირიანობის განცდა გვექნებოდა ) და ლინგვისტურადაც მივიღებდით სამ პირს, სამ ჰიპოსტასს წმიდა სამების სახით...

ქრისტე აღსდგა, მეგობრებო, გვიხაროდენ !

**ცოტნე გამსახურდია:** -კ არგია. მე დავამატებდი, რომ არსებობს ლინგვ. ცნება უზუსი, მეზარება წერა, რომელიც ამ შემთხვევაში სალიტერატურო ნორმებს უპირისპირდება.

**რუსიკო სტურუა:** - ღვინჯილიამდე როგორ მივიტანოთ ეგ ამბავი. დაგვთათხა.

Facebook ამბები

facebook



**გია მაისაშვილი:**

ამ პოსტს ვდებ სნეულებისგან შეჭირვებული ადამიანების გასამხნევლებად. ახლახან დავბრუნდი სტამბულიდან რადიაციისა და ქიმო-თერაპიის მორიგი კურსიდან-სადაც ბოლომდე დავრწმუნდი, რომ თანამედროვე მედიცინას ადეკვატური პასუხი არა აქვს. მათი და ფარმა ინდუსტრიის ინტერესი არა ავადმყოფის განკურნვა, არამედ მათი ავადმყოფობის გაგრძელება და მათ ხარჯზე უზომოდ დიდი ფულის კეთებაა. მე ჩემი მეგობრებისა და ამ საქმეში პირადი გამოცდილების მქონე ადამიანების რჩევით დავიწყე მძიმე 40 დღიანი შიმშილობა მხოლოდ წყალზე. ადამიანის ორგანიზმი საოცარია მისი თვით გნახლებისა და თვით განკურნების თვალსაზრისით. ასეთ რადიკალურ სიტუაცუაში ორგანიზმი მოიხმარს ყველა მარაგს და ჯანსაღი უჯრედები ანადგურებენ სიმსივნურს, განსაკუთრებით კი ტვინში და ხდება განკურნვა-გაჯანსაღება. ოდონდ ეს ძნელია და მოითხოვს დიდ ნებისყოფასა და რწმენას. მე დიდი კრიზი დღეს ჩავათავე ანუ შიმშილობის მე-7 დღეს. როდესაც გული გერევა და თავის ტკივილი არაადამიანურად მძიმეა. მაგრამ თუ გადალახავ და გააგრძელებ 40 დღემდე, სარგებელი უზომოდ მაღალია მე მჯერა და შინაგანი სიხარულის განცდა მაქვს, რომ ამით ვანადგურებ სიმსივნურ უჯრედებს. სიცოცხლე და რწმენა იზეიმებს ოღონდ ნებისყოფაა და სასოება საჭირო. გისურვებთ განკურნებას და გამარჯვებას, მე კი პერიოდულად მოგაწვდით ინფორმაციას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. დრო ბევრი გვაქვს , წინ კიდევ 40 დღეა, ამ დროს ხდება არა მარტო ფიზიკური და მენტალური, არამედ დიდი სულიერი ტრანსფორმაციაც. მე ვაწარმოებ დეტალურ დღიურს ამ პროცესის დოკუმენტაციისათვის, რომ შემეძლოს სხვების დახმარება ჩემი პირადი მაგალითით.

facebook



**ბაია პატარაია**

ლ. სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროდან მოვიდა დასკვნა, რომ თათია სამხარაძის მიერ წარდგენილი აუდიო ჩანაწერი, სადაც მისი შალვა რამიშვილთან საუბარია აღბეჭდილი, არის ავთენტური.

უახლოეს მომავალში სასამართლოში შევიტანთ სარჩელს შრომის კოდექსისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე.

პარალელურად დაწყებულია სისხლის სამართლის გამოძიებაც, რომელსაც უკვე გადაეცა ჩანაწერი.

# „ბიძინა ივანიშვილს სოლოლაკის სასახლეში!

## „სცენარი ასეთია — პარლამენტი გამოაცხადებს დროებით მმართველობას დევნა, ასევე ივანიშვილის წინააღმდეგ აგორდეს დიდი კამპანია და

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



»» პოლიტიკური ქრონიკა

წამმზომი ჩართულია, ქალაქის მერი დავით ნარმანია მალე ქალაქის მერი აღარ იქნება, ეს მისმა ოპონენტებმა ძალიან კარგად იციან, ამით აიხსნება ალეკო ელისაშვილის ჰიპერაქტიურობა, რომელიც არ მალავს, რომ მას აქვს ამბიცია, კენჭი იყაროს ქალაქის მერად და ამბობს, თუკი ეკა ბესელია არის დეპუტატი, რატომ არ შეიძლება, მე ვიყო ქალაქის მერი. მისი მანერები და გამოხტომები ძალიან გვაგონებს მიხეილ სააკაშ-





**„ნარმანიას იმპიჩმენტის პროცედურას სჭირდება უმრავლესობის ხმები, გადამწყვეტ მანდატებს საკრებულოში ფლობენ პატივცემული „რესპუბლიკელები“ და დავით უსუფაშვილმა, რომელმაც ნარმანიას წინააღმდეგ გააკეთა განცხადება... ეს ჰაერზე ნათქვამი არ არის, ეს არის გაფრთხილება და მინიშნება“**

ვილს, ხშირად უზრდელობაში გადასული პოლიტიკოსი ვერ ხვდება, სად არის ზღვარი, ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც ვარდება, მაგრამ დღეს მოთხოვნაა საზოგადოებაში ასეთ პოლიტიკურ ლიდერზე. გასულ კვირას „პანორამა თბილისის“ მშენებლობას აპროტესტებდა დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტიზანი მებაღის“ წარმომადგენელი ნატა ფერაძე. აქციის მონაწილეები არ შეუშვეს იმ ტერიტორიაზე, სადაც „პანორამა თბილისის“ მშენებლობა მიმდინარეობს და პატრულთან დაპირისპირების მოტივით, ისინი დააპატიმრეს. ალეკო ელისაშვილი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. იგი იხსენებს სააკაშვილის მმართველობის დროს, როცა მსგავსი რამ მის თავს არ მომხდარა. მაშ ასე, „პანორამა თბილისთან“ მებრძოლი ალეკო ელისაშვილი იბადება თუ არა ჩვენ თვალწინ იმ პოლიტიკურ ლიდერად, რომელმაც შესაძლოა, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს.

**გთავაზობთ ინტერვიუს იურისტ ვალერი გელბახიანთან.**

**— რაში დასჭირდათ ალეკო ელისაშვილის დაპატიმრება და ეს არის თუ არა ხელისუფლების მხრიდან ცუდი წინასაარჩევნო სიგნალი?**

– გეთანხმებით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი გამწვავება ნებისმიერი საკითხის მიმართ ხელისუფლების ინტერესში არ უნდა შედიოდეს, პროცესებს უნდა ჰქონდეს კონსტრუქციული ხასიათი და არა მაპროვოცირებელი, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა ხელისუფლებას ესმის პოლიტიკური ტექნოლოგია და იცის, რა პროცესები მოჰყვება არასტაბილური ვითარების შექმნას. ხელისუფლება, რომელიც არ აცნობიერებს, რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს, არა აქვს მისთვის მნიშვნელობა, რა პერიოდში რა გადაწყვეტილებას იღებს, მაშასადამე ვერ ფლობს იმ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, რაც არჩევნებთან არის დაკავშირებული. ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ადეკვატური არ

არის იმ რეალობასთან, რაც დღესაა შექმნილი. რაც მოხდა, ეს არ იქნება ხელისუფლებისთვის პოზიტივი, ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო მეტი აგრესია იქნება, თუ ასე არაადეკვატურად მოიქცევიან. შეიძლება მივიდეს ათი კაცი საპროტესტო აქციაზე, ხვალ შეიძლება ასი მივიდეს, ხოლო ზეგ – ათასობით. აზვირთებული ტალღები ბევრჯერ გვინახავს, ეს არც პირველი იქნება და არც უკანასკნელი, თუკი ამ ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო ტალღა აზვირთდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აცნობიერებს საშიშროებას და ფიქრობენ, რომ, რადგან ძალაუფლებას ფლობენ, ყველაფრის უფლება აქვთ და ყველაფერს შეძლებენ, თუმცა დღემდე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ვნახეთ, რომელმაც ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალაუფლების შენარჩუნება შეძლო. ამიტომ მორიგ შეცდომებს აქვს ადგილი ხელისუფლების მხრიდან და არ იქნება ეს მათთვის კარგი რამის მომტანი.

**— პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ხავერდოვნად გადადის ხელისუფლების ოპოზიციაში და ამჯერად, „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წევრს „ნორჩი ლენინელი“ და „სტალინელი“ უწოდა, ახლა დავით ნარმანიას დაუპირისპირდა და მიუთითებს, კეთილი ინებოს და საკრებულოში გამოცხადდეს, ვიდრე ამას საკრებულო ითხოვს, თორემ ხვალ გვიანი იქნება. ნარმანიას იცილებენ?**

– დავით უსუფაშვილი ამ განცხადებას რამდენიმე თვის წინ არ გააკეთებდა, მაგრამ დღეს სრულიად სხვა სურათია შექმნილი, „რესპუბლიკელები“ პარლამენტში ბერკეტებს კი არ ფლობენ, არამედ გადამწყვეტი მანდატები უკავიათ. „რესპუბლიკელებმა“ კარგად ვერ ივაჭრეს „ოცნებასთან“, „ოცნებამ“ ისინი „გაღმა გაუშვა“, მაგრამ ახლა „რესპუბლიკელები“ „ოცნებას“ და ნარმანიას დაანახვებენ, რა შეუძლია მათ ხმებს. ნარმანიას იმპიჩმენტის პროცედურას სჭირდება უმრავლესობის ხმები, გადამწყვეტ მანდატებს საკრებულოში ფლობენ პატივცემული „რესპუბლიკელები“ და დავით უსუფაშვილმა, რომელმაც ნარმანიას წინააღმდეგ გააკეთა განცხადება... ეს ჰაერზე ნათქვამი არ არის, ეს არის გაფრთხილება და მინიშნება, რომ „რესპუბლიკელები“ საკრებულოში ფლობენ გადამწყვეტ მანდატებს და შეუძლიათ, იმპიჩმენტით ნარმანიას გადაყენება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პოლიტიკა არის ხუმრობა, ძალიან მალე დაინახავენ, რომ ასე არ არის. ძალაუფლებას დაკარგავს ნარმანია, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვაჭრობის საგანია, რადგან „რესპუბლიკელებს“ „ქართულ ოცნებასთან“ ვაჭრობა საბოლოოდ არ გაუწყვეტიათ. თუ საბოლოოდ მოხდება შეთანხმება „ქართულ ოცნებასთან“, მანდატების გადანაწილებაზე ხომ კარგი და თუ არა, ჩვენ ვნახავთ ძალიან რადიკალურ გადაწყვეტილებებს პარლამენტში, ასევე, თბილისის საკრებულოში. არ გამოვრიცხავ დავით ნარმანიას იმპიჩმენტით გადაყენებას და საპარლამენტო არჩევნების პარალელურად თბილისის მერის არჩევნების ჩატარებას. ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხი დასაბუთებული, ეს ცალკე თემაა, მაგრამ „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, დაკარგავს უმრავლესობას საკრებულოში. როგორც მოგახსენეთ, „რესპუბლიკელებს“ გადამწყვეტი მანდატი აქვთ და თუკი იმ შედეგით არ დასრულდება „ქართულ ოცნებასთან“ მოლაპარაკება, რაც მათ სურთ, მერწმუნეთ, ნარმანიას გადაყენება აუცილებლად მოხდება.

**— ფიქრობთ თუ არა ალეკო ელისაშვილისგან ხელისუფლება, ნებით თუ უნებლიეთ, ქმნის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიტიკურ ლიდერს, რომელსაც პრეტენზია აქვს, გახდეს თბილისის მერი?**

– ალეკო ელისაშვილმა მოახერხა, „ქართული ოცნების“ ზენიტის პირობებში გამხდარიყო დამოუკიდებელი დეპუტატი საკრებულოში, შესაბამისად, ის როგორც პოლიტიკური ლიდერი, მაშინ დაიბადა და რატომ არ უნდა ჰქონდეს მერობის ამბიცია? ის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ არის, ხალხის წიაღიდან წამოსული პოლიტიკური ლიდერია, რომელიც დამოუკიდებლად იბრძვის ივანიშვილის წინააღმდეგ. მას საზოგადოებაში სამართლიანობისთვის მებრძოლი პოლიტიკოსის იმიჯი აქვს, ამ შემთხვევაში ალეკო ელისაშვილი მისაღებია საზოგადოებისთვის, რადგან საზოგადოება ამ ხნის მანძილზე სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია. ამ კაცმა მარტომ გაილაშქრა უსამართლობის წინააღმდეგ, რაც, ბუნებრივია, საზოგადოების ინტერ-

ესში შედის. ველოდები, რომ ალეკო ელისაშვილს საზოგადოება აღიარებს და მხარსაც დაუჭერს, ამაში არაბუნებრივი არაფერია.

**— ეკა ბესელიასთან და მანანა კობახიძესთან ბრძოლაში, ალეკო ელისაშვილი სამართლებრივად დამარცხდა. ეს იმოქმედებს თუ არა მის იმიჯზე?**

– არა, საზოგადოებრივი აზრი მის სასარგებლოდ შეიქმნა, ასე რომ, ელისაშვილი ამ ბრძოლაში არ დამარცხებულა, ხალხი მის მხარეს დადგა. თუ ხელისუფლება ასე გააგრძელებს, დამერწმუნეთ, ელისაშვილი გაცილებით პოპულარული გახდება, დაგიმალავთ და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, არჩევნები ჩატარდება თუ არა...

**— რას ნიშნავს — კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არჩევნების ჩატარება?**

– თქვენ ხედავთ, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმაზე ვერ თანხმდებიან, საარჩევნო გარემო არ იცვლება, შესაძლებელია ამას მოჰყვეს დემონსტრაციები და გაუთვალისწინებელი პროცესები. პარლამენტში თუ დაკარგა „ოცნებამ" უმრავლესობა და შეიქმნა ახალი ე.წ. თემატური უმრავლესობა, რომელიც იმუშავებს საარჩევნო გარემოს შეცვლაზე, მაშინაც შეიძლება არ მიერ-მინისტრი. წარმოგიდგენიათ, რა ხდება ასეთ შემთხვევაში? ამ დროს ყველა ინსტიტუტს საფრთხე ემუქრება, საპარლამენტო ხავერდოვანი რევოლუციის შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს ხელშეუხებელს არავინ დატოვებს სოლოლაკის სასახლეში. დამიჯერეთ, ის ახალი ხელისუფლების სამიზნე გახდება. სახეზე გვაქვს სახიფათო პროცესი, ამიტომ არ მგონია, ასეთ ვითარებაში არჩევნების ჩატარება შესაძლებელი იყოს. აუცილებელია, შეიცვალოს საარჩევნო გარემო, რატომ ჰგონია ხელისუფლებას, რომ მას მოუწევს სააკაშვილის იგი ამერიკელებმა?

– ალასანიას, გენაცვალე, ამერიკიდან აქვს გარანტია, ამერიკიდან!.. ნინო ბურჯანაძეს კი არ ჰქონდა ამერიკელებისგან გარანტია და ამიტომ ეძახდა ალასანია იქ მისულ ქართველებს უხარისხოებს. ამერიკელებს არანაირად არ სურთ, დაუშვან ისეთი პოლიტიკური ძალა, როგორიც არის ნინო ბურჯანაძე, რომელსაც სურვილი აქვს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის. ამიტომ ყველაფერი მოხდება ისე, როგორც დასავლეთის სტანდარტშია წარმოდგენილი. ამიტომ გეუბნებით, რომ ამ

# ხელშეუხებელს არავინ დატოვებს დამიჯერეთ, ის სამიზნე გახდება"

**და მთავრობა გადადგება... შეიძლება ამ პროცესს მოჰყვეს „ოცნების" დაიწყოს მისი დევნაც, ამას მოჰყვება სამოქალაქო წინააღმდეგობა"**






**„ელისაშვილმა მოახერხა, „ქართული ოცნების" ზენიტის პირობებში გამხდარიყო დამოუკიდებელი დეპუტატი საკრებულოში, შესაბამისად, ის, როგორც პოლიტიკური ლიდერი, მაშინ დაიბადა და რატომ არ უნდა ჰქონდეს მერობის ამბიცია?"**

ვიდრე „ქართული ოცნება".

**— „ქართულ ოცნებასა" და „რესპუბლიკურ პარტიას" შორის კონფლიქტი არ ცხრება, ახლა პიროვნულად დაუპირისპირდნენ თინა ხიდაშელი და თამაზ მეჭიაური, ეს უკანასკნელი გმობს ნატოს წვრთნებს საქართველოში და მიაჩნია, რომ ეს გახდება რუსეთისთვის ხელახალი აგრესიის საფუძველი. ზოგადად, მაინტერესებს, რატომ ინარჩუნებს „რესპუბლიკური პარტია" მინისტრების სავარძელს და მმართველობის ეს კვაზიმოდელი როდემდე უნდა გაგრძელდეს.**

– ახალი უცნაური ტერმინოლოგია გამოიგონეს და ამას დაარქვეს პარტნიორობა ოპოზიციურ ფორმატში. ეს ცნება შემოიტანა თავად „ოცნებამ" და „რესპუბლიკურმა პარტიამ", იყო ხელისუფლებაში და გერქვას კონსტრუქციული ოპოზიცია, ერთი მეორეს გამორიცხავს, მაგრამ „რესპუბლიკელები" აკეთებენ ყველაფერს, რომ დარჩნენ ხელისუფლებაში და მანდატები გაიხანგრძლივონ, ეს ტერმინიც ამისთვის გამოიგონეს. ჯერ არავინ იცის, ხელისუფლება შეინარჩუნებს თუ არა ბოლომდე თავს, არ ჩატარდეს არჩევნები, პარლამენტი გამოაცხადებს დროებით მმართველობას და მთავრობა გადადგება, პარლამენტი გამოაცხადებს საარჩევნო თარიღს, შეიძლება ამ პროცესს მოჰყვეს „ოცნების" დევნა, ასევე ივანიშვილის წინააღმდეგ აგორდეს დიდი კამპანია და დაიწყოს მის წინააღმდეგ დევნა, ამას მოჰყვება სამოქალაქო წინააღმდეგობა, ასე რომ, იკვეთება არეულობის ნიშნები. არ ვამბობ, რომ ეს პროცესები გარდაუვალია, მაგრამ არც გამოვრიცხავ. „რესპუბლიკელებმა" თავის ათი მანდატი ოპოზიციაში რომ გადაცვალონ, ეს ნიშნავს, რომ „ოცნება" კარგავს უმრავლესობას და იქმნება ახალი საპარლამენტო უმრავლესობა. ამ შემთხვევაში მუშაობს კონსტრუქციული ვოტუმი. ახლა აგიხსნით, რას ნიშნავს ეს ტერმინი. ახალი უმრავლესობა შეარჩევს ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, მას წარუდგენენ პრეზიდენტს ხელმოწერებითურთ, პრეზიდენტი ვალდებულია, გადააყენოს მოქმედი მთავრობა და დანიშნოს ახალი პრემიერ დატოვებულ კონფორმისტულ გარემოში ყოფნა. როგორი პროტესტიც იყო სააკაშვილის დროს, ისეთივე პროტესტია ივანიშვილის მიმართ. ან შეცვლის საარჩევნო სისტემას და გამოიცვლება მაჟორიტარული სისტემა, ან წარიმართება სიტუაცია იმ სცენარით, რაზეც უკვე გითხარით. პარტიებმა უნდა გადაწყვიტონ უმრავლესობის შექმნა და არა მაჟორიტარებმა, მაგრამ თუ ამ სისტემით წავლენ და მაჟორიტარებს გააუქმებენ, არანაირი შანსი არ რჩება „ოცნებას" მოვიდნენ უმრავლესობით, მაინც იქით მიდის სიტუაცია, რომ არ ჩატარდეს არჩევნები, მაგრამ ხელისუფლება ამ მოდელს მხარს არ დაუჭერს. მე ვეღარ ვიგებ, ნუთუ არავის არ აქვს ჭკუა „ქართულ ოცნებაში" რომ პროცესები რეალურად აღიქვას და საფრთხე თავიდან აიცილოს.

**— რევოლუციური სცენარი, რაზეც ისაუბრეთ, ლოგიკასთან ახლოსაა და არ გენიშნათ ირაკლი ალასანიას გააქტიურება, რომელმაც თქვა, — ქუჩის საპროტესტო აქციებს ავაგორებთ ხელისუფლების წინააღმდეგ, ფიზიკურადაც კი დავუპირისპირდებით ივანიშვილსო. არადა, ჩვენ გვახსოვს, ალასანია ქუჩის აქციებს ვერ უძლებდა, 2009 წელს პირველ დასტვენაზე ლევან გაჩეჩილაძეს ამოეფარა და დაშალა აქციები, ხოლო 2011 წელს ნინო ბურჯანაძის აქციაზე მისულ ხალხს უხარისხო ქართველები ეძახა. საინტერესოა, რომელი ხარისხის ქართველები დაუდგებიან ირაკლი ალასანიას საპროტესტო აქციებზე და დაქოქეს თუ არა**

ხელისუფლებაში ჭკუა არავის არ ყოფნის. ივანიშვილი წყვეტს ყველაფერს, მაგრამ არ იცის, როგორ გადაწყვიტოს და ამიტომაც დგას ეს შედეგები.

**— ალასანია შეძლებს, რევოლუციურ სცენარში გადაზარდოს პროცესები?**

– გადაზრდის, თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ახალ უმრავლესობას შექმნიან ალასანია, „რესპუბლიკური პარტია", „ნაციონალური მოძრაობა" და რატომ არ შექმნიან ალასანიასთვის მხარდამჭერ გარემოს? თუ პარლამენტშია შესაძლებელი ახალი უმრავლესობის შექმნა და ხავერდოვანი რევოლუცია, ქუჩაში რატომ არ არის ეს შესაძლებელი? ერთი ამოცანის სხვადასხვა საცეცებია, ერთი ქუჩაში, ერთი პარლამენტში. ეს კერები ინთება ივანიშვილის წინააღმდეგ, ალასანიას იმდენი კაცი ჰყავს პარტიაში, რომ ქუჩაში შექმნას „მასოვკა", ამას დაემატება „ნაციონალების" 1000 კაცი, „რესპუბლიკელების" მხარდამჭერები, „ეროვნული ფორუმის" ხალხი, შეიკრიბება 7000-მდე კაცი, ამას დაემატებიან ცნობისმოყვარეები და შეიქმნება კრიტიკული მასა. ეს არის ცნობილი ტექნოლოგია და აქ გასაკვირი არაფერია. გამოსავალი არის ის, რომ რეგულაცია მოხდეს მშვიდობიანად და საქართველოს ეღირსოს დემოკრატიული არჩევნები. ეს არის ივანიშვილის გამოსავალი და თუ არ მოხდება საარჩევნო კანონის რეფორმა, მერწმუნეთ, ერთი თვის შემდეგ ივანიშვილს გამოსავალი აღარ ექნება.

Facebook ამბები

facebook



**ნიკა გვარამია** ბიძინა ივანიშვილზე:

მოკლედ, რა, მოაშორეთ ეს კაცი-სიმსივნე ამ ქვეყანას. ყველას თქვენი წილი პასუხისმგებლობა გაქვთ ამის აქ მოთრევაში. ვის მეტი, ვის ნაკლები, აღარაა მნიშვნელოვანი. მოაშორეთ და მერე გაერკვიეთ ერთმანეთში!

facebook




**ცოტნე გამსახურდია**

სირცხვილია ეს ყველაფერი! პანორამა- თბილისთან დაკავშირებით მრავალი კითხვა არსებობს, რაც მის არქიტექტურულ იერსახეს თუ კულტურულ მემკვიდრეობის საკითხებს უკავშირდება! მათ შორის - კრიტიკული პოზიცია აქვს იუნესკოს, რომელიც აპირებს თბილისის სტატუსის გარკვეულ ცვლილებას ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

საჭიროა მეტი საზოგადოებროვი ჩართულობა და არა ამგვარად, მიშიზმის ავტორიტარულ ტრადიციებში სამოქალაქო აქტივისტებთან გამკლავება! ხელისუფლება ამ ბრძოლას ვერ მოიგებს, ამის გარანტიას მივცემ, ვისაც უნდა. კიდევ ერთი პრობლემა გახლავთ ის, რომ მონურად მორჩილი სახელმწიფო აპარატი თუ სასამართლო ხელისუფლება უსწრაფესად და უკრიტიკოდ ასრულებს ერთი ადამიანის დაკვეთას.

რატომ ცდილობს ბიძინა ივანიშვილი ასე გამალებით ქარს გაატანოს ის პოზიტივი, რაც მის სახელს ჯერ კიდევ უკავშირდება, უბრალოდ საოცარია! მით უფრო, რომ აცხადებს ამ პროექტს ჩემთვის ფინანსური მნიშვნელობა არა აქვს და მზად ვარ ნებისმიერ კვალიფიციურ ინვესტორს დავუთმოო...

დასასრულ, მე ვურჩევდი ხელისუფლებასაც და ბიძინა ივანიშვილსაც: ნუ გაიხდით ისე საქმეს, რომ წესიერ, ჩვეულებრივ მოქალაქეებს თქვენი მხარდაჭერა ესირცხვილებოდეთ. წინა ხელისუფლების მაგალითი ასე ადვილად დასავიწყებელი არ არის!

Facebook ამბები



ირმა ნადირაშვილი:
არანაირი გარანტირებული ადგილი გიორგი ვაშაძეს სიაში, პირველ ათეულში არ ჰქონდა. (რაზეც ვითომ უარი თქვა) ადგილისთვის იბრძოდა და ამიტომაც წავიდა

ამირან ლომთაძე – არ არის ასე, ვაშაძეს ნამდვილად ქონდა საზოგადოების მხარდაჭერა. ნამდვილად უნდა ყოფილიყო ათეულში, ადგილები ვერ გაიყვესო და დაიშალენო-რა საბაბს ვაძლევთ ქოცებს ქირქილისთვის. ძალიან ცუდი ამბავია

თამარ ციციშვილი – რიგით ამომრჩეველზე ამას ექნება შთაბეჭდილება "ესენი დაშლის გზაზე დგანან და არაფრის მომგებები და არავის მომრევები არ არიან", რაც არ უნდა ახსნა-განმარტებები მოჰყვეს ამ ყველაფერს. ცუდია ძალიან.

სოსო ხადური - თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაც ხომ დაუბლოკეს? მერობის კანდიდატად არ გაუშვეს... საწყენი ბევრი ჰქონდა, პრინციპში.

ირმა ნადირაშვილი - დაუბლოკეს რას ნიშნავს? თბილისის ორგანიზაციის სათავეში ნიკა მელიაა. თვლით, რომ ცუდად უძღვება საქმეს?
სოსო ხადური - როდესაც მელია წარადგინეს მერობის კანდიდატად, ხალხისათვის აბსოლუტურად უცნობი იყო, განსხვავებით ვაშაძისაგან.
ნიკა მელია ორგანიზაციას როგორ უძღვება ვერაფერს გეტყვით - შიდა სამზარეულოზე ინფორმაცია არ მაქვს. მაგრამ გიგა ბოკერიას ჯგუფისაგან საჯარო შეტევები ვაშაძის მიმართ იყო და არაერთი.

ფენიქს ლომაძე -ვერავითარ ტრაგედიას ვაშაძის წასვლაში ვერ ვხედავ. ყველა წამსვლელი დროზე წავიდეს. ნაციონალები ამ არჩევნებს ყველა ვარიანტში იგებენ! ვაშაძისნაერი ხალხი ყოველთვის მოძებნის გასაქცევ მიზეზს და შეიძლება ყველაზე მოულოდნელ დროს გიღალატოს. ამიტომ ასეთი ადამიანები ბრძოლაში რაც მალე გაემიჯნებიან პარტიას, მით უკეთესი!

გიორგი წირღვავა - კიდე ბევრი წავაა, მეცოდებიან ყველააა

ნიკოლოზ ხიზაძე - უბრალოდ ცუდი დრო შეარჩიეთ, სერიოზულ დაბნეულობას გამოიწვევს...



ჩიორა თაქთაქიშვილი -თამაზ მეჭიაურზე: აი, ეს მოღალატე არის საქართველოს მთავრობის წევრი! „გეორგიევსკი ბაფთები" და რუსი ბაიკერები კი არა, საერთოდ როგორ ვართ ისევ რუკაზე ამათ ხელში! ესენი რაც შეიძლება მალე უნდა მოვიშოროთ!

# რატომ დაუპირისპირდა 79 წლის ივანე



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

4 მაისს საქართველოს აკადემიაში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელიც დაპირისპირებასა და დიდ სკანდალში გადაიზარდა. ასეთი სიტყვები: გარეწარი, მოსყიდული, პროვოკატორი, გამყალბებელი, ნაგავი, ნაბიჭვარი და ასე შემდეგ. შეხვედრაზე მისული იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, ივანე კილურაძე. მას კოლეგებთან ერთად უნდა განტრეველი და თემურ ნანეიშვილი უკვე გადასცილდნენ 70 წელს). შეხვედრაზე კვესიტაძემ აღნიშნა, რომ პროექტი აკადემიასთან შეთანხმებული არ ყოფილა და მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ცვლილებები პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მისივე თქმით, ახალ კანონპროექტს ფუნდამენტური განხილვა და შესწავლა სჭირდება – ზოგ რამეს კატეგორიულად არ ეთანხმებიან, ზოგზე მსჯელობა შეიძლება, ზოგი კი მოსწონთ:

**„დღეს მეცნიერებათა აკადემიაში სულ 110 წევრია. მათგან 70 აკადემიკოსია, 40 — წევრ-კორესპონდენტი. ვანო კილურაძელი" და „პროვოკატორი" ეძახა. როგორც ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, ივანე კილურაძეს სულ სხვა ინტერესები ამოძრავებს, მას ფეხებზე ჰკიდია აკადემიაც და ქვეყანაც:**

**— ბატონო ელიზბარ, მე წავიკითხე კანონპროექტის განმარტებითი ბარათი და ერთი შეხედვით მომხიბლავიც კი ჩანს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ აუცილებელია განახლება და ახალგაზრდების მოზიდვა. რა არის აქ ისეთი, რაც თქვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, მხოლოდ ასაკობრივი ცენზი?**

– ჯერ ერთი, ყველამ უნდა



„კილურაძე შევარდნაძის დროს იყო ცესკოს თავმჯდომარე და გააყალბა არჩევნები. მაშინ მე ჩემი პარტიით ვმონაწილეობდი არჩევნებში — ეს იყო „21-ე საუკუნე — კონსტანტინე გამსახურდია", 15 პროცენტი გადავლახეთ, შევარდნაძემ დაიბარა და უთხრა, ეს ხალხი არ მჭირდება პარლამენტშიო. წავიდა კილურაძე, გაგვიყალბა, ხმები გაგვიუქმა და საერთოდ გარეთ დაგვტოვა... ეგ არის ხათუნა გოგორიშვილის აღმზრდელი მამა ამ საკითხში"

„ხელფასზე რომ მელაპარაკება კილურაძე, რას ვიღებთ? ბიძინა ივანიშვილი რომ არ გვყავდეს, შიმშილით დავიხოცებოდით"



ეხილა კანონპროექტი, რომელიც უკვე ინიცირებულია პარლამენტში. მეცნიერები აპროტესტებენ, რომ მათ კანონპროექტი ინიცირებამდე არავინ გააცნო და საერთოდ, ყველაფერი დაიწერა შეუთანხმებლად. რა წერია ისეთი კანონპროექტის განმარტებით ბარათში, რამაც ქართველი მეცნიერები ასე აღაშფოთა? ივანე კილურაძის განმარტებით, კანონ-პროექტის მიზანია:

**„გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვა აკადემიის საქმიანობაში; საჭიროა გრძელვადიანი (5-წლიანი) სამეცნიერო სტიპენდიების დაწესება და წევრ-კორესპონდენტთა ინსტიტუტის სტიპენდიატთა ინსტიტუტით ეტაპობრივი ჩანაცვლება. წევრ-კორესპონდენტთა და სტიპენდიატთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40-ს. კანონის ამოქმედების შემდეგ აირჩევა 9 სტიპენდიატი და დარჩება 31 წევრ-კორესპონდენტი. სტიპენდიატად შეიძლება აირჩეს დოქტორის ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია, ასაკით — არაუმეტეს 50 წლისა. კანონპროექტის თანახმად, აკადემიას შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ვიცე-პრეზიდენტი (ამჟამად ჰყავს ორი). ამასთანავე, ადმინისტრაციულ, ანუ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის, თანამდებობაზე შეიძლება იყოს წევრი, რომლის ასაკი 70 წელს არ აღემატება".**

აკადემიის ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძეცა და ვიცე-პრეზიდენტებიც – როინ მე-

**გვთავაზობს, რომ წევრ-კორესპონდენტები გადავიყვანოთ მილევად რეჟიმში, მათ ნაცვლად კი ავიყვანოთ სტიპენდიატები. საქმე ისაა, რომ ეს იწვევს აკადემიის წევრების შემცირებას, 110-ის ნაცვლად გვეყოლება 70. ეს პრინციპულად მიუღებელია. სტიპენდიატი აკადემიის წევრად ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება ასაკობრივ ზღვარს, თუ კაცი ფიზიკურად კარგადაა, ეს ასაკობრივი დისკრიმინაცია რა საჭიროა"?**

ივანე კილურაძე თითქმის გააძევეს დარბაზიდან. მისი მისამართით ისმოდა ასეთი შეძახილები: „შენ ღუპავ აკადემიას", „არ გინდა პროვოკაციები", „შენ ხარ არჩევნების გამყალბებელი", „შენ ხარ მოსყიდული", „შენ აკეთებ იმას, რაც სააკაშვილმა ვერ გააკეთა"!

**„ქართული ოცნების" დეპუტატს ყველაზე მწვავედ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე დაუპირისპირდა, გიორგი კვესიტაძისა და როინ მეტრეველისადმი პირად ანგარიშსწორებაში დაადანაშაულა. კილურაძემ კი მას „მოსყიდუ-**

იცოდეს, რომ რაც კილურაძე გახდა დეპუტატი და შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე, ჩვენგან გასული არც ერთი წინადადება არ გაუტანია. თან გამოცხადებული აქვს, სანამ მე ვარ ამ კომიტეტის თავმჯდომარე, თქვენს არც ერთ წინადადებას არ გავიტანო.

**— რა მიზეზით?**

– მიზეზი არის პირადული, არც მეტი, არც ნაკლები. მას არ უნდოდა არც კვესიტაძის გასვლა აკადემიის პრეზიდენტად და მით უმეტეს, არ უნდოდა როინ მეტრევლის ვიცე-პრეზიდენტობა.

**— თავისი ფავორიტები ჰყავდა?**

– კი, თავისი ფავორიტები დღესაც ჰყავს... ვიცე-პრეზიდენტად აგვარჩევინა თემურ ნანეიშვილი, რომელიც მანამდე იყო რაღაც სახალხო უნივერსიტეტის წევრი. როცა მეორე ვიცე-პრეზიდენტად როინ მეტრეველი ავირჩიეთ, არ ესიამოვნა და ახლა აცხადებს, ორი საჭირო არ არის, ერთი ვიცე-პრეზიდენტი უნდა

**ზოგმა დაასხრიოს!**

იყოსო. ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ აქ მთავარია ასაკობრივი ცენზი, 70 წელზე ზემოთ აღარ უნდა ავირჩიოთ აკადემიის ხელმძღვანელობაო.

**— კი, მაგრამ ჯერ პარლამენტში რატომ არ ითხოვს ასაკობრივი ცენზის დაწესებას? ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, თვითონ 79 წლისაა და ამხნის დეპუტატი შეიძლება?**

– აი, ამაშია საქმე... ეს 79 წლის კაცი ცოტა გამოჩურჩუტებულია და რაც დეპუტატი გახდა, ისედაც სულ ინტრიგნობს. აკადემიაში რამდენიმეჯერ სცადა სიტუაციის არევა და ახლა თავზე დაგვადგა მაოხრებელი გზირივით.

**— სიტუაციის არევის მცდელობაში რას გულისხმობთ?**

– შიგნით უნდოდა რამდენიმეჯერ ჯანყის მოწყობა, მაგრამ არ გამოუვიდა. ბოლოს 6 აპრილს ჩატარდა კრება, მას არ უნდოდა, რომ მდივნად აგვერჩია ირაკლი ჟორდანია. ერთი ამბავი ატეხეს და მაინც ჩვენი გავიტანეთ, დავნიშნეთ. ამას მოჰყვა გართულებები. მანამდე მე კილურაძეს დავუწერე წერილი, შევარდნაძის დროს იყო ცესკოს თავმჯდომარე და გააყალბა არჩევნები. მაშინ მე ჩემი პარტიით ვმონაწილეობდი არჩევნებში – ეს იყო „21-ე საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდია", 15 პროცენტი გადავლახეთ, შევარდნაძემ დაიბარა და უთხრა, ეს ხალხი არ მჭირდება პარლამენტშიო. წავიდა კილურაძე, გაგვიყალბა, ხმები გაგვიუქმა და საერთოდ გარეთ დაგვტოვა. მე მას ვუწოდე არჩევნების გაყ-

ალბების პიონერი, მანამდე არ ყალბდებოდა. ეგ არის ხათუნა გოგორიშვილის აღმზრდელი მამა ამ საკითხში. სადღაც უთქვამს, ამ ყველაფერს ელიზბარ ჯაველიძის გამო ვაკეთებო. შეიძლება მე არ მოვწონვარ და ჩემი დასჯა უნდა, აკადემიამ რა დაუშავა? ახლა ეს პროექტი წარმოადგინა არა იმიტომ, რომ ახალგაზრდების მოყვანა უნდა, ცდილობს, არჩეული პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები გააძევოს, თავისი ხალხი მოიყვანოს. გამოდის, მეტრეველსა და კვესიტაძეს თავისივე მოყვანილი ნანეიშვილიც უნდა მიაყოლოს. ფაქტობრივად, ეს კაციც გაწირა. ეს ახალგაზრდობის, აიღოსო. ყველაფერს დავანებოთ თავი, როდესაც ადამიანს ეუბნები, 50 წელზე ზემოთ თუ იქნები, არ მიგიღებო, ეს არის დაუშვებელი, უფლებების შელახვა. რა დაწერე, რა შექმენი, იმას აქვს მნიშვნელობა და არა ასაკს. როდესაც მე წევრკორად ამირჩიეს, 8 წიგნი მქონდა გამოცემული, ახლა მაქვს გამოცემული 18 წიგნი. მიუხედავად იმისა, რომ დამდევდნენ და საქართველოდან გაქცეული ვიყავი, მაინც ამდენი მოვახერხე. მე სწორედ კილურაძის მიერ გაყალბებულმა არჩევნებმა მაიძულა, ქვეყნიდან გავქცეულიყავი 4 წლითა და რამდენიმე თვით! ახლა კილურაძე ადამიანები ვართ, რატომ არაფერს გვეკითხებიან? მე არ ვარ მომხრე, ახალგაზრდებმა ასე ირბინონ და რექტორები გაუშვან უნივერსიტეტიდან, მათ უნდა ისწავლონ. ჩვენ გვიწვალია, გვიცხოვრია, გვიბრძოლია, ასეთი უყურადღებობა როგორ შეიძლება?! კილურაძე გვეუბნება, თქვენ რამდენიც არ უნდა ილაპარაკოთ, მე ჩემსას მაინც გავიტანო. აი, ამიტომაც ვართ ამ დღეში და ამიტომაც გვჭირს დიდი უბედურება!

**— ბატონო ელიზბარ, დეპუტატებს თუ ესაუბრეთ ამ საკითხზე?**

– ბევრთან მქონდა საუბარი, ზოგი

# კილურაძე 70 წელს გადაცილებულ მეცნიერებს?



**ივანე კილურაძე: „ალიააა“? თქვენ რააა, რააა, რააა ნაბიჯი გადადგით ჩემ მიმართ ჯერ კიდევ ძველად და მერე რა დაწერეთ, ხო? არ მინდა მე თქვენთან ურთიერთობა!**

**„ალია“: „არც ჩვენ გვინდოდა თქვენი დეპუტატობა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა მაინც შემოგვტენა აი, ისე, ვირს რომ პიტნა ეჯავრება და მაინც ტენიან ხოლმე“**

**„აგერ, სტუდენტებმა თქვეს, ეს რექტორი არ გვინდაო და ლადო პაპავა გადადგა. თუ სტუდენტებს ჭკუას ეკითხებიან, ჩვენ ხომ ზრდასრული ადამიანები ვართ, რატომ არაფერს გვეკითხებიან?“**




ანუ სტიპენდიატების ინსტიტუტიც როგორ უნდა შემოიღოს, აბსოლუტურად გაუგებარია. შეიძლება ახალგაზრდების აღზრდა დაგვავალო, მაგრამ წევრ-კორესპონდენტების რიცხვის შემცირების ხარჯზე? ამით შეურაცხყოფ დიდ მეცნიერებს! წევრ-კორესპონდენტობა არის იგივე ახალგაზრდობის მოზიდვის ინსტიტუტი. ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ მოდის და როგორ მოდის, ახლანდელი დოქტორი არის უბედურება. როგორც ესენი იცავენ სადოქტოროს, ჩემი სტუდენტები რომ იყვნენ, არც ერთს არ მივცემდი შეფასებას, არ დავამთავრებინებდი. მაგალითად, ახლა თეა თუთბერიძე არის პროფესორი, შეიძლება, ასეთი დონის ადამიანი მეცნიერებათა აკადემიაში მოიყვანო?! მართალია, ჩვენ ასაკოვანი ხალხი ვართ, მეც 73 წლისა ვარ, არავითარი პრეტენზია არ მაქვს, ჩემთვის მთავარია, ქვეყანა გადარჩეს და ამიტომაც შევქმენი აკადემიაში ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისია. ჩვენ უკვე 15 ისეთი საკითხი დავუყენეთ ხელისუფლებას, რომ გასაქცევი გზა არ დავუტოვეთ – მიწების გაყიდვა, დემოგრაფიული პრობლემები, სომხების მიერ პრეტენზიების წამოყენება ეკლესიებთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. თურმე კილურაძე იძახის, ჯაველიძემ კომისია იმიტომ შექმნა, რომ ხელფასი იძახის, ნიჭიერი ახალგაზრდების გადინება უნდა შევაჩეროთ, აკადემიაში მოვიყვანოთო. დღეს საქართველოდან გასულია 400-მდე უნიჭიერესი ახალგაზრდა, თუ 9 კაცს მოიყვან ან 50-ს, პროცესს ასე გააჩერებ? ხელფასზე რომ მელაპარაკება კილურაძე, რას ვიღებთ? თუ რამეს დაგვიკვეთენ, 1000 ლარამდე ძლივს ადის, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გვყავდეს, შიმშილით დავიხოცებოდით. მსგავსი რამ დაიწყეს „ნაციონალებმა“ და ბოლომდე მიყვანა მაინც ვერ გაბედეს. იმის მაგივრად, რომ მოვიდნენ, დაგველაპარაკონ, ერთად მოვიფიქროთ რამე, აქეთ იმუქრებიან და პირადი ინტერესების გამო ასეთ რაღაცებზე მიდიან. კილურაძე ძალიან ჩქარობს, იცის, რომ აღარ აირჩევენ და ინტრიგებს ხლართავს, თავისი ხალხი უნდა მოიყვანოს. ადრე ჰქონდა მცდელობა, რომ საკუთარი თავი აკადემიის პრეზიდენტად წარმოედგინა, კვესიტაძეს ისიც კი უთხრეს, გადადექი, რომელიმე სფეროში მინისტრად დაგნიშნავთო, მაგრამ ჩვენ არ ვქენით. მერე უნივერსიტეტის რექტორობაც უნდოდა, იქ უთხრეს, ასაკობრივი ცენზიაო... მერე რა, მოსპეთ დროებით ეგ ცენზიო. აგერ, სტუდენტებმა თქვეს, ეს რექტორი არ გვინდაო და ლადო პაპავა გადადგა. თუ სტუდენტებს ჭკუას ეკითხებიან, ჩვენ ხომ ზრდასრული ამართლებს, ზოგი კიდევ აღშფოთებულია კილურაძის საქციელით.

**— თუ ბატონმა კილურაძემ თავისი გაიტანა, რას იზამთ?**

– მაგალითად, მე შემიძლია, 1000 კაცი შევკრიბო და დავაყენო პარლამენტთან. სხვანაირად აღარ გამოდის, როდესაც სტუდენტები შიმშილობენ და ანგარიშს უწევენ, ჩვენც დავიწყებთ შიმშილობას და ეს იქნება ქვეყნის სირცხვილი!

**„ალია“ კომენტარისთვის პარლამენტარ ივანე კილურაძესაც დაუკავშირდა, მაგრამ მან ქოში უკუღმა ყარა, თქვენთან ლაპარაკი საერთოდ არ მინდაო. აი, ეს უკვე თანამედროვე პარლამენტარიზმისა და პოლიტიკის კლასიკური ნიმუშია:**

**— ბატონო ვანო, გელა გაწუხებთ ზედელაშვილი გაზეთ „ალიადან“.**

– „ალიააა“? თქვენ რააა, რააა, რააა ნაბიჯი გადადგით ჩემ მიმართ ჯერ კიდევ ძველად და მერე რა დაწერეთ, ხო?

**— რა დავწერეთ, იქნებ გაგვახსენოთ?**

– ჰოდა... ღმერთმა ბედნიერად... ჩემთან რა გინდათ? არ მინდა მე თქვენთან ურთიერთობა!

**— ჯერ მათქმევინეთ, რაზე გირეკავთ...**

(ტელეფონი გათიშა)

აუცილებელი განმარტება: თქვენ

## ბოლმა დაახრჩობს!

იმ ძველ დროს იხსენებთ, როცა ბიძინა ივანიშვილთან გვქონდა დაძაბული ურთიერთობა, რაღაც სულელურ განცხადებაზე წაუკითხავად მოაწერეთ ხელი და ამის გამო სამართლიანად გაგამათრახეთ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ გულში ბოლმა მაინც დაგრჩენიათ. მაშინ თქვენ არ იყავით ოფიციალური პირი და რომც გაბუტულიყავით, არ იქნებოდა პრობლემა. გავიდა დრო, გახდით საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ანუ უკვე საჯარო პირი და მეც გირეკავთ ოფიციალურად. თქვენ ხართ ვალდებული, მიპასუხოთ კონკრეტულ საკითხზე, არავითარი პირადული, არავითარი გაბუტვა, ყველანაირი წყენა უნდა გადადოთ და დაივიწყოთ, ჩვენ ამაში გიხდით ხელფასს! თუმცა თქვენ ამდენი არ გესმით, აქეთ „იბრიქებით“, თქვენთან ურთიერთობა არ მინდაო... სხვათა შორის, არც ჩვენ გვინდოდა თქვენი დეპუტატობა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა მაინც შემოგვტენა, აი, ისე, ვირს რომ პიტნა ეჯავრება და მაინც ტენიან ხოლმე. არც ამის შემდეგ გვენდომება თქვენთან ურთიერთობა და მადლობა ღმერთს, სულ რაღაც, 6 თვეში გამობუნძულდებით პარლამენტიდან. უბრალოდ, მე პირადად მენანება ის ფული, რომელიც ბიუჯეტში შევიტანეთ და თქვენ კიდევ სახლში წაიღეთ. მართალი ყოფილა ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, თქვენ მოქმედებთ არა ქვეყნის ინტერესებით, არამედ საკუთარი ბოლმითა და ბალღამით. სწორედ ამიტომაც შეიჭერით მეცნიერებათა აკადემიაში და გინდათ, ყველა გაყაროთ იქიდან საკუთარი ნათესავ-მეგობრების დასაქმების გამო. კი, მეცნიერებათა აკადემიაში ნამდვილად არის ჩასატარებელი ერთი მაგარი რეფორმა, მაგრამ არა თქვენი ხელით. გპირდებით, საკუთარ ინტერესებს ვერსად ვერ გაატარებთ, ყველგან ჩაგისაფრდებით და გამხელთ!!!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

facebook




**სანდრო ბრეგაძე:**

**თუ პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი ხმას არ მიცემს კონსტიტუციაში ოჯახის როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობის განსაზღვრებას,მაშინ ის უმრავლესობის მხრიდან გადაყენებული უნდა იქნას თანამდებობიდან.წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი არმოჩნდება რომ არის ბლეფი და არავის უნდოდა ამ შესწორების შეტანა, უბრალოდ დრო გაწელეს. ამას კი არავის ვაპატიებთ!!!!!!!!!!!!!!!!!!**

**მოქიძე გოჩა** - სანდრო საქართველოს დელეხტორს იან კელის როგორც უნდა ისე არ მოიქცევიან პარლამენტარები და მათი უსტაბაში ძალიან გააბრაზებენ იან ბიძიას და მისი მოადგილეს საქართველოს ამირსპარსალარ წინიკიე დეიდას. ნუ დაგვავიწყდება მდინარის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა მხოლოდ ზვიად გამსახურდიამ შესძლო და ეს ერთეულებს ძალუძს მარტო საუკუნეში

**ელენე ეკლენიკა** - ბატონო სანდრო ვნების კვირაში ნაჩქარევად რომ მიიღეს და დაამტკიცეს ის რაღაც იუვენალური იუსტიცია თუ რაღაც ოხრობა ერის დასაქცევი, იმაზე რას იტყვით? ესენი ჯანდაბაში უნდა გაუშვა ყველა ერთად და ცალცალკე..

facebook



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

**მეგობრებო, გთხოვთ გაფრთხილდეთ და არ წამოეგოთ Express bank - ის (იგივე "საქართველოს ბანკის") მიერ შემოთავაზებულ წინადადებას 800 ლარიანი კრედიტის დამტკიცების თაობაზე, რასაც ალბათ მრავალი თქვენგანი მიიღებდა მობილურებში შეტყობინების სახით.**

**საქმე იმაშია, რომ გთავაზობენ 800 ლარს 12 თვის ვადით, თუმცა პირობას გაცნობენ კრედიტის აქტივაციის შემდგომ, როცა უკვე ყველაფერი გვიანია, კერძოდ, თქვენ დგებით იმ ფაქტის წინაშე, რომ - 39 ლარი გატანის საკომისიო გეჭრებათ; 1 წლის მანძილზე ორ კვირაში ერთხელ უნდა იხადოთ 40 ლარი ანუ თვეში 80 ლარი რაც არ აკლდება ძირს(!) ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე აბრუნებთ 800 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში გერთვებათ საჯარიმო სანქციები.**

**12 თვეში მომხმარებელი იხდის 1800 ლარს, რაც ნიშნავს რომ პროდუქტი ძვირდება 125% ით!**

Facebook ამბები



დათო გოგიშვილი:

მე მიმაჩნია, რომ ,,ქართული ოცნების,, ყველა ის ლიდერი, სახე თუ რიგითი წევრი, რომელიც სიხარულით აღტკინებულია და ბედნიერებისაგან ტრანსშია გიორგი ვაშაძის მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვების ფაქტის გამო, ,,ქართული ოცნების,, ყველა ის სახე, რომელსაც ,,გირჩის,, წევრი რამოდენიმე დეპუტატის მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვება მათი მმართველობის წარმატებად მიაჩნია, მე მათ ვეტყვი, რომ როგორც მინიმუმ უზომოდ უსამართლოა და პოლიტიკურად არაადექვატური და მოგახსენებთ რატომაც. პოლიტკურად გულმავიწყ საზოგადოებას მინდა მივმართო და სულ ახლო წარსულში განვითარებული მოვლენები შევახსენო.

1). როდესაც მიხეილ სააკაშვილის მიერ პარლამენტის ტრიბუნიდან ნასროლი სლოგანით ,,ყველანი ციხეში!!!,, სამართალდამცავი სტრუქტურები პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ ხალხს, ,,ქართული ოცნების,, მიერ ,,დავერბოვკებბული,, ეს ბრენდი დეპუტატები მინიმუმ იყვნენ კომფორმისტულად ჩუმად და მაქსიმუმ მხარს უჭერდნენ ამ ძალადობას

2). როდესაც ტელეკომპანია ,,იმედში,, 2007 წლის 7 ნომებერს ხელისუფლება თავებს უხეთქავდა ხელკეტით ჟურნალისტებს, მიწაზე ანარცხებდა მათ და აანდგურებდა ბადრი პატარკაციშვილის კერძო ქონებას, მაშინ ,,ქართული ოცნების,, მიერ ,,დავერბოვკებბული,, ეს ბრენდი დეპუტატები მინიმუმ იყვნენ კომფორმისტულად ჩუმად და მაქსიმუმ მხარს უჭერდნენ ამ ძალადობას

3). როდესაც სასამართლოს ნებართვის გარეშე ხელისუფლება პირდაპირ დღისით-მზისით საამშენებლო ტექნიკით ანგრევდა მათთვის არასასურველ კერძო საკუთრებებს, ულუკმაპუროდ ტოვებდა ათასობით ადამიანს და ბანკის ვალებში გადავარდნილი მეწარმეები თვითმკვლელობით ამთავრებდნენ სიცოცხლეს, მაშინ ,,ქართული ოცნების,, მიერ ,,დავერბოვკებბული,, ეს ბრენდი დეპუტატები მინიმუმ იყვნენ კომფორმისტულად ჩუმად და მაქსიმუმ მხარს უჭერდნენ ამ ძალადობას

4). როდესაც 2008 წლის 8 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილმა სისხლიან ავანტიურაში ჩაითრია ქვეყანა, წააგო ომი, დაკარგა ტერიტორიები, გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა და როდესაც ქართველი მეომრების გვამები ლპებოდნენ ცხინვალის ქუჩებში და ამ დროს მიხეილ სააკაშვილი ტაშ-ფანდურს მართავდა რუსთაველზე და თვალებში ნაცარს გვაყრიდა ომი მოვიგეო, მაშინ ,,ქართული ოცნების,, მიერ ,,დავერბოვკებბული,, ეს ბრენდი დეპუტატები მინიმუმ იყვნენ კომფორმისტულად ჩუმად და მაქსიმუმ მხარს უჭერდნენ ამ ძალადობას

ბატონებო!!!! იყო დრო, როდესაც ბერას სურათის ან კლიპს დალაიქებისათვის ახალაიების უშუალო ბრძანებით სამსახურიდან უშვებდნენ ხალხს, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე გმირი ჩვენი თანამოქალაქეები ამას მაინც აკეთებდნენ ბატონი ბიძინა ივანიშვილის, ბერას და იდეის სიყვარულის გამო

ბატონებო!!!! როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად ფილარმონიასთან მიხეილ სააკაშვილის ექსკორტს გზა გადავუკეტეთ, მხედველობაში მაქვს პატიმართა არაადამიანური წამების კადრები როცა გასაჯაროვდა. როდესაც ამ დროს ვერის ბაღი სავსე იყო ზონდერებითა და კუდ-ის სპეცრაზმელებით და ალბათ რამოდენიმე ათეული აქტივისტისაგან, რომლებმაც მაშინ მელიქიშვილის ქუჩა დავკეთეთ ცოცხალს არცერთს არ დაგვტოვებდნენ, აი მაშინ იყო ურთულესი ამის გაკეთება!!! და მაშინ ,,ქართული ოცნების,, მიერ ,,დავერბოვკებბული,, ეს ბრენდი დეპუტატები მინიმუმ იყვნენ კომფორმისტულად ჩუმად და მაქსიმუმ მხარს უჭერდნენ ამ ძალადობას.

შესაძლოა ჩემი და ჩემი მეგობრების რეაქციაც დაგვიანებული იყო რუსთავი 2-ის დატოვებას ვგულისხმობ, მაგრამ მაშინაც იქ უზარმაზარი ზეწოლა იყო თანამშრომლებზე, რომ ტელევიზია არ დაშლილიყო, მაგრამ მაშინ ეს ნაბიჯი გადაიდგა. აი მაშინ იყო ურთულესი ამის გაკეთება!!!!!!

ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისათვის და იმ ასიათასობით ადამიანისათვის, ვინც ბიძინა ივანიშვილის სიყვარულისა და პატივისცემისათვის, იმ იდეებისათვის, რომელსაც ამ ადამიანმა ჩაუყარა საფუძველი მზარ ვიყავით სიკვდილზე წავსულიყავით გიორგი ვაშაძის დღევანდელი (2016წ) გადაწყვეტილების რაღაც დიდების შარავანდედით შემოსვა და მისი გმირის რანგში აყვანა არის უდიდესი შეურაცყოფა და ჩვენი არჩევანის ფეხქვეშ გათელვა. მსგავსი ტიპის განცხადებები არის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ,,ქართული ოცნება არიან ღირებულებებით, მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიურად თანამოძმე პოლიტიკური გაერთიანებები.



გოგი ლორთქიფანიძე:

პატივცემულებო დავიჯერო გირჩის პოლიტფიშკას არ აჯობებს ქართული ფუტკარის იდეა???

თან არ ახალია ეს იდეა, იყო ამაზე ადრე ლაპარაკი და რომ მოხდეს ამ იდეიის აღდგენა და პოლიტიკურად რეალიზება თქვენ რას იტყვით ?

მუყაითი, მშრომელი, დაუზარებელი და საკუთარი შრომით საერთო დოვლათის გამამრავებელი, თან ამ დოვლათის და სამშობლოს ერთგული დამცველი და მებრძოლი....

ეს არ გვინდა ჩვენც?

პ.ს.

იძულებული ვარ დავამატო, რომ არ ვხუმრობ

---

# რატომ არიან პაციენტები უკმაყოფილო პენსიონერს უფასო გამოკვლევაში 600 ლარს

## რას პასუხობს ,,ალიას“

ეთერ ბალაძე
593 15-64-47





**რა არის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა?**

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა. მაგრამ ვინ და როგორ სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევით? „ყველა ის, ვისაც საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის ნეიტრალური მოწმობა აქვს... თუ დაზღვეულ მოქალაქეს 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ, ამა თუ იმ მიზეზით შეუწყდა სადაზღვევო კონტრაქტი, ამ შემთხვევაში მოქალაქე ჩაერთვება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში და მიიღებს მინიმალური პაკეტის პირობებით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც მოიცავს როგორც ოჯახის ან უბნის ექიმის მომსახურებას, ასევე ექთნის მომსახურებას უფასოდ.

ასევე, სრულად დაუფინანსდება სისხლის საერთო და შარდის საერთო ანალიზები, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, განსაზღვრული ჩამონათვალში – დანართი №1.2 (ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე – 15 000 ლარი), მშობიარობა (ლიმიტი 500 ლარი) და საკეისრო კვეთა (ლიმიტი 800 ლარი)“.

**ეს წერია ფურცელზე, თუმცა, რა ხდება რეალურად? „ალიამ“ რკინიგზის საავადმყოფოში რამდენიმე რესპონდენტი ჩაწერა, სადაც პაციენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ საყოველთაო დაზღვევის გამო.**

**ნათელა მაზმიშვილი, პენსიონერი:**

– პენსიონერი ვარ, გამოკვლევები ჩავიტარე და არ დამიფინანსეს, 500-600 ლარი გადავიხადე. პარლამენტში რომ ამდენ კომისიებს ქმნიან, არ სჯობია, ჯანდაცვაში დაიხარჯოს ეს თანხები? სად ვნახო გამოკვლევებისთვის ამდენი თანხა? ჯანდაცვაში ყველა მთავრობის დროს პრობლემებია და ვინ მოაგვარებს ამას? სულ არარაობას სჯობია, ყვავს კაკალი გააგდებინო, ესეც საქმეა, მაგრამ დაზღვევით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ.

**მზევინარ ქავთარაძე, პაციენტი:**

– მე პირადად დამიფინანსეს 100%-ით, ჩემი ოპერაცია გადაუდებელი იყო. ამ ოპერაციას ჩემი თანხით ვერ გავიკეთებდი. ონკოლოგიური 100%-ით ფინანსდება. ჩემი ოპერაცია გადაუდებელი იყო, საშვილოსნოს მასშტაბური ოპერაცია ჩამიტარდა, არ მიკვირს, რომ დააფინანსეს, ავთვისებიანი იყო და გადაუდებელი ჩასატარებელი იყო. სხივური თერაპიაც ჯანდაცვის სამინისტრომ დამიფინანსა.

**დიანა შ., პაციენტის დედა:**

– ახლა ჩემი შვილი გამოკვლევებზეა, ავთვისებიანი სიმსივნე უთხრეს, ხვალ ოპერაციას უკეთებენ. ძალიან მძიმედაა.

– საერთო დაზღვევა გაქვთ?

– 70%-ს გვიხდიან, 30%-ი ჩვენ უნდა გადავიხადოთ.

– ჩვენ ასე გვითხრეს, თანაც კარგი ექიმები არიან...

– ვინ არის თქვენი შვილის ექიმი?

– მაღალაშვილია, ნეტავი ეშველოს რამე... ჩემმა შვილმა არ იცის, რა სჭირს, მკითხულობს, მაგრამ არ შემიძლია მისი ნახვა...

– თანხა ისესხეთ?

– ბანკიდან კრედიტი ავიღე, უკვე ჩავრიცხე.

– 30%-ს სანამ არ ჩარიცხავ, მანამდე არ აკეთებენ ოპერაციას?

– ჰო, ახლა დავურეკე ექიმს და ვუთხარი ჩავრიცხე-მეთქი...

**ნინო ბ., პაციენტი:**

– 31 კვირის ორსული ბათუმის სამშობიარო სახლიდან საზღვაო ჰოსპიტალში გამწერეს იმის გამო, რომ ექიმმა სწორი დიაგნოზი ვერ დასვა, ვერც ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება ვერ შეძლეს.

კრიტიკული მდგომარეობით ღუდუშაურის კლინიკაში მომათავსეს და გამოკვლევების შედეგად ბათუმში დასმული „ც“ ჰეპატიტის დიაგნოზი არასწორი აღმოჩნდა. ხელახალი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ღვიძლი კატასტროფულად გამიდიდდა და ნაღვლის ბუშტში სიმსივნური წარმონაქმნები და 18 მმგ კენჭი მქონდა. მიუხედავად კრიტიკული მდგომარეობისა, ჩემი ოპერაცია გადაუდებლის კოდით მაინც არ დაფინანსდა. საკეისრო კვეთა და ნაღვლის ბუშტის ოპერაცია ერთდროულად ჩამიტარეს რეზო ჭუმბურიძემ და ნატო ფირცხალავამ... მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ უკმაყოფილო ვარ იმის გამო, რომ გადაუდებელ ოპერაციას 100%-ით არ აფინანსებენ... ბათუმში არასწორი მკურნალობით კი ექიმებმა კინაღამ დამლუპეს. რატომ არ ხდება მათი კვალიფიკაციის რევიზია? თუ თბილისამდე ვერ ჩამოაღწიე, დალუპული ხარ....

### ვის დავუჯეროთ?

**„ალია“ განმარტებებისთვის საყოველთაო დაზღვევის დეპარტამენტის უფროსს მაია მაღლაკელიძეს დაუკავშირდა.**

– რეალურად, ყველა ქირურგიული ოპერაცია ფინანსდება, როგორც გადაუდებელი, ასევე გეგმიური. ქირურგიულში კი კიდევ შედის კარდიოქირურგიული ოპერაციები, ონკოლოგიური პათოლოგიების ქირურგიული მკურნალობა, გარდა ამისა, არის გადაუდებელი მდგომარეობები, რომელიც იყოფა რთული, გადაუდებელი და სასწრაფო, დაუყოვნებელი მდგომარეობები. არის ოპერაციები, რომლებიც გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციაში შედის.

**— თუმცა, საყოველთაო დაზღვევით კონკრეტული პაციენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რადგანაც, როდესაც საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში სახელმწიფო იხდის 70%-ს, ხოლო პაციენტი 30%-ს, ბევრს ამის საშუალებაც არ აქვს.**

– პაკეტს გააჩნია, საბაზისო პაკეტით მოსარგებლეები იხდიან 70%-ს, თუ პაციენტი ვერ იხდის 30%-ს, მაშინ გამგეობები და მუნიციპალიტეტები ამატებენ დარჩენილ თანხას.

**— ჩვენ ვიცით, რომ გამგეობა პაციენტებს 30%-ს არ უმატებს, ამას ჩვენ მიერ გამოკითხული პაციენტებიც ადასტურებენ...**

– ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, 30%-იან დაფინანსებაზე, თბილისსა და რეგიონებში არაერთი საგარანტიო წერილი გაიცა, გამგეობებსა თუ მუნიციპალიტეტებში წარსადგენად. ურიგო არ იქნება, ეს წერილები კლინიკებსა და მუნიციპალიტეტებში მოიძიოთ.

**— თუმცა, შესაძლოა, წერილობით გარანტიებს აძლევთ, მაგრამ მუნიციპალიტეტები და გამგეობები ვერ უფინანსებენ...**

– წერილები იცით, რამდენია გაცემული?

**— მე სხვა მაგალითები ვიცი... რკინიგზის საავადმყოფოში პაციენტს უკეთდებოდა ოპერაცია (პაციენტს თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა). მართალია, ჯანდაცვის სამინისტრომ 70%-ით დააფინანსა, მაგრამ სანამ პაციენტმა 30% არ ჩარიცხა, მანამდე ოპერაცია არ ჩატარდა. რატომ არ შედის ონკოლოგიური ოპერაცია თუნ-**

**დაც გადაუდებელში, ამ შემთხვევაში ასეთმა დაუცველმა ფენამ რა უნდა ქნას?**

– მესმის, აბსოლუტურად, მაგრამ ეს არის საბაზისო პაკეტი, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ აიღო 70%-იანი წილი დაფინანსების, თანადაფინანსებაზე არის მუნიციპალური პროგრამები და ასევე, გამგეობა. ამ ეტაპზე ეს წილი აქვს სახელმწიფოს აღებული, სხვა ეტაპზე სხვა წილი შეიძლება ჰქონდეს. გვახსოვს, იყო პერიოდი, როცა მსგავსი მომენტიც არ იყო... ახლა საუბრობენ იმაზე, რომ ძალიან ბევრი ოპერაცია კეთდება, მანამდე იცით, ამდენი ოპერაცია რატომ არ იყო? ახლა პაციენტს არ ეშინია, კვლევაზე თანხა დახარჯოს, რადგან იცის, რომ სახელმწიფო გარანტირებულად დაეხმარება.

**— გვახსოვს, 5-ლარიანი დაზღვევა რომ იყო, სისხლისა და შარდის ანალიზს უფასოდ აკეთებდნენ.**

– 5-ლარიანი არ იყო საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, ამას დაემატა სოციალური პაკეტით მოსარგებლეები, დაემატა საპენსიო ასაკისა და ნოლიდან ხუთ წლამდე ასაკის

– გადაუდებელი არაა, ამ დროს სასწრაფო ინტერვენციაა საჭირო.

**— როდის დაიწყო ონკოლოგიური დაავადებების დაფინანსება?**

– სამი წელია, გეგმური დაფინანსებები 1-ელ ივლისს ჩაერთო, ამ ეტაპზე ძალიან ბევრი სასიკეთო გაკეთდა, ადამიანები აღარ ყიდიან სარჩო-საბადებელს, რომ ოპერაციები გაიკეთონ...

**— კი, ყიდიან და კრედიტებიც გამოაქვთ, რადგან, თუ 30% არ დაამატე, მანამდე ექიმი ოპერაციას არ ატარებს, რაც არ უნდა სასწრაფო იყოს ის, სწორედ ამაშია საქმე...**

– ჯანდაცვის სამინისტრო უმწეოთა კატეგორიას ეხმარება.

**— რა ქნას იმ ფენამ, რომელიც უმწეოთა პროგრამაში არ არის, მაგრამ სოციალურად დაუცველია?**

– მათ შეუძლიათ, ისარგებლონ განვადებით, განვადებები 2-წლიანი და სამწლიანი კეთდება და ეს ის დრო არ არის, ერთბაშად რომ 15 და 20 ათასი სჭირდებოდა ადამიანს....

**— გეთანხმებთ, რომ მართლაც არის შეღავათი საყოველთაო დაზღვევის**

მდგომარეობის, სასწრაფო დაუყოვნებელი მდგომარეობის და სასწრაფო დაყოვნებულისა და გეგმურის. ამ ტიპებში გადაუდებელი 100%-ით ფინანსდება, სასწრაფო დაყოვნებული კი – 70%-ით. ეს ადამიანის ნოზოლოგიის მიხედვით. გადაუდებელი მდგომარეობისთვის 100%-იანი დაფინანსების კოდებია მინიჭებული.

**— თუ გადაუდებელი მდგომარეობაა და ექიმი არ ანიჭებს კოდს, რა ხდება მაშინ? სამინისტრო და კლინიკა ვერ თანხმდება?**

– არა, ეს სამედიცინო ნორმაა, ან არის გადაუდებელი, ან არა.

**— მოცდის ნორმაც არის?**

– სასწრაფო დაყოვნებული მდგომარეობა არანაკლებ 5 დღეა.

**— თუ ლეტალური შემთხვევა მოხდა, მაშინ პასუხისმგებლობას ვინ იღებს?**

– რა თქმა უნდა, ექიმი... ექიმი თავად ანიჭებს სასწრაფო დაუყოვნებელია, თუ დაყოვნებული, სასწრაფო დაყოვნებულის დროსაც პაციენტი რჩება ექიმის ზედამხედველობის ქვეშ და თავად იღებს პასუხისმგებლო-

### ვის დავუჯეროთ?

ოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში არ მონაწილეობს.

**— მაგრამ არის შემთხვევები, როცა საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, გამოკვლევები ზერელედ ხდება და პაციენტები არ არიან კმაყოფილი, რადგან უფასოა, მათი სრულყოფილი გამოკვლევა არ ხდება.**

– მთლად ასე ხომ არ არის? უკმაყოფილება და კმაყოფილებაც სუბიექტურია.

**— რომ არ ემსახურებიან სრულყოფილად, ამიტომაც მიდიან კერძო კლინიკებში.**

– პაციენტს თუ არ მოეწონება კლინიკა, ორ თვეში შეუძლია რეგისტრაცია შეიცვალოს და სხვა კლინიკის მომსახურებით ისარგებლოს. აირჩიოს სხვა მომწოდებელი, რომელიც ტექნიკურად საკმაოდ კარგად არის აღჭურვილი.

**— როგორ ხდება კერძო დაზღვევიდან საყოველთაოზე გადასვლა? ის ადამიანები, რომლებიც კერძო**

# საყოველთაო დაზღვევით? რატომ ახდევინებენ და როგორ ანიჭებენ კოდებს ექიმები ავადმყოფებს?

## დეპარტამენტის უფროსი?





პაციენტების შეღავათები.

**— ამ კატეგორიის ადამიანებისთვის წინა ხელისუფლებისთვისაც უფასო იყო.**

– რეალურად საყოველთაო დაზღვევის საბოლოო ეტაპის ფორმულირება ახლა მოხდა და მასში ჩაერთო ყველა კატეგორიის პაციენტი... პარალელურად, ამის ოპტიმიზაცია მიმდინარეობს და გარკვეული გადახედვები ამ მიმართულებითაც იქნება, განსაკუთრებით კვლევების თვალსაზრისით. ნებისმიერი ულტრაბგერითი კვლევა, ნებისმიერი რენტგენოლოგიური კვლევა ექვემდებარება დაფინანსებას, ასევე პენსიონერებისთვის კომპიუტერული ტომოგრაფია.

**— თუ ასეა, მაშინ რა ხდება? რატომ გადაახდევინეს პენსიონერს რკინიგზის საავადმყოფოში 600 ლარი?**

– ადამიანი დაფიქსირებული და მიმაგრებულია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში, მინდა გითხრათ, რომ პირველადი ჯანდაცვის სერვისცენტრებს მხოლოდ პირველადი მომსახურების ობიექტები კი არ აწოდებს, არამედ თქვენ მიერ დასახელებული რკინიგზის საავადმყოფოც ამ სერვისის მომწოდებელია, ასევეა ონკოლოგიური კლინიკაც.

**— რატომ არ ფინანსდება ონკოლოგიური ოპერაციები 100%-ით?**

– ნუ მოგვთხოვთ ამ ეტაპზე გადაუდებელ დაფინანსებას... ადრე სახელმწიფო არ აფინანსებდა, ამ ეტაპზე კი 70%-ით ფინანსდება.

**— ონკოლოგიური დაავადება გადაუდებელი არ არის?**

**ფარგლებში 70%-იანი დაზღვევაც, მაგრამ არასაკმარისია, რადგანაც, თუ 30%-ს არ დაამატებ, ოპერაციას არ გიკეთებენ, ბანკები კი, თუ არ მუშაობ, კრედიტს არ გაძლევენ...**

– კიდევ ვიმეორებ, სამინისტრო შეძლებისდაგვარად ეხმარება ასეთ კატეგორიებს. რაც შეეხება გადაუდებელ ოპერაციებს, ბავშვებისთვის 0-5 წლამდე უფასოა.

**— როგორ ხდება გადაუდებლის კოდის მინიჭება. ფეხმძიმე პაციენტს, რომელსაც ღვიძლი კატასტროფულად ჰქონდა გადიდებული (800, აქედან ნორმაა 34), ნაღვლის ბუშტის გამო (ღვიძლის სადინარზე 18 მმ კენჭი), ამას სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა, რომელიც არ დაფინანსდა, როგორც გადაუდებელი და რა ხდება ამ დროს?**

– თუკი არის ღვიძლით გამოწვეული და სიყვითლე, თუ ამ დროს ნაღვლის ბუშტის პრობლემაა, კენჭის მდებარეობას გააჩნია....

**— ეს იყო სრულიად კრიტიკული მდგომარეობა...**

– არის შემთხვევები, როცა გადაუდებლის კოდი ენიჭება.

**— რა შემთხვევაში ენიჭება?**

– ანუ ექიმს შეუძლია, შეიყვანოს კრიტიკული კოდი, ან არ შეიყვანოს.

**— ანუ ექიმის გადასაწყვეტია ეს?**

– არა, ამას პაციენტის მდგომარეობა განსაზღვრავს, სიყვითლე, სიყვითლის ხარისხი და კენჭის მდებარეობა, თან ჩარევის აუცილებლობა. თქვენ შეგიძლიათ, გადახედოთ მინისტრის 2013 წლის ბრძანებას. იქ განმარტებულია გადაუდებელი

ბასაც...

**— რომელი ორგანოების ოპერაციებს აქვს გადაუდებლის კოდი, მაგალითად, გულს აქვს გადაუდებლის კოდი?**

– სხვათა შორის, გულის ინფარქტი არის გადაუდებელი, მაგრამ სტენტირება, ან შუნტირება არ არის გადაუდებელი, თუ კლინიკაშია, გაწერა-გამოწერა რომ აღარ მოუწიოს, ისედაც უკეთდება სასწრაფო დაყოვნებული ოპერაცია, დაუყოვნებელი კი 100%-იანი დაფინანსებაა. ყველაფერი მიდის დიაგნოზთან. ამა თუ იმ დიაგნოზის მიხედვით ხდება კოდების განსაზღვრა.

**— ჯანდაცვის სამინისტრო რომელ კლინიკებს არ აფინანსებს?**

– თუ პაციენტებს სურთ კერძო კლინიკაში მკურნალობა, გარკვეულ კლინიკებს ჯანდაცვის სამინისტრო ვერ აფინანსებს, მაგრამ რომელ კლინიკაშიც არის დაფიქსირებული პაციენტი, იმ კლინიკაში პაციენტს ყველანაირი გამოკვლევა უტარდება. მაგრამ, თუ პაციენტი ონკოლოგ ბიჭიკო ცალუღელაშვილთან მისვლას ირჩევს, თუ პაციენტს დასჭირდება დამატებითი კვლევები, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ასეთი პაციენტი როგორ დააფინანსოს? ამ პაციენტს სხვა კლინიკაში კვლევები უკვე ჩატარებული აქვს.

**— ანუ დიფერენციას აკეთებთ კერძო კლინიკებსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ კლინიკებს შორის?**

– სახელმწიფო აფინანსებს კერძო კლინიკებსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში, ესა თუ ის კერძო კლინიკა საყ-

**დაზღვევით სარგებლობდნენ და რაღაც მიზეზის გამო თანხას ვეღარ იხდიან, ვერც საყოველთაო დაზღვევით სარგებლობენ, მიზეზი გახლავთ ის, რომ ძველი სიები არ გაუახლებიათ, ამ კატეგორიების პაციენტებს უარს ეუბნებიან. გამოდის, რომ ეს პაციენტები ჰაერში არიან ჩამოკიდებული და ვერანაირი დაზღვევით ვერ ისარგებლებენ?**

– არა, რას ამბობთ, ჩვენს სერვისცენტრებში ამ პროცედურას მხოლოდ 15 წუთი სჭირდება. მათ ჩვენს ნებისმიერ სერვისცენტრში შეუძლიათ, გადავიდნენ საყოველთაო დაზღვევაზე. ამ კატეგორიის პაციენტებისთვის ცალკე რიგია, მაქსიმუმ 4-5 კაცია რიგში. გამორიცხულია, რომ კერძო დაზღვევიდან საყოველთაოში არ გადაიყვანონ, რა სიებზეა ლაპარაკი? ადამიანს ფეხი რომ გადაუბრუნდეს და კლინიკაში შევიდეს სამკურნალოდ, იმ შემთხვევაში, თუ პაციენტმა არ იცის, სად არის დაზღვეული, კლინიკა ელოდება ბენეფიციარისგან, რომ შეატყობინოს, სად არის დაზღვეული, ამის გადამოწმება 15 წუთში ხდება, გამორიცხულია, რომ პაციენტი ჰაერში იყოს ჩამოკიდებული. შესაძლებელია, ერთი დაზღვევიდან მეორეში გადასვლის დროს რიგში ჩადგომა მოგიწიოთ, მაგრამ დამერწმუნეთ, არც ისე რთული პროცედურაა. მაქსიმუმ ნახევარი საათია საჭირო, კერძო დაზღვევიდან საყოველთაოზე გადახვიდეთ. თუ არ გჯერათ, მაშინ თავად შეგიძლიათ, ექსპერიმენტი ჩაატაროთ.

## Facebook ამბები



**გოგი ლორთქიფანიძე**

ამ ყველაფრის თავი და თავი იქნება ის, რომ ბრძოლა მხოლოდ ნაცმოს წინააღმდეგ აზრს დაკარგავს...

მმართველ ძალას მოუწევს სხვადასხვა ფრონტზე ბრძოლა და მხოლოდ ნაცმოს დაძირვისთვის გამიზნული კამპანიას შედეგი არ ექნება:

ნაცმო

გირჩი

ბურჭულაძის შესაძლო შემოსვლა პოლიტიკაში

ვაშაძის ახალი გაერთიანება (ფინანსური რესურსი რომ არ ქონდეს არც იზამდა ამას)

ივერია - ესენი ადრე გამოეყვნენ კიდევ ნაცებს

თავისუფალი დემოკრატები

ამას დაემატებიან რესპები ... პატრიოტები..

კიდევ იქნება სხვებიც (რომ იქნებიან ვიცი)

ხოდა რა მინდოდა მეთქვა - ფაფუ მთავარი მტერი და ამომრჩევლის აგრესიის ობიექტიც...

და ამ აჯაფსანდალში ისევ ის არ მივიღოთ რაც გვქონდა



**ნიკა გვარამია:**

დიდზე დიდი ბოდიში ყველასთან, მაგრამ მეასე ნომერი ვიყავი ნაცმოძრაობის სიაში 2004 წელს და ასე მოვხვდი პარლამენტში. ამის მერე, პირველი ნომერი ვიყავი ბოლო მომენტამდე უკვე 2008-ში და სტრატეგიული მოსაზრებების გამო ბოლო მომენტში გადაწყვიტა პარტიამ, რომ მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე უფრო სწორი არჩევანი იქნებოდა.

მე მეხებოდა პერსონალურად, არც სხვაზე ნაკლები ბექგრაუნდი მქონდა და არც ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ პარტია ესაა გუნდური გადაწყვეტილება და მიზეზიც არ მიკითხავს, ისე დავემორჩილე.

ვისაც საკუთარი თავი უყვარს გუნდში, და არა გუნდი საკუთარ თავში, იმისი ადგილი პოლიტიკაში და ზოგადად გუნდურ საქმეში ნამდვილად არაა.

**მეგი გოცირიძე** - ძალიან მიმძიმს ამ სტატუსის "დალაიქება", მაგრამ სხვა გზა არ მაქვს!

## Facebook ამბები



**მეგი გოცირიძე:**
ის იგებს ყველა ტენდერს, ის იღებს ყველანაირ ლიცენზიას, ყოველგვარ ნებართვას, აბსოლუტურად ყველაფერს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. ის ცხოვრობს ჩვეულებრივი ადამიანების ხარჯზე .

ამ ბიზნეს—ფინანსურ პირამიდებში, ერთი კონკრეტული ოჯახის ინტერესები ძევს და ჩანს მისი ბუნებაც, რომელიც ერთის მხრივ შიშზეა დაფუძნებული, შიშზე გაურკვეველი მომავლის, რომელიც არავინ იცის როდის და როგორ დამთავრდება, ამიტომ რაც შეიძლება ბევრი უნდა მოასწროს, ყველგან უნდა იყოს, ყველგან უნდა ჰქონდეს, თავისი საცეცები და მეორეს მხრივ აბსოლუტური უნდობლობა ყველასი და ყველაფრისა .

ღარიბაშვილის კლანი, რომელიც მეტნაკლებად უნდა ყოფილიყო ფინანსური საყრდენი კოალიციის, არ დაუშვა რომ ეკონტროლებინა ესა თუ ის ბიზნეს სფერო ფინანსურად და ჩახსნა. ასევე უნდობლობის გამო ჩახსნა რუხ კარდინალად წოდებული ხუხაშვილი. მხოლოდ უჩა მამაცაშვილი დაიტოვა და ისიც პრაქტიკულად თავად გახლავთ !

დღევანდელი აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლება ივანიშვილმა დააკომპლექტა სრულიად დისკრედიტირებული ადამიანებით, რომლებიც ვერასოდეს ვერ დაუპირისპირდებოდნენ მას და არასოდეს დატოვენ კოალიციას, რადგან წასასვლელი არსად არ ჰქონდათ.

ამ დისკრედიტირებული სრულიად არაადექვატური ადამიანებით დააკომპლექტა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი

ყოველთვის იქნებოდნენ ივანიშვილის მორჩილებაში, რადგან დასაკარგი, უკვე ძალიან ბევრი ექნებოდათ !!!

-მან , როგორც თავად აღნიშნა ერთი პატარა "ტრიუკი" გააკეთა და კოალიციას, რომელსაც ქვეყნისთვის ათობით საწინაალმდეგო მოქმედება თუ განცხადება გააკეთებინა , საკუთარი მიზნებისთვისა და ბოროტი ზრახვებისთვის გამოიყენა დაშალა და გაემიჯნა!

ივანიშვილი, რომელ ქვეყანაშიაც არ უნდა გაიქცეს , ყველგან დააპატიმრებენ , ამიტომ უნდა მოვითხოვოთ ჯერ მისი სამშობლოდან "ოსტრაკიზმი" ანუ განდევნა და შემდგომში კი მისი ექსრადაცია, რათა დარჩენილი წლები თბილისის საპყრობილეში გაატაროს!

უნდა განვდევნოთ, სანამ დაარწუნებენ იმაში, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის ქვეშ დიდი რაოდენობის ოქროს მოპოვებაა შესაძლებელი და ამასაც აგვიფეთქებს!

**ნანა ჭილაშვილი:** როდესაც მთავრობა შეიცვლება, მისი ქონება სახელმწიფოს და ხალხს გადაეცემა, არაფერი არ უნდა დაუტოვოთ,ერთი საკანიც ეყოფა. მის შთამომავლებსაც მხილოდ ერთი მინჯღრეული ქოხი სანაგვეზე. ასე იმიტო რომ აღარავინ გაბედოს, რაც მაგ ნაძირალამ მოუტანა ხალხს და ქვეყანას. იმ ცოცხებსაც მიიღებს ციხეში, გარდუვალია...

---




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


დიასპორის მინისტრი, გელა დუმბაძე უკვე მეორედ ეხვევა შარსა და სკანდალში. პირველი იყო რამდენიმე თვის წინ პოლონეთში სტუდენტებთან შეხვედრაზე გაკეთებული განაცხადება. მან „გაზპრომთან" დაწყებული მოლაპარაკებები ნეგატიურად შეაფასა და ამას მოჰყვა დიდი ვნებათაღელვა ჩვენს მთავრობაში:

„პირდაპირ გეტყვით, „გაზპრომთან" დაკავშირებულ ამბებს ვაფასებ ნეგატიურად, როგორც პიროვნება. გეტყვით, რა ჭრილში – არასათანადო დონის განმარტებითი ინფორმაცია იყო, რომელსაც მოჰყვა სხვადასხვა ინსინუაციები და საქმის რეალური ვითარება ბოლომდე ვერავინ გაიგო. ეს უკვე ხელისუფლების მინუსია".

ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ მაშინ დუმბაძეს გაკოტრებული პოლიტიკოსი უწოდა და ურჩია, უფრო მეტი უნდა წაიკითხო „გაზპრომთან" მოლაპარაკებების შესახებო. სკანდალი ამით არ ამოწურულა, მთავრობაში მეორე დღესვე დაიწყეს ფიქრი დიასპორის მინისტრის თანამდებობის გაუქმებაზე, „ქართული ოცნების" დეპუტატებმაც იმსჯელეს მაშინდელ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან, მაგრამ ბოლოს ეს საკითხი ჩაიფარცხა. რატომ თანამდებობის გაუქმება და არა დუმბაძის გაშვება? „ოცნებაში" ბევრს დღესაც მიაჩნია, რომ ამ უწყების უფლებამოსილებები საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთგვარი გამეორებაა და წარმოადგენს საკონსულო სამსახურის დუბლირებას. თუმცა არც იმას მალავენ, რომ „გაზპრომთან" დაკავშირებით გელა დუმბაძის მიერ დაფიქსირებული უარყოფითი პოზიცია არ მოეწონათ.

მეორე სკანდალი ორიოდე დღის წინ აგორდა... უფრო სწორად, თვითონვე „აიგორა" ბატონმა მინისტრმა ისევ თავისავე განცხადებით:

„21-ე საუკუნის სამყარო არჩევანის საუკუნეა. არ შეიძლება, სადმე წახვიდე და შემდეგ პრეტენზია გამოხატო, რადგან წასვლა შენი პირადი გადაწყვეტილებაა... უცხოეთში შეხვედრებისას სულ ვეუბნები ჩვენს თანამემამულეებს, რომ ცხოვრების მაღალი დონის შექმნა საქართველოში ყველა ჩვენგანის საქმიანობის რეზულტატი უნდა იყოს! არ შეიძლება ყველაფერს მთავრობისგან და ხელის გაშვერით ელოდე! ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა ჩვენი თავდაუზოგავი შრომით მიღწეული რეალობა იქნება! ძალიან გულწრფელი დიალოგი გვაქვს ჩვენს ემიგრანტებთან. ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვუხსნით რეალობას... იმ საქმით, რითაც ჩვენი

**გელა დუმბაძე: „იმ საქმით, რითაც ჩვენი თანამემამულეები უცხოეთში არიან დაკავებული, საქართველოშიც შეიძლება დასაქმდე. თუ საზღვარგარეთ კადრულობენ, აქაც არის მსგავსი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს თუნდაც მესამედ შემოსავალს"**

**ემიგრანტი: „აი, ეს ფოტო, ბატონო მინისტრო, ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაა, გაოცდებით და არ მრცხვენია! ვმუშაობ ოჯახში: ვალაგებ, ვრეცხავ, ვმზარეულობ, ვაუთოებ! რისი მრცხვენია?! — მე ჩემი შვილის მრცხვენია, 11 წლის რომ მივატოვე და უჩემოდ გაიზარდა, უკვე 21 წლის ბიჭია!"**





თანამემამულეები უცხოეთში არიან დაკავებული, საქართველოშიც შეიძლება დასაქმდე. თუ საზღვარგარეთ კადრულობენ, აქაც არის მსგავსი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს თუნდაც მესამედ შემოსავალს".

სამთავრობო და საპარლამენტო კულუარებში ლაპარაკობენ, რომ დუმბაძე პირწავარდნილი „ნაციონალია" და კრიტიკულ მომენტებში სპეციალურად უჩალიჩებს ხელისუფლებას სკანდალებს. ყოველ შემთხვევაში, არც ისეთ უჭკუო პიროვნებად ახასიათებენ, რომ არ იცოდეს, რას აკეთებს. მან 16 წელი დიპლომატიაში იმუშავა, ოთხ საელჩოში იყო უფროსი მრჩეველი, ბოლოს კი უზბეკეთში ელჩის მოვალეობას ასრულებდა. მას მოუწია მუშაობა შევარდნაძის დროსაც, სააკაშვილის პერიოდშიც და შემდეგ, როგორც ხედავთ, საკმაოდ კარგ თანამდებობაზე აღმოჩნდა ივანიშვილ-ღარიბაშვილის დროსაც. როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან" საუბარში, როცა დუმბაძეს პირველი სკანდალი აუგორდა და პოლონეთიდან დაბრუნდა, გარკვეულ წრეებში ჰკითხეს, ასე რატომ იქცევი, ასეთ სისულელეებს რატომ ლაპარაკობ, ბოლოს და ბოლოს, შენც ხომ ამ მთავრობის წევრი ხარო? პასუხი მოულოდნელი ყოფილა: კახი კალაძეს უნდა ვუტირო ყოფაო. საინტერესოა, ახლა ვის უნდა უტიროს ყოფა ემიგრანტებთან დაპირისპირებით, თანაც წინასაარჩევნოდ, კონკრეტულად გიორგი კვირიკაშვილს თუ მთლიანად მთავრობას?! ისე, უკვე ბევრს აინტერესებს, თავის დროზე რატომ დანიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა გელა დუმბაძე სახელმწიფო მინისტრად, სად იპოვა და რა დამსახურებისთვის დააწინაურა? იგივე ინკოგნიტო წყაროს თქმით, ღარიბაშვილი მას არ იცნობდა, ერთ-ერთმა გავლენიანმა ფიგურამ მიუყვანა და დაარწმუნა, კარგი პროფესიონალია და ამავე დროს სანდო პიროვნებაცო. ცოტა ხანში ღარიბაშვილი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ის თავად გადადგა.

ქართველი ემიგრანტები აღშფოთებას ვერ მალავენ და უკვე დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება დუმბაძის გადადგომის მოთხოვნით. საპროტესტო აქციების მოწყობას გეგმავენ საზერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. ემიგრანტებმა უკვე მიმართეს თავად დუმბაძეს (მიმართვა ერთი ქალბატონის მიერაა დაწერილი, მაგრამ კარგად გამოხატავს ყველას განწყობას):

„პასუხი ბატონ მინისტრს (სახელი არ მაინტერესებს), ნოდარ დუმბაძის ბიძაშვილს (კიდევ კარგი მკვდარი რომ არის ბატონი ნოდარი, თორემ მართლა ხელახლა მოკვდებოდა, ამას რომ უსმენდეს):

რას ვკადრულობთ? და რისი მრცხვენია?! აი, ეს ფოტო, ბატონო მინისტრო, ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაა, გაოცდებით და არ მრცხვენია! ვმუშაობ ოჯახში: ვალაგებ, ვრეცხავ, ვმზარეულობ, ვაუთოებ! რისი მრცხვენია?! – მე ჩემი შვილის მრცხვენია, 11 წლის რომ მივატოვე და უჩემოდ გაიზარდა, უკვე 21 წლის ბიჭია!

მრცხვენია ხატიასი, ჯერ არდაბადებული შვილის, სამშობლოში რომ არ დაიბადება და ბებიებმა და ბაბუებმა სკაიპით რომ უნდა ესიყვარულონ! მრცხვენია თამარის, გარდაცვლილი შვილისგან დაუტირებელი დედის ცრემლი რომ ვერ გააყოლა უკანასკნელ გზაზე! მრცხვენია ქალბატონი ნანასი, შვილიშვილებს ჯერ ბებო საერთოდ რომ არ უნახავთ და სკაიპის „ბებოს" ეძახიან! მრცხვენია ცისნამის, პატარა შვილის, დედა რომ ენატრება გამუდმებით. მრცხვენია შალვას მშობლების, სული კბილით რომ უჭირავთ, შვილიშვილების ჩახუტებას რომ ოცნებობენ. მრცხვენია! მრცხვენია! მრცხვენია! არ მრცხვენია, ჩემი შრომით რაღაც რომ შევიძინე და დღეს ჩემს შვილს ჭერი აქვს თავზე. არ მრცხვენია, ფულს რომ არ ვაპროცენტებ და ვერავინ

### » ზოდიში რომ წესმდოი იყოს...

დამწყევლის! არ მრცხვენია, მაღაზიებში არაფერს არ ვიპარავ და შესაბამისად, ვერავინ დამიჭერს, ოჯახშიც არასოდეს არაფერი მომიპარავს და ჩემს შვილს ვერავინ ეტყვის, დედაშენი ქურდიაო!!! სამაგიეროდ, თქვენ გრცხვენოდეთ, სალაპარაკო ღრუდან უაზრო, უსაბუთო, აბსურდი მოტივებით ლაპარაკის. და ბოდიში მოიხადეთ ლამის ნახევარი საქართველოს, ემიგრანტების წინაშე"!

„ალია" კომენტარისთვის გელა დუმბაძეს დაუკავშირდა, რომელმაც წერილობით გვიპასუხა:

„ჩემი ყოველდღიური საქმიანობის წარმოებისას, საჯარო გამოსვლებისას, პარლამენტში საკომიტეტო მოსმენა იქნება ეს, თუ სხვადასხვა უამრავი ფორუმი: უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შრომასა და ღვაწლს მუდამ სოციალურ გმირობას ვადარებ. ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ ეს ხალხი, განსაკუთრებით ქალბატონები, უდიდეს ძალისხმევას იჩენენ, საქართველოში უამრავი ოჯახის შესანახად. სწორედ მათ მხრებზე გადაიარა ჩვენი ქვეყნის ურთულესმა წლებმა. აქედან გამომდინარე, ისინი განსაკუთრებული დაფასებისა და პატივისცემის ღირსნი არიან.

უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ჩვენს თანამემამულეებთან შეხვედრისას, სწორედ მათდამი გამოვლენილი გულწრფელი პატივისცემა და მათ წინაშე არსებული პრობლემატიკის მოგვარებისადმი მიმართული თანმიმდევრული ძალისხმევა იქცა ჩვენი ურთიერთნდობისა და მეგობრობის საწინდრად.

გულწრფელად განვიცდი და ბოდიშს ვუხდი მათ, ვისაც თუნდაც ინტერპრეტირებული ფრაზის გამო გული ეტკინა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ყველა დაინტერესებულ ადამიანს ვთხოვ, გაეცნონ ამ ინტერვიუს (კვირისპალიტრა.გე). დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი სტატიაში სწორ გზავნილებსა და კეთილგანწყობას ამოიკითხავს. ჩვენი სამინისტრო, დიასპორის განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოსაჩენად, ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებს ფართო პროფილის საქმიანობას. პოზიტიური შედეგი კი, მხოლოდ ურთიერთპატივისცემისა და კონკრეტული საქმეების ობიექტური შეფასების ფონზეა შესაძლებელი".

# ნოდარ ჯავახიშვილს კორუფციაში ადანაშაულებენ!




ეთერ ბალაძე
593 15-64-47


ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და თავად მინისტრ ნოდარ ჯავახიშვილს თურქული კომპანია „ატინაკი“ ტენდერის არასწორად ჩატარებაში ადანაშაულებს. კომპანია დაჟინებით მოითხოვს ჩატარებული ტენდერის გაუქმებას და ხელახლა ჩატარებას.

**თურქული კომპანია „ატინაკის“ ადვოკატი ზაზა შერმადინი ნოდარ ჯავახიშვილს კორუფციაში ადანაშაულებს. საქმე ეხება შარშან დეკემბერში ჩატარებულ ტენდერს, რომელიც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ჩაატარა. 37 444 533,14-დოლარიანი ტენდერის გამარჯვებულად აზერბაიჯანული კომპანია „აზერაგრარტიკინტი“ გამოვლინდა.**

სამუშაო და თავად ჩვენი კომპანია ჰყავდა დაქირავებული.

**— მაინც რას ედავებით ინფრასტრუქტურის სამინისტროს?**

– ტენდერი არასწორად ჩატარდა და პირდაპირ ამ უწყების ხელმძღვანელის დაინტერესება იყო.

**— ნოდარ ჯავახიშვილის?**

– რა თქმა უნდა.

**— ანუ კორუფციაშია გარეული?**

– როცა ლობირებას უკეთებ ტენდერს, არ არის ინტერესი, არ არის ფულადი დაინტერესება?.. მაშინ გვითხრას, რა ხდება?

**— ინფრასტრუქტურის სამინისტრო აცხადებს, რომ ტენდერის პირობებს ვერ აკმაყოფილებდით.**

– ფასი, შესრულების პირობები ნახეთ.

**— როცა აცხადებთ, რომ მინისტრი ჯავახიშვილი ლობირებდა ტენდერს, რაიმე ხელმოსაკიდი გაქვთ?**

ვერ ხედავთ, რა ხდება? ამისთანა ჩინოვნიკები იმ ქვეყანასა და ხელისუფლებას სახელს უტეხენ! ნოდარ ჯავახიშვილი ხელისუფლებაში დიდი ამბიციით მოვიდა და საბოლოოდ რა ხდება? ის კორუფციულ გარიგებებში შევიდა...

**— სასამართლოში 14 მაისს სარჩელის შეტანას აპირებთ, რას მოითხოვთ?**

– ჩატარებული ტენდერი უნდა გაუქმდეს და ხელახლა ჩატარდეს. საჭიროა, სამართლიანობა აღდგეს და კანონით ვინც რასაც იმსახურებს, ის მიიღოს.

**— თუ სასამართლო არ გააუქმებს ჩატარებული ტენდერის პირობებს?**

– ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, ეს არის ჩვენი რეპუტაციის შელახვა, ღირსების საკითხია, 7 კომპანიიდან ისეთმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც ვერანაირ პირობებს ვერ აკმაყოფილებს და პირიქით, ფინან-

### კორუფცია?!

21 სექტემბერს გაიხსნა.

თურქული კომპანია „ათინაქ მუჰენდისლიკი“ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდა და ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. თუმცა დაბალი ფასის დაფიქსირება არ არის ტენდერში გამარჯვების აუცილებელი წინაპირობა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ყველა მონაწილე ვალდებულია, დააკმაყოფილოს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კომპანია „ათინაქ მუჰენდისლიკი“ არ აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს. კერძოდ, საკუთარი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მათ გამოიყენეს სხვა კომპანიის გამოცდილება და წლიური სამშენებლო ბრუნვა. სატენდერო მოთხოვნების მიხედვით



**„ნოდარ ჯავახიშვილი ხელისუფლებაში დიდი ამბიციით მოვიდა და საბოლოოდ რა ხდება? ის კორუფციულ გარიგებებში შევიდა!“**



P43405-ICB-POT-01

2015 წლის 21 სექტემბერი

| # | მონაწილის დასახელება | ქვეყანა | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | OJSC Azeragrartikinti | აზერბაიჯანი | ა/გ | 37 444 444,44 აშშ. დოლ. | 88,70 | 37 444 533,14 აშშ. დოლ. | [illegible] |
| 2 | Atinak Muhendislik Inshaat Sanayi ve Ticaret A.S. | თურქეთი | ა/გ | 33 358 927,04 აშშ. დოლ. | 0,12 | 33 358 927,16 აშშ. დოლ. | [illegible] |
| 3 | ECETASH Insaat Sanay Ve Ticaret | თურქეთი | ა/გ | 45 342 796,54 აშშ. დოლ. | 0,00 | 45 342 796,54 აშშ. დოლ. | |
| 4 | JV Chakir Yapi and Gul-ish | თურქეთი | ა/გ | 34 774 519,72 აშშ. დოლ. | 0,00 | 34 774 519,72 აშშ. დოლ. | [illegible] |
| 5 | Cobra Instalaciones Y Servicios, S.A. | ესპანეთი | ა/გ | 38 585 404,70 აშშ. დოლ. | 277 276,99 | 38 862 681,69 აშშ. დოლ. | |
| 6 | SMK Ulusal Insaat ve Ticaret A.S. | თურქეთი | ა/გ | 37 497 866,76 აშშ. დოლ. | 0,00 | 37 497 866,76 აშშ. დოლ. | |
| 7 | Ludwig Pfeiffer Hock- und Tiefbau GmbH & Co. KG | გერმანია | ა/გ | 41 754 696,43 აშშ. დოლ. | 0,00 | 41 754 696,43 აშშ. დოლ. | |
| 8 | Alke Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi | თურქეთი/თურქეთი | ა/გ | 42 254 736,23 აშშ. დოლ. | 0,00 | 42 254 736,23 აშშ. დოლ. | |

**გამარჯვებული კომპანია საკუთარ სამშობლოში საეჭვო რეპუტაციით სარგებლობს, საქართველოში კი 37-მილიონიან ტენდერს იგებს, რაც საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებსო, ამბობს „ალიასთან“ შერმადინი:**

– ჩვენმა კომპანია „ატინაკიმ“ მონაწილეობა მიიღო საქართველოში ჩატარებულ ტენდერში, რომელიც ფოთის საკანალიზაციო სისტემის მშენებლობას ეხებოდა. სამწუხაროდ, ტენდერში გაგვიკეთეს დისკვალიფიკაცია, ხოლო საფუძვლად მითითებული იქნა ის, რომ თითქოს ჩვენმა კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა სატენდერო პირობები. გამარჯვებული გახდა აზერბაიჯანული კომპანია, ეს არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელსაც ელემენტარულად საიტიც კი არ გააჩნია. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, რა გახდა ამ ყველაფრის მიზეზი, ჩვენ მივმართეთ ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს, პირველად მივმართეთ 4 აპრილს, მეორედ – 14 აპრილს, გვინდოდა მოგვეპოვებინა დოკუმენტები, რომელიც საფუძვლად დაედო ტენდერის შედეგებს, აღიშნულ ინფორმაციას დღემდე ველოდებით. 14 აპრილს შევიტანეთ ადმინისტრაციული საჩივარი, რომ დაწყებულიყო ადმინისტრაციული მოკვლევა. მოვითხოვეთ, რომ ჩართული ვყოფილიყავი, როგორც დაინტერესებული პირი, ამის შემდეგ გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მინისტრის მხრიდან ადგილი აქვს გამარჯვებული კომპანიის ლობირებას.

**— დისკვალიფიკაციის მიზეზი რა იყო?**

– თითქოს მინიმალურ პირობებს ვერ ვაკმაყოფილებდით, არადა აზერბაიჯანულ კომპანიას, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა, თავად აზერბაიჯანშიც კი არ აქვს ჩატარებული

– 4 აპრილს მინისტრს მივმართეთ, რომ განემარტა, როგორ გაიმარჯვა კონკრეტულმა კომპანიამ ამ ტენდერში და რა იყო გამარჯვების საფუძველი. 4 აპრილიდან დღემდე არანაირი ინფორმაცია არ მომაწოდეს. ახლახან, პირადად დავუკავშირდი სამინისტროს ერთ-ერთ თანამშრომელს და მიპასუხეს, ჩვენ დოკუმენტაცია წყალმომარაგების სისტემიდან მოგვივიდაო. ვთხოვე, მოეწოდებინათ. მინისტრის ვიზირებას ველოდებითო. მივხვდი, რომ პასუხს ვერ მივიღებდი. ამ დროში ადმინისტრაციული სარჩელი შევიტანეთ. ამის შემდეგ 10 დღე გავიდა, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

**— რა გაირკვა საბოლოოდ?**

– ვიცი, რომ გამარჯვებულ კომპანიას ტექნიკური საშუალებებიც არ აქვს სამუშაოების ჩასატარებლად და ტექნიკას ქირაობს. ამ დროს, ჩვენს კომპანიას ყველა საშუალება ჰქონდა, რომ სამუშაოები ჩაეტარებინა... ახლა უკვე ვრწმუნდები, რომ სამინისტრო ლობირებს ამ ტენდერს და ჩემი ვარაუდები საქციელებით მყარდება...



სური პრობლემებიც აქვს. ჩვენ გვინდა ჭეშმარიტების დადგენა. მინისტრთან პირადი აუდიენციაც ვითხოვე, განცხადება შევიტანე, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს.

**— გავიგეთ, რომ მინისტრი უკვე დაგთანხმდათ აუდიენციაზე.**

– ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შეხვედრა შეხვედრისთვის. საჭიროა, სამართლიანობა აღდგეს და ნოდარ ჯავახიშვილი სამართლიანად მოიქცეს, პირველ რიგში, უსამართლოდ ჩატარებული ტენდერი უნდა გააუქმოს, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ...

**„ალია“ კომენტარისთვის ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს დაუკავშირდა, საიდანაც ოფიციალური ინფორმაცია მიიღო:**

„შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ 2015 წლის 27 ივლისს, ქალაქ ფოთის წყალარინების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარების მიზნით, საერთაშორისო ღია ტენდერი გამოაცხადა. პროექტი აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება. შესაბამისად, სატენდერო პროცედურების დროს გამოიყენება აზიის განვითარების ბანკის მიერ დადგენილი წესები. სატენდერო წინადადებები 2015 წლის

კი, აკრძალულია სხვა კომპანიისა და სამშენებლო ბრუნვის გამოყენება, მათ შორის, შვილობილი კომპანიის გამოცდილებისაც. ტენდერის შესახებ, ინფორმაცია გამოქვეყნდა კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე და ეცნობა ყველა მონაწილეს, მათ შორის, კომპანია „ათინაქ მუჰენდისლიკს“. ამავე ინფორმაციაში მითითებული იყო, რომ ყველა მონაწილეს უფლება ჰქონდა, კომპანიისთვის მიემართა და დისკვალიფიკაციის მიზეზების განმარტება მოეთხოვა. კომპანიამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის 4 აპრილს მომართა. 2016 წლის 22 აპრილს სამინისტროდან მას გაეგზავნა წერილი, სადაც დეტალურად იყო განმარტებული კომპანიის დისკვალიფიკაციის საფუძვლები (იხ. დანართი 1). 2016 წლის 11 აპრილს ბიქტორ შერმადინმა (კომპანიის წარმომადგენელი) კვლავ მომართა სამინისტროს ადმინისტრაციული საჩივრით. 2016 წლის 4 მაისს მას საჩივართან დაკავშირებით გაეგზავნა განმარტება (იხ. დანართი 2).

2016 წლის 25 აპრილს ადვოკატმა ზაზა შერმადინმა კვლავ მომართა სამინისტროს, მინისტრ ნოდარ ჯავახიშვილთან აუდიენციის მოთხოვნით. მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი მზად არის შეხვდეს კომპანიის ხელმძღვანელს“.

## Facebook ამბები



**ნინო გუგეშაშვილი**

ნინო გუგეშაშვილი (მწერალი, მუსიკოსი):

წამო, ბიძინა, წამო, "მაჟიეთი-პანორამა" ააშენე, გეუბნები.

ეეე, ჯიხურის მთიდან რომ გადმოგახედა - ეგრევე პანორამაა:)

ამბობენ, კარგ ამინდში შოდიდან შავი ზღვაც ჩანსო...

გამოაბი ჯიხურიდან ბერუკაანთებამდე საბაგიროები - ჩამოსრიალდები ჩემთან დილით, დავლევთ ჩაის, ვისაუბრებთ ბერუკაანთ ღელუკას მოვარდნებზე;

საღამოს მე ამოვალ, დავლევთ კაკაოს, ვისაუბრებთ როი ლიხტენშტეინზე.

გზას თუ მოიყვან ჩემს სახლამდე, სოფლის დარგულ ალიბუხარსაც გადაგარგვევინებ დაუმადლებლად, კაი მაღალია.

დელფინი საკაურაში გავუშვათ,

ზებრა ბერუკაანთ ყანებში მობოხნის, პინგვინი შოდის მყინვარებზე იპარტყუნებს - ანტარქტიდისგან ვერ გაარჩევს.

წამო, რა, აშენე და იყავი, ევროპული ტიპის სოფლები გინდა, სასტუმროები და ტურიზმი გინდა, პანორამები გინდა - ყველაფრისთვისაა ადგილი, უსასრულო ცარიელი ადგილია.

რა გინდა ამ მიჯრილ თბილისში?

აქ მაინც არავინ გიფასებს:)



**მეგი გოცირიძე:**

დააკვირდით მანქანებს რუსული სანომრე ნიშნებით, რუსული სახელმწიფო დროშებითა და კოლორადოს ხოჭოებით, დააკვირდით და სადაც ნახავთ ჩამოგლიჯეთ!

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას კანონი, თუ ის ამას ვერ ახერხებს, ეს უნდა უნდა გავაკეთოდ ჩვენ !

რასაკვირველია დაგვიჭერენ, რუსული ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი საქართველოს პოლიცია, რომელმაც აქ საზღვარი გადმოაკვეთინა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მაგრამ ვერ დაგვაპატიმრებენ ნუ გეშინიათ , ჩვენ დავიცვათ კანონი და კანონის დაცვის გამო დაპატიმრება ჯერ ვერ მოასწრეს შეეტანათ კონსტიტუციაში!

დაგვაჯარიმებენ სხვისი ქონების დაზიანებისთვის? სოლიდარობის ფონდს შევქმნი და გადავიხდით!

## facebook



**შალვა ნათელაშვილი:** ივანიშვილი ღირსია ხალხის გადაგდებისა და ერის მოტყუებისთვის ყადაღა დაედოს მის მილიარდიან ანგარიშებს და მე ამას მივაღწევ, აუცილებლად!" "სტივ რასელის განცხადებაში არანაირი წვლილი არ შეუტანია ნაციონალურ მოძრაობას და სააკაშვილს. ის მათ საერთოდ არ იცნობს და არც თუ ისე მაღალი აზრისაა მათზე"

## facebook



**სანდრო ბრეგაძე:** ქართველთა მარში!!!!!! ქართველთა მარში თბილისში!!!!!!!! ქართველთა მარში!!!!! ჩემმა ლაზმა მეგობრებმა (რომელთაც ოფისი აქვთ "პლეხანოვზე") საგულისხმო ინფორმაცია მომაწოდეს. მთელი ალმაშენებლის გამზირი ანუ "პლეხანოვი" ოკუპირებული აქვთ ერაყელებს, სირიელებს, აფრიკელებს, არაბებს, თურქებს. ისინი ეწევიან არასრულწლოვან ქართველ ბავშვთა პროსტიტუციას,ე.წ.ჩილიმბარებში ყიდიან ნარკოტიკებს, კომპოზიტორთა სახლის პირველ სართულზე გახსნილი აქვთ დიდი ბორდელი, სადაც 16-17 წლის ბავშვებს ამუშავებენ, ღამე აუპატიურებენ ქალებს, ჯგუფურად ხვდებიან ახალგაზრდა ბიჭებს და უმოწყალოდ ცემენ, მომხდარა რამდენიმე მძიმე დაჭრის ფაქტიც. ეს ყველაფერი იმალება და არ ხმაურდება, გადაწყვეტილი აქვთ ე.წ.რეზერვაციის მსგავსი უბნის შექმნა,სადაც ქართველს გავლა შეეშინდება. უცხოეთიდან ჩამოსული რელიგიური ფანატიკოსები ეწევიან ანტიქართულ პროპაგანდას, ამტკიცებენ რომ 3-4 წელიწადში რამდენიმე უბანი მათი გახდება. აქვთ ცეცხლსასროლი იარაღებიც და ა.შ. ყველაფერი ხდება ორგანიზებულად, შექმნილი აქვთ ე.წ.საძმოების მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც სრულ კოორდინაციაში არიან ერთმანეთთან, აქვთ ოფისებიც სადაც იკრიბებიან და გეგმებს სახავენ. ერთმა თურქმა მეგობარმა ისიც მითხრა, რომ ქართველებს ჭკუა არ გაქვთ? ვერ ხვდებით ქალაქის ცენტრში ამხელა ტერიტორიას ფაქტობრივად ოკუპირებულიაო.----კატეგორიულად მივმართავ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დაიწყოს კომპოზიტორთა სახლიდან და ალაგმოს ყველა ის კანონსაწინააღმდეგო ბარი, კლუბი თუ ოფისი, რომელიც განლაგებულია ალმაშენებლის გამზირზე, ყველა უკანონოდ მყოფ პირს გაუკეთოს მყისიერი დეპორტაცია, ხოლო შესაბამისმა სამთავრობო უწყებებმა უკიდურესად გაამკაცრონ საემიგრაციო კანონი აფრიკის და აზიის ქვეყნების მოქალაქეებისთვის. -----თუ აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულდება 1 თვის ფარგლებში, მაშინ ვიტოვებთ უფლებას ორგანიზება გავუკეთოთ მრავალათასიან "ქართველთა მარშს" და კანონის ფარგლებში, ჩვენი ძალებით ავლაგმოთ ყველა ის უკანონობა რომელიც ჩვენი დედაქალაქის ცენტრში ხდება!!!!!!!!!!!

# რა უნდა ქნან იმ პირველკლასელების მშობლებმა, ვინც ბავშვები სასურველ სკოლაში ვერ დაარეგისტრირეს?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**საჯარო სკოლების უმეტეს ნაწილში ვაკანტური ადგილები უკვე შევსებულია, ასეულობით მოზარდი კი — კვლავ დაურეგისტრირებელი. მშობლების მთავარი პრეტენზია, რეგისტრაციის პროცესში შექმნილი ტექნიკური გაუმართაობაა.**

**წლევანდელი რეგისტრაციისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით 70 ათასზე მეტი ვაკანტური ადგილი იყო. პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესი 25 მაისამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც მშობლებმა უკვე რეგისტრაციის მესამე ეტაპი უნდა გაიარონ და საბუთები სკოლებში წარადგინონ. მათ დიდ ნაწილს სკოლაში სიარული სახლიდან მოშორებით მოუწევს.**

**„ალიას“ განათლების ექსპერტი, მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– რეგისტრაციის აღნიშნული წესი ყოფილი ხელისუფლების დროს შემოვიდა. არსებულმა ხელისუფლებამ ეს წესი გააგრძელა, უბრალოდ. რეგისტრაციის ამ წესზე გადასვლის მიზეზი იყო ის, რომ მაშინ, წლების განმავლობაში, ყველაზე მოთხოვნად სკოლებში ჩარიცხვაზე კორუფციას ჰქონდა ადგილი. მას მერე, რაც ელექტრონულ ქმედებებზე გადავიდნენ ჩვენი იუსტიციის სახლები და ა.შ. სკოლაში რეგისტრაციაზაც დაწესდა ელექტრონული სახით რეგისტრაცია. ანუ, ამ წესზე გადასვლა მოხდა იმიტომ, რომ კორუფცია მოესპოთ. საქმე ისაა, რომ რეგისტრაციის ეს წესი, გარდა იმისა, რომ გაუმართავია, ამავდროულად, არის არასრულყოფილი.

**— რას გულისხმობთ?**

– რეგისტრაციის შემდეგ, განსაზღვრულ ვადებში, საბუთები ისევ მშობელმა უნდა მიიტანოს, რაც ნიშნავს იმას, რომ რეგისტრაცია მანდვე, ელექტრონულად არ მთავრდება. თუკი ისევ მშობელი უნდა მივიდეს სკოლაში, მაშინ რა აზრი აქვს ამ ელექტრონულ რეგისტრაციას?! მით უმეტეს, როცა არ გამოირიცხება კორუფცია, ჩაწყობაც ძალიან კარგად ხდება და ა.შ. ეს არის მოძველებული ფორმა და მათი ეს ონლაინ-რეგისტრაცია არ გამოდგება არავის თვალის ასახვევად. როგორ ხდება, როცა პირველივე წუთზე ითიშება საიტი და როცა 5 წუთში ირთვება, უკვე ყველა ადგილი შევსებულია? ან ის როგორ ხდება, როცა რეგისტრაციის დაწყებიდან პირველივე წუთზეა შევსებული ადგილები?

**— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, როგორ ხდება?**

– ეს არის პროგრამისტების საქმე. ამაში არიან ჩართულები ისინი, ვინც ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ, ასევე, ისინი, ვინც უშუალოდ მართავენ ამ სისტემას. რა უნდა მაგის გაკეთებას, გაამზადებ წინასწარ სიას, რეგისტრაციის დაწყებისას დააწკაპებ ერთს და დაარეგისტრირებ ბავშვს. მით უმეტეს, როცა სულ რამდენიმე სკოლაა მოთხოვნადი. მსგავსი რამ ხდება დედაქალაქის რამდენიმე სკოლაში. შესაბამისად, კონკრეტულ სკოლაში, თავისავე უბანში ვერ ხვდება ბავშვი. ამიტომაცაა ბავშვები ქალაქის ერთი თავიდან მეორე ბოლოში რომ დადიან.

**— გამოსავალს რაში ხედავთ? თუ რეგისტრაციის ეს წესი არ ამართლებს, მაშინ რომლით უნდა ჩანაცვლდეს?**

– უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც, სხვა პროცესებთან ერთად, გააკონტროლებს რეგისტრაციის პროცესსაც. ამ საკითხში კი ჩართულები უნდა იყვნენ კეთილსინდისიერი ადამიანები, რომ ფული არ აიღონ პირველკლასელის ჩარიცხვაზე. ფული არ უნდა წყვეტდეს გარკვეულ სკოლაში ბავშვისთვის იქნებოდა თუ არა ადგილი და ელექტრონული მეთოდი, არ არის იმის საფუძველი, რომ ეს კორუფცია აღმოიფხვრას. მით უმეტეს, როცა ერთი და იგივე სურათი იდება ყოველწლიურად. ამ წესს დადებითი აქვს მარტო ვადები – ვადები, რომლებიც დაწესებულია რეგისტრაციისთვის, დაკავშირებულია ბიუჯეტიდან ვაუჩერის გამოყოფასთან. როცა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად, მოსწავლეთა ზუსტი რაოდენობა დგინდება და ასე უფრო ადვილია ვაუჩერების დაანგარიშება. გასულ წლებში იყო შემთხვევები, როცა ერთი ბავშვი, სხვადასხვა სკოლაში იყო ჩარიცხული. იყო შემთხვევები, როცა მილიონობით ლარი იყო ამ გზით მითვისებული სხვადასხვა მაღალჩინოსნების მიერ. ბევრი ვიყვირე ამის თაობაზე „ნაციონალების“ დროს, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია. რამდენიმე წლის მერე აღმოაჩინეს ეს დაკარგული ლარები, მაგრამ არც მაშინ დასჯილა ამისთვის არავინ. არადა, ეს იყო სისხლის სამართლის დანაშაული. აშშ-ს საელჩომ დააფინანსა ერთი პროექტი, რომლის საშუალებითაც აღმოჩნდა მაშინ ის მკვდარი სულები. უამრავი პრობლემაა განათლების სისტემაში – საატესტატო გამოცდების, ხელმძღვანელი მუშაკების, რესურსცენტრების დირექტორების, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების შესარჩევი საკონკურსო წესებისა და კიდევ უამრავი გლობალური პრობლემის სახით, რაც არის მარტო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადასაწყვეტი. ეს ყველაფერი პოლიტიკური საკითხებია და მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რეფორმების გატარების თაობაზე. როცა მთავრობა იტყვის, რომ უნდა გატარდეს ეს რეფორმები ნამდვილად, მერე უკვე შეუძლიათ, იხელმძღვანელონ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამით, სადაც ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი. დღემდე მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები ჩატარდა, არაფერი ძირეული არ გაკეთებულა. ბევრი რამ, მასწავლებელთა კარიერული სქემის ჩათვლით, ისეთი გაკეთდა, სჯობდა, საერთოდ არ გაკეთებულიყო.








**„როგორ ხდება, როცა პირველივე წუთზე ითიშება საიტი და როცა 5 წუთში ირთვება, უკვე ყველა ადგილი შევსებულია? ან ის როგორ ხდება, როცა რეგისტრაციის დაწყებიდან პირველივე წუთზეა შევსებული ადგილები?“**

**განათლების სამინისტროში ტექნიკური ხარვეზების არსებობას კატეგორიულად უარყოფენ, თუმცა რეგისტრაციის პროცესში გარკვეულ შეფერხებას წელს სასკოლო ასაკის ბავშვების დიდი ნაკადით ხსნიან, ამას კი მინისტრის მიერ მიღებულ ბრძანებას უკავშირებენ, რომლის მიხედვითაც შარშან ბავშვების ნაწილი ასაკის გამო სკოლის გარეთ დარჩა.**



**დღევანდელ მოგონებებში ბატონ გია ფერაძეს წარმოგიდგენთ, ადამიანს რომელსაც ამ ცხოვრებამ ტრაგიკული ბედი არგუნა. გახსოვთ „არასერიოზული კაცი". გია ფერაძე მის მიერ განსახიერებულ გმირს რეალურ ცხოვრებაში ძალიან წააგავდა. ბატონი გია იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭითაც დაჯილდოებული ბრძანდებოდა. რამდენიმე დღის წინ ბატონ ილიკო ფერაძეს ვესტუმრეთ და გიას შესახებ რამდენიმე „ისტორიის" გახსენება ვთხოვეთ.**

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



### უთო

რუსთაველის თეატრი გემით მიდიოდა გასტროლებზე საბერძნეთში. ბათუმიდან ჩავიდნენ ოდესაში და საბერძნეთში გასვლის წინა დღეს, ყველანი საზღვარგარეთ გასაყიდი საქონლის საყიდლებზე აპირებდნენ წასვლას. ამ დროს გია უკვე ბრუნდებოდა ქალაქიდან, დიდი მძიმე შეკვრით, რომელსაც ძლივს მოათრევდა. გაგიჟდნენ ცნობისმოყვარე მსახიობები. ეტყობა, გიამ რაღაც კარგ რამეს მიაგნო და ჩვენ გვიმალავსო. გაჰყვნენ გიას კაიუტაში და ნახეს, რომ მას უთოების დიდი შეკვრა მიჰქონდა.

– რუსეთის უთოებზე საბერძნეთში დიდი მოთხოვნილებაა და ძალიან მომგებიანად გადისო!

გაცვივდნენ მსახიობები და ოდესაში სწრაფად შექმნეს უთოების დეფიციტი. როდესაც გემი გავიდა ოდესიდან, გიამ უთოს ცარიელი ყუთები სხვების დასანახად წყალში მოისროლა და შემდეგ გემის სხვადასხვა კუნჭულში ემალებოდა განრისხებულ მეგობრებს.

### „ჯვარცმული კუნძული"

გიას იღებდნენ ფილმში „ჯვარცმული კუნძული", რომელიც ტექსელის გმირებს ეძღვნებოდა. გადაღებებისთვის აირჩიეს ქალაქი ტალინი.

გიას ეპიზოდური როლი ჰქონდა, გერმანელ ჯარისკაცს თამაშობდა და ყოველდღე არ იყო დაკავებული. ერთ თავისუფალ დღეს გიამ გაიცნო მომხიბლავი ქერათმიანი ესტონელი ენე და საღამოს მოიპატიჟა რესტორანში მეგობრებთან ერთად. იმ ღამეს გია სასტუმროში არ დაბრუნებულა. მეგობრებს ეს ძალიან არ შეუცხადებიათ. მეორე დღეს დაინიშნა გადაღება, მაგრამ გია დილითაც არ გამოჩენილა. გახდა შუადღე. შეწუხდა მთელი გადამღები ჯგუფი, აღარ იცოდნენ, სად ეძებნათ. ამ დროს სასტუმროში, მისი მეგობრის გელა ჭიჭინაძის სახელზე მოდის ელვა ტელეგრამა ნოვოსიბირსკიდან: „მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო ფრენა გადადებულია, ვიქნები ხვალ. გკოცნით. ენე. გია".

თურმე ენე სტიუარდესა ყოფილა და გია გაჰყოლია მას თვითმფრინავში, ღამის რეისში ტალინი-ნოვოსიბირსკი, იმ ანგარიშით, რომ შუადღემდე უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო, ნათქვამია.

ფილმის რეჟისორი დასაბმელი გახდა, მის ღრიალს, ალბათ, ყოველგვარი აპარატურის გარეშე გაიგებდა გია ნოვოსიბირსკში. მაგრამ რაღა უნდა ექნათ. იმ დღეს სხვა სცენის გადაღება მოუწიათ.





### ჰაილ ჰიტლერ

გია სტუდენტობისას კომკავშირული საგზურით ექსკურსიაზე იყო ჩეხოსლოვაკიაში. მე ბევრი მქონდა წაკითხული პრაღის შესახებ და წასვლამდე გიას ვეუბნებოდი:

– რა ბედნიერი ხარ. პრაღა გაზაფხულზე რა ლამაზია. ვიშგოროდი, აყვავებული ალუბლები...

– ალუბლების დედა ვატირე, – მპასუხობდა გია, – პახმელიაზე ჩეხური ლუდის საშოვნელად ნაცნობობა რომ არ დაგჭირდება, ესაა მთავარი! – იმ დროს ქართული ლუდი ერთხელ უკვე დალეულს ჰგავდა და ჩეხური ლუდი რომ გეშოვნა, ან ცენტრალური კომიტეტის ბუფეტში ან „ინტურისტში" უნდა გყოლოდა ნაცნობი, ან მიშა ლოლაძისა და ვახო ცხადაძის ახლობელი უნდა ყოფილიყავი, რომლებიც სასტუმრო „აჭარისა" და სასტუმრო „ივერიის" დირექტორები იყვნენ.

68 წლის ჩეხოსლოვაკიის ცნობილი ამბები ახალი ჩავლილი იყო და დაძაბულობა ჯერ კიდევ არსებობდა. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო გიას მეგობარი ალკკ ცეკადან თემურ კაჭკაჭიშვილი, რომელიც შემდგომ მღელვარების გარეშე ვერ იგონებდა ამ მოგზაურობას.

ჯგუფხელი იხსენებდა: ერთხელ ქუჩაში მოვდივართ კარლოვი ვარში და უცებ მწკრივად დაწყობილი გერმანელი ტურისტების ჯგუფი მოდის ქუჩაზე.

გია რაღაც ნაგვის ტუმბოზე შედგა, გაიჭიმა და როდესაც მოახლოვდნენ გერმანელები, ქუსლი ქუსლზე მიარტყა, მარჯვენა ხელი ზე აღმართა და რიხიანად დაიძახა:

– ჰაილ ჰიტლერ!

გერმანელები დაიბნენ. პროვოკატორი ეგონათ და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით, გაეცალნენ იქაურობას. მე კი ისე შემეშინდა, მიწას ჩავეტანე, ის მერჩივნა. ვიფიქრე, ეს რომ ვინმეს დაენახა, დამთავრდა ჩემი კარიერა კომკავშირში-მეთქი. მოვკიდე გიას ხელი და საჩქაროდ შევიმალეთ რომელიღაც სახლის ეზოში.

### „ანგარიშსწორება სიცილით"

გია, ამირან ბუაძე, ნანული სარაჯიშვილი, ასმათ ტყაბლაძე, სხვა მეგობრებთან ერთად, წავიდნენ ასმათის მშობლიურ დუშეთში. იქ კარგად მოულხინეს და დადგა უკან დაბრუნების ჟამი. მეგობრები მხოლოდ ერთი მანქანით იყვნენ ჩასულები. იქ უკან წამოსასვლელად დაემატათ ასმათის დედა, მეზობელი და ტაქსის ძებნამ მოუწიათ.

უფროსები ჩასული მანქანით გაისტუმრეს. გია, ნანული, ამირანი და ასმათი ტაქსით წამოვიდნენ. ჯერ კიდევ დუშეთში გახურდა გია, დუშელთა კილოზე ააწყო ოხუნჯობები და დაწყვიტა ხალხი სიცილით.

გია დაუშრეტელი ენერგიით იყო სავსე და ტაქსშიც გააგრძელა მაიმუნობები, კარგად შეზარხოშებულიც იყო. მას არც ნანული და ამირანი ჩამორჩნენ და მანქანა სიცილხარხარით უახლოვდებოდა თბილისს. ბედად იუმორის დამფასებელი მძღოლი შეხვდათ. მანაც იმდენი იცინა, რომ ორჯერ მოუწია მანქანის გაჩერება. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე სიცილისგან და შეეშინდა, ავარია არ გაეკეთებინა. მადლიერი უცხო მსმენელის დანახვაზე გია გაგიჟდა. მიაყარა და მიაყარა ოხუნჯობების სერია.

როგორც იქნა, ჩამოაღწიეს ქალაქამდე. კომპანია დიდუბის მეტროსთან აპირებდა ჩამოსვლას. დიდუბის მეტროს სიახლოვეს, სიცილისგან დაუძლურებულმა მძღოლმა განაცხადა:

– არსადაც არ ჩამოგსვამთ! იმდენი ვიცინე დღეს, რომ ჩემს სიცოცხლეში ამდენი არ მიცინია. არც თქვენი ფული მინდა, ისე დაგარიგებთ.

გამხიარულებულმა მძღოლმა ყველანი ჩამოარიგა სახლებში უფასოდ.

### „რაზრეშიტე პრიკურიტ?!"

ვაჟა ლორთქიფანიძე გიას ახლო მეგობარი იყო. როდესაც კომკავშირის ცეკას მდივანი გახლდათ, ხშირად დაჰყავდა გია სხვადასხვა შეხვედრებზე. ერთხელაც გიამ მიაკითხა მას კაბინეტში. ვაჟამ სთხოვა:

– გია, აქ დაჯექი ცოტა ხანი, უცხოელი სტუმრები უნდა მივიღო 10 წუთით და მერე წავალთ.

გია დაჯდა კუთხეში, მაგიდიდან მოშორებით. შემოვიდნენ სტუმრები. გავიდა 20 წუთი, შეხვედრა გაიწელა და აღარ მთავრდებოდა. მოსალოდნელი პურმარილის ლოდინში გია ადგილზე ვერ ისვენებდა. ცოტა ხანში ადგა, ამოიღო სიგარეტი, მივიდა ცეკას მდივანთან და მობოდიშებით ასანთი სთხოვა, როდესაც მისგან უარი მიიღო, მივიდა კედელთან, რომელზეც ბრეჟნევის ახალგაზრდობის სურათი ეკიდა, ფორმაში, „მცირე მიწაზე" პაპიროსით ხელში.

– რაზრეშიტე პრიკურიტ?! – ყველასგან შეუმჩნევლად ამოიღო სანთებელა, ვითომ მიადო ბრეჟნევის სიგარეტს, მსუყე ბოლი გამოუშვა და გემრიელად გააბოლა, თავი დაუკრა სურათს და ხმამაღლა მადლობა გადაუხადა ლეონიდ ილიჩს.

სტუმრები გაოგნდნენ და სურათს მიაჩერდნენ. ყველაზე მეტად ვაჟა ლორთქიფანიძე გაოგნდა, რომელიც სურათთან ზურგით იჯდა, ამიტომ ვერ გაეგო, როგორ მოუკიდა გიამ სიგარეტს და რატომ უხდიდა მადლობას ლეონიდ ილიჩს.

### გიზოს მამა

ჩვენს ბიძაშვილს გიზო ნიკოლაიშვილს მამა ადრე, 1949 წელში გარდაეცვალა და კუკიის სასაფლაოზე იყო დაკრძალული. როდესაც მისი დედა მუხათგვერდში, პანთეონში დავასაფლავეთ, გადაწყდა, რომ მამაც უნდა გადმოგვესვენებინა მუხათგვერდში. მე და გიზო მუშებს მოველაპარაკეთ ორივე სასაფლაოზე და დათქმულ დღეს ავედით კუკიაზე. მუშებს უკვე ყველაფერი გამზადებული ჰქონდათ, ამიტომ დრო ბევრი არ დაგვიკარგავს და მამის ნეშტი ჩაასვენეს პატარა ყუთში. აღმოჩნდა რომ, მუხათგვერდში მუშების მოსვლამდე დიდი დრო იყო დარჩენილი. ყუთი ჩავასვენეთ მანქანის საბარგულში და წამოვედით ქალაქში. მიცვალებულის გადმოსვენებას პირველად ვესწრებოდით ორივე და ძალიან ვღელავდით.

ვინაიდან დრო ამის საშუალებას გვაძლევდა, გადავწყვიტეთ, ცოტათი დავმშვიდებულიყავით და მამის ხსოვნის სადღეგრძელო შეგვესვა.

პლეხანოვის პროსპექტზე ჩავედით „იმერეთში" და ერთი-ორი ჭიქა წავუქციეთ. ცოტათი სული მოვითქვით. მერე ნელი სვლით, ბიძია ვასო ნიკოლაიშვილის ნეშტი, სიმბოლურად, მანქანით გავატარეთ ქალაქში და მეუღლის გვერდით მივაბარეთ მიწას.

ნაშუადღევს გიზოს სახლში უახლოესი მეგობრები შევიკრიბეთ და მიცვალებულები მოვიგონეთ. იქ იყო გიაც. როდესაც გადასვენების ცერემონიალის შესახებ მოვყევით, წამში გამოაცხო მოარული ანეკდოტი გია ფერაძემ.

მეორე დღიდან მთელი ქალაქი დაგვცინოდა მე და გიზოს:

– როგორ იყო? გიზოს მამას მანქანით სახინკლეებში რომ ატარებდით და ის კი საბარგულიდან აკაკუნებდა, გეხვეწებოდათ, ბიჭებო, მეც უჭმელი ვარ, ნუ მაწვალებთ, ჩემს ელენესთან მიმეჩქარებაო.

Facebook ამბები

facebook



**გიორგი ონიანი:**

ბატონო ბიძინა: სახელისუფლებო პარტია, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური სპექტრის გაყოფაზე ან შეერთებაზეა დამოკიდებული, ხელისუფლება რომელიც ქვეყანაში ვერ ქმნის დღისწესრიგს, ესეთი ხელისუფლება აუცილებლად სრულდება, სრულდება მიუხედავად იმისა შეეცდება თუ არა კადაფიზაციით გზით პოზიციების შენარჩუნებას, ეს გზა ვერ ცვლის პოლიტიკურ შედეგს, მას მხოლოდ თანამდებობის პირების სამართლებრივ განაჩენებზე შეუძლია გავლენის მოხდენა.

facebook



**კოკა ყანდიაშვილი:**

სააკაშვილის საგანგებო (გან)ცხარება....

როგორი სიმართლეც ამ განცხადებაშია;

- მაგ სიმართლით მართავდით 9 წელი.

- მაგ სიმართლით - 26 მაისი.

- მაგ სიმართლით - 7 ნოემბერი და იმედი.

- მაგ სიმართლით მოიგეთ ომი.

- მაგ სიმართლით იყავით პირველები საქართველოს ისტორიაში.

- მაგ სიმართლით ხოცავდით ხალხს.

- მაგ სიმართლით ხარ - ერთიანნი....

- მაგ სიმართლით ძლიერდებით და გარდაისახებით ამჟამადაც.....

ნუუ, დაუშვათ, რომ მომავალ პარლამენტში, რუსთავი 2-ის გაჭაჭვით - 10 კაცს მაინც გაიყვანთ........ რა იყო, ამ 10 მანდატს ვერ იყოფთ? აბა უანგაროა ჩვენი ერთობაო - პრინციპებზე და ფასეულობებზე ნაკუწ-ნაკუწ ნაწეპებიო.... აბა დროს გაუძლო ჩვენმა ძმობამო? ერთი თხილის გული 9 ძმამ გაიყოვო? -

მთელი ერი სიამოვნებთ ვაკვირდებით, საკუთარ ბოლმაში როგორ - შოპენი, ფრედერიკ შოპენი........

**ქეთი დოლიძე** -უზნეო ლიდერი, უნამუსო ტელევიზია!

# რა არის საარჩევნო გერმანული მოდელი და როგორ აპირებს ოპოზიცია მის პარლამენტში გატანას?

## „აუცილებლად გამოვძებნით ოპოზიციაში 76 ხმას!“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



საარჩევნო სისტემაზე მომუშავე ინტერპარტიულმა ჯგუფმა, საპარლამენტო ოპოზიციასთან შეთანხმებას მიაღწია და ორწლიანი მუშაობის შემდეგ საარჩევნო სისტემის ისეთი ვარიანტი დადო, რომელიც, მათი თქმით, მისაღებია როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე ოპოზიციისთვის.

**რას გულისხმობს გერმანული მოდელი, რომლითაც ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნების ჩატარებას სთავაზობს და რა გზით აპირებს მისი ვარიანტის გატანას?**

**„ალიას“ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკური მდივანი, მამუკა კაციტაძე ესაუბრა:**





– 5 მაისს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციისვე ინიციატივით, მიწვეული ვიყავით არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიული ფორმატი და საპარლამენტო ოპოზიცია. ჩვენ პრაქტიკულად სრული ოპოზიცია ვიყავით, სრული შემადგენლობით, ხოლო საპარლამენტო ოპოზიცია იყო არასრულად, მაგრამ მათი, ყველას პოზიცია ჩემთვის წინასწარ იყო ცნობილი. განხილვის საგანი სამი ძირითადი თემა გახლდათ – საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული მომავალი ქმედებები, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ცვლილება მაღალი ალბათობით ჩავარდება – რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ, რას აქვს შანსი და აზრი; მეორე – არჩევნების თარიღთან და დანიშვნასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი უხერხული სიტუაციები და ასევე, ბოლო დროს, ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული სერიოზული გაუგებრობები.

**— რაზე შეთანხმდით უშუალოდ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით?**

– როდესაც არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიულმა ფორმატმა წარადგინა საკუთარი წინადადებების პაკეტი სამუშაო ჯგუფში, „ქართულ ოცნებასთან“, ჩვენ გვქონდა წარდგენილი, როგორც ძირითადი ვერსია, ასევე ალტერნატიული ვარიანტიც.

ძირითადი ვერსია გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც გასულ კვირაში იქნა განხილული პარლამენტში, ხოლო სარეზერვო ვერსია არის სწორედაც გერმანული ვარიანტი, რომელიც არ საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებებს, ასევე, არ აუქმებს ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებს და პროპორციულად ანაწილებს პარტიისთვის, საარჩევნო სუბიექტისთვის მიღებულ მანდატებს. ეს არის სისტემა, რომელიც არაერთ დემოკრატიულ ევროპულ სახელმწიფოში გამოიყენება. შესაბამისად, ეს ვარიანტი არ წარმოქმნილა გუშინ და პოლიტიკური წრეებისთვის ეს მოდელი ცნობილი იყო. ხელისუფლება ამბობს, რომ ცვლილებები ვერ მოესწრება, იმიტომ რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ ესწრება. თუ დღეს პრობლემა ისაა, რომ მაჟორიტარულ სისტემას ვერ გავაუქმებთ, იმიტომ, რომ პარლამენტში არ არის ამის მზაობა – მათ შორის მაჟორიტარების ნაწილში; თუ დღეს პრობლემა არის ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ახალ სისტემაზე ადაპტირებას ვერ მოასწრებს და ა.შ. და ამავდროულად თუ ვაღიარებთ, რომ პრობლემა მიღებული ხმებისა და მანდატების პროპორციული განაწილებაა, სწორედ ეს არის მოდელი, რომელიც ამ ყველა პრობლემას ერთდროულად აღმოფხვრის. არსებობს კიდევ სხვა ვერსიები. მაგალითად, „გირჩს“ ჰქონდა სხვა შემოთავაზება, მაგრამ ჩვენ ჩამოვყალიბდით, რომ, მაღალი ალბათობით, კონსოლიდაცია მოხდება სწორედ გერმანულ ვარიანტთან დაკავშირებით.

**— სანამ შეთავაზებაზე გადახვიდოდით, თუ გქონიათ საუბარი საპარლამენტო უმრავლესობასთან ამ მოდელის თაობაზე. რას იზამენ, დაუჭერენ მხარს?**

– უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვაინტერესებდა პარლამენტში მყოფი ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ პირველ რიგში, მათ მიერ უნდა მოხდეს ამ საკითხის ინიცირება და მათი „გასაქაჩია“ პარლამენტში ეს საკითხი, თუმცა პარლამენტს გარეთ მყოფი სპექტრისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ვიცით, რომ „ქართულ ოცნებაშიც“ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ემხრობიან მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას და ეს სწორედაც რომ ამ სისტემის არგაუქმებას გულისხმობს. ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს იმის იმედი, რომ, ერთი მხრივ, მმართველი პარტიის მხრიდან იქნება დადებითი დამოკიდებულება და მეორე მხრივ, პოლიტიკურ ჯგუფებში იქნება იმის რესურსი, რომ 2016 წლის არჩევნებისთვის ამ ფორმით შეიცვალოს საარჩევნო სისტემა.

**— რას აძლევს ეს მოდელი „ქართულ ოცნებას“, რატომ გგონიათ, რომ დაგთანხმდებიან?**

– არ არის სასურველი ხელის გადაგრეხის პრინციპით მოქმედება. ყველაზე სასურველია, ფართო კონსოლიდაცია მოხდეს ახალი სისტემის დასამკვიდრებლად, ოპოზიციური ხმებით გატანილ კანონს, სჯობს, შეთანხმებით მიღწეული ახალი კანონი დამკვიდრდეს. ამიტომაც გვინდა „ქართულმა ოცნებამ“ იქნებ გადმოდგას შემხვედრი ნაბიჯი და ეს იყოს ფართო კონსენსუსის პროდუქტი და

### რისი იმედი აქვთ?

არა გარკვეული პოლიტიკური პარტიებისა. თუ ამის წინააღმდეგი წავა ხელისუფლება – ამ შემთხვევაში ერთ მხარეს დარჩება „ქართული ოცნება“ და მეორე მხარეს საკმაოდ დიდი სპექტრი საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციისა. ჩვენ მაინც შევეცდებით გასაკეთებლის კეთებას ჩვენი ძალებით, მაგრამ ქართული სახელმწიფოსთვის და წინასაარჩევნო დემოკრატიისთვის სჯობს, რომ ეს იყოს შეთანხმების საგანი.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ ოპოზიციური პარტიები, უმრავლესობის გარეშე ამ მოდელს „გააქაჩვინებენ“?**

– ჩვენ გვინდა, შევთავაზოთ „ქართულ ოცნებას“, რომ იქნებ შევთანხმდეთ ამ მოდელთან დაკავშირებით. როგორც ხელისუფლების მხრიდან არ არის სასურველი ხელის გადაგრეხის პრინციპი, ასევე, არ არის სასურველი, იგივე მოხდეს ოპოზიციის მხრიდან. უბრალოდ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ამრიგად დაშლის შემდეგ უფრო მეტი სივრცე შეიქმნა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განსახორციელებლად და აუცილებლად გამოვძებნით ოპოზიციაში 76 ხმას.

**— როდის შესთავაზებთ ხელისუფლებას თქვენს ვარიანტს?**

– რამდენიმე დღის განმავლობაში კიდევ გავივლით გარკვეულ კონსულტაციებს სხვადასხვა ჯგუფებთან და დიდი ალბათობით ამ კვირაში დაიწყება ამ მოდელის შიდასაპარლამენტო პროცედურები, რაც საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს გულისხმობს და რა პროცედურაც შესაძლოა განხორციელდეს ძალიან მალე – მაქსიმუმ მაისში და დასრულდეს ივნისში.




**ლევან ღვინჯილია:**

"რომაელნო"!!!

“ თუ არც მაცხოვრის აღდგომა გწამთ, არც მის მიერ ლაზარეს აღდგინება, არც იმის შეგნება გაწუხებთ, რომ ქართველი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, ვინც "ქართულ ენაში ცხოვრობს" და თქვენს სახელსა და გვარს მაინც ლათინურ სამოსში ახვევთ, აბა, როგორღა შეგაგნებინოთ, რომ ეს არაა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პრობლემა?

“ მე მხოლოდ იმათზე ხომ არ ვსაუბრობ, სამშობლოდან გადახვეწილები ლუკმაპურის ფულს ძლივს რომ აკოწიწებენ, ხშირად, საკმაოდ დამამცირებელი შრომის ფასად, და ამით საქართველოში დატოვებულ და უზომოდ მონატრებულ ოჯახებს მინიმალურ საარსებო პირობებს უქმნიან???

“ თქვენ! - დიდად პატივცემულნო კომპიუტერიანნო და ძვირფასმობილურიანნო საჯარო მოხელენო, მინისტრებო და პარლამენტარებო, ბიზნესმენებო და ცხოვრებისაგან გალაღებულო "მამულიშვილებო", თქვენ მაინც რა მოგდით?

“ რა თქმა უნდა, მე ყველას გილოცავთ დამდეგ აღდგომას, მაგრამ, ისე, ღირსები კი არა ხართ მილოცვისა, როცა აბუჩად იგდებთ იმ ენის ანბანს, რომელსაც "სახარებასა შინა ლაზარე ჰქვია".

“ ჩემი ნება რომ იყოს, თქვენთვის მხოლოდ იმის გამო არ მივაცემინებდი ხმას არჩევნებში და მხოლოდ იმის გამო არ დაგნიშნავდით ნებისმიერ თანამდებობაზე, რომ უგულვებელყოფთ სახელმწიფო ენასა და მის ანბანს, ნიჰილიზმით სავსე თვალებით უმზერთ "ღვთაებრივ საუნჯეს"(ილია!!!), რომელიც "ერის მეობის უმთავრესი და არსებითი ნიშანია"(ილია!!!);

“ "რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"(ილია!!!)

“ ხო, მართლა! როგორაა შარშან ივლისში ძლივს მიღებული "საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ?";

“ ხომ არ ჩაობდა ბატონი პრემიერის სამუშაო მაგიდის უჯრაში, თუ ჯერ იქამდე არც მიუღწევია და, სად აგდია, კაცმა არ იცის?

“ რას მეტყვით, რით გამახარებთ?

“ და ბოლოს,

"ქრისტე აღდგა!" მაინც ახარეთ ერთმანეთს სწორად!!! (-ს-ს გარეშე!!!)

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# როცა ერთი ამბავი ავტეხეთ, იუნას დისთვის უთქვამთ (ის „ქართუ ჯგუფში“ მუშაობს), შენი და რა დღეშია „ალიას“ ფურცლებზეო?

## იუნა შაფათავა უკვე გახლავთ ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის გაყიდვების შეფი





**იყო ერთი კაცი, რომელიც „ნაციონალების“ პერიოდში სიღნაღის პოლიციის უფროსად მუშაობდა, მეტსახელად „ტაშკანა“... როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ის სახლში გაუშვა, ადგა და ჯერ ლექსების წერა დაიწყო, შემდეგ კი მღვდლად ეკურთხა**

მოკლედ, შაქრო პაპას მიერ დატოვებული ანდერძი 100 პროცენტით ამართლებს: შვილო, თუ ამ ცხოვრებაში არ გაატრაკე, არც არავინ დაგაფასებს და არც ვინმე რამედ ჩაგაგდებს, ყველა დაგჩაგრავსო. იცით, ეს რატომ გავიხსენე? ალბათ, გახსოვთ, ამას წინებზე იუნა შაფათავამ რომ გაატრაკა, – ოე, „ქართულო ოცნებავ“, სამსახური მინდა, სულ მცირე, 1500-ევროიანი ხელფასით, ჩქარა დამასაქმეთ, თორემ დავფქვი, ვინ სად დასექსაობთ და რეებს კადრულობთო! ჰოდა, ისიც გემახსოვრებათ, ჩვენ რომ გავაშუქეთ, ხან ლექსად და ხან კიდევ პროზად. მაშინ იუნას ვუთხარი, შენ ცოტა ხანში კაი სამსახურს შემოგთავაზებენ და მერე მეგობრები არ დაივიწყო-მეთქი. არა, რას ამბობ, ესენი რის შემომთავაზებლები არიანო? ცოტა ხანს მოვიცადოთ და ნახავ-მეთქი. აი, ასე აგიხდეთ ყველა ოცნება, როგორც ჩემი ნათქვამი ახდა – იუნას სამსახური შესთავაზეს და ისეთი გახარებულია, ისეთი ბედნიერია, მეცხრე ცაზე დაფრინავს. მართალია, ამიერიდან სექსსათამაშოების ნაცვლად სამშენებლო მასალებთან ექნება საქმე, მაგრამ მაგას დავეძებთ? მთავარია, კაი ხელფასი, გიტარა და ხშირი ტაში! ჰო, კინაღამ დამავიწყდა... ესე იგი, იუნა შაფათავა უკვე გახლავთ ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის გაყიდვების შეფი. ერთი სიტყვით, იუნა დავაბინავეთ, ახლა ისეთებს მოგხედავთ, რომლებსაც გაქცევის სურვილი გაგჩენიათ და ვერ ატრაკებთ. მაგალითად, ნიკოლოზ ქართველი ასეთ ლექსს წერს:

**„ცხოვრებამ მოგვატეხა ფრთები,
რომლის არსებობა არც კი ვიცოდით
და რომც გვცოდნოდა,
ვერ მოვუფრთხილდებოდით,
რადგან არ უსწავლებიათ ჩვენთვის,
რადგან ალბათ მათაც არ ასწავლეს,
რადგან ალბათ ვინმეს არ აწყობდა
ჩვენი ფრენა,
რადგან ალბათ უნდა გვეტკეპნა,
სხვისი გადატკეპნილი მიწა.
ასევე არ დაგვინდო არავინ,
გვიხმარა ყველა,
განურჩევლად სქესისა და წლოვანების
— ვინც ვერ გავმდიდრდით, ან ვერ
გავლოთდით.
გვასწავლა, რომ არ არსებობს ოცნება.
მე დამიტოვა მხოლოდ იმედი უფლის
და ვერშემდგარი მედიტაციის,
რადგან ხელი მოვაწერე ფურცლის
ბოლოს, რომ ჩემი გონება არ ითიშება.
ყველაფერს საკუთარი ოფლით უნდა
მიმეღწია, მე კი ვერაფერს მივაღწიე,
მხოლოდ ცივად შემაშრა ტანზე
და გავცივდი.
დაე, ვინც შემორჩით, მეოცნებენო,
ვისაც არ დაგიკარგავთ იმედი,
გაშალეთ ფრთები“!**

აი, ამით არ დავიწყე? ასე არ შეიძლება, რას ჰქვია, ფრენა არავის უსწავლებია? ფრენა კი არა, გაფრენა უნდა იცოდე, ძმაო, გაფრენა და გატრაკება! ბოლო-ბოლო, ბიბლია გვეუბნება, მოითხოვეთ და მოგეცემათო! მე ვერაფერს მივაღწიეო, მხოლოდ ცივად შემაშრა ოფლი ტანზეო... ამ შემთხვევაში მშვენიერ პოეტურ მიგნებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იუნასნაირ შემართებას ვერ ვხედავ. კი, მესმის, რეალური სურათი ასეთია, ბევრი იჩაგრება, მაგრამ თუ არ მიაწექი, წინ უკვე სიკვდილია. კიდევ ერთ მაგალითს მოგიტანთ: მაგალითად, იყო ერთი კაცი, რომელიც „ნაციონალების“ პერიოდში სიღნაღის პოლიციის უფროსად მუშაობდა და ძაან მაგრადაც ატრაკებდა – იოსებ ხოხონიშვილი, მეტსახელად „ტაშკანა“. როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ის სახლში გაუშვა, ადგა და ჯერ ლექსების წერა დაიწყო, შემდეგ კი მღვდლად ეკურთხა. ცოტა ძნელი წარმოსადგენია პოლიციელი და მღვდელი, მაგრამ ფაქტია, მისი პირველი პოლიტიკური ლექსი კი 2012-ში ასე გამოიყურებოდა:

**„ეს ქიცმაცური, ის კი ქიცია,
„ნაცებმა“ მეტი არა იციან.
სად პოლიტიკა, სად პოლიცია,
მოდის „ოცნების“ კოალიცია.
კვლავ ემიჯნება ნამუსს ნაცია,
სირცხვილი როგორც კაბა აცვია,
ერთი უგულო ცივი კაცია,
ხან კურდღელია, ხანაც ვაცია.
დგას ბოროტების ბრმა ფორმაცია,
გარეთ გაჟონა ინფორმაციამ.
სად აღშფოთება, სად ოვაცია,
დაემატება პროტესტს აქცია.
ეშმასთვის სამჯერ შეუფუცია,
ცხრაჯერ შეცვალა კონსტიტუცია.
მან შეაჯერა პროსტიტუციას,
ხმების გადათვლის ინსტიტუცია.
ერთი კენტია, ათი ლუწია,
„ნაცებს“ ცოდვებმა უკვე უწია,
დაცხრა ცოცხების ეგზეკუცია,
დაჭკნა ვარდების რევოლუცია.
არ დააყენა მიშამ ორალი,
ასეთი არის მისი მორალი,
როგორც ხელკეტზე ნაცვი ანალი,
ისე გაცოცხეს ნაციონალი.
სიტყვა — სიტყვაა, ფიცი — ფიცია,
საქმით დაფასდა ბიძო ბიძია,
ყოველი კარგად გამოიძია
და სამართალმაც შური იძია“!**

## ჩვენ, პოეტები საქართველოსი!



როგორც ხედავთ, ეს ლექსი აშკარად პოლიციელის დაწერილია, რომელმაც, უკვე გითხარით, მაგრად აჩმახა, გაუშვეს და შემდეგ ამ პიროვნებამ მაინც იპოვა საკუთარი თავი. ახლა ვნახოთ, რა ჭკუაზე დადგა მღვდლად კურთხევის შემდეგ:

**„რით გავითბო გული ყინვით დამზრალი,
ჩავკლა სულში ნება შურის მქსოვლისა.
უხილავ მზით, რითაც თბება სამყარო,
სიყვარულით უპირველეს ყოვლისა.
რა მიმრთელებს გულის ბზარებს თუ იცი?
სასოება მზრდელის ყოველ ცხოვლისა,
ვინ მიყვარდეს მიწყივ მთელი არსებით —
ღმერთი ჩემი უპირველესყოვლისა.
მაღლით დაბლა თავი ვინ დაიმდაბლა?
მიედრიკა ჭურს ხორციელ მშობლისა,
ჭირსა შინა ვისი მქონდეს იმედი —
სულიწმინდის უპირველეს ყოვლისა“.**

ამბობენ ხოლმე, ადამიანები არ იცვლებიანო. შეიძლება არც უმაგისობაა, მაგრამ გარემო და მდგომარეობა მაინც ცვლის ადამიანს, თუკი უხელფასო იუნა ბომბივით ფეთქდება, ხელფასიანი უკვე მოზომილი და თბილია. თუკი ყოფილი პოლიციელი მზადაა, თავზე დაიმხოს მთელი „სანაცეთი“ და უფლისთვის მიუღებელი სიტყვები იხმაროს, უკვე მღვდლად ნაკურთხი კდემამოსილი ხდება. ჰო, კიდევ ერთი: იუნას ვკითხე, ახლა ხელფასის ამბავი როგორაა, არის 1500 ევრო-მეთქი? კი, შეიძლება მეტიცო. ღმერთმა ყველას მისცეს 1500 ევრო ხელფასი და 1000 ევრო პენსია, მაგით ჩვენც ვიხეირებთ, ხალხს გაზეთის საყიდელი ფული გაუჩნდება.

აჰა, ხალხო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არაფრისკენ მივექანებით, მაინც ხომ დავასაქმეთ ერთი ადამიანი? სხვათა შორის, როცა ერთი ამბავი ავტეხეთ, იუნას დისთვის უთქვამთ (ის „ქართუ ჯგუფში“ მუშაობს), შენი და რა დღეშია „ალიას“ ფურცლებზეო? რა ვიცი, ველარ ვაჩერებო. ჰოდა, კარგია, როცა ადამიანი ბოლომდე ატრაკებს, მაგრამ ცუდია, როცა რამეს მიიღებ და მერე ჩუმდები. იმედია, ამ შემთხვევაში ასე არ იქნება. თუ იქნება კიდევ, არაუშავს, მაგაზე უარესებიც გვინახავს!

## facebook



ირინა სარიშვილი:

ჩემთვის გარდაცვლილის დასაფლავების დღიდან საფლავი ხდება ადგილი, რომელსაც უნდა მოუარო.

სხვამხრივ, დასაფლავების დღის შემდეგ, არანაირი შეგრძნება საფლავზე გასულს იმისა, რომ ამით უფრო ახლოს ვარ ჩემს საყვარელ ადამიანთან, რომელიც დავკარგე, მე პირადად არ მაქვს. ალბათ პირიქით, წარმოდგენაც კი მზარავს, რა ხდება ქვემოთ, იქ, სადაც მისი სხეული დავტოვეთ და ამაზე არ ვფიქრობ.

სასაფლაოზე გავსულვარ ნებისმიერ დღეს, ღამითაც, იმიტომ რომ იმ დროს ასეთ ხასიათზე ვარ, სიჩუმე მინდა, სხვანაირი სიჩუმე დასიმშვიდე და არა ვინც საფლავშია, იმის გახსენება. საფლავზე მისული ვასუფთავებ იქაურობას, როგორც შემიძლია, ვუვლი, მაგრამ ამით ვერანაირად ჩემს გარდაცვლილთან მიახლოებას ვერ ვგრძნობ, არც იმაზე მეტად მახსოვს, ვიდრე სხვაგან რომ ვარ, მაშინ...

მე ვინც მიყვარდა და მიყვარს ეხლაც, მასთან კონტაქტი მაქვს ფიქრით, მონატრებით, ნებისმიერი მოქმედებით ან ნივთით, რომელიც მას და მასთან ურთიერთობას მახსენებს, სიზმარშიც...

და ამას არანაირი კავშირი იმასთან, რაც მიწაშია, ჩემთვის არა აქვს...

ასეა ჩემთვის...

## facebook



გია ნიკოლაძე (ნიკოლშოუ)

ხალხოოოოოო .... წამო რა ამათი უპოლიტიკოდ-ცხოვრება-შეუძლებელია მანიაკი დედაც ვატირე! წამო გადავსახლდეთ სადმე ერთად 1000 კაცი ან რავი ვინც წამოვა და დავსახლდეთ პირველყოფილად რა! გამოქვაბულების მეტი რა გვაქვს საქართველოში! ზამთარ ზაფხულ 18 გრადუსია! წამო და რამე კომუნა ან ჯანდაბა რაც ქვია შევქმნათ ბოლოს ხომ მაინც უნდა გარდავიცვალოთ არა? მიწა ვიყიდოთ 5 ან 10 ჰექტარი და გვეყოფა! იქ მერე ბუნებრივად გავაჯაზებთ რა სტროი-წყობა და როგორ რა! მხოლოდ წამომსვლელმა მსურველებმა დაალაიქეთ და საერთოდ პარტიაც შევქმნათ ამ რუსულად ყველების ჯინაზე რა! თითზე ჩამოსათვლელი ჩინოვნიკი და პოლიტიკოსი ვიცი ჯიგარი რომ იყოს! დანარჩენი ერთი ნაგავია და თავიანთ ნაშიერებსაც ეგრე დაზრდიან სამწუხაროდ! წამო წამო რა! სანამ ჯანზე ვართ თორე ამ ლოდინში დავბერდებით და ეგ იქნება ჩვენი წამიწუთი სოფელი! რა არა?

## 9–15 მაისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – ფორტუნა ვერძებს ანებივრებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოვლენა შეუძლიათ. სწორედ ეს თვისება დაგეხმარებათ, მოიპოვოთ საწინააღმდეგო სქესის ყურადღება. ბრწყინვალე დროა ნაცნობობისთვის, ურთიერთობის გაბმისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის. განსაკუთრებით ხელსაყრელი პერიოდია ბავშვის ჩასახვისთვის და ოჯახური კავშირის განმტკიცებისთვის. გამონახეთ დრო სასიამოვნო მოგზაურობისთვის – შედეგი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს.

**სამსახური** – განსაკუთრებული მოლოდინები ამ ეტაპზე ნუ გექნებათ.

**სასიკეთო დღეები:** 10 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 მაისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – არც ისე იოლად გაქვთ საქმე. გულზე თითქოს კლიტე გადევთ, რამაც შესაძლოა, არსებულ ურთიერთობებზე უკიდურესად ნეგატიური გავლენა იქონიოს. ყოველდღიური პრობლემები თავს იმდენად გაბეზრებთ, სიყვარული და პირადი ცხოვრება მეათე პლანზეა გადასული. თუკი თავს ვერ ერევით, შეეცადეთ, საცხოვრებელი პირობები შეიცვალოთ – გადააადგილეთ ავეჯი, კეთილმოაწყვეთ ოთახი ან რამე მსგავსი. ყურადღება დაუთმეთ მშობლებს, დაიმუხტეთ მათგან დადებითი ენერგიით, რათა შემდეგ პირად ცხოვრებასაც მიხედოთ.

**სამსახური** – კარგი მომენტია ცვლილებებისთვის – იფიქრეთ სხვა დამსაქმებლის მოძიებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 9, 13 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 მაისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა ურთიერთობებსა და მიმოსვლას უნდა მიუძღვნათ, რაც იმას ნიშნავს, რომ პერიოდი შესანიშნავია ახალი ნაცნობობისთვის. გამონახეთ დრო გულახდილი საუბრებისთვის, თუნდაც პარტნიორთან დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებდეთ. აქტიური მიმოსვლა უამრავ შესაძლებლობას გპირდებათ არა მხოლოდ მსუბუქი ფლირტის, არამედ ბევრად სერიოზული ურთიერთობის მხრივაც. არცთუ შორეული მგზავრობა, შემთხვევითი ნაცნობობა, ხანმოკლე ურთიერთობები... თუ ეს ყველაფერი გაწყობთ, იმოქმედეთ!..

**სამსახური** – შეფთან კამათისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ.

**სასიკეთო დღეები:** 10, 12 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 მაისი.



# რჩევები, როგორ უნდა მოიპოვოთ ბედნიერება და აისრულოთ სურვილები!



მაია იასეშვილი
599 94-64-58

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, პარაფსიქოლოგი თამარ კობახიძე ბავშვობიდანვე გაუშინაურდა იდუმალების სამყაროს ერთი ანომალიური მოვლენის წყალობით, რომელსაც ეზოთერიკოსები კლინიკურ სიკვდილსა და ასტრალში გასვლას უწოდებენ.**

**თამარ კობახიძე:**

– გამომდინარე იქიდან, რომ უკიდეგანო სამყაროში ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს (ტყუპებშიც არის განმასხვავებელი ნიშნები) და ყველა განუმეორებელია თავისი ინდივიდუალურობითა და ერთადერთობით, ნებისმიერ პიროვნებას ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად და ცხოვრებისეულ სიკეთეთა მისაღებად, სხვადასხვა რეცეპტები სჭირდება, რასაც ძალიან კარგად ამხელს კარმის დიაგნოსტიკა და პიროვნების საინფორმაციო ველში შესვლა, რაც ერთი ადამიანისთვის წამალია, მეორეს შესაძლოა საწამლავად ექცეს. ამიტომაც, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში პარაფსიქოლოგის ჩარევა ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და სიფრთხილეს საჭიროებს. რადგან სასიკეთო ცვლილებებზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ არ დავადგენთ, რა გახდა ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრებაში ნეგატიური დღეების აზვირთების მიზეზი. მიზეზი კი უამრავი რამ შეიძლება გახდეს – მემკვიდრეობით მიღებული მძიმე კარმა, კარმის დამძიმება სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, გათვალვა, საგვარეულო წყევლა, ჯადო, ან ენერგოზემოქმედების უამრავი სახეობა, ენერგეტიკული ვამპირიზმი, შურის სამიზნედ ყოფნა და უამრავი სხვა. ახლა კი გაგიმხელთ პარაფსიქოლოგიის იმ ოქროს წესებს, რომლის გათვალისწინება სასურველი და აუცილებელია იმის გამო, რომ შენს ცხოვრებაში ახალი წარმატებული ეპოქა დაიწყოს, რომ თქვენი ნანატრი მომავალი შორეულ ოცნებად თუ გესახებოდათ, ძალიან მალე მოახლოვდება ჩვენი რჩევების გათვალისწინებით. თუ პარაფსიქოლოგთა რჩევებს ცხოვრების წესად გაიხდით, თქვენი კარმა რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, აუცილებლად შეიცვლება თქვენი მდგომარეობა სასიკეთოდ.

დღეიდანვე დავიწყოთ იღბლის მოზიდვა, რასაც მოჰყვება ყველა ის სურვილი, რაც ასე ძლიერ უშლიდა ხელს ჩვენთვის სასურველ რეალობას. შეგახსენებთ, რომ ბედნიერი მხოლოდ ის არის, ვისაც სჯერა, რომ იმსახურებს ბედნიერებას და იმისიც სჯერა, რომ ბედნიერება აქვეა, ჩვენ გვერდით და მისი დაკარგვა არ უნდა გახდეს საჭირო იმის შესაგრძნობად, რომ არსებული მდგომარეობა დავაფასოთ.

არცთუ იშვიათად, როცა ადამიანები სასურველ მდგომარეობას, წარმატებას ანდა პიროვნებას კარგავენ, მხოლოდ მაშინ აცნობიერებენ მის ფასს. გირჩევთ, რომ ობიექტურად შეაფასოთ თქვენი რეალობა, პოზიტიური მხარეების გათვალისწინებით, მადლიერებით, მადლობელი იყავით ყოველივე იმისთვის, რაც გაქვთ და მხოლოდ ისე დაელოდეთ სასურველსა და ნაცნობს. წარმატებული ადამიანები დამეთანხმებიან, რომ აზრის ძალა მატერიალიზდება, ოცნება და ძლიერი სურვილებიც მატერიალიზდება, ამიტომაც შეეჩვიეთ აზრთა ვიზუალიზაციას, ხშირად წარმოიდგინეთ თქვენთვის სასურველი მდგომარეობა, მიანიჭეთ მას თქვენთვის სასურველი ფერადოვნება და მალე ნახავთ, როგორ გადაიქცევით თქვენი ცხოვრების რეჟისორად, დააწყვეთ კინოკადრებად გონებისა და ფიქრის სამყაროში ის სურათები, რაც გინდათ, რომ მოხდეს, ოღონდ ისე, რომ თქვენი ოცნებები ღმერთის დაკანონებულ ცნებებს არ ეწინააღმდეგებოდეს და არავისთვის არ იყოს ზიანის მომტანი. თუკი საქმეები ბოლომდე დასრულებული არ გაქვთ, ისინი ძალას გაცლიან, თუნდაც ამ საქმეს საერთოდ არ აქცევდეთ ყურადღებას. შეეცადეთ, დანაპირები შეასრულოთ, ვალები გადაიხადოთ და სხვისი ნივთები პატრონს დაუბრუნოთ. ყველა საქმე, რაც წამოიწყეთ, ბოლომდე მიიყვანოთ. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ წამოწყებულ საქმეს დაასრულებთ, ხელს ნუ მოჰკიდებთ მანამ, სანამ შედარებით მეტი დრო არ გექნებათ.

მოერიდეთ ტყუილს. როცა ადამიანი ცრუობს, ბევრ ენერგიას ხარჯავს მის შეთხზვაზე და გამოგონილი ამბების დამაჯერებლად წარმოჩენაზე. ნუ დაიმახინჯებთ სულს, თავს ნუ იტყუებთ და ნუ ატყუებთ გარშემომყოფებს, იყავით ის, რაც ხარ. მოიცილეთ შიში, უნდობლობა და მტრული განწყობა. შიშისა და უნდობლობის დროს ენერგეტიკული რესურსები ძალიან სწრაფად იხარჯება, ეს იმიტომ, რომ ამ დროს ორგანიზმი სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება და უარესის მოლოდინშია. ეს კი ადამიანს სასიცოცხლო ძალებს ართმევს.

დაივიწყეთ სხვადასხვა სახის გადატვირთვა, ფიზიკური აქტივობისა და ბუნებასთან კონტაქტის ნაკლებობა. თუკი მთელი დღე მუშაობასა და უარყოფით ემოციებში ხართ, მაშინ ძალები სწრაფად გამოგეცლებათ, წვრილმანი და არაფრის მომცემი ამბების განცდა თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ჰორმონების შემცირებას იწვევს. ამან შეიძლება თირკმლის უკმარისობამდე მიგვიყვანოს. დაივიწყეთ სისულელეებზე საუბარი და უაზრო ფაციფუცი. უაზრო საუბარს ძალიან დიდი ენერგია მიაქვს, ამას მაშინ მიხვდები, სიჩუმის პრაქტიკას როცა გაივლით.

წყენას სჭირდება თვითიზოლაცია. თითოეული ადამიანი ღია ენერგეტიკული სისტემაა, თუკი ეს სისტემა იზოლაციაში მოექცევა, დაკნინებას დაიწყებს. ნუ დაიავადმყოფებთ თავს წყენის გულში შენახვით, იქონიეთ ურთიერთობა ახლობლებთან, ხშირად მოინახულეთ სასურველი და საყვარელი ადამიანები.

ძილისგუდებად არ გადაიქცეთ, მაგრამ ძილის ნაკლებობაც არ დაგაყრით ხეირს, უძილობა შხამების დაგროვებასა და ბიოველის არევას უწყობს ხელს. გაითვალისწინეთ, რომ ღამის ძილი უფრო სასარგებლოა და არა დღისა და ღამის გაცვლა. ღამით ძილის დროს გამოიყოფა ანტიდეპრესანტი ნივთიერება, რომელსაც ჰქვია მელატონინი, მელატონინის ნაკლებობა კი ორგანიზმისთვის უამრავი ვერაგი დაავადების გამომწვევი ხდება, მათ შორის სიმსივნისაც.

ენერგიასა და სასიცოცხლო ძალებს ართმევს ადამიანს ჭარბი ნაყროვანება, ასევე. მავნე ჩვევები – მწეველობა და სხვადასხვა სახის ნარკოტიკზე დამოკიდებულება. კარმულადაც ძალიან ცუდია რაიმეზე დამოკიდებულება.

მოერიდეთ ენერგოვამპირებს შინ და გარეთ, მათთან პოლემიკაში ნუ ჩაერთვებით, ნუ გაფლანგავთ თქვენს სასიცოცხლო რესურსებს სისულელეებზე. არასდროს ინერვიულოთ იმაზე, რაშიც მართალი ხართ და თავს დამნაშავედ არ სცნობთ და ბედნიერი ცხოვრებისთვის ყოველთვის მზად იყავით.

თუ ზემოხსენებულ რჩევებს გაითვალისწინებთ, აუცილებლად მიაღწევთ სასურველ მიზნებს და გახდებით ისეთი პიროვნება, როგორიც ყველას მოეწონება.



**„უძილობა შხამების დაგროვებასა და ბიოველის არევას უწყობს ხელს“**



**„თუკი საქმეები ბოლომდე დასრულებული არ გაქვთ, ისინი ძალას გაცლიან, თუნდაც ამ საქმეს საერთოდ არ აქცევდეთ ყურადღებას“**

## 9–15 მაისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – მიმდინარე კვირაში წარმატებები გელით ყველაზე მრავალფეროვან სფეროებში, მათ შორის სასიყვარულო ფრონტზეც. ერთი კია, არ უნდა დაივიწყოთ, რომ თუ იღებთ, უნდა გასცეთ კიდეც. არ დაგავიწყდეთ ახლობლებისა და საყვარელი ადამიანების მონახულება, ყურადღების მიქცევა და საჩუქრებით განებივრება. თუ გსურთ, საწინააღმდეგო სქესისგან ის მიიღოთ, რაც გსურთ, შუა კვირას იაქტიურეთ.

**სამსახური** – ხელმძღვანელობას ხელფასის მომატებაზე დაელაპარაკეთ, დიდი ალბათობით, სასურველი შედეგი უნდა მიიღოთ.

**სასიკეთო დღეები:** 9, 13, 14 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 მაისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – თქვენი პიროვნული პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის დროა. თვალს ვერავინ მოგაშორებთ და როგორც ჭეშმარიტი ლომი, ყურადღების ცენტრში იქნებით. შესანიშნავი დროა ურთიერთობის დაწყებისთვის, ნაცნობობისთვის და დასვენებისთვის, რაც საბოლოო ჯამში, დაუვიწყარი თავგადასავლებით დაგაჯილდოებთ. შეეცადეთ, ბედის საჩუქარი გამოიყენოთ, ნუ ჩაიციკლებით წარსულზე და თამამად იცქირეთ მომავლისკენ.

**სამსახური** – მიმდინარე კვირა დადებით გავლენას მოახდენს თქვენი სოციალური სტატუსის ამაღლებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 15 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 მაისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – ამ ეტაპზე არც ისე კარგი დროა ახალი ურთიერთობის დაწყებისთვის და საკუთარი პერსონისკენ ყურადღების მიქცევისთვის. უმჯობესია, ჩრდილში გადაინაცვლოთ და დაფიქრდეთ, რატომ ხდება ის, რაც ხდება. კარგს იზამთ, თუ დაასრულებთ (მათ შორის, ურთიერთობასაც, თუ საკუთარი თავი ამოწურა), ვიდრე ახალს დაიწყებთ. ნუ დაადანაშაულებთ თქვენი პრობლემების გამო სხვებს, შეეცადეთ, საკუთარ თავში გაერკვეთ. სულ მალე სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური** – ერიდეთ კოლეგებთან კამათსა და კონფლიქტებს.

**სასიკეთო დღეები:** 9 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 მაისი.

## 9-15 მაისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** არ ღირს გათელილი გზით წინსვლა, ეძებეთ არასტანდარტული მიდგომები, შეეცადეთ, პარტნიორი გააკვირვოთ. მოულოდნელი საჩუქრები და შეხვედრები ახალ ადგილებში თქვენს ურთიერთობას გაამრავალფეროვნებს, დაგეხმარებათ რომანტიკის დაბრუნებაში. მიმდინარე კვირა შესანიშნავია მეგობრებთან ერთად დასვენებისთვის. თუ მუდმივი პარტნიორი არ გყავთ, შესაძლოა, ასეთი ადამიანი სწორედ ახლა გამოჩნდეს, უბრალოდ, ყურადღებით იყავით.

**სამსახური –** ზუსტად ის დროა, დასვენებაზე იფიქროთ.

**სასიკეთო დღეები:** 12, 18 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.

### ღრიანკალი 23.10-21.11



**სიყვარული –** მიმდინარე კვირაში მეუღლესთან შესაძლოა, ურთიერთობა დაგეძაბოთ. მოსალოდნელია ემოციური აფეთქებები და ბრალდებები. მოკლედ, ნამდვილად არ მოიწყენთ. ერთ-ერთი თქვენგანი იმდენად იქნება კონცენტრირებული სამსახურსა და კარიერულ წინსვლაზე, რომ ურთიერთობას ზიანს მიაყენებს.

კარგი შეიძლება ის მოხდეს, რომ სულ მალე სამსახურებრივი რომანია მოსალოდნელი, განსაკუთრებით, თუ სამსახურში დიდ დროს ატარებთ ხოლმე.

**სამსახური –** სიტუაცია კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ.

**სასიკეთო დღეები:** 9, 13 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 მაისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** რომანტიკული მიმართულების საზღვარგარეთული მოგზაურობა – აი, რა გინდათ ახლა. წინ მშვენიერი დასვენება და ძალიან საინტერესო ნაცნობობა გელით, რომელიც ბევრად სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება, ვიდრე საკურორტე რომანი.

ოჯახური ურთიერთობებისთვის მიმდინარე კვირა ძალიან ხელსაყრელია. დასვენების დღეები ერთად გაატარეთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდით, რომ პარტნიორის არჩევაში შეცდომა არ დაგიშვიათ – წინ კიდევ ერთი შესანიშნავი თაფლობის თვე გელით.

**სამსახური –** თუკი საკუთარი საქმის წამოწყებაზე ფიქრობთ, ახლა სწორედ ამის დროა.

**სასიკეთო დღეები:** 12, 18 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 მაისი.





**მაია იასეშვილი**

599 94-64-58

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარია მსახიობი ზურაბ ყიფშიძე.**

# ზურა ყიფშიძე: „მე, ჩემმა მეუღლემ და კიდევ რამდენიმე მეგობარმა მფრინავი თეფში ვნახეთ წყნეთში, ყველანი აბსოლუტური ფხიზლები ვიყავით“





– გარდა იმისა, რომ ბავშვობიდანვე აღმოვჩნდი გადასაღებ მოედანზე, დედაჩემის წყალობით თეატრში გავიზარდე, ძალიან მიყვარდა პოეზია, ხატვა, ლექსებსა და ნახატებს დღემდე ვჯღაბნი. ორი შინაბერა – დედა და ბებია მზრდიდნენ, ფუფუნებაში არ ვიზრდებოდი, მაგრამ გადასარევი ბავშვობა მქონდა, ზედმეტი სიცელქის გამო „შუსტრიკას“ მეძახდნენ. იპოდრომთან ახლოს ვცხოვრობდი და დღე და ღამე იქ ვიყავი. როცა ფილმისთვის მოვეწონე, მოვიტყუე 13 წლის ვარ-მეთქი, არადა, 9 წლის ვიყავი. სამედიცინო შემოწმების შემდეგ მითხრეს, გულის მანკი გაქვსო, მაგრამ თურმე გლანდები მქონდა და გულის მდგომარეობის შეცვლა ამით იყო გამოწვეული. ერთხელ ისიც მოვიტყუე, ცურვა ვიცი-მეთქი და ბათუმში დახრჩობას ძლივს გადამარჩინეს, მერე კლდიდან გადმოვვარდი, მერე ცხენიდან, მაგრამ ჩანს, არ ვიყავი განწირული და გადავრჩი. იმიტომ კი არ მოვიტყუე, რომ ტყუილები მიყვარდა, მინდოდა, რაც არ ვიცოდი, ის მცოდნოდა. სულ ვეწინააღმდეგებოდი ჩემს თავს, შიშის დაძლევა მინდოდა. ველოსიპედი რომ მიყიდეს, ტარება არ ვიცოდი, მაგრამ მაშინვე დავჯექი, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა. სადაც ლურსმანი იყო, ყველას ფეხი დავადგი და რამდენი ცუდი ექიმიც იყო, ყველას პაციენტი მე აღმოვჩნდი, ასეთი ფათერაკიანი ბიჭი ვიყავი. მერვე კლასში ვიყავი, აქილევსის მყესი რომ გადამეჭრა, ურთულესი ოპერაცია გამიკეთდა. კარგი ექიმი რომ შემხვდა, ეს კი ნამდვილად იღბალი იყო, შემდეგ ამ ექიმმა ჩემს ფეხზე დისერტაცია დაიცვა. ორჯერ მენისკი გამიწყდა და ორჯერვე ოპერაცია გამიკეთეს ფეხზე, მესამედ ისეთ ავარიაში მოვყევი, ორ თვე-ნახევარი საავადმყოფოში ვიწექი, ხიფათიანს მეძახდნენ, მაგრამ, აქვე უნდა დავსძინო, რომ იღბალი მწყალობდა. სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, ორჯერ გამომაგდეს, ჯერ ერთი, მერე მეორე სკოლიდან, თეატრალური ინსტიტუტიდანაც ორჯერ გამომრიცხეს. პირველად შოთა მანაგაძის „წუთისოფელში“ გადაღების გამო მომიწია ინსტიტუტის დატოვება, მეორედ მიზეზი გახდა ლანა ღოღობერიძის ფილმ „როცა აყავდა ნუშში“ ზურას როლის შესრულება. ამ ფილმის გამო კონფლიქტი მომივიდა. ნუგზარ ბაგრატიონმა მითხრა, თუ ინსტიტუტიდან კინოს გამო გაგდებენ, წადი და კინოინსტიტუტში ჩააბარეო. ჩავედი მოსკოვში და ჩავაბარე, თუმცა, ისტორიაში ჩავიჭერი, მაგრამ ჯგუფი ვერ შედგა და მაინც ჩამრიცხეს. აქეთ მომიკითხეს მარჯანიშვილის თეატრალებთან, როცა გასტროლებზე იყვნენ ჩასულები. ქალბატონ ვერიკოსთვის უთქვამთ, – ჩვენთან ერთი ქართველი აბარებდა, მგონი, დედამისი მსახიობია და იქნებ მოგვიძებნოთო. ასე გავხდი კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტი. ძალიან შემიყვარდა და დავინტერესდი ამ საქმით, პარტისტორიის გარდა, ყველა საგანში „ხუთიანებს“ ვიღებდი. სერგეი გერასიმოვის სახელოსნოში ვათენ-ვაღამებდი, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს ქვეცნობიერის დონეზე ხდებოდა. ბოლოს მიხეილ თუმანიშვილთან ცნობიერებამ წამოიწია წინ, მან ისე შეგვკრა ყველა, რომ ინსტიტუტიდან გარეთ გახედვა არ გვინდოდა.

**— ბატონო ზურაბ, შოთა მანაგაძის ფილმში „წუთისოფელი“ საინტერესო გმირი განასახიერეთ, რას ფიქრობთ წუთისოფელზე, რა მიგაჩნიათ ადამიანის მთავარ მისიად?**

– ამ დაუსაბამო და უკიდეგანო სამყაროში მართლაც რომ წუთი და წამია ჩვენი ცხოვრება, იმდენად პატარები ვართ, რომ ყველაფერი გრძლად გვეჩვენება. არ მეგულება ადამიანი, ვისაც არ უნატრია, ამოეცნო უხილავი სამყარო, წუთისოფლის უსასრულო რბოლა. წუთისოფლის იდუმალება და შეუცნობლობა ადამიანის გონების მარადიულ საფიქრალად რჩება, მაინც რა არის სიცოცხლე ან სიკვდილი. სიმართლე გითხრათ, სიკვდილის აღარ მეშინია, რადგან მგონია, რომ ამქვეყნად გამოცდისთვის ვართ მოსული. ჩვენი ცხოვრების წესით მოვიპოვებთ იმ ადგილს, სადაც მარადისობაში მოვხვდებით გარდაცვალების მერე. ძალიან ბევრი რამ ჩვენთვის ბურუსით არის მოცული. ალბათ, მალე მოვა დრო, როცა ადამიანში არსებული რეზერვები ამოქმედდება. ხანდახან იმდენ უკუღმართობას ვაწყდებით ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების დროს, ზოგჯერ გებადება აზრი, ღირს კი სიცოცხლე, მაგრამ ჩვენი არჩევანით არც მოვსულვართ და არც წავალთ ამქვეყნიდან.

**— ბატონო ზურა, ადამიანთა უმეტესობა თვლის, რომ ძალიან გაგიმართლათ. თქვენ თუ თვლით თავს იღბლიანად?**

– ბედი და ყისმათი ყოველთვის არ გვანებივრებს ადამიანებს, ბედნიერი წუთები კი ხშირად მაქვს, როდესაც საინტერესო სამუშაოს ვკიდებ ხელს, როდესაც გვერდით მეგობრები და თანამოაზრეები მეგულება, თუმცა იყო პერიოდი, როცა მხოლოდ ჩემთვის კი არა, ყველა მსახიობისთვის ისე ჩაიარა, ცოცხლები რომ ვართ, მადლობელი უნდა ვიყოთ. რისი გაკეთებაც შევძელი, ამისთვის მადლობელი ვარ ბედისწერის. არ მიმაჩნია, რომ მსახიობმა ბევრი რამ უნდა გააკეთოს, არ არის საჭირო შექსპირის ყველა როლი შეასრულო, არ შეიძლება ერთ დღეს ჰამლეტი იყო, მეორე დღეს მაკბეტი და მესამე დღეს – რომეო. როგორ უნდა იყო განსხვავებული, თუ შენს საქმეს გულწრფელად აკეთებ, ჩემთვის გაუგებარია.

**„იყო პერიოდი, რომელმაც მხოლოდ ჩემთვის კი არა, ყველა მსახიობისთვის ისე ჩაიარა, ცოცხლები რომ ვართ, მადლობელი უნდა ვიყოთ“**

**— სცენაზე გასვლის წინ რაიმე რიტუალი ხომ არ გაქვთ?**

– მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტებს ჩვენი რიტუალი გვქონდა, სცენაზე გასვლის წინ სანთლებს ვანთებდით და ეს ანთებული სანთლები ყურადღების კონცენტრირების საშუალება იყო. ვუყურებდით ამ სანთლებს და ზუსტ სათქმელს ვამბობდით. ასეთი უწყინარი რამდენიმე რიტუალი გვქონდა, რაც ძალიან ტკბილად მახსენდება.

**— ყველა ადამიანს აინტერესებს ხვალინდელი დღე, თქვენ თუ მიგიმართავთ წინასწარმეტყველისთვის?**

– ერთხელ მოვხვდი ასეთ ადამიანთან, გათვალული ხარო, მითხრა. მითხრა, შენ გარშემო შავ აურას ვხედავო, იმ პერიოდში მართლაც ცუდად ვგრძნობდი თავს, არ ვიცი, რამდენად მომეხსნა გათვალვა, მაგრამ მსგავსი რაღაცა რომ არსებობს, მჯერა. ისიც მჯერა, რომ შავი და თეთრი ძალები არსებობს და მოქმედებს ადამიანებზე. მოსკოვში ყოფნის დროს ერთი ახალგაზრდა ბიჭი გადამეკიდა და სცადა, თავისი გავლენის ქვეშ მოვექციე. წელიწად-ნახევრის განმავლობაში არც ხორცს და არც კვერცხს არ ვჭამდი, არც ღვინოს ვსვამდი და ქალებს საერთოდ არ ვეკარებოდი. უკვირდათ ბიჭებს, მეუბნებოდნენ, სექტანტივით ხარო. შემდეგ მოვახერხე, ჩამოვშორდი ამ ადამიანს და რაღაცნაირად ამოვისუნთქე.

**— კიდევ რა შეხება გქონდათ ამოუცნობთან?**

– მე, ჩემმა მეუღლემ და კიდევ რამდენიმე მეგობარმა მფრინავი თეფში ვნახეთ წყნეთში, ყველანი აბსოლუტური ფხიზლები ვიყავით, ვუყურებდით, როგორ მოფრინდა თეფშის მსგავსი, მერე იქიდან გადმოვიდნენ მისივე მსგავსი პატარა რაღაცები და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. ეს საოცრება იყო, ნამდვილად არ იყო ჩვეულებრივი სანახაობა.

**— ცნობილია, თქვენ კლინიკური სიკვდილიც გაქვთ გადატანილი, რას იტყვით ამის შესახებ?**

– კლინიკური სიკვდილი ორჯერ გადავიტანე, ერთხელ მოსკოვში და მეორედ თბილისში. იქ საოცარი სიმშვიდის განწყობა დამეუფლა, მაგრამ მაინც აქ მირჩევნია, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ვთვლი, რომ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი.

**„ორჯერ გადავიტანე კლინიკური სიკვდილი, მაგრამ მაინც აქ მირჩევნია“**

## 9-15 მაისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** თქვენი ცვალებადი ხასიათი მთელი თავისი „ბრწყინვალებით“ გამოვლინდება და პირველ რიგში, ეს პირად ცხოვრებას შეეხება. დიდი ალბათობით, გული თავგადასავლებისკენ მიგიწევთ, რაც, პრინციპში, ცუდი სულაც არ არის, თუ, რა თქმა უნდა, თავისუფალი ხართ და პარტნიორს ეხება. დაოჯახებულ თხის რქებს კი საკმაო სირთულეები გელით. შეეცადეთ, საკუთარი თავის შემოქმედებითად რეალიზება მოახდინოთ, რაც სექსუალური ენერგიის სუბლიმაციის საუკეთესო საშუალებაა.

**სამსახური –** ბიზნესში სასურველი შედეგების მიღება რთული იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 13 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 მაისი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის მხრივ აშკარად უფრო უკეთესი შედეგების სურვილი გაქვთ. მართალია, თავს არც ისე კარგად გრძნობთ, მაგრამ სამაგიეროდ, იმის შანსი გაქვთ, დაფიქრდეთ და გააანალიზოთ, რატომ ხართ ასეთ სიტუაციაში. პარტნიორთან ურთიერთობა გაგიჭირდებათ: შესაძლოა, ის ძალიან პრეტენზიული გახდეს და არაფერი დაგითმოთ. არც იმდენად კარგი დროა ნაცნობობისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის. გადაუჭრელი პრობლემებისგან გაქცევის მცდელობა ბუმერანგივით შემოგიბრუნდებათ.

**სამსახური –** კრედიტების აღებისთვის ძალიან ცუდი დროა.

**სასიკეთო დღეები:** 12 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 მაისი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** გარკვეული მიზეზებით პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადავა, რაც გაზაფხულის ნორმალურად გატარებაში ხელს შეგიშლით. არც ისე კარგი დროა რომანტიკისთვის, რაც დამოკიდებულია არა თქვენს შესაძლებლობებზე, არამედ გარეშე ფაქტორებზე. არ ღირს დასვენებაზე ფიქრი: ვერ მიიღებთ იმას, რისი მოლოდინიც გქონდათ. უნდა შეეცადოთ, გამოავლინოთ მოთმინება და მორჩილება. სიტუაცია სულ მალე აუცილებლად სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური –** კარიერულ წინსვლაზე ოცნებას ცოტა ხნით შეეშვით.

**სასიკეთო დღეები:** 13 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 მაისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მისი დედაქალაქია ბერლინი
2. ნუმარების ქალაქი ბულგარეთში
3. ... ფიტცჯერალდი
4. უსიტყვო როლების მსახიობი
5. მომღერალი ... ლორეტი
6. კაცუნა ზურგზე პროპელერით
7. სისხლძარღვი
8. „... ცერცვის მარცვალზე"
9. მსახიობი ... იოჰანსონი
10. მსახიობი შონ ...
11. მსახიობი ... ჩელენტანო
12. რომაელი იმპერატორი
13. რეჟისორი ეტორე ...
14. გასართობი პარკში
15. მწერალი ... ქიაჩელი
16. ვეტერინარი
17. ყვავილების კონა
18. „ტრავიატა" პერსონაჟი
19. მსახიობი ... დე ფიუნესი
20. ფაშვის წვნიანი
21. ოხუნჯი მოლა
22. იტალიელი კომპოზიტორი
23. მოწნული ჭურჭელი
24. ... ლოიდ ვებერი
25. მსახიობი ... პიტი
26. მყარი ცხიმი
27. ჰომეროსის პოემა
28. მომღერალი დაიანა ...
29. მომღერალი ბობ ...
30. ერთნახადი არაყი
31. მხატვარი სალვადორ ...
32. თევზის წვნიანი
33. „... ხარ ვენახი"
34. „კაპიტან ... შვილები"
35. ოსური ცეკვა
36. ნახ. კუნძული აზიაში
37. მსახიობი ... შეპარდი
38. ტბა აშშ-ში
39. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
40. საქონლის ერთ-ერთი კუჭი
41. უსინათლოთა ანბანი
42. „დრაკულა" ავტორი
43. ტბა პერუში
44. ..., ქამი და იაფეტი
45. ტაილანდის ძველი სახელწ.
46. თბილისის უბანი
47. ატრაქციონი პარკში
48. ინფექციური დაავადება
49. მოსაპირკეთებელი ქვა



50. ბოსტნეული
51. მწვერვალი კავკასიონზე
52. ნემსის ჩხვლეტით მკურნალობა
53. მოდელი ... კროუფორდი
54. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
55. მახრჩობელა გველი ამაზონში
56. შტატი აშშ-ში
57. ნიშნავს საწინააღმდეგოს
58. ჰა ... და ჰა მოედანი
59. წრის ფორმის სხეული
60. სამხრეთ, ანუ ... ამერიკა
61. იაპონური ალუბალი
62. აფრო-ამერიკელი, ანუ ...
63. უდაბნო პერუში
64. ხის ჯიში
65. გერდას მეგობარი ბიჭი
66. მწერალი მაქსიმ ...
67. ტყის სული
68. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
69. ტელევიზორის არხების გადამრთველი
70. მხ/ფ „ვერის უბნის ..."
71. მეტყველების ექიმი
72. დათვის ნაშიერი
73. ღორის ცხვირი
74. რეჟისორი ... ალმოდოვარი
74. მომღერალი ... ჯაბუა
76. რეჟისორი ... კუსტურიცა
76ა. მსახიობი ვინსენ ...
77. ჰიუგო „განკიცხულნი" ... პონმერსი
78. მოსვლადების ტექნიკა
79. „ჟიზელი" კომპოზიტორი
80. უნაპირო ზღვა ატლანტ. ოკეანეში
81. მწვანილების შეკვრა
82. მსახიობი ... გარსია
83. წონის ძვ.ქართ. ერთეული
84. ალექსეი ტოლსტოი. „ინჟინერ ... ჰიპერ-ბოლოიდი"
85. სარძევე ჯირკვლების ანთება
86. ძველებ. იალქნიანი გემი
87. მსახიობი ... ჰეპბერნი
88. ახალი ზელანდიის მკვიდრი
89. ტყის ფრინველი
90. ძაღლის ჯიში
91. იტალიელი ფიზიკოსი
92. ნიშნავს ცივს



93. ლომების ოჯახი
94. ლოტოსი როგორც ყვავილი
95. ესპანელი დიდებული
96. დიზაინერი ჯორჯო ...
97. „რა? ...? როდის?"
98. მხ/ფ „შინდლერის ..."
99. პარკოსანი მცენარე
100. ბათუმის გარეუბანი
101. მორბენალი ფრინველი
102. მსახიობი ... მასტროიანი
103. უბანი თბილისში
104. სამაგიდო თამაში
105. ფრედი მერკურის ანსამბლი
106. მსახიობი ... კრუზი
107. მზის ღმერთი ეგვიპტეში
108. აზროვნების ორგანო
109. სოფელი სიღნაღის რაიონში
110. მთვარის ქანი
111. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
112. მხ/ფ „მონანიება" ... არაბიძე
113. მსახ. ... მაკგრეგორი

პასუხები: 1. გერმანია; 2. გაბროვო; 3. ელა; 4. სტატისტი; 5. რობერტინო; 6. კარლსონი; 7. კაპილარი; 8. პრინცესა; 9. სკარლეტ; 10. კონერი; 11. ადრიანო; 12. კალიგულა; 13. სკოლა; 14. ატრაქციონი; 15. ლეო; 16. ბეითალი; 17. თაიგული; 18. ვიოლეტა; 19. ლუი; 20. ხაში; 21. ნასრედინი; 22. დონიცეტი; 23. გოდორი; 24. ენდრიუ; 25. ბრედ; 26. ქონი; 27. „ილიადა"; 28. როსი; 29. მარლი; 30. რახი; 31. დალი; 32. უხა; 33. შენ; 34. გრანტის; 35. „სიმდი"; 36. კორეა; 37. სემ; 38. მიჩიგანი; 39. ახალუხი; 40. მაჭიკი; 41. ბრაილი; 42. სტოკერი; 43. ტიტიკაკა; 44. სემი; 45. სიამი; 46. დიდუბე; 47. საქანელა; 48. ტიფი; 49. მარმარილო; 50. კარტოფილი; 51. იალბუზი; 52. აკუპუნქტურა; 53. სინდი; 54. ტატამი; 55. ანაკონდა; 56. ილინოისი; 57. ანტი; 58. ბურთი; 59. რგოლი; 60. ლათინური; 61. საკურა; 62. ზანგი; 63. ნასკა; 64. მუხა; 65. კაი; 66. გორკი; 67. ელფი; 68. მისისიპი; 69. პულტი; 70. მელოდიები; 71. ლოგოპედი; 72. ბელი; 73. დინგი; 74. პედრო; 75. მაია; 76. ემირ; 76ა; კასელი; 77. მარიუს; 78. ნიელო; 79. ადანი; 80. სარგასო; 81. კონა; 82. ენდი; 83. ოყა; 84. გარინის; 85. მასტიტი; 86. კარაველა; 87. ოდრი; 88. მაორი; 89. კოდალა; 90. სეტერი; 91. ტორიჩელი; 92. კრიო; 93. პრაიდი; 94. დუმფარა; 95. გრანდი; 96. არმანი; 97. სად; 98. სია; 99. ლობიო; 100. გონიო; 101. სირაქლემა; 102. მარჩელო; 103. ელია; 104. ლოტო; 105. „ქვინი"; 106. ტომ; 107. რა; 108. ტვინი; 109. ტიბაანი; 110. რეგოლიტი; 111. მემ; 112. აბელ; 113. ევან. იკითხება: მერილინ მონრო. რაქელ უელჩი. ნატალი ვუდი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. „... დედინაცვალი“
2. მართკუთხედში გავლებული ხაზი
3. სპორტ. ინვენტარის ფირმა
4. თბილისის ძველი უბანი
5. კვების ენერგიის ერთეული
6. იაპონელი თვითმკვლელი
7. მწერალი დუტუ ...
8. თევზის ჯიში
9. მახრჩობელა გველი
10. თბილისის უბანი
11. შოლოხოვი. „წყნარი ...“
12. მისი დედაქალაქია ოსლო
13. აშშ-ს დედაქალაქი
14. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
15. მსახიობი სიუზენ ...
16. მსახიობი ... პაპასი
17. დოკუმენტების საცავი
18. მსახიობი ვახტანგ ...
19. მდინარე ინდოეთში
20. ირანში: ... ჰომეინი
21. ჯამის ფორმის სასმისი
22. მსახიობი ... შარიფი
23. მეტყველების ორგანო
24. აკვნის შარდსადენი
25. ტაბლეტი
26. თევზის ჯიში
27. მსახიობი კიანუ ...
28. მომღერალი ... გვერდწითელი
29. კოსტიუმის ზედა ნაწილი
30. ძაღლის ნაშიერი
31. სამეჯლისო ცეკვა
32. კუნძული ქვეყანა ინდოეთის ოკეანეში ...-ლანკა
33. ბალერინა ნინო ...
34. ებრაული ენა
35. სელაპის სახეობა
36. რეზინის ფეხსაცმელი
37. ტბა კანადაში
38. ... ხეთაგუროვი
39. ჩეხოვი. „ძია ...“
40. ლეშისმჭამელი ფრინველი
41. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
42. ერთ-ერთი ატრაქციონი
43. ... პუგაჩოვა
44. შვეიცარიის დედაქალაქი
45. ორგანო, რომელმაც დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა
46. იუპიტერის თანამგზავრი
47. შორ მანძილზე მორბენალი
48. შესახედაობა
49. მამლის ჯილა
50. შტატი აშშ-ში
51. სამკურნალო მცენარე
52. „12სკამი“ ... ბენდერი
53. მხატვარი ანრი ტულუზ-...
54. კამეჩის ტიკი
55. ნადიმებით განთქმული რომაელი პოლიტიკ.
56. მდინარე შუა აზიაში
57. მსახიობი ... გარდნერი
58. „... ქკუისაგან“
59. კოსმოსური სხეული ატმოსფეროში
60. სოფელი გორის რაიონში
61. ქვები ტროტუარის გასწვრივ
62. რეჟისორი ... მურატოვა
63. მომღერალი ... კუტუნიო
64. პოეტი ... ალიგიერი
65. იტალიური ვოკალური სტილი
66. მუსიკოსი ... გილელსი
67. მდინარე ორინოკოს ველი
68. ნახშირმჟავას მარილი
69. დიდი ჩაქუჩი
70. ხელით ლამაზად ნაკერი
71. მსახ. ... ქავჟარაძე
72. მწერალი ალბერ ...
73. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
74. სპორტი: ფიგურული ...
75. არგენტინული ცეკვა
76. მომღერალი ... ვაიკულე
77. „... მონტე-კრისტო“
78. მთვარის ქანი
79. ფეთქებადი ნივთიერება
80. ქალაქი სამეგრელოში
81. თეთრი რეპერი
82. ცხენ-ირემი
83. მხ/ფ „2001 წლის კოსმოსური ...“
84. ათასი მილიონი
85. სახედარი
86. ძვლების დაავადება
87. მწვავე ტონზილიტი
88. ერთგვარი ნამცხვარი
89. „მთვარის მოტაცება“ თარაშ ...
90. რუსი დიდებული
91. ცეცხლის ენა
92. ჯუჯა ჟირაფი
93. წერილის უცნობი ავტორი
94. ერთ-ერთი მუშკეტერი
95. კბილების გამოსახეხი
96. ავადმყოფური სიგამხდრე
97. თევზსაჭერი გემი
98. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
99. ხელოვნების გამოჩენ. მოღვაწე
100. ინდიელების რეზერვაცია
101. მსახიობი უილ ...
102. მხ/ფ „ბედის ..., ანუ გაამოთ“
103. მსახიობი ... ტომასი
104. პურის დასაწვავი ხელსაწყო
105. პომიდვრის საწებელი
106. სუბტროპიკული მცენარე. წვავენ საოჯახო ცოცხებს
107. ... ობოლაძე
108. მტაცებელი ფრინველის ფრენა
109. უბედურების სიგნალი
110. პერსონა ...-გრატა
110ა. ინგლისური ლუდი
111. გიტარის მავთული
112. შიო ...
113. რეჟისორი ... ჰოვარდი
114. მწერის გარდაქმნის სტადიები
115. ესპანელი მხატვარი
116. მსახიობი ... ნილი
117. რიცხვი 3,14
118. კავშირებითი სიტყვა

პასუხები: 1. სამანიშვილის; 2. დიაგონალი; 3. „ადიდასი“; 4. აბანოთუბანი; 5. კალორია; 6. კამიკაძე; 7. მეგრელი; 8. კობრი; 9. ბოა; 10. დიდუბე; 11. დონი; 12. ნორვეგია; 13. ვაშინგტონი; 14. გაბროვო; 15. სარანდონი; 16. ირენ; 17. არქივი; 18. ნინუა; 19. განგი; 20. აიათოლა; 21. ფიალა; 22. ომარ; 23. ენა; 24. შიბაქი; 25. აბი; 26. მინტაი; 27. რივზი; 28. თამარ; 29. პიჯაკი; 30. ლეკვი; 31. ვალსი; 32. შრი; 33. ანანიაშვილი; 34. ივრითი; 35. ნერპა; 36. კალოში; 37. ონტარიო; 38. კოსტა; 39. ვანია; 40. სვავი; 41. ყირიმი; 42. სერსო; 43. ალა; 44. ბერნი; 45. რუდიმენტი; 46. იო; 47. სტაიერი; 48. იერი; 49. ბიბილო; 50. არკანზასი; 51. ასკილი; 52. ოსტაპ; 53. ლოტრეკი; 54. რუმბი; 55. ლუკულუსი; 56. ამუდარია; 57. ავა; 58. ვაი; 59. მეტეორი; 60. ატენი; 61. ბორდიური; 62. კირა; 63. ტოტო; 64. დანტე; 65. ბელკანტო; 66. ემილ; 67. ლიანოსი; 68. კარბონატი; 69. ურო; 70. გვირისტი; 71. ლიკა; 72. მორუა; 73. სერ; 74. სრიალი; 75. ტანგო; 76. ლაიმა; 77. გრაფი; 79. დინამიტი; 80. სენაკი; 81. ემინემი; 82. ლოსი; 83. ოდისეა; 84. მილიარდი; 85. ვირი; 86. რაქიტი; 87. ანგინა; 88. მაფინი; 89. ემხვარი; 90. ბოიარი; 91. ალი; 92. ოკაპი; 93. ანონიმი; 94. არამისი; 95. ჯაგრისი; 96. ანორექსია; 97. სეინერი; 98. სერ; 99. კორიფე; 100. გეტო; 101. სმიტი; 102. ირონია; 103. ტერი; 104. ტოსტერი; 105. ტომატი; 106. სორგო; 107. დიმა; 108. ირაო; 109. სოს; 110. ნონ; 110ა; ელი; 111. სიმი; 112. არაგვისპირელი; 113. რონ; 114. მეტამორფოზი; 115. გოია; 116. სემ; 117. პი; 118. რომ. იკითხება: მელ გიბსონი. ორლანდო ბლუმი. ჯიმ კერი.

Facebook ამბები



**მარიამ საჯაია:**

დღეს ის საღამოა, როცა 3 სხვადასხვა კარგი ივენთია სამ სხვადასხვა ადგილას და ლამის საგონებელში ვარ, რომელი ერთი ავირჩიო...

თითქოს ჩვეულებრიობად (ტაკინგ ფორ გრანტედ რომ იტყვიან) ვიღებთ, რომ გაზაფხულის დადგომასთან ერთად, გვიან შემოდგომამდე უმაგრესი ფესტივლები გვაქვს, საუკეთესო არტისტებით.

აღარაფერს ვამბობ არა-სეზონზეც ყოველ უიქენდზე რომ ფართო არჩევანი გვაქვს, რომელ კლუბში წავიდეთ. ჟანრების მიხედვით გვაქვს ფართო არჩევანი ხარისხიან ლაივ პერფორმანსებს დავესწროთ.

რა არის იცით მნიშვნელოვანი, როცა ასეთ გზას ვადგავართ?

- ტურიზმი! ეს შეგვიძლია ვაქციოთ ტურიზმის განვითარების საშუალებად.

ცოტა დრაგ-ფოლისისაც თუ შევავლებთ ხელს და მივხედავთ, მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპაში შეგვიძლია ვიყოთ ჩემპიონები, ვაქციოთ საქართველო ცენტრად, ჩამოვიყვანოთ ბევრი, დახარჯონ ჩვენთან ფული, ეს შემოსავალი ჩავასხათ ისევ ტურიზმის განვითარებაში, გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა და ტურიზმის სხვა მიმართულებების, მაგალითად ექსტრემალურ, სამედიცინო, კულტურულ თუ გეო-ტურიზმის განვითარებაზე ვიზრუნოთ (ე.წ. სლუმ ტოურისმ უინფრასტრუქტურობის ჟამსაც შეგვიძლია).

ყველაფერი გვაქვს ამისთვის: მთა, ბარი, ზღვა, ტბები, კლდეები, მღვიმეები, ექსტრემალური გარემო, განსხვავებული კლიმატები და ლანდშაფტები, თერმული და სამკურნალო წყლები, ჰაერი...

ცოტა ხელის შევლება უნდა; ბევრიც არაა სასურველი, მნიშვნელოვანია, რომ ნატურალურობა შეუნარჩუნდეს - დიდი ხიბლია.

ეს ასე მითქვამს და გავსულვარ. Gnight, ვინც იძინებთ.

პ.ს. ტურიზმის პროფი არ ვარ, ძაანაც ნუ გამაკრიტიკებთ. ჩემი თანმიმდევრული და ემოციური ინტელექტის მქონე თავით ჩამოგიყალიბეთ (?!)



**ირინა სარიშვილი**

ყველაფერი სისულელეა შვილების გარდა.

თავი მძულს, როცა თუნდაც ძალიან ბევრი და ძალიან ობიექტური პრობლემები ხანდახან ჩემ შვილებზე ტყდება, რადგან ზოგჯერ აღარ მყოფნის ნერვები, დრო, ენერგია და ან ვერ ვაქცევ ყურადღებას, ისეთს, როგორიც მათ ჭირდებათ, ან ვბრაზობ მაშინ, როცა უნდა გაატარო და იმას ვერ ვხვდები, რომ ჩემი საფიქრალი და პრობლემები ერთია, შვილებს კი ძველებურად მშვიდი, მხიარული დედა უნდათ და მაშინ როცა ამას ვერ ხედავენ, ისე განიცდიან რომ ყველა ჩემი საფიქრალი, მატერიალურიც და არამატერიალურიც, აბსოლუტური სისულელეა.

ყველაფერი სისულელეა ჩემი ბიჭების გარდა.

---

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ბანკის შეცდომის გამო, სტუდენტს სამი მილიონი ჩაერიცხა



21 წლის სტუდენტს კრისტინ ჯიაკსინს, ბანკში ანგარიშის გახსნის შემდეგ, მოულოდნელად, სამი მილიონი ევრო ჩაერიცხა.

სისტემის გაუმართაობის გამო, ავსტრალიურ ბანკს **Westpac**-ს შეცდომა მოუვიდა და სტუდენტს თანხა დაურიცხა.

როგორც უცხოურ მედიაში წერენ, იმის ნაცვლად, რომ შეცდომის შესახებ შეეტყობინებინა, გოგონამ თანხის ძვირად ღირებულ ნივთებზე დახარჯვა გადაწყვიტა.

ირკვევა, რომ 2014-2015 წლებში მან ფული სრულად გახარჯა.

ავსტრალიის ხელისუფლებამ გოგონა სიდნეიში დააკავა, იმ მიზეზით, რომ კანონი დაარღვია. თუმცა, გოგონას ადვოკატი აცხადებს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, უბრალოდ, გამოიყენა ოვერდრაფტი, რომელიც ბანკმა შესთავაზა.

ამასთანავე, გოგონას ბოიფრენდი, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს, აცხადებს, რომ გოგონას ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

*info9.ge*

---

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ქალი საკუთარი შვილის უცნობ მამას „ფეისბუკით" ეძებს

ავსტრალიელი კერინ ლი „ფეისბუკის" მეშვეობით თავისი 13 წლის ქალიშვილის – იმის მამას ეძებს.




ქალი ყვება, რომ 13 წლისა და 9 თვის წინ ახალ ზელანდიაში ისვენებდა, სადაც დაუახლოვდა მამაკაცს სახელად როდნის. შვებულებიდან დაბრუნებულმა კი აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო. ახლა კი, რადგანაც 13 წლის შვილი მამის შესახებ კითხვებს სულ უფრო ხშირად უსვამს, ცდილობს, როდნის მიაგნოს.

ქალი აღიარებს, რომ ამ მამაკაცის შესახებ მან ბევრი არაფერი იცის. ვარაუდობს, რომ კაცი ახლა 45 წლის უნდა იყოს. ის არის წითური და საშუალო სიმაღლის. ასევე, აღნიშნავს, რომ როდნისგან არაფერი სურს, გარდა იმისა, რომ საკუთარი შვილი გაიცნოს. ქალი სოცქსელის მომხმარებელს მამაკაცის პოვნაში დახმარებას სთხოვს.

*info9.ge*

---

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## KFC-მ საჭმელად ვარგისი ფრჩხილის ლაქი შექმნა




სწრაფი კვების სარესტორნო ქსელის, **KFC**-ის ჰონკონგის ფილიალმა შექმნა ფრჩხილის ლაქი, რომელიც საჭმელად ვარგისია და ქათმის გემო აქვს.

უჩვეულო პროდუქტი დამზადებულია ნატურალური ინგრედიენტებისგან.

ფრჩხილის ლაქს **KFC**-ის პოპულარული პროდუქციის – რიგინალ-ისა და **Hot&Spicy**-ის გემო აქვს.

კომპანიის ჩანაფიქრით, **KFC**-ის მენიუს მოყვარულები, ახალი ლაქის საშუალებით ნებისმიერ დროს შეძლებენ თითის გალოკვას და საყვარელი გემოს გახსენებას.

„რეცეპტი უნიკალურია და შექმნილია იმისთვის, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს გემო და ბზინვარება", – აცხადებს **gilvy & Mather**-ის კრეატიული დირექტორი ჯონ კოუ.

მისი მოსაზრებით, ახალი სარეკლამო კამპანია ჰონკონგში ნამდვილ აჟიოტაჟს გამოიწვევს.

**KFC (Kentucky Fried Chicken** – შემწვარი წიწილა კენტუკიდან**)**, წარმოადგენს სწრაფი კვების ამერიკულ სარესტორნო ქსელს, რომელიც 1952 წელს ჰარლანდ სანდერსმა დააარსა.

დღეს **KFC** მსოფლიოს თითქმის 120 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიცაა წარმოდგენილი.

*bpn.ge*

---

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ინდოეთში დაიბადა ბავშვი ქალთევზას სინდრომით

ინდოეთის შტატ უტტარ-პრადეს ქალაქ სახარანპურში 22 წლის ქალმა ქალთევზას სინდრომიანი ბავშვი გააჩინა, რომლის უცნაური აღნაგობის გამო, ექიმებმა მისი სქესი ვერც კი დაადგინეს. ახალშობილმა მხოლოდ 10 წუთი იცოცხლა. მსგავსი ანომალიებით ახალშობილებს ქვედა კიდურები აქვთ შეზრდილი.



„ჩვენ გვინახავს ახალშობილთა პათოლოგიები, თუმცა ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათია. ბავშვი თევზის სხეულით დაიბადა. ხელები მცურავი არსების ფორმის ჰქონდა, რამაც აღნიშნული შემთხვევა უფრო უნიკალური გახადა. ახალშობილის სხეულის ზედა ნაწილი ფუნქციური იყო, ხოლო ქვედა მხარე განვითარებული არ იყო", – განაცხადა მეან-გინეკოლოგმა არია ვანდანამ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორსულობის 30 კვირამდე ფეხმძიმე ქალი არაფერს უჩიოდა, თუმცა შემდეგ გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ნაყოფს თირკმელები არ ჰქონდა განვითარებული.

„ამ სინდრომის გაჩენის რამდენიმე მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. მათ შორის, ბევრი წამლის მიღება, ვიტამინების ნაკლებობა, გენეტიკა, ანამნეზი ან საერთოდ დედის დიაბეტი. პათოლოგიის მიზეზი შეიძლება სისხლის მიმოქცევის ფუნქციის დარღვევაც იყოს. ასეთ შემთხვევებში ქირურგიული ოპერაციები უშედეგოა, ნაყოფის განუვითარებლობის გამო. ზოგიერთ, იშვიათ შემთხვევებში თირკმელების გადანერგვა შეიძლება, თუმცა გადარჩენის შანსი ძალიან დაბალია", – განაცხადა ექიმმა ვანდანამ.

*info9.ge*

---

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „ბავშვი მიწაზე ისე იყო დაბმული, როგორც ძაღლი" — აშშ-ში ორი მცირეწლოვანი დაბმული იპოვეს

ტეხასის შტატში, სან ანტონიოსთან ახლოს, ორი მცირეწლოვანი ერთ-ერთი სახლის უკანა ეზოში დაბმული იპოვეს.




უცხოური მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე მას შემდეგ მივიდნენ, რაც პოლიციას ერთ-ერთმა ადგილობრივმა შეატყობინა, რომ სახლის უკანა ეზოდან ბავშვის ტირილი ისმოდა.

სამართალდამცველებს სახლის კარი არავინ გაუღო. შესაბამისად, ისინი სახლის უკანა ეზოში ღობიდან გადავიდნენ, სადაც მათ ორი მცირეწლოვანი დაბმული დახვდათ.

„ორი წლის ბავშვი მიწაზე ისე იყო დაბმული, როგორც ძაღლი. ოდნავ მოშორებით კი, სამი წლის გოგონა კარზე ძაღლის სასეირნო საბმელით იყო მიკრული", – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა.

ორი მცირეწლოვნის განთავისუფლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახლში კიდევ ექვსი ბავშვი იყო ჩაკეტილი. მათი ასაკი ათი თვიდან 13 წლამდე მერყეობდა. ბავშვებს არავინ მეთვალყურეობდა.

შემთხვევიდან მეორე დღეს, 34 წლის პორუჩა ფილიპსი, რომელიც ექვსი შვილის დედაა, სახლში დაბრუნდა. სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ ის დანარჩენ ორ მცირეწლოვანზეც იყო პასუხისმგებელი.

34 წლის ქალი გულგრილობისა და მცირეწლოვანი ბავშვების სხეულის მძიმედ დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

*info9.ge*

---

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ავსტრალიაში მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი ძაღლი მოკვდა



მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი ძაღლი – მეგი ავსტრალიაში 30 წლის ასაკში მოკვდა. ადამიანის წლოვანებაზე გადათვლით მისი ასაკი 133 წელს შეადგენს.

ნაგაზი ვიქტორიას შტატში მცხოვრებ ფერმერ ბრაიან მაკლარენს ეკუთვნოდა.

მაკლარენის მონაყოლით, ძაღლი ღამით საკუთარ კალათაში მოკვდა. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ის დაყრუვდა და მხედველობაც დაუქვეითდა, თუმცა საკუთარი მოვალეობების შესრულება არ ავიწყდებოდა.

„ის 30 წლის იყო. წინა კვირას ქუჩებში სეირნობდა, ფერმიდან ოფისამდე მიდიოდა, იღრინებოდა, როცა კატებს ხედავდა, – ყველაფერი ისე იყო, როგორც საჭიროა", – ამბობს ბრაიანი.

მისი თქმით, ძაღლის მდგომარეობა ბოლო ორი დღის მანძილზე გაუარესდა.

„გუშინ სადილობისას რომ მივედი სახლში, მივხვდი, რომ დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. ძალიან ვდარდობ, თუმცა მიხარია, რომ სწორედ ასე წავიდა", – აღნიშნა ფერმერმა.

მაკლარენმა ასევე თქვა, რომ ძაღლის დოკუმენტები დაკარგა, თუმცა ახსოვს, რომ, როდესაც ოჯახმა მეგი შეიძინა, მისი უმცროსი შვილი 4 წლის იყო. ახლა კი ფერმერის შვილი 34 წლისაა, შესაბამისად, მეგი 30 წლის ასაკში მოკვდა. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, დღემდე ყველაზე ასაკოვანი ძაღლი იყო ავსტრალიური ნაგაზი ბლუეი, რომელიც 1939 წელს 29 წლის ასაკში მოკვდა.

*plus.kvira.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## როგორ დავგეგმოთ იდეალური დღე



როგორ უნდა დავგეგმოთ დღე, რომ წარმატებული და შედეგიანი იყოს. არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მეცნიერებს, როგორც სხვა ბევრ საკითხზე, პასუხი ამაზეც აქვთ. ჰოდა, ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩვენი ნაყოფიერი დღისთვის გეგმა შეადგინეს.

რაც მთავარია, დღე მსუბუქი ბიზნესით უნდა დავიწყოთ, მაგალითად იოგით. დილის 9 საათი ქირურგიული პროცედურებისთვის იდეალური დროა. თუ სასწავლო მასალა გვაქვს ასათვისებელი, მაშინ ამ საქმეს დილის 9-დან 10 საათამდე უნდა მივხედოთ. ხოლო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად დილის 11 საათზე უკეთეს დროს ვერ ვნახავთ. რაც შეეხება კუჭ-ნაწლავის სისტემასა და ასთმას, სჯობს, საღამოს საათებში მივაქციოთ ყურადღება. ხოლო ვინც ჯანმრთელია და მსგავსი გართულებები არ აწუხებს, საღამოს შეუძლია, უბრალოდ, დაისვენოს.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## უცხო ენების შესწავლა კონცენტრაციის უნარს აუმჯობესებს




გიჭირთ ყურადღების მოკრება და კონცენტრაცია? ისწავლეთ უცხო ენა, თუნდაც მხოლოდ ერთი კვირით და სწრაფი შედეგით თავადვე დატკბით.

ბრიტანელი მეცნიერები იკვლევდნენ ჯგუფს, რომელიც უცხო ენას სწავლობდა. ჯგუფში იყვნენ როგორც არასრულწლოვნები, ისე 80 წელს მიღწეული ადამიანები. მეცნიერები აკვირდებოდნენ, როგორ უვითარდებოდათ ჯგუფის წევრებს კონცენტრაციის უნარი. წევრები სწავლის პარალელურად, ტესტებს აკეთებდნენ, რომლითაც მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ენის შესწავლის სულ რაღაც ერთკვირიანი კურსიც საკმარისია იმისთვის, რომ ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარი გაგიუმჯობესდეთ, თანაც ამით, ინტელექტსაც დიდ სარგებელს მოუტანთ.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რა გავლენას ახდენს პარტნიორების რიცხვი ჯანმრთელობაზე?



ჯიდას კლინიკური ცენტრის სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს იმის გასაგებად, როგორ მოქმედებს სექსუალური პარტნიორების რაოდენობა გულზე.

კვლევა მრავალცოლიან და მონოგამ მამაკაცებზე ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ მონოგამებს ძალიანაც კარგად ჰქონიათ საქმე და გულის დაავადებებსაც იშვიათად უჩივიან. აი, პოლიგამებს კი რა ეშველებათ, კაცმა არ იცის. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ქალთან წინ და უკან სირბილი პოლიგამებს გამუდმებული სტრესის საბაბს აძლევს. ასე რომ, არჩევანის წინაშე არიან, ან მრავალფეროვნება, ან ჯანმრთელობა.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## „ფეისბუკში“ შეტყობინებები ავტომატურად წაიშლება



„ფეისბუკი“ მიღებული შეტყობინებების ავტომატურად წაშლის ფუნქციაზე მუშაობს. აღნიშნულ სიახლეს სოციალური ქსელი საფრანგეთში 2015 წლის ნოემბრიდან ტესტავს.

მსგავსი ფუნქცია უკვე არსებობს Snapchat-ის მესენჯერში.

წყაროს ცნობით, „ფეისბუკმა“ აუდიტორია გაზარდა. უახლოეს მომავალში გამოჩნდება ახალი პუნქტი, რომლის თანახმადაც 1 წუთის, 15 წუთის, 1 საათის, 4 საათის ან რამდენიმე დღის შემდეგ შეტყობინებები ავტომატურად წაიშლება.

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მესის 5 წლის ავღანელი ფანის ოჯახს ემუქრებიან — ოჯახი იძულებული გახდა, ავღანეთი დაეტოვებინა



არგენტინელი ფეხბურთელის, ლიონელ მესის 5 წლის ავღანელი ფანის, მურთაზა აჰმადის ოჯახი იძულებული გახდა, ავღანეთი დაეტოვებინა და საცხოვრებლად პაკისტანში გადასულიყო. ამის შესახებ „ბიბისისთან“ ბიჭის მამამ ისაუბრა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც პატარა მურთაზა ცნობილი გახდა, ოჯახმა მუქარის შემცველი არაერთი შეტყობინება მიიღო. მამაკაცის თქმით, ვინაიდან მისმა შვილმა მესისგან მაისურები მიიღო, ადგილობრივი კრიმინალები ფიქრობენ, რომ ფეხბურთელმა ფულიც გაუგზავნა და სწორედ მის გამოძალვას ცდილობენ. მათ ღაზნის პროვინციაში სახლი დატოვეს და პაკისტანის ქალაქ კვეტაში გადასახლდნენ.

ჯერ კიდევ უცნობი ბიჭის ფოტომ ინტერნეტი მაშინ ააფეთქა, როდესაც ის პოლიეთილენის პარკის მაისურით გამოჩნდა, რომელსაც ზედ ფლომასტერით მესი ეწერა.

პატარა მურთაზას ფოტოს გამოჩენის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში ბიჭს ინტერნეტსივრცის მომხმარებლები მთელი მსოფლიოდან ეძებდნენ, რათა მისთვის მესის ნამდვილი მაისური ეჩუქებინათ. პატარა ბიჭის ფოტომ თავად ფეხბურთელამდეც მიაღწია. მესიმ ტვიტერზე დაწერა, რომ თავის ფანს ეძებდა. ბიჭუნა ავღანეთში იპოვეს.

მურთაზას პოპულარობის შესახებ მისმა ოჯახმა მას შემდეგ შეიტყო, რაც ინტერნეტში გავრცელებულ სურათზე მისმა ბიძამ აზიმ აჰმადმა თავისი ძმისშვილი ამოიცნო. მურთაზას მამის თქმით, მას საშუალება არ ჰქონდა, შვილისთვის მესის მაისური ეყიდა. ამიტომ მურთაზასთვის უფროსმა ძმამ პოლიეთილენის პარკისგან ფეხბურთელის მაისური შექმნა.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მკვლევარების დასკვნით, 2015 წელს ექიმების შეცდომას 250 ათასი ადამიანი შეეწირა



გასულ წელს შეერთებულ შტატებში სიკვდილიანობის შემთხვევების უმრავლესობა ექიმების შეცდომამ გამოიწვია.

როგორც აშშ-ის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაასკვნეს, ასეთი სულ 250,000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

სტატისტიკის მიხედვით, გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს გამოვლინდა, ასეთი სულ 611,000 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო სიმსივნის – 585,000. შეერთებულ შტატებში ადამიანთა სიკვდილიანობის მიზეზებს შორის მესამე ადგილზეა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები (149,000). მეცნიერებმა სიკვდილიანობის სტატისტიკური მონაცემები 2000 წლიდან და 2008 წლამდე პერიოდის განმავლობაში ჩაატარეს.

აღნიშნული მონაცემები მეცნიერებმა 2015 წლის სიკვდილიანობის მაჩვენებელთან შეაჯამეს. სპეციალისტების განცხადებით, ექიმების სამედიცინო შეცდომებს შორისაა დაუზუსტებელი დიაგნოზის დასმა, არასწორი მკურნალობა, პაციენტისთვის მედიკამენტების გადაჭარბებული დოზით დანიშვნა.

ექსპერტებს არ განუხილავთ ოპერაციები, რამაც სიკვდილიანობა გამოიწვია. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოში იმ 100 ქვეყანას შორის გვხვდება, რომელიც მოქალაქეთა გარდაცვალების მიზეზების შესახებ სისტემატურ მოკვლევას არ ატარებს.

**ipress.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფრანგი თანამშრომელი მოსაწყენი სამსახურის გამო ფულად კომპენსაციას ითხოვს



ფრედერიკ დესნარი 44 წლის პარიზელი კაცია, რომელმაც იფიქრა, მოდი, ფულის შოვნის მარტივ ხერხებს მოვსინჯავო, ამიტომ ადგა და ყოფილ უფროსს მოსაწყენი სამსახურის გამო უჩივლა.

ფრედერიკი 2006 წლიდან ერთ-ერთ კოსმეტიკურ კომპანიაში მუშაობდა. 2012 წლიდან კომპანიას გაუჭირდა და საქმეც მოსაწყენი გახდა. ფრედერიკის ძირითადი მოვალეობა უკვე უფროსისთვის შოპინგზე სიარული გახდა. ამისთვის კი წელიწადში 80 ათას ევროს იღებდა.

2014 წელს ფრედერიკი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს.

როგორც თავად ამბობს, ავარია ეპილეფსიის მოულოდნელი შეტევის გამო მოუვიდა. ეპილეფსიის შეტევა კი მოსაწყენმა სამსახურმა გამოიწვია, რამაც საბოლოოდ დეპრესიამდე მიიყვანა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, პარიზელი 360 ათასი ევროს ოდენობით ფულად კომპენსაციას ითხოვს. სასამართლო კი 27 ივლისსაა დანიშნული.

**anekdot-dnya.ru**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

Facebook ამბები



დათო გოგიშვილი:

ქართული ეკოლოგიურად სუფთა ბომონდის, შოუბიზნესის ზოგიერთი ,,კორფეს“ საყურადღებოდ!!!: სანამ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლაბორატორიიდან არ ჩამოვა DNM-ის დასკვნა, რომ ხართ ისეთი ღრმად გეოგრაფიული ლოკაციიდან წარმოშობით, რომლის იქეთ ლარი ბრუნვაში აღარაა და ფეოდალური ნატურალური მეურნეობის ნიშნებია შემორჩენილი, მანამდე რატომ მალავთ ესე საგულდაგულოდ თქვენს პროვინციულ ბეგრაუნდს???? ვერ ხედავთ, რომ შარდენის ნიავმა თქვენს ,,პერო,,-ს ბუნდღები უკვე შემოაცალა???

ნინა ბარამიძე - ბომონდი არაა ბომონძლია:) პერო რას ნიშნავს დილის მერეა ვპოსტავ და ვერ ამიხსნეს

თეა ჩხაიძე - პერო არის ბუმბული ნინა, და ზოგიერთებს ქუდის მაგიერ უკანალში აქვს გარჭობილი.




თამაზ ჭეიშვილი:

ნუ ჩადიხართ მკრეხელობას და (ხუმრობითაც კი) ნუ უწოდებთ ამ გენიალურ ქართველებს ,,ჩამოთრეულებს“! ვისაც თქვენ ,,ჩამოთრეულები“ დაარქვით, იმათ ,სოფლიდან ქალაქში ჩამოიტანეს ნიჭი, კულტურა,კდემამოსილება სისპეტაკე

სხვათაშორის, ერთ დროს (ფეოდალურ ხანაში), ჩვენი ყველა წინაპარი სოფლელი იყო და სოფლური,, პრონოსით,, უქცევდა, საუბრის დროს!

...ამ პროვოკაციულ პუბლიკაციებს ჯობია,ხელისუფლებას უკარნახოთ რეგიონებში ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების გზები! ...აი მაშინ ამოისუნთქავს ქალაქი,სოფელი...ერი ბერი!...არც საავტომობილო კოლაფსის პრობლემა იქნება! მთელი სოფელი თბილისში ,,ტაქსაობს,, რომ ოჯახი შიმშილით არ ამოუწყდეს! ეს ტრაგედიაა!...თქვენ კი ...,ჩამოთრეულები,,! არ არის ლამაზი,არა!

როგორ ვერ ხვდებით,რომ სოფლის ჩამოსახლება ქალაქში ღრმა სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია ! იმათ, ვისაც ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაცია ჭირდება, ყველა შემთხვევას იყენებს სათავისოდ, მათ შორის რეგიონისა და დედაქალაქის მოსახლეობის გადამტერებას.სოფლელების და თბილისელების ,,დაჯახება,, შეიძლება გახდეს დესტაბილიზაციის ერთერთი კერა .

,,კსტატი,, ჩვენი ნოდარიე, ნოდარიე რაფერ გამოტიეთ ,,ჩამოთრეულების სასტავში,, მაგი იყო სიცილით რომ დახოცა მთელი თბილისი ,,ტერარისტ იუმორისტ“ ? :)):)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ციხე-სიმაგრე პარიზში
2. ტბა დუშეთის რაიონში
3. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
4. საოპერო პარტია
5. მოწონების შეძახილი შრომაში
6. მწვადი ამერიკულად
7. ფრანგული ოქროს ფული. შემოიღო ლუდოვიკო IX-მ
8. იაპონელი თვითმკვლელი
9. ყვავის ბარტყი
10. აშშ-ს დედაქალაქი
11. გოგრა
12. მსახიობი ... კალკინი
13. მეფედ კურთხევა
13ა. მომღერალი ... სამარი
14. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
15. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
16. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
17. მხ/ფ „... სახლში“
18. ბურღულეული
19. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
20. ნამცხვარი
21. დაშინება
22. იაპონური თეატრი
23. დახვეული ნამცხვარი
24. ღმერთი სკანდ. მითებში
25. დახეული ძველი ქსოვილი
26. მსახიობი ... რაიანი
27. ავღანეთის დედაქალაქი
28. საომარი მოქმედებების ხაზი
29. ლუდის მასალა
30. „კაცი რომელიც იცინის“ გოგონა
31. ნიშანი საქონლის შუბლზე
32. მდინარე იტალიაში
33. დაყაჩაღება
34. მცენარე. ლეგავენ კვერცხებს
35. იაპონური ფულის ერთეული
36. ერთიანი ხარდში
37. ბეწვის პალტო
38. სამაგიეროს გადახდა
39. გამჭოლი ქარი
40. მსახიობი ... პეჩი
41. მტაცებ. ფრინველის ფრენა
42. „მონადირე“ ფოტოგრაფი
43. მტაცებელი ფრინველი
44. ბალზაკი. „მამა ...“
45. იანის საპირისპირო
46. შოკოლადის ბატონი არაქისით
47. ჯეიმს კამერონის ფილმი
48. მსახიობი ვერონიკა ...
49. ზამთრის სპორტის სახეობა
50. ლაშქარი
51. ძვ. რომაელი დრამატურგი
52. იაპონიის კუნძული
53. მსახიობი ... გარსია
54. მსახიობი ... წეროძე
55. თეთრი მასა ლუდის თავზე
56. ბაში აჩუკის ქუდი
57. ქართ. საესტრადო ანსამბლი
58. მიმდინარეობა მხატვრობაში
59. თავის უკანა მხარე
60. სერიალი „... ქალაქში“
61. მანგუსტი კიპლინგის მოთხრობაში
62. მხ/ფ „დათა თუთაშხია“ ქურდი ციხეში
63. გამოუწვავი აგური
64. აბატი პრევო. „... ლესკო“
65. ქართ. საესტრადო ანსამბლი
66. ... პუგაჩოვა
67. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
68. ისტ. ქალაქი ინდოეთში
69. პრეზიდენტი ... ობამა
70. მსახ. ... მაკგრეგორი
71. მოჭიდავე ზოგადად
72. გემის ტუალეტი
73. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
74. მხატვარი ალბრეხტ ...
75. რიცხვი 3,14
76. ქალაქი რაჭაში
77. ... მტრობას დაუნგრევია
78. თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყო
79. სინთეზური ქსოვილი
80. რაგბიში დადებული გოლი
81. მსახიობი ... რუსო
82. ალექსანდრე დიუმა-შვილი. „ქალი ...“
83. მსახიობი ... იოვოვიჩი
84. ... თათქარიძე
85. მსახიობი ... კროუ
86. ძაღლის ჯიში
87. სალებავი, ჟანგმინა
88. ... ხრენნიკოვი
89. ცურვის სტილი
90. სასუნთქი თამბაქო
91. კურორტი შვეიცარიაში
92. მეტყველების ორგანო
93. მთის გამოძახილი
94. ფეხბურთელი ... სუარესი
95. ქალაქი სომხეთში
96. კოშკი პარიზში
97. სხვიგ. ჭრის ლითონს
98. სტადიონი რიოში
99. მსახიობი დავით ...
100. მსახიობი ... დელონი
101. ნისლი
102. შალის ერთგვარი ქსოვილი
103. პოეტი ... ნიშნიანიძე
104. კარტოფილის კერძი
105. გამის ნოტი
106. ორსახა ღმერთი
107. შიიზმის მიმდევარი
108. ყვავილი
109. შვედური საესტრადო ანსამბლი
110. სამკურნალო მცენარე
111. დათვის ნაშიერი
112. შალის სასპალტოე ქსოვილი
113. მულტფილმ. „... და დათვი“
114. ანწლი
115. მსახ. ... ვარდალოსი
116. გემის მოძრავი კიბე
117. პატარა ტანის ძაღლი
118. შვარცენეგერი: რკინის ...
119. თეატრალური განცხადება





პასუხები: 1. ბასტილია; 2. ბაზალეთი; 3. ლიხტენშტაინი; 4. არია; 5. ბარაქალა; 6. ბარბექიუ; 7. ეკიუ; 8. კამიკაძე; 9. ბახალა; 10. ვაშინგტონი; 11. კვახი; 12. მაკოლეი; 13. კორონაცია; 13ა. დონა; 14. ინდონეზია; 15. მალტა; 16. იანიჩარი; 17. მარტო; 18. მაკარონი; 19. მარადია; 20. შუ; 21. მუქარა; 22. კაბუკი; 23. რულეტი; 24. ოდინი; 25. ძონძი; 26. მეგ; 27. ქაბული; 28. ფრონტი; 29. ალაო; 30. დეა; 31. ნიშა; 32. პო; 33. რეკეტი; 34. ენდრო; 35. იენა; 36. იაქე; 37. ქურქი; 38. რევანში; 39. ორპირი; 40. ენ; 41. ირაო; 42. პაპარაცი; 43. არწივი; 44. გორიო; 45. ინი; 46. „სნიკერსი“; 47. „ავატარი“; 48. კასტრო; 49. ბიათლონი; 50. სპა; 51. სენეკა; 52. ოკინავა; 53. ენდი; 54. დუდუხანა; 55. ქაფი; 56. ფაფანაკი; 57. „ივერია“; 58. იმპრესიონიზმი; 59. კეფა; 60. შუა; 61. რიკი-ტიკი-ტავი; 62. მახო; 63. ალიზი; 64. მანონ; 65. „ორერა“; 66. ალა; 67. ოფელია; 68. აგრა; 69. ბარაკ; 70. ევან; 71. ფალავანი; 72. გალიუნი; 73. მედინა; 74. დიურერი; 75. პი; 76. ონი; 77. რაც; 78. ნარგილე; 79. ვისკოზა; 80. ლელო; 81. რენე; 82. კამელიებით; 83. მილა; 84. ლუარსაბ; 85. რასელ; 86. ლაბრადორი; 87. ოხრა; 88. ტიხონ; 89. კროლი; 90. ბურნუთი; 91. დავოსი; 92. ენა; 93. ექო; 94. ლუის; 95. აბოვიანი; 96. ეიფელი; 97. ლაზარეთი; 98. „მარაკანა“; 99. კვირცხალია; 100. ალენ; 101. ბურუსი; 102. ტვიდი; 103. გიზო; 104. პიურე; 105. სი; 106. იანუსი; 107. შიიტი; 108. ვარდი; 109. „აბბა“; 110. კალენდულა; 111. ბელი; 112. დრაფი; 113. მაშა; 114. ავი; 115. ნია; 116. ტრაპი; 117. ფინია; 118. არნი; 119. აფიშა. იკითხება: სირაქლემა. პინგვინი. კივი.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. საბჭოთა პიონერთა ბანაკი
2. რეჟისორი ემირ ...
3. მომყოლი (ანატომ.)
4. პიპინიას პერის საცოლე
5. ცხენებშებმული ტრანსპორტი
6. თვითმკვლელობა
7. სამკურნალო მცენარე
8. ცვილის ძელაკი პატრუქით
9. ალ. ტოლსტოის მოთხრობა
10. მსახიობი ... ჰეჩი
11. მკურნალობა ნემსის ჩხვლეტით
12. თავის მოსაკვეთი მექანიზმი
13. ტენორი მარიო ...
14. მსახიობი ... გიბსონი
15. „ნატვრის ხე“ პერსონაჟი
16. ტიბეტური ხარი
17. მანათობელი მწერი
18. ალორგოლოგ-ალორგოლოგი
19. ბოსტნეული
20. ლუკა, მათე, იოანე, მარკოზ. რა დაწერეს მათ
21. ზღვაოსანი ფერნანდო ...
22. მსახიობი ... ფიორენტინო
23. ტყის მხალი
24. „მაუგლი“ პითონი
25. დიდი კოვზი
26. პოჟარსკი და ...
27. მუცელი, ანუ ...
28. „... ვხედავ შენს“
29. მსახიობი ... როტი
30. მამხალა, ანუ ...
31. ძვირფასი ქვა
32. შეჭამანდის ყურძენი
33. ხის სოლი
34. მიმიკის უქონლობა
35. ვულკანური მასა
36. ... უდუმეშვილი
37. მწერალი ... შენგელაია
38. მწერალი ფრანც ...
39. თაქვარიანი, ანუ ...
40. ქიმიური ელემენტი
41. თევზის ჯიში
42. მსახიობი ... ანდერსონი
43. მწვერვალი კავკასიონზე
44. ქალაქი რაჯაში
45. ცენტრალური დოკუმენტი ... ლორელი
46. ნაცია
47. ინგლისური ლუდი
48. წონის ქველგ. ერთეული
49. ვაზის ჯიში
50. მინდვრის ყვავილი
51. ბოსტნის მავნებელი მწერი
52. სიცრუის დეტექტორი
53. „იმერული ესკიზები“ მთხოვარი
54. საგრაფო ინგლისში
55. ისლანდიელი მომღერალი ქალი
56. უპიქემენტო ორგანიზმი
57. საგალობელი ... მარია
58. თერძის „იარაღი“
59. ინტერნეტით პირდაპირ ჩვენება
60. მსახიობი ... ელიავა
61. დუბა ადრიანის რაიონში
62. მდინარე იტალიაში
63. „... და მარგარიტა“
64. ფაშისტი ბენიტო ...
65. პოეტი მუხრან ...
66. მწერალი რეზო ...
67. ვენესუელის დედაქალაქი
68. მომღერალი ჯასტინ ...
69. ვერცხლისწყლის ნაერთი
70. მომღერალი ლედი ...
71. მექანიკის ოქროს ...
72. ანსამბლი „...-75“
73. შენობის ჩონჩხი
74. მსახიობი მონიკა ...
75. მომღერალი ... ჯაგერი
76. ნანული სარაჯიშვილის ფილმში
77. აწმყოლი
78. სტადიონი ერევანში
79. ის, ვინც სისხლს გასცემს
80. მსახიობი ... დურბინი
81. ავეჯნის სატრფო
82. ფურცლის დაკეცვის ხელოვნება
83. ჯუჯა ცხენი
84. გასეირნება ქალაქგარეთ
85. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
86. ბალნეული
87. ფალიაშვილის ოპერა
88. მსახ. ... ფრეინდლიხი
89. ბოსტნეული
90. წრის ფორმის საგანი
91. მსახიობი ლეილა ...
92. მისი დედაქალაქია ტოკიო
93. მსახიობი ... ტაილერი
94. შხამიანი გველი
95. იუპიტერის თანამგზავრი
96. მთიანი მხარე ციმბირში
97. მხატვარი კამილ ...
98. გამოძიების ერთ-ერთი გზა
99. „... კარენინა“
100. მელა ალისა და კატა ...
101. მსახიობი ... პილი
102. ხორბლის შეჭამანდი
103. ... დედალამაზიშვილი
104. კავშირებითი სიტყვა
105. საწვავი აირი
106. მწერალი ... კიზი
107. გამის ნოტი
108. შინაური ცხოველი
109. მომღერალი ... პეგი
110. მზის ღმერთი ...-რა
111. ისტორიის მუზა
112. მგზობრული კორპორაცია
113. ფუტკრების სახლი
114. ... ბურთი და ... მოედანი
115. ცხენების სადგომი
116. მსახიობი ჯეიმს ...
117. ტბა უნგრეთში
118. ინდიელების ნავსადგი
119. სანელებელი
120. „მაზაფუმური შემოხულა ...
121. შიდზის მიმდევარი
122. კაპიტალისტ. მონოპოლიის სახე







პასუხები: 1. „არტეკი“; 2. კუსტურიცა; 3. პლაცენტა; 4. ანგელინა; 5. ეტლი; 6. სუიციდი; 7. ასკილი; 8. სანთელი; 9. „აელიტა“; 10. ენ; 11. აკუპუნქტურა; 12. გილიოტინა; 13. ლანცა; 14. მელ; 15. ელიოზი; 16. იაკი; 17. ციცინათელა; 18. მუცელს; 19. ისპანახი; 20. სახარება; 21. მაგელანი; 22. ლინდა; 23. პანტა; 24. კაა; 25. ჩამჩა; 26. მინინი; 27. სტომაქი; 28. მე; 29. ტიმ; 30. ჩირაღდანი; 31. ამეთვისტო; 32. ჩამიჩი; 33. პალო; 34. ამიმია; 35. ლავა; 36. ზაალ; 37. დემნა; 38. კაფკა; 39. ქარაფშუტა; 40. იოდი; 41. სვია; 42. ბიბი; 43. შხარა; 44. ონი; 45. ბეტონი; 46. ერი; 47. ელი; 48. ბათმანი; 49. ალადასტური; 50. ბაბუაწვერა; 51. მახრა; 52. პოლიგრაფი; 53. ოლია; 54. კენტი; 55. ბიორკი; 56. ალბინოსი; 57. ავე; 58. ნემსი; 59. ონლაინი; 60. ლია; 61. აბასთუმანი; 62. პო; 63. ოსტატი; 64. მუსოლინი; 65. მაჭავარიანი; 66. ჭეიშვილი; 67. კარაკასი; 68. ტიმბერლეიკი; 69. ამალგამა; 70. გაგა; 71. წესი; 72. ვია; 73. კარკასი; 74. ვიტი; 75. მიკ; 76. „მანანა“; 77. ავი; 78. „რაზდანი“; 79. დონორი; 80. დინა; 81. როენა; 82. 82. ორიგამი; 83. პონი; 84. პიკნიკი; 85. კარაბადინი; 86. ნესვი; 87. „დაისი“; 88. ალისა; 89. ბროკოლი; 90. რგოლი; 91. აბაშიძე; 92. იაპონია; 93. ლივ; 94. ასპიტი; 95. იო; 96. საიანი; 97. კორო; 98. ვერსია; 99. ანა; 100. ბაზილიო; 101. ბენი; 102. კორკოტი; 103. გიგი; 104. რომ; 105. პროპანი; 106. კენ; 107. მი; 108. თხა; 109. სტას; 110. ამონ; 111. კლიო; 112. სარჟი; 113. სკა; 114. ჰა; 115. თავლა; 116. დინი; 117. ბალატონი; 118. ტომაჰავკი; 119. ძმარი; 120. ლენ; 121. შიიტი; 122. სინდიკატი. იკითხება: ტიტა. მიხაკი. ზამბახი. შროშანი.

facebook




**თამაზ ჭეიშვილი:**

გამარჯობა უფალო! ( პენსიონერის გასაუბრება უფალთან,ამ საკრალურ კვირას)

ღმერთო,მე და ჩემი მეუღლე პენსიით ვირჩენთ თავს(შვილებს და შვილიშვილებს გეფიცები!). ვცდილობთ ბავშვები არ შევაწუხოთ, მაგრამ „მინიშნებების„ გარეშეც ხვდებიან,რომ 320 ლარად ორი სული ვერ იარსებებს ამ დალოცვილ წილხვედრ „დერეფანში“. შენი ნება რომ არ ყოფილიყო,ვინ დაარქმევდა ,,დერეფანს„,,ასე არ არის? იმას გეუბნებოდი, ყოვლის შემძლევ და მხილველო: თვის 15 -16 რიცხვში, ეროვნული ,,ვალუტით„ შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან! რა თქმა უნდა ესეც შენი წყალობით და ნებით. ვებრძვით ამ წუთის სოფელს და ვუძლებთ ღვთისგან,ანუ ,შენგან ნაბოძებ გამოცდას! როგორ ეკონომიურადაც არ უნდა ვხარჯოთ დენი და გაზი, საშუალოდ კომუნალური გადასახადები 60-80 ლარი მაინც გამოდის თვეში(თანაც ეჭვი მეპარება,რომ თელასი შენი კარნახით „ბერავს„ დანახარჯს, მანდ აშკარად ოპოზიცია, სატანა ცდილობს!). კი ბატონო,გამოცდას გვიწყობ უფალო, შე დალოცვილო და კეთილო, მაგრამ 25 წელი ,,აბითურიენტები„ რომ ვართ, სულ ორიანებს რომ გვიწერ , რითი ველარ ჩავაბარეთ ,,გამოცდა„? დავიჯერო ამხელა პლანეტაზე გამოსაცდელი სხვა აღარავინ დარჩა,თუ მექრთამე პოლიტიკოსების ცოდვებსაც გვაწერ? ახლა, როგორ დავიჯერო მამავ ზეციერო, ევროპელმა, ამერიკელმა, ავსტრიელმა იაპონელმა პენსიონერებმა ხუთიანზე ჩააბარეს შენი ყველა ჩათვლა და გამოცდა და არიან ბედნიერად! მოგზაურობაში და დროს ტარებაში ატარენენ დარჩებილ წუთისოფელს! მამავ, ზეციერო, უსაყვარლსესო,სულზე უტკბესო, შე დალოცვილო! მორიგი „გამოცდის„ დროს იქნებ „ნაცნობობით ბილეთი დაგვინიშნო„ რა იქნება, ჰა? დაგვინიშნავ ბილეთს, ვისწავლით საკითხებს ხუთიანზე და ჩაგაბარებთ წარჩინებულად! დავიჯერო ჭორვილა გატენილია ხუთოსნებით? არ ჩაგვჭრა!გაჭირვებულ სამიანზე მაინც ჩაგვაბარებინე ! რა იქნება ჩვენც რომ შევუერთდეთ, იმ ევროთი და დოლარით გაბედნიერებული ბებრების შემადგენლობას მსოფლიოს რომ უვლიან თოხარკი ცხენებივით! სხვა თუ არაფერი, ნმდვილად არ ვართ შორებლები, ნათესავები ვართ, შენი, ძე იესოს დედის მხრიდან. მარტო წილხვედრი ქვეყანა რომ არ გვერქვას, ჩვენც გაგვალაღე წუთისოფლით, რა იქნება,ჰა? რაღაც ორი კაკალი დროება დაგვრჩენია და გაგვაბედნიერე ცივილიზებული სამყაროს პენსიონერების, ან ჭორვილელი ბებრების მსგავსად! თამაზ ჭეიშვილი ურმესი პატივისცემით და მარჯვენა მუხლის მოდრეკით (მარცხენას ვერ ვხრ, ართროზი მჭირს).

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მეცნიერებმა, სამყაროში ინტელექტუალური ცივილიზაციების არსებობა გათვალეს



ამერიკელმა ასტროფიზიკოსებმა, მოწინავე ცივილიზაციების არსებობის შესაძლებლობები გათვალეს და მათი აზრით, 10 მილიარდი გონიერი სამყარო უნდა არსებობდეს. ამის შესახებ კვლევები, ინფორმაციები, უნივერსიტეტის მკვლევართა საიტზეა განთავსებული.

მეცნიერთა აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანური ცივილიზაცია არ არის უნიკალური კოსმოსში, მაშინ სიცოცხლის წარმოშობის ალბათობა ეგზოპლანეტაზე, რაც არსებობის საშუალებას მოგვცემს – ტოლია 10 მინუს 12 ხარისხისა. ასე რომ, ამჟამად, სამყაროში შესაძლოა, ათეულობით მილიარდი გონიერი ცივილიზაცია არსებობდეს.

ადამიანური ცივილიზაცია, უნიკალურად იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუკი, სამყაროში გონიერი ცივილიზაციის არსებობის ალბათობა ტოლი იქნებოდა – 10 მინუს 22 ხარისხისა.

იმ შემთხვევაში თუკი, ამ მეცნიერთა მონაცემები სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ამჟამად, გალაქტიკა „ირმის ნახტომში“, დედამიწა გონივრული ცივილიზაციით დასახლებული ერთადერთი პლანეტა გამოდის. ძველი მსოფლიოები უკვე დაიღუპა, ახალი კი მაშინ განვითარდება, როცა ადამიანი გაქრება.

*ambioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჩინეთში დაბადებულ ბავშვს 31 თითი აქვს — მშობლები დახმარებას ითხოვენ



ჩინეთის პროვინცია ჰუნანში, 4 თვის წინ ბიჭი დაიბადა, რომელსაც ექიმებმა პოლიდაქტილიის დიაგნოზი დაუსვეს, რაც ზედმეტი თითის არსებობაში გამოიხატება.

ჰონგ ჰონგს 31 თითი აქვს – ხელზე 15, ფეხზე 16.

მშობლები ბავშვის ოპერაციისთვის თანხას აგროვებენ, მათ, სავარაუდოდ, 30 000 დოლარამდე სჭირდებათ.

როგორც აღმოჩნდა, პოლიდაქტილიის დიაგნოზი აქვს ბავშვის დედასაც. მას ხელებზე და ფეხებზეც 12-12 თითი აქვს.

როგორც ბიჭის მამა ყვება, ბავშვის შემთხვევა განსაკუთრებით მძიმეა, რადგან მას ორი ხელისგული აქვს და ცერა თითები არ აქვს. ოპერაციის შემთხვევაში მას არა მხოლოდ ზედმეტი თითების მოცილება, არამედ ცერა თითების რეკონსტრუქციაც დასჭირდება.



ბავშვის მამის თქმით, მათ ფინანსური დახმარება სჭირდებათ. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მშობლებმა განცხადება ინტერნეტში გაავრცელეს, 6 ათასი დოლარი უკვე შეაგროვეს.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ტემპერატურა მკვეთრად დაბლა ეცემა?



როდესაც გაცემული სითბოს რაოდენობა ორგანიზმში გამომუშავებულ სითბოს სჭარბობს, შესაძლოა, ტემპერატურა ნორმის ქვემოთ ჩამოვიდეს და 35 გრადუსზე ნაკლები იყოს. ასეთი შემთხვევებია მაღალი სიცხეების შემდეგ, სიცივეში დიდხანს ყოფნის შემდეგ – როცა ორგანიზმი გადაცივდება.

ჰიპოთერმიის ნიშნებია: კანკალი; ცივი, ფერმკრთალი კანი; კოორდინაციის დარღვევა; მეხსიერების არევა; პათოლოგიურად შენელებული სუნთქვა;

ჰიპოთერმიის ალბათობას ზრდის სველი ტანისამოსის ტარება, გადაცივება, ცივ წყალში ხანგრძლივად ყოფნა, ცივ ამინდში დიდხანს სიარული. ამ დროს ორგანიზმში იშლება ტემპერატურის მარეგულირებელი მექანიზმი. ჰიპოთერმია განსაკუთრებით საშიშია იმ დროს, როდესაც ადამიანები მარტო იმყოფებიან, ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ისინი ვერ ხვდებიან, რომ სამედიცინო დახმარება სჭირდებათ და ნელ-ნელა კარგავენ გონებას და ფიზიკურ შესაძლებლობებს.



როგორ მოვიქცეთ ამ დროს?

გახადეთ სველი ტანისამოსი და ჩააცვით თბილად! მოაცილეთ ბავშვი სიცივის წყაროს; ნუ ეცდებით, გაუთბოთ ხელები და ფეხები. ამ დროს სხეულის ცენტრში, თავზე, კისერზე გულმკერდისა და საზარდულის არეში თბილი კომპრესები დაადეთ.

გააკონტროლეთ სუნთქვა, თუ სასწრაფოს მოსვლამდე სუნთქვა ძალიან ნელი გახდება ან შეჩერდება, სასწრაფოდ დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია.

ამ დროს ნუ გაუკეთებთ ბავშვს მასაჟს, რადგან შესაძლოა, კანი მოყინული იყოს და მას სერიოზული ზიანი მიაყენოთ.

თუ ბავშვი არ აღებინებს, მიეცით მას თბილი სასმელი და აუცილებლად გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!

*mshoblebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## კიბოს მკურნალობა უკვე გენების დონეზეა შესაძლებელი



იცოდით, რომ ბრიტანელი მეცნიერები კიბოს მკურნალობის საკითხში იკვეხნიან, რომ გარღვევა მოახდინეს. თურმე, ნუ იტყვით და კიბოს მკურნალობა გენების დონეზე შეუძლიათ.

სენგერის ინსტიტუტის მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს და ახალი გენი აღმოაჩინეს, რომლის მუტაციაც კიბოს იწვევს.

სპეციალისტებმა მიაკვლიეს მუტაციას, რომელიც დაავადებას მართავს. მიიჩნევენ, რომ კიბოს გენის პერსონალური გამოკვლევით შესაძლებელი იქნება მკურნალობის ოპტიმალური გზების ძიება.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ახლო აღმოსავლეთი საცხოვრებლად უვარგისი გახდება



კვიპროსელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ უახლოეს მომავალში ახლო აღმოსავლეთი საცხოვრებლად უვარგისი ტერიტორია გახდება.

საუკუნის შუაში სიცხე ადამიანის სიცოცხლეს დაემუქრება და ადამიანებიც იძულებული გახდებიან, ტერიტორია დატოვონ. ტემპერატურის სულ ორი გრადუსით მატება იმის მანიშნებელი იქნება, რომ რეგიონში ზაფხული ორჯერ უფრო ცხელი იქნება. 50 გრადუსი ცელსიუსი ნორმა გახდება, ხოლო საუკუნის დასასრულს, ეს რიცხვი 80-მდე გაიზრდება

გარდა ტემპერატურისა, ახლო აღმოსავლეთში მტვერიც დიდი პრობლემაა. მტვრის დონე თანდათანობით მატულობს და უკვე 70 პროცენტს მიაღწია, რაც აღნიშნული რეგიონის გაუდაბნოების კიდევ ერთი წინაპირობაა.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ,,ინსტაგრამზე“ აღმოჩენილი ხარვეზისთვის, ,,ფეისბუკმა“ 10 წლის ჰაკერს 10 000 დოლარი გადაუხადა




„ფეისბუკმა“ 10 წლის ჰაკერს 10 000 დოლარი გადაუხადა, „ინსტაგრამზე“ ფოტოს გაზიარებისას აღმოჩენილი ხარვეზის გამო. ჰაკერის ვინაობა არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ ის არის ჯანი ჰელსინკიდან და ყველაზე პატარა მათ შორის, ვისაც სოციალურ ქსელში აღმოჩენილი შეცდომის გამო, „ფეისბუკმა“ ფულადი ჯილდო გადაუხადა. 10 წლის ჰაკერის თქმით, მან „ინსტაგრამის“ ფოტოებზე ნებისმიერი მომხმარებლის კომენტარების წაშლა შეძლო.

„მე ყველა მომხმარებლის კომენტარის წაშლა შემიძლია, მათ შორის ჯასტინ ბიბერისაც კი“, – განაცხადა ჯანიმ.

როგორც გაირკვა, ჯანიმ შეცდომა მარტში აღმოაჩინა. კომპანიის თანამშრომლებმა კი აღნიშნული ხარვეზი გამოასწორეს.

უცნობია, რაში დახარჯავს 10 წლის ჰაკერი მიღებულ 10 000 დოლარს.

*newposts.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## „დაყენებული“ ღიმილი ფსიქიკის დაუძინებელი მტერია?



ვინც ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სერიოზულად მოვიკოჭლებთ და არ შეიძლება, მომხმარებელს შუბლშეჭმუხნული გამყიდველი, ოფიციანტი ან გნებავთ, ბენზინის ჩამსხმელი ემსახურებოდეს, აბსოლუტურად ვეთანხმებით. როგორც ამბობენ, ამ მხრივ, ძალიან ბევრი ქვეყანა გამორჩეულია და მომსახურების სფერო უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი. ყოველ შემთხვევაში, მომსახურე პერსონალს თავაზიანი ღიმილი მაინც აქვს სახეზე და წაქცეული ბულასავით სულაც არ იბღვირება. მაგრამ რის ფასად? საკითხავი აი, ეს არის!

ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, „დაყენებული“ ღიმილის სანაცვლოდ გამყიდველებს, სასტუმროების ადმინისტრატორებს ან, გნებავთ, ბენზინის გამყიდველებს, ძალიან დიდი საფასურის გადახდა უწევთ.

– უმიზეზოდ, არაგულღიად გაღიმება ფსიქიკის დაუძინებელი მტერია და მას უდიდეს ზიანს აყენებს, – ამტკიცებენ სპეციალისტები.

გერმანელი ფსიქოლოგების აზრით, ასეთი ყალბი ღიმილი სტრესსა და დეპრესიასაც კი იწვევს. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადამიანი მუდმივად გამოხატავს ემოციებს, რომლებსაც სინამდვილეში ის არ განიცდის.

– ეს ორგანიზმისთვის ნამდვილი წამებაა და ჯანმრთელობაზე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აისახება, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

ადამიანებს, რომლებსაც დღეების მანძილზე დადებითი განწყობის იძულებითი დემონსტრირება უხდებათ, ფსიქოლოგები ურჩევენ, რაც შეიძლება, დიდხანს დაისვენონ და მოდუნების სხვადასხვა ხერხი გამოიყენონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს მიაყენებენ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თმის გასწორებას ალერგია და კიბო მოჰყვება?



სილამაზე რომ მსხვერპლს მოითხოვს, მგონი, ასეთი მსხვერპლი ბოროდინოს ბრძოლას არ მოჰყოლია. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ყველაზე უსაფრთხო პროცედურების უკანაც კი ისეთი საშინელებები იმალება, თმები ყალყზე დაგიდგებათ.

ზუსტად თმების, უფრო კონკრეტულად კი თმის გასწორების შესახებ უნდა მოგიყვეთ, რომელსაც თურმე შესაძლოა, საუკეთესო შემთხვევაში ალერგია, უარეს შემთხვევაში კი... კიბო მოჰყვეს!

საქმე ისაა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე დამღუპველად მოქმედებს ფორმალდეჰიდი, კოსმეტიკური საშუალება, რომელსაც ჩვეულებრივ, თმების გასწორებისას იყენებენ.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ფორმალდეჰიდს იმ კოსმეტიკურ პროდუქტებშიც კი მიაგნეს, რომლებშიც მათი არარსებობა იყო დეკლარირებული.

*woman.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ათლეტების მარათონი გეიაღლუმში აერიათ და...



ამ ცოტა ხნის წინ კალინინგრადის ოლქში ჩხუბი მომხდარა, დედა შვილს ვერ აიყვანდა თურმე ხელში. ადგილობრივი პოლიცია კი ვერ მიმხვდარა, რა ქნას, ვინ დასაჯოს – თავდამსხმელები თუ ისინი, ვინც თავს იცავდა.

ცნობილი ხდება, რომ გასულ დღეებში კალინინგრადის ოლქში მარათონი გაიმართა, რომელშიც რამდენიმე ათეული გვარიანად ნავარჯიშები სპორტსმენი მონაწილეობდა.

როგორც ჩანს, ამდენი მამაკაცი ერთად რომ დაინახეს, ადგილობრივებს სპორტული ღონისძიება გეიაღლუმში აერიათ და დისტანციის ერთ-ერთ მონაკვეთში ჩასაფრება მოაწყვეს.

აი, სწორედ აქ დაწყებულა ისეთი ჩხუბი, ჩაკ ნორისი რომ ჩაკ ნორისია, ისიც რომ არ ჩაერეოდა.

საბედნიეროდ, ინციდენტს არავინ შეეწირა, თუმცა სხეულის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში რამდენიმე ათეული ადამიანი წევს, ძირითადად მაინც თავდამსხმელები...

*cu.forenet.info*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ორგანიზმის 10 სიგნალი, რომლებიც უყურადღებოდ არ უნდა დატოვოთ



იგნორირებაზე არც კი იფიქროთ და იცოდეთ, რომ ეს ის 10 ნიშანია, რომლებითაც თქვენი ორგანიზმი პრობლემების შესახებ გამცნობთ:

1. წონის უმიზეზოდ კლება – თუკი შეამჩნევთ, რომ წონას თქვენი მცდელობის გარეშე კარგავთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. წონის უმიზეზოდ კლების ნიშნებია: საერთო წონის 5 პროცენტის დაკარგვა 1 თვის მანძილზე; საერთო წონის 10 პროცენტის დაკარგვა 6-12 თვის მანძილზე.

წონის უმიზეზოდ კლება შეიძლება ბევრი დაავადებისგან იყოს გამოწვეული. მათ შორისაა ფარისებრი ჯირკვლის გადაჭარბებული აქტიურობა (ჰიპოთირეოზი), დეპრესია, ღვიძლის დაავადებები და ასე შემდეგ.

2. ტემპერატურის გამუდმებული ზრდა – თუკი ნორმალური იმუნიტეტი გაქვთ, არ მკურნალობთ, მაგალითად, ქიმიოთერაპიით, ტემპერატურის ზრდა მთელი კვირის მანძილზე ან უფრო მეტხანს გრძელდება, ექიმთან მისვლისთვის საფუძველი ნამდვილად არსებობს, თანაც რაც შეიძლება სწრაფად.

მუდმივი ტემპერატურა შეიძლება გამცნობდეთ ფარული ინფექციების შესახებ – დაწყებული საშარდე გზების ინფექციიდან და დასრულებული ტუბერკულოზით. სხვა შემთხვევაში, მაღალ ტემპერატურას ისეთი ავთვისებიანი დაავადება იწვევს, როგორიც ლიმფომაა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, მიზეზი სხვადასხვა მედიკამენტიც იყოს.

3. ქოშინი – ცხვირის გაჭედვისა და ფიზიკური დატვირთვის გამორიცხვით, თუკი ქოშინი დაგჩემდათ, ესეც სერიოზული სიგნალია ორგანიზმისგან, რომ რაღაც წესრიგში არ უნდა იყოს. თუკი გრძნობთ, რომ არ გყოფნით ჰაერი, ჩასუნთქვა გიჭირთ და ასე შემდეგ, ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია. მიზეზი შეიძლება იყოს: ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ქრონიკული ბრონქიტი, ასთმა, გულის პრობლემები, პანიკური შეტევები, პნევმონია, ტრომბი ფილტვებში და ასე შემდეგ.

4. კუჭის მუშაობის უეცარი ცვლილება – აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს, თუკი შემდეგ ცვლილებებს შენიშნავთ: ძლიერი ფაღარათი ორ კვირაზე მეტხანს; არცთუ ძლიერი ფაღარათი ერთ კვირაზე მეტხანს; კუჭის შეკრულობა ორ კვირაზე მეტხანს; სისხლიანი ფაღარათი; გამოცლის გაურკვეველი სურვილი.

5. ფსიქიკის ცვლილებები – თუკი შენიშნეთ, რომ გაქვთ აზროვნების უეცარი ან მუდმივი შეფერხება, დეზორიენტაცია, აგრესიული ქმედებების უეცარი შეტევები, ჰალუცინაციები, ორგანიზმი გამცნობთ, რომ ექიმთან მისვლის დროა და გადადება არაფრით არ შეიძლება.

ცვლილებები ფსიქიკასა და ქცევებში შეიძლება გამოწვეული იყოს თავის ტრავმისგან, ინსულტისგან, სისხლში შაქრის დაბალი დონით და ასე შემდეგ.

6. სუსტი ან ძლიერი თავის ტკივილები (განსაკუთრებით 50 წლის შემდეგ) – უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს: უეცარი ძლიერი თავის ტკივილი; თავის ტკივილები ტემპერატურის მატებასთან, გამონაყართან, გულის შეტევასთან, მხედველობის გაუარესებასთან ერთად; თავის ტკივილები ტრავმის ფონზე.

ჩამოთვლილი უსიამოვნებების მიზეზად სპეციალისტები ასახელებენ: ინსულტს, სისხლძარღვების ანთებას, მენინგიტს, ტვინის სიმსივნეს, ანევრიზმას ან თავის ტრავმის შემდეგ ფარულ სისხლდენას.

7. მხედველობის, მეტყველების ან სხეულის მოძრაობის კონტროლის დროებითი დაკარგვა – ასეთი სიმპტომები, ჩვეულებრივ, ინსულტის ან იშემიური შეტევებისგან ჩნდება. სასწრაფოდ მიაკითხეთ ექიმს, თუკი რაიმე მსგავსს გრძნობთ: უეცარი სისუსტე ან სახის, ხელის ან ფეხის გაშეშება სხეულის ერთ მხარეს; მხედველობის დროებითი დაკარგვა; უეცარი ძლიერი თავის ტკივილი; უეცარი თავბრუსხვევები და ორიენტაციის დარღვევა.

8. თვალებში განათება – თვალებში სინათლის უეცარი გამოვლენა ბადურას სერიოზული პრობლემების მომასწავებელია და სამედიცინო დახმარება აუცილებელია.

9. დანაყრების შეგრძნება მცირე



საკვების მიღების დროს – დანაყრების შეგრძნება დროზე ადრე და გულის რევა, რომელიც კვირაზე მეტხანს გრძელდება, ორგანიზმის ნიშანია, რომელსაც ძალიან ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო, კუჭის კიბო და ასევე, საკვერცხეების კიბო.

10. გახურებული, წითელი ან დასიებული ძარღვები – ეს საგანგაშო ნიშნები ძარღვების ინფექციას უკავშირდება და გადაუდებელი დახმარებაა აუცილებელი, რათა ბაქტერიებს გავრცელების საშუალება მოესპოთ. გარდა ამისა, არსებობს სხვა მიზეზებიც. მაგალითად, ნიკრისის ქარი ან ართრიტის სახეობები.

დაბოლოს: ძალიან ხშირად სხვადასხვა ჩივილის მიზეზი შესაძლოა, უძილობაც გახდეს. მაგალითად, მას შეუძლია, გამოიწვიოს ძარღვების პრობლემები, წელის ქრონიკული ტკივილები, ქრონიკული დაღლილობა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, აზროვნებისა და მეხსიერების გაუარესება. ამ უსიამოვნებების დაძლევაში კარგად შერჩეული ორთოპედიული მატრასი დაგეხმარებათ.

*obozrevatel.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მრევლის მისაზიდად, ამერიკელმა მღვდელმა ეკლესიაში ტატუ სალონი გახსნა



მიზანი ამართლებს საშუალებას და ეს, ალბათ, ყოველთვის ასე იქნება. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ფიქრობს სასულიერო პირი მიჩიგანის შტატიდან სტივ ბენტლი, რომელმაც მრევლის მიზიდვის მიზნით ეკლესიაში ტატუ სალონი გახსნა.

ამერიკელი სასულიერო პირი განმარტავს, რომ მორალის მხრივ ტატუები სრულიად უწყინარია და ის ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი სახეობაც კია.

რა პრინციპით მუშაობს ტაძარში გახსნილი ტატუ სალონი და მრევლს უფასოდ ემსახურება თუ ფასდაკლებებით, უცნობია, თუმცა, როგორც უცნაური სასულიერო პირი ამტკიცებს, მხოლოდ ბოლო ერთი თვის მანძილზე მის სამწყსოს დაახლოებით 150 ადამიანი შეემატა.

*rokf.ru*

Facebook ამბები




**ინგა გრიგოლია:** რატომ დავდივარ ბებია-ბაბუების საფლავებზე და რატომ განვაგრძობ ტრადიციას, რომელიც რატომღაც ,,პრადვინუტების,, საქილიკოდ იქცა ...იმიტომ რომ სწორედ მათგან მაქვს ნასწავლი, ვის საფლავებზე დღეს მე ავდივარ ხოლმე წითელი კვერცხებით, პასქით და ღვინით.. მათგან ვიცოდი მთელი ცხოვრება, რომ ეს იყო წასული ადამიანების სიყვარულის და მოგონებების საუკუნოვანი ტრადიცია.. ყოველთვის ვიცოდი, რომ საჭმელი, რომელიც ჯერ მათთან ერთად მიგვქონდა და ეხლა უკვე მათ საფლავებზე მიმაქვს ხოლმე, გაჭირვებული ადამიანებისთვისაა რეალურად... მიმაქვს, ვტოვებ კარგად შეფუთულს და ვიცი,რომ მას აუცილებლად წაიღებს ის,ვისაც ყველაზე მეტად შია და სჭირდება...არ მივიღებ არასოდეს ჩემი ტრადიციების დაცინვას და არც იმას, რომ თუ მე ან რომელიმე ჩემი ოჯახის წევრი იქ ერთ ან სამ ჭიქა ღვინოს დალევს, თურმე სიბნელეა და ღრეობა..ასე იქნება ჩემს სიკვდილამდე და მერე,ჩემს შვილსაც აუცილებლად ეცოდინება,რომ ესაა სიყვარულის და მოგონების ჩვენეული ტრადიცია, რომელიც არასოდეს უნდა დაივიწყოს....ხო, კიდევ-ბებიაჩემი და ბებიაჩემის ბებიაც ასე მეუბნებოდა და მასწავლიდა ხოლმე - ქრისტე აღ-ს-დგაო და დღემდე ასე ვამბობ მეც..ესეც ჩემი ბავშვობიდან წამოღებული ჯადოსნური სიტყვებია და ასე ვამბობ დღემდე..მე მიყვარს ჩემი ქვეყნის ტრადიციები,მიყვარს და ორგანულია ჩემთვის მიცვალებულის მოსახსენებელ დღეებში ჩემების საფლავებზე დატვირთული ასვლა(ჩემი წამოსვლოდან ხუთ წუთში ვიღაც უცხოებს რომ მიაქვთ ეს საჭმელი) ,მიყვარს იქ კვერცხის გადაგორებაც და ერთი ჭიქა ღვინის დალევაც,რადგან ძალიან უყვარდათ ეს ყველაფერი მათ,ვინც ამ ტრადიციებით გამზარდა და მიყვარს ასე საფლავზე ჩამომჯდარი მათთან ჩემთვის ბუტბუტი... ხოდა ძალიან მაღიზიანებენ ამ ტრადიციებზე მოქირქილე და მოღადავე ადამიანები და მომავალ აღდგომასაც ასე მოგილოცავთ- ,,ქრისტე აღსდგათქო“))))) მომავალ წელსაც ავალ საჭმელებით სავსე ხელჩანთით სასაფლაოზე,ავიტან ღვინოსაც და კიდევ ერთხელ მოვეფერები იმ ადამიანებს, ვინც აღარ მყავს და ვინც ჩემი ქვენის ყველა ტრადიცია შემაყვარა.

**ვალერიან ხაბურძანია:** ჭიქის წაქცევა და წასულების მოგონება Dining with the Dead ჰგონია და 90 წლის მამრი კონგრესმენის 40 წლის მამრზე დაქორწინება 21-ე საუკუნის ტოლერანტობის მიღწევა, მთელი თქვენი ცხოვრება მაგათ ქორწილში ge-dining-ოთ.

**მაია ორჯონიკიძე:** მართალია სასაფლაოზე არაფერს მივირთმევ, მაგრამ მეც ამაქვს პასკაც, კვერცხებიც და ყვავილებიც, ამაში ცუდი არაფერია

# ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია უკიდურესი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი ნანა დათიაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საორგანიზაციო სამსახურის უფროსი.

ქალბატონმა ნანამ ცხოვრების გულდასაწყვეტად ხანმოკლე გზა განვლო – იგი რამდენიმე თვეში მხოლოდ 44 წლის გახდებოდა; და მიუხედავად ამისა, მან მოასწრო ადამიანური და პროფესიული თვისებებით ახლობლების, კოლეგებისა და ექიმების გულსა და გონებაში დაემკვიდრებინა განუმეორებელი ადგილი.

ქალბატონი ნანა, განათლებით იურისტი, სამართალმცოდნე, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობდა, 2007 წლიდან კი – უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლში.

ნანა დათიაშვილის პროფესიული აქტივობა პრაქტიკულ ჯანდაცვასა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმატორული ცვლილებების პერიოდს დაემთხვა, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი საკითხების სამართლებრივად გამართული და, ამავე დროს, ჰუმანური გააზრება. ყოველივე ეს კი თითქოს ქალბატონი ნანას კომპეტენციასა და ადამიანურ თვისებებზე იყო მორგებული: იგი ბრძანდებოდა კვალიფიციური იურისტი, თავაზიანი, ღიმილიანი, დიდსა თუ პატარასთან გამორჩეულად კორექტული, ლამაზი ქალბატონი.

ქალბატონმა ნანა დათიაშვილმა კეთილად იცხოვრა და, ძალიან სამწუხაროდ, ახალგაზრდა ასაკში წავიდა ისე, რომ გაოგნებული და უკიდურესად გულნატკენი დატოვა შვილი, მშობლები, ძმა, მეგობრები, ახლობლები და კოლეგები.

მშვიდობით, ჩვენო ნანა!

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

**პანაშვიდი:** 8, 9 მაისს (თბილისი, კანდელაკის ქუჩა №4).

**დაკრძალვა:** 10 მაისს, 15:00 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ტაძრიდან.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას


**იყიდება უსწრაფესი, 9-კაციანი კატერი YAMAHA AR210, 2006 წლის, კარგ მდგომარეობაში. 2 სტაციონარული „ვადამიოტნი“, 210 ცხენის ძალიანი ძრავით (ბენზინი). სიგანე – 2,5 მეტრი, სიგრძე – 6,4 მეტრი, წონა – 975 კგ. სპეც.ზღვის ნავიგაციით, სტაციონარული რაციით, გადასაყვანი ტრაილერით. მოძრაობს 40 სმ წყალშიც კი.**

**მდებარეობს ფოთში.**

**ფასი – 27 000 დოლარი**

**ტელეფონი: 599 50-39-97**




## მამაკაცმა ბანკიდან 1 დოლარი მოიპარა



ბანკის გაძარცვა გადაწყვიტო, შეძლო შენობაში შეღწევა და მხოლოდ და მხოლოდ 1 დოლარი მოიპარო? მგონი, ძალიან დიდი სისულელეა, არა?! ერთი შეხედვით, ასე ჩანს, თუმცა ძაღლის თავი სულ სხვაგან იმალება და ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ.

ეს უცნაური შემთხვევა ამერიკაში, კერძოდ კი ჩრდილოეთ კაროლინაში მოხდა, სადაც პოლიციამ 59 წლის მამაკაცი ბანკიდან 1 დოლარის მოპარვის ბრალდებით დააკავა.

როგორც აღმოჩნდა, მამაკაცს იმედი ჰქონდა, რომ ქურდობის გამო ციხეში მოხვდებოდა, სადაც უფასო სამედიცინო მომსახურებას მიიღებდა.

გამოძიების ინფორმაციით, ქურდობისთვის დაპატიმრებულ მამაკაცს ცოტა ხნით ადრე კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. იმის გამო, რომ ის უმუშევარია, შესაბამისად, ვერ იმკურნალებდა. ჰოდა, აი, ასეთ რადიკალურ ზომებს მიმართა, თუმცა მოხვდება თუ არა ციხეში, ეს უკვე აღარ ზუსტდება.

*rokf.ru*

## გაციების საწინააღმდეგო აბის ნაცვლად – ყველი



ყველი გაციების დასამარცხებელი შესანიშნავი საშუალება ყოფილა – პროდუქტი არაერთ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს, რომელთაც ადამიანის იმუნიტეტის მუშაობის გაუმჯობესება შეუძლიათ.

სიახლის ავტორები ბრიტანელი მეცნიერები არიან.

მათი ინფორმაციით, კვლევებმა აჩვენა, რომ ყველი სავსეა ა და ბე ვიტამინებით, რაც ადამიანს გაციებასთან გამკლავების მშვენიერ შანსს აძლევს.

გეტყვით იმასაც, რომ პროფილაქტიკისთვის საკმარისია დღეში 100-150 გრამი ყველის მიღება.

განსაკუთრებით სასარგებლო ყოფილა შედარებით მაგარი ყველი, რომელსაც, გარდა ზემოაღნიშნულისა, შეუძლია, ადამიანი გულის პათოლოგიებისგანაც დაიცვას.

*dr20.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ახალ ინჰალატორს თვალთვალის მოწყობილობაც ექნება

სამწუხაროდ, ნებისმიერი ასაკის უამრავ ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემა აწუხებს და საბედნიეროდ, მათთვის დროული დახმარების აღმოჩენის საშუალებას თანამედროვე ტექნოლოგიები ნამდვილად იძლევა.

ამ შემთხვევაში, ცნობილი ხდება, რომ შექმნილია „ჭკვიანი“ ინჰალატორი, რომელიც კომპიუტერთან ერთად მუშაობს. ის ექიმებს საშუალებას მისცემს, დააფიქსირონ შემთხვევები, როცა მათ პაციენტებს ასთმის შეტევა ემართებათ. გარდა ამისა, შეუძლიათ, სახიფათო მომენტში პაციენტების ადგილმდებარეობაც დაადგინონ, რაც, დაგვეთანხმებით, უსაზღვროდ მნიშვნელოვანი ფაქტია.

ახლად შექმნილ ინჰალატორს სახელად „ასთმაპოლისი“ აქვს მიღებული, რომელიც დაეხმარება როგორც პაციენტებს, ისე მათ მკურნალ ექიმებს, უკეთ მოხდეს საკმაოდ საშიში დაავადების კონტროლი.

სიახლის მთელი საიდუმლოება იმაში იმალება, რომ აქვს ე.წ. ბლუთუზის მხარდაჭერა. ყოველ ჯერზე, როცა ინჰალატორის გამოყენება ხდება, სპეციალური მოწყობილობა მისი გამოყენების დროსა და პაციენტის ადგილმდებარეობას იწერს, რაც ავტომატურ რეჟიმში გადაეცემა მკურნალ ექიმს.

რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ახალი ინჰალატორი ასთმის მქონე პაციენტებისთვის, ან რა ღირს ის, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

*wordscience.ru*

## რომელი წვენი დაგეხმარებათ წონის დაკლებაში?

ერთი მხრივ, დიეტოლოგები მუდმივად იმას გვასწავლიან, რომ დიეტებთან მეგობრობა ძალიან საშიშია ჩვენი ჯანმრთელობისთვის, მეორე მხრივ კი, ისინი არაერთ ახალ საშუალებას გვთავაზობენ ხოლმე, რომელიც ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლაში დაგვეხმარება. ამ შემთხვევაში საუბარია პანტა მსხალზე. უფრო რომ დავაზუსტოთ, მის წვენზე. უახლესი კვლევების დახმარებით დადგინდა, რომ ის გახდომის მსურველებს უდიდეს დახმარებას უწევს. გარდა ამისა, პანტა მსხლის წვენი კუჭნაწლავის ტრაქტში საშიში ორგანიზმების აღმოჩენის შემთხვევაში დაცვით მექანიზმებს ააქტიურებს.

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს პანტა მსხლის სასარგებლო თვისებების დასასრული როდია. მაგალითად, მის შემადგენლობაში შედის თუთია, სათრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მჟავები, მიკროელემენტები: ფტორი, ნიკელი, მოლიბდენი და იოდი. ასევე, კაროტინი და ცე და პე ვიტამინები.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ თავისი სამკურნალო თვისებების წყალობით, მსხლის წვენს შეუძლია, შეანელოს ისეთი ბაქტერიების დონე და გავრცელება, როგორებიცაა: სტაფილოკოკი, დიზენტერიული და ნაწლავის ჩხირები.

საერთო ჯამში, ორგანიზმს პროდუქტი ეფექტურად წმენდს და დიეტოლოგები მის რეგულარულ გამოყენებას გვირჩევენ.

*mjnau*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*


**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია
574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.02